

ISSN—0132—6066



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-1 / 2
1985

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

4. 1985

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ენისა და ლიტერატურის სერია, 1985, № 4

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

4. 1985

ქურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

ს ა რ მ დ ა შ ც ი ო კ ო ლ ე ზ ი ა : ალ. ბარამიძე (რედაქტორი),

თ. გამყრელიძე, ალ. გვაზარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,

ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкрелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глонти

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ვენისა და ლიტერატურის სერია

1985, № 4

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაეცა წარმოებას 16. IX.85; ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.XII.85; უფ. 15344
ქალაქის ზომა 70X1081/16; მაღალი ბეჭდვა; პირ. ნაბეჭდი თაბახი 16,8; პირ. სალ.-გატ. 17,1;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,8. ტირაჟი 1600; შეკვ. 2998; ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19^ა
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

ლ. ქრელაშვილი, გაზეთ „დროებაში“ ხელმოწერილი პუბლიცისტური წერილების ატრიბუცია	5
ვ. ვახანია, ნ. ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისას“ ინტერპრეტაციისათვის	25
დ. სლივნიაკი, დაბალი და მაღალი შაირის დაპირისპირების ფუნქციისათვის ვეფხისტყაოსანში	43
ა. ცანავა, ქართული კოსმოგონიური შითები (მემორატული და ფაბულატური გადმოცემები)	54
ც. ხელაშვილი, აიარის სახე სპარსულ ხალხურ დასთანებში	72
ლ. გვერდწითელი, მწერლის ენის ლექსიკონის ტიპოლოგია	85
ა. არაბული, ერთი ქართველური ძირის აღდგენისათვის	98
ა. ფოცხიშვილი, პირისა და კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნების საკითხები თანამედროვე ქართულში	107
დ. ფხაკაძე, ასპექტის გრამატიკული კატეგორიის ჩამოყალიბებისა და I თურშობითის ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხისათვის ქართულში	122
ნ. ქუთელია, ლაზური კონსონანტიზმი	132
მ. პაიჭაძე, ზმნური გვარის კატეგორიის დეფინიციის საკითხისათვის	155
ნ. ჩიჩუა, მოქმედების ნომინაციის ასპექტები თხრობით ტექსტში (მოქმედების დურატულად დანაწევრებული ნომინაცია)	166

ცნობები და შენიშვნები

ა. აბრამიშვილი, ცოტა რამ კრებულ „ნიავზე“ და აღმანახ „ოქროს ფეხზე“ (შეცდომა უნდა გასწორდეს)	185
--	-----

СОДЕРЖАНИЕ

Статьи

Л. П. Чрелашвили, Атрибуция неподписанных публицистических статей в газете «Дროзба»	5
В. А. Вахания, К интерпретации поэмы Н. Бараташвили «Судьба Грузии»	25
Д. И. Сливняк, О функции противопоставления высокого и низкого шаири в «Вепхисткаосани»	43
А. В. Цанава, Грузинские космогонические мифы	54
Ц. Г. Хелашвили, Образ айяра в персидских народных дастанах	72
Л. В. Гвердцители, Типология словарей языка писателей	85
А. И. Арабули, К реконструкции одного общекартвельского корня	98
А. П. Поцхишвили, Вопросы склонения личных и вопросительных местоимений в современном грузинском языке	107
Д. Ф. Пхакадзе, Некоторые вопросы взаимосвязи становления аспектной категории и форм I результативного в грузинском языке	122
Н. С. Кутелия, Лазский консонантизм	132
М. Г. Пайчадзе, К вопросу о дефиниции категории залога	155
Н. Ш. Чичуа, Аспекты номинации действия в повествовательном тексте (дуративно расчлененная номинация действия)	166

Сообщения и заметки

А. Абрамишвили, Несколько слов о сборнике «Ниави» и альманахе «Окрос пехи»	185
--	-----



ლივან ზრელაშვილი

გაზეთ „დროებაში“ ხელმოუწერელი კუპლიცისტური წერილების ატრიბუცია¹

1818

ჩვენს შრომაში „სერგეი მესხის ხელმოუწერელი ნაწერები გაზეთ „დროებაში“² აღნიშნული გვექონდა, რომ სერგეი მესხის ნაწერების ბიბლიოგრაფია „გადაუწერელი სტატიები“, რომელიც იაკობ გოგებაშვილის ფონდშია დაცული და აღრიცხულია ავტოგრაფად, საშუალებას გვაძლევს მეორე რედაქტორის — ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების ატრიბუციაც მოვახდინოთ.

ილია ჭავჭავაძე, როგორც რედაქტორი, „დროებას“ ხელს აწერდა 1880 წელს, როცა შეერთდნენ ეურნ. „ივერიისა“ და გაზეთ „დროების“ რედაქციები. რადგან სხვა წლებში გაზეთს მხოლოდ ს. მესხი აწერდა ხელს, ერთ ხანს შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საერთო რედაქცია ორგანიზაციული თუ იდეურ-ტაქტიკური წინააღმდეგობის გამო ისევ დაიშალა და ცალ-ცალკე ხელმძღვანელობდნენ „დროებას“ და „ივერიას“. მაგრამ დოკუმენტები გვიჩვენებენ, რომ ეს მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილებაა და სინამდვილეში კი სერგეი მესხი და ილია ჭავჭავაძე ბოლომდის ერთად განაგრძობდნენ რედაქტორობასა და მოღვაწეობას.

1881 წლის 19 ნოემბერს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოში ი. ჭავჭავაძემ და ს. მესხმა შეიტანეს ერთიანი განცხადება, რომელიც იუწყებოდა ი. ჭავჭავაძის მიერ სარედაქტორო უფლებების გადაცემას ს. მესხისადმი, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ კი ამ უფლებების მიღებას³. იმავე წლის 23 ნოემბერს ი. ჭავჭავაძისა და ს. მესხის განცხადების საფუძველზე საცენზურო კომიტეტმა აცნობა მთავარსამმართველოს, რომ თავისი მხრიდან მას საწინააღმდეგო არა აქვს რა და რომ ს. მესხი ერთპიროვნული რედაქტორის მოვალეობის შესრულებას 19 ნოემბრიდან შეუდგა კიდევ⁴.


აღნიშნულის მიხედვით ცხადია, რომ ი. ჭავჭავაძე ვაზ. „დროებას“ 1880 წლის შემდეგ ხელს არ აწერდა არა იმიტომ, რომ რედაქციები გაიყო და იგი რედაქტორად აღარ ითვლებოდა, არამედ, ჩანს, სულ სხვა მიზეზით, ალბათ, იმიტომ, რომ მწერალი მომდევნო წლებში რედაქტორულ ტვირთს ს. მესხთან

¹ ნაშრომი მოხსენებლად წაკითხული იყო 1981 წელს შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესიაზე. იხ. თეზისები: ლ. ჭრელი, ილია ჭავჭავაძისა და სერგეი მესხის ხელმოუწერელი ნაწერების ატრიბუციის საკითხი, გვ. 21.

² იხ. ეურნ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1982, № 1.

³ საქართველოს ციხე, ფონდი 480, აღწ. I, საქ. 417, გვ. 5. იხ. აგრეთვე: ლ. ბერძენიშვილი, XIX საუკუნის ქართული დემოკრატიული პრესა, თბ., 1981, გვ. 32.

⁴ საქართველოს ციხე, ფონდი 5, აღწ. I, საქ. 5755, გვ. 8. იხ. აგრეთვე: ა. იოვანიძე, ილია ჭავჭავაძე — დოკუმენტური მასალები, „საისტორიო მოამბე“, ტ. 3, თბ., 1947, გვ. 199.





თანასწორად ველარ ინაწილებდა. მართლაც, ილიაზე „მოწინავეების“ ერთი მესამედი მოდის მხოლოდ. ი. ჭავჭავაძე „დროების“ რედაქტორი 1881 წელს ხომ თავისთავად იყო⁵, მაგრამ, ჩანს, იგი ამ უფლებებს ბოლომდის, გაზეთისათვის სხვა რედაქტორის დანიშვნამდისაც, ინარჩუნებდა. ამას გვიჩვენებს კვლევა-ძიებაც და შემუშარული ცნობაც. გრ. ყიფშიძე წერს: „იმავე 1883 წელს ავად გახდა ს. მესხი. ვაზეთს „დროებას“ პატრონი უნდოდა და ფულსაც შოვნა ავადმყოფ რედაქტორის სამკურნალოდ, გაზეთის კალენების გადასახდელადაც. ილიამ იკისრა ფულის მოგროვება შეძლებულ ქართველთა შორის და რედაქტორადაც დაასახელა არა ვანო, როგორც იმედი ჰქონდა თვითონ, არამედ ნ. ქანანოვი, რომელმაც უკვე დაბეჭდა შესაფერი განცხადება და ახალი რედაქციის შედგენასაც შეუდგა. ვანომ ეს იწყინა, მისი თავმოყვარეობა მწერლისა და „ივერიის“ მეორე რედაქტორისა თითქო შეილახა. ვანომ მიიტოვა „ივერია“, პირადად იშოვნა ფული და დაიმტკიცა რედაქტორობა გაზეთისა“⁶.

საარქივო დოკუმენტებთან ერთად გრ. ყიფშიძის ცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს ვაზ. „დროების“ ხელმოუწერილი „მოწინავეების“ ატრიბუციის საკითხისათვის. როგორც ვხედავთ, ილია წყვეტდა მომავალი რედაქტორის საკითხს. იგი ზრუნავდა გაზეთის საფინანსო საკითხებზე და თვით რედაქტორზეც, რაც იმაზე მიგვიჩვენებს, რომ „დროებაში“ 1882 წელსაც სხვა — მასზე მეტი რედაქტორული უფლებების მქონე პირი, ცხადია, ვარდა სერგეი მესხისა, გამორიცხულია; წინააღმდეგ შემთხვევაში რედაქტორზე ზრუნვა მორალურად სხვისი მოვალეობა იქნებოდა. ს. მესხის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში („გადაუწერილი სტატიები“) ბოლოს შემდგენელს დაუსვამს თარიღი „1883“ და ისევ გადაუხაზავს, ეს დარჩა იმაზე მინიშნებად, რომ ს. მესხს 1883 წელს აღარაფერი დაუწერია, რაზეც მიგვანიშნებს გრ. ყიფშიძის ცნობაც, სადაც აღნიშნულია: „1883 წელს ავად გახდა ს. მესხი“. უპატრონოდ დარჩენილი გაზეთის პატრონი ამჯერადაც ილია იყო და „მოწინავეებსაც“ იგი წერდა⁷: ამას გვიჩვენებს „მოწინავეების“ ტექსტოლოგიურ ანალიზთან ერთად გაზეთის საერთო სახე: გარკვეულ დრომდის, კერძოდ, სერგეი მესხისათვის გაზეთის რედაქციაში მოწყობილი გაცილების ახლო ხანებამდის, საკვირაო მიმოხილვებს წერდნენ ი. ჭავჭავაძესთან ახლოს მდგომი პუბლიცისტები: ალ. ნანეიშვილი და სტ. ჭრელაშვილი, ხოლო შემდეგ კი დაიწყო დავით სოსლანის (კეზელის) ვითომდა შენობებული პასკვილები ილიას წინააღმდეგ, რაც მალე მკითხველთა საზოგადოების პროტესტის გამო გაზეთიდან დ. კეზელის წასვლით დამთავრდა. ყოველივე აღნიშნული გვიჩვენებს, რომ 1880—1882 და ნაწილობრივ 1883 წლების ის ხელმოუწერილი „მოწინავეები“, რომლებიც ი. გოგებაშვილმა არ შეიტანა ს. მესხის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში, დოკუმ-

⁵ ი. ჭავჭავაძე რომ „დროების“ რედაქტორი 1881 წელსაც იყო, ვარდა საარქივო ცნობისა, გვიჩვენებს ვაზ. „ფალანგაში“ გამოქვეყნებული განცხადებაც, სადაც ორივე რედაქტორია დასახელებული. იხ. თ. ნაკაშიძე, ნ. კორძაია, ილია ჭავჭავაძე, ბიბლიოგრაფია, თბ., 1966, გვ. 50.

⁶ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1914, გვ. 49.

⁷ საარქივო ცნობების მიხედვით, ს. მესხმა 1883 წლის 22 აპრილს „დროების“ რედაქტორობა გადასცა ნიკოლოზ ქანანოვს, ხოლო 23 მაისს კი ორივემ განცხადება შეიტანა რედაქტორის უფლებების ივანე მაჩაბელისათვის გადაცემის თაობაზე (იხ. საქართველოს ცია, ფონდი 480, აღწ. I, საქ. 552, გვ. 13, 17).

მენტური ჩვენების მიხედვით ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, ამასვე ადასტურებს ტექსტოლოგიური ანალიზიც.

როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს წინა შრომაში, რადგან „დროების“ ხელმოწერელი ნაწერებიდან ი. ჭავჭავაძის ხვედრი თხზულებანი იმდროინდელი მოღვაწისაგან აღრიცხული არა გვაქვს, თავისთავად გასაგებ გარემოებაშიც საკითხი თანამედროვე მკვლევრისაგან დამატებით მტკიცებას მოითხოვს. ჩვენი აზრით, ტექსტოლოგიური ანალიზი იმ „მოწინავეებისა“, რომლებიც ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებზე მიგვიანია, ზემოთ წარმოდგენილ ზოგად დასკვნას ადასტურებს. ცნობილია, რომ ყოველად შეუძლებელია ავტორი ყველა ნაწარმოებში ჩანდეს ხელშეხებად. ზოგში მეტად გამოჩნდება იგი, ზოგში კი ნაკლებად. ქვემოთ ანალიზი გარკვეული თემებისა და მოტივების მიხედვით დაჯგუფებული წერილებისათვის ერთად გვაქვს მოცემული. სპეციალური განხილვის საგანია ის ნაწარმოებები, რომლებიც უფრო მეტყველია ატრიბუციის თვალსაზრისით, ხოლო ზოგადი და აქ მიღებული დასკვნები ვრცელდება სხვა მონიშნულ პუბლიცისტურ წერილებზე, დამატებით სათანადო ნიშნებზე მითითებით.

1. ცნობილია, 1881 წელს ილია ჭავჭავაძემ გაზ. „დროებაში“ გამოაქვეყნა თავისი ისტორიული წერილი „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“. მას წინ უძღოდა მთელი ამბავი: 1880 წელს „დროების“ 254-ე ნომერში „ს. მ“-ს ხელმოწერით დაიბეჭდა „ლია წერილი ბ-ნ იანოვსკის“, ხოლო 1880 წლის „კავკაზის“ 348-ე ნომერში კი ამხე „ბ-ნ იანოვსკის პასუხი“. „დროების“ ერთერთი წერილი „მეცამეტე გოჭები“ ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოხმაურებას ეხება. „სენაკის უეზლის უფროსი ბებურიშვილი, სენაკის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე ივ. ბერიძე და დეპუტატი დაბა ახალ-სენაკისა ლუკა ფანია“ „კავკაზის“ 1891 წლის მეორე ნომერში გამოესარჩუნენ იანოვსკის, რომ მას სენაკის სკოლის მასწავლებლისათვის არ უთქვამს ის სიტყვები, რომელიც მოხსენებული იყო „ს. მ“-ს (ს. მესხი) ღია წერილში.

„მეცამეტე გოჭების“ ავტორი დასახელებულ პირებს შენიშნავს, რომ ისინი ნდობას არ იმსახურებენ, რადგან ფაქტს არ დასწრებიან და რეპუტაციაც სათანადო არა აქვთ. იქვე აღნიშნულია: „ამ საგანზედ ჩვენ გვინდოდა გვეთქვა ორიოდ სიტყვა იმ პასუხში, რომელიც ბ-ნ იანოვსკის სტატიის შესახებ დაიბეჭდებოდა. მაგრამ, რადგან ამ პასუხმა სხვადასხვა ჩვენგან დამოუკიდებელის მიზეზებით დაიგვიანა, იძულებული ვართ, ახლავე ცალკე პასუხი მოვახსენოთ შემოსენებულ მოწმეებს“. მართლაც, გაზეთის 33-ე ნომერში ილია ჭავჭავაძის ხელმოწერით დაიბეჭდა „ბ-ნ იანოვსკის პასუხის გამო“. ამ წერილების შუალედში იანოვსკის შესახებ სხვა წერილი არ დაბეჭდილა. როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს „მეცამეტე გოჭების“ ავტორის ვინაობაზე პირდაპირ მითითებასთან, იგი ილია ჭავჭავაძეა, რადგან ავტორი ამბობს: „ამ საგანზედ ჩვენ გვინდოდა გვეთქვა ორიოდ სიტყვა იმ პასუხში, რომელიც ბ-ნ იანოვსკის სტატიის შესახებ დაიბეჭდებოდა“. ცხადია, „ორიოდ სიტყვას“ „პასუხში“ ილია იტყობდა და არა სხვა ვინმე. ილიას ავტორობაზე მივანიშნებს წერილის სტილი⁸.

⁸ ამ წერილთა დაინტერესდა მკვლევარი ლ. სანაძე. მან წინამდებარე შრომის ამ ნაწილისა და ილიას უცნობი ნაწერების ბიბლიოგრაფიის ხელნაწერში გაცნობის დროს აღნიშნა, რომ ჩვენი საბუთები და შეხედულება ერთმანეთს ემთხვევა. ვფიქრობთ, ეს საერთო დასკვნა საკითხის სწორად გადაწყვეტაზე მიგვითითებს.

იანოვსკისადმი პასუხთან ერთად „მეცამეტე გოჭებიც“ სკოლაში ქართული ენის უფლებების დაცვისადმი იყო მიძღვნილი. ამ სახის წერილებია „დროების“ ხელმოუწერელი „მოწინავეების“ ერთი ნაწილი, ესენია: „ქართული ენა ჩვენს სასწავლებლებში“ („დროება“, 1880, № 236), «ორიოდე სიტყვა „კავკასს“» („დროება“, 1881, № 2), „ტფილისი, 8 მარტს“ („დროება“, 1881, № 2), „ტფილისი, 9 მარტს“ („დროება“, 1881, № 57), „განათლების მდგომარეობა საქართველოში“ („დროება“, 1881, № 64), „განათლების ახალი მინისტრის დანიშვნა“ („დროება“, 1881, № 65), „სწავლა-განათლების საქმე“ („დროება“, 1881, № 122), „თბილისის გიმნაზიის იუბილეი“ („დროება“, 1881, № 201), „ტფილისი, 23 სექტემბერი“ („დროება“, 1882, № 203) და სხვ. დასახელებული წერილების ავტორი ერთი კონცეფციით ხელმძღვანელობს: დაწყებით სკოლაში ბავშვმა მშობლიურ ენაზე უნდა დაიწყოს სწავლა, რათა გონების განვითარება ბუნებრივი იყოს. მას თავისი შეხედულება, როგორც იანოვსკისადმი პასუხშია, პროგრესული პედაგოგის ანბანად მიაჩნია და იბრძვის იმათ წინააღმდეგ, ვინც უაჩყოფს მეცნიერების მიერ შემუშავებულ საღ აზრს.

დასახელებულ წერილებში მოიპოვება ილიასთვის დამახასიათებელი აზრები და გამოთქმები, რომლებიც ხელშესახებად გვაგარძნობინებენ ავტორის ვინაობას. მაგ., წერილში «ორიოდე სიტყვა „კავკასს“» ავტორი წერდა: „რა უნდა ვუთხრათ, რა უნდა ჩავაგონოთ იმისთანა ხალხს, რომელიც ამ გვარ რამეებს ჰქადაგებს საქვეყნოთ? რა უნდა ველაპარაკოთ იმისთანა ვაზეთს, რომელიც ბრძნულის სახითა და სითამამით გამოდის ლიტერატურის ასპარაზზე და ჰყვირის: არსად არ ნახულა, რომ ყმაწვილებს სამშობლო ენაზედ ასწავლიდნენ“. წერილში „რუსის ცრუ-პატრიოტს“ („დროება“, 1882, № 86) ხელმოუწერელი „მოწინავეის“ ავტორი ილიას შემართებით იცავს ისევ და ისევ სკოლაში ქართულ ენაზე სწავლების ეროვნულ უფლებას: „ამგვარ პირებს, — წერს იგი, — და ამ მიმართულების ვაზეთს (ვაზ. „გოლოსს“ და მის თბილისელ კორესპონდენტს. — ლ. ჭ.) ათასი ელაპარაკო, ათასი მეცნიერული საბუთით წარმოუდგინო და ლოდიკური სჯა, — სულ ერთია: ამით ვერაფერში ვერ დაარწმუნებ, რადგან თავიანთი ვითომ პატრიოტული აზრი გულწრფელ რწმენაზე და ნამდვილ საქმის შეხედულებაზედ არა აქვთ დარწმუნებული. ათასი უთხრათ ამათ, რომ არ შეიძლება ადვილად გადარჯულება, გადასხვაფერება იმ ხალხისა, რომელსაც ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავის ისტორიულის ცხოვრებით, რომელსაც თავისი საკუთარი წარსული აქვს, თავის ენა, ლიტერატურა, ხასიათი, ჩვეულება, ზნე და სხვ., — არ გაიგონებენ, არას შეისმენენ; ათასი უთხრათ და, როგორც ორჯელ ორი ოთხია, დაუმტკიცოთ პედაგოგიურად და პსიხიურად, რომ უმჯობესია ყმაწვილმა სწავლა თავის სამშობლო ენაზედ მიიღოს, ვინემ უცხო ენაზე..., არ დაგიჯერებენ, არას შეისმენენ, და არ დაგიჯერებენ განა იმიტომ, რომ თქვენს წინააღმდეგს აზრში მტკიცედ დარწმუნებულნი იყვნენ, — სულაც არა, იმიტომ რომ, იმათის აზრით, ამას მოითხოვს პატრიოტობა, მამულისმოყვარეობა და სახელმწიფო ანგარაში“.

მოყვანილი ამონაწერები, ჩვენი აზრით, გვაგარძნობინებენ, რომ ენის უფლებების დაცვისადმი მიძღვნილი „დროების“ ხელმოუწერელი მოწინავეები, რომლებიც ჩვენ შევიტანეთ ილიას ბიბლიოგრაფიაში, მწერლის კალამს ეკუთვნის. მისია სტილი, პათოსი, გამეორების ორატორული ხერხები და

თვით ფრაზებიც კი: „არ შეიძლება ადვილად გადარჭულება, გადასხვაფერება იმ ხალხისა, რომელსაც ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავის ისტორიულს ცხოვრებით“ და „ჩვენ ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა“ (ტ. 4, გვ. 17), „ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულს ცხოვრებით“ (ტ. 4, გვ. 202). ეს დამახასიათებელი ფრაზები მრავალჯერ აქვს გამეორებული ილიას თავის ცნობილ მემკვიდრეობაში და ისინი ჩვეულებრივ გვხვდება უცნობ წერილებშიც.

II. ილია ჭავჭავაძე თავის საბანკო პრინციპებისათვის ბრძოლას აწარმოებდა არა მარტო თბილისის საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკში, არამედ იგი ყურადღებას ადევნებდა ქუთაისის ბანკის საქმესაც და საჭირო შემთხვევაში ეხმარებოდა კიდევ იქაურ ვითარებას. მწერალს მიაჩნდა, რომ ორივე ბანკის სათანადო მოქმედებაზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ქართველების ცხოვრების უკეთესად მოწყობა. ცნობილია, ილიამ გვიან „ქუთაისის ბანკის საქმე“ ჯერ „ივერიაში“ გამოაქვეყნა ხელმოწერილი მოწინავეების სახით, ხოლო შემდეგ კი ხელმოწერით დასტამბა ცალკე წიგნად⁹. „დროების“ უცნობი წერილებიდანაც რამდენიმე მიძღვნილია ქუთაისის ბანკისადმი.

როგორც „დროების“ 1880 წლის 35-ე ნომრის მოწინავეშია აღნიშნული, იმ დროისათვის „ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკსა ნება დართო მთავრობამ იმოქმედოს ტფილისის გუბერნიაშიც“. წერილის ავტორი ამ ფაქტთან დაკავშირებით არკვევს საკითხს, როგორი ურთიერთობა დამყარდება ამ ორ ბანკს შორის. მისი აზრით, ფაქტი თავისთავად მისასაღებელია, რადგან ქუთაისის ბანკს მეტი მოქმედების საშუალება მიეცემა, მაგრამ, თუ ბანკები სხვადასხვა პრინციპებით იმოქმედებენ, შესაძლებელია ცუდმა შედეგამაც იჩინოს თავი, ამიტომ „მოწინავეს“ ავტორი წერს: „შეუძლებელია, რომ ამ ორთა შუა ცილება არ მოხდეს და ცილებას ბევრი კარგი ნაყოფი გამოაქვს ხოლმე, როცა ცილება სარჩულად უდევს კეთილსინდისიანობა: როცა ცილება თვითონ საცილობელის საგნის განკარგებაზე, თუ გაიფხებაზე მიქცეული“.

წერილში აღნიშნულია, რომ მამულის დაფასებისა და სესხის გაცემის პრინციპში ქუთაისისა და თბილისის ბანკები განსხვავდებიან. ამ მხრივ პირველს უპირატესობა აქვს დამგირავებლის თვალში, რადგან მეტად აფასებს მამულს და მეტ სესხსაც აძლევს: „აი, ეს არის ის ფართო მოედანი, — წერს მოწინავე წერილის ავტორი, — რომელზედაც ცილებას შეიძლება მრავალი ბოროტი მოჰყვეს. თუ ეს ორი ბანკი ერთმანეთს ამ მოედანზედ გაეჯიბრებიან და შეეჭიდებიან, მოგვერდად ის უნდა იხმარონ, რომ მსესხებელის ხშირად წინდაუხედავს ნატერას დიდი ავალა მისცენ და წააქეზონ, რადგან მარტო ამ ნატერის წაქეზებით შეიძლება მსესხებლის მოპოვება და გადმოზირება“.

მწერალს მიაჩნია, რომ მსესხებლის გადმოზირებისათვის ქუთაისის ბანკს თბილისის ბანკთან შედარებით უპირატესობა აქვს, მაგრამ იგი ისეთია, რომ შეიძლება ამის გამო „ქუთაისის ბანკმა თავისი საკუთარი ნაწილი დაიწყვიტოს“. უპირატესობა ქუთაისის ბანკს მეტ მულტარს აუჩენს. ამის ნიშნები უკვე არის, ამბობს მოწინავეს ავტორი, მაგრამ იქვე გაფრთხილებას

⁹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას გამოცემა, თბ., 1961, ტ. 10, გვ. 91 (წერილი აღ. ნაწიშვილისადმი).

და რჩევას იძლევა: „უჩინეთ ტფილისის ბანკს, — წერს იგი, — არ აპყვეს ქუთაისის ბანკს და კილილში იმისთანა აკისრული არ იხმაროს, რომ თვითონ ქვეშ მოჰყვეს: ქუთაისის საზოგადო კრებასაც ვურჩევთ, რომ პირველ შემთხვევაშივე ის მუხლი ინსტრუქციისა, რომლის ძალითაც ასე წინდღუხედავად შეუძლიანთ დააფასონ ქალაქის მამულები, შესცვალოს იმ რიგად, როგორც ტფილისის ბანკის ინსტრუქციაშია... მაგრიგად დაფასება შეუძლებელია, ბოროტმოქმედებას ფართო გზას უხსნის და არც ერთს სიკეთეს კი არ უქადის. ბანკის საქმეში წუთიერი გამარჯვება კი არ არის სანატრელი, ხანგრძლივად და მკიდრად ფეხზე დგომაა. ესეც კია, რომ არც ერთი გონიერი მოჭიდავე იმისთანა ხერხს არ იხმარებს, რომ თითონ ქვეშ მოჰყვეს“¹⁰.

ვინ არის ავტორი ამ წერილებისა? დოკუმენტური საბუთი ილიაზე მიგვი-
 თითებს, რადგან ისინი ' შეტანილი არ არის ს. მესხის ნაწერების ბიბლიოგრა-
 ფიაში. მაშასადამე, მეორე რედაქტორის ნაწარმოებებია. მოყვანილი ადგი-
 ლების მიხედვითაც იგონება, რომ ეს უცნობი მოწინავე წერილები სტილის,
 თემის, ' შეხედულებების მიხედვით ილია ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის. „ცი-
 ლება“, „ცილებას სარჩულად უდევს“, „ცილება თვითონ საცილობელის
 საგნის განკარგებაზე, თუ გაიფეხება მიქცეული“, „კრედიტის განკარგება“,
 „დიდი ავლა მისცენ“, „ეგ ღონისძიება იმაშია“, „თუ ამ აზრით ბანკმა აბრუ
 არ გაიტეხა“ — ილია ჭავჭავაძის სტილის სპეციფიკური გამოთქმებია. წერი-
 ლის ' შეხედულება მამულების დაფასების საკითხზე და ისიც, რომ ავტორი
 თბილისის ბანკის პრინციპებს იცავს, ჩვენი აზრით, ილიას ავტორობას უეჭ-
 ველს ხდის. ცნობილია, რომ თბილისის ბანკში ოპოზიციასთან ბრძოლა სწო-
 რედ ამ პრინციპის დაცვის ნიშნით მიმდინარეობდა. ვინ უნდა შეწუხებული-
 ყო პირველ რიგში ' ცილების“ გამო მოსალოდნელი სავალალო შედეგებზე?
 ცხადია, უპირველეს ყოვლისა თბილისის ბანკის თავმჯდომარე. ეს ყოველივე
 მიგვიითითებს, რომ უცნობი წერილებიდან ქუთაისის ბანკის საკითხებზე დაწე-
 რილი ხელმოუწერელი „მოწინავეები“ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებია.

III. „ღროების“ ხელმოუწერელი „მოწინავეების“ ერთი ნაწილი მიძღ-
 ნილია წმინდა ლიტერატურული საკითხებისადმი, ესენია: „ვეფხისტყაოსნის“
 რედაქცია“ („ღროება“, 1880, № 242), „ცნობა რუსთაველზე“ (1881, № 3),
 „ქართველთა ქონება ათონის მთაზე“ (1882, № 37), „ღრონი იცვალენ“ (1883,
 № 21), „ჩვენი ყურნალ-გაზეთების საქმე“ (1883, № 32).

პირველ წერილში ავტორს დიდ საქმედ მიაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ გა-
 მოცემა და მკითხველს საქმის ვითარებას აცნობს. იგი ამ ფაქტს იყენებს
 მკითხველში ეროვნული შეგნების გასაღვივებლად. ავტორი წერს: „რუსთა-
 ველი ჩვენი სასიქადულო მწერალია. საკვებრად მიგვაჩნია ამისთანა დიდებუ-
 ლი პოეტის ყოლა. იმის „ვეფხისტყაოსნით“ ჩვენ, ქართველებს, თავი
 მოგვაქვს. ძველადგანვე ორი ძვირფასი, წმინდა, ჭირში და ლხინ-
 ში მანუგეშებელი წიგნი ჰქონიათ ჩვენ წინაპრებს. ეს ორი წიგნი იყო სახარება და „ვეფხისტყაოსანი“. ერთში
 იხატებოდა ჩვენი რჯული, სარწმუნოება, მეორეში — ჩვენი
 ერობა, ქართველობა. ამ ორი წიგნით აღზრდილან ჩვენი წინაპრები.
 ამ ორის წიგნით დაზნეებულან, როდესაც გარეშე ანუ შინაგან განსაცდელ-
 ამი მიაღებოდით...“

¹⁰ „ღროება“, № 35, 38, 1880 წ. (დაყოფა ყველგან ჩვენია).

როდესაც რომელიმე ხალხი იმისთანა მდგომარეობაში ჩავარდება, როგორშიაც ჩვენ ვიმყოფებით ამ ეჟაბდ, როდესაც ერს ვინაობა ავიწყდება, როცა ის ყველაფერს, რაც მშობლიურია, რაც გვართომობის დამამყარებელია, გულგრილად შესცქერის, — ამისთანა დროს ძველ მწერლობის გახსენებას, ძველ მამაბაბეულ ნანგრევთა, ნაშთთა აღდგენას, განახლებას, მოგონებას დიდი, განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის. ყველა ეს ამხნევებს, თავის თვალში ამალღებს, აკეთილშობილებს, ახალ იდეალებს აღმოუჩენს და ენერჯიას უმატებს ამ გვარერსა.

ჩვენი აზრით, სწორეთ ამ გვარი მნიშვნელობა აქვს „ვეფხისტყაოსნის“ კარგათ გამოცემას, აღდგენას და დამწერის გაცნობას*.

ი. ჭავჭავაძე იმავეს აღნიშნავდა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ სხვაგან: „ჩვენ, ქართველებს, სამართლიანად მოგვაქვს თავი მით, — წერდა იგი, — რომ ეგ დიდებული პოემა, შექმნილი ჩვენი ერის დიდებულობის დროსა, ჩვენი კაცისაგან და ჩვენს ენაზედ დაწერილია. ყველამ იცის, რომ ამით ჩვენ თავს ვფიქრობთ, ვსახელობთ, ვკადულობთ“ (დაყოფა ჩვენია. — ლ. ჭ.). რუსთაველის, როგორც დიდებული კაცის, შესახებ გამოთქმული აზრი ეხმიანება მწერლის მიერ იმავე საკითხზე შემდეგში ცნობილ ნაწარმოებებში განვითარებულ მსჯელობას: „ბევრჯელ გვიოქვამს და ეხლაც გავიმეორებთ, — წერს ილია, — რომ ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებული და დიდბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხოვრა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი. ვერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის სულის წირვა, ამბავი, კეთდება, მხნედება, ჰგულოვანდება და თავმოწონებულთა ყველგან, ჭირია თუ ლხინია... დიდბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნეებენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის საკუთარის ისტორიისანი არიან“¹¹.

ჩვენი აზრით, ხელმოწერილი „მოწინავე“ და მოყვანილი ამონაწერები რომ ერთ ავტორს ეკუთვნის, თვალსაჩინოა, ამას გვიჩვენებს: პათოსი, სპეციფიკური გამოთქმები („სჯული, სარწმუნოება“, „ერობა, ქართველობა“, „როდესაც რომელიმე ხალხი იმისთანა მდგომარეობაში ჩავარდება, როგორშიაც ჩვენ ვიმყოფებით“, „რაც გვართომობის დამამყარებელია“ და სხვ.), ორატორული გამეორებანი და წინადადებათა ინტონაცია; ყოველივე ეს ორგანული ნაწილია მწერლის მემკვიდრეობისა. აქ მოცემული მსჯელობა სხვადასხვა ვარიაციით ბევრგან მეორდება ილიას ნაწარმოებებში.

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძე დანტერესებული იყო ათონის მთაზე მოღვაწე ქართველი ბერების მდგომარეობით. მან ამ საკითხს გაზ. „ივერიაში“ უძღვნა სპეციალური წერილი „ათონის ქართული საეპისკოპოსოს შესახებ“ (1886 წ.)¹². ეს ფაქტი თავისთავად საგულისხმოა და მიგვიბრუნებს იმაზე, რომ სავსებით შესაძლებელი იყო ილიას „დროებაშიც“ დაეწერა „მოწინავე“ ამავე საკითხზე.

¹¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 4, თბ., 1959, გვ. 203.

¹² ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 8, თბ., 1965, გვ. 305.

ამდენად, ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ „დროების“ ხელმოუწერელი „მოწინავე“ „ქართველთა ქონება ათონის მთაზე“ („დროება“, 1882, № 37), რომელიც ი. გოგებაშვილმა არ შეიტანა ს. მესხის ბიბლიოგრაფიაში, მეორე რედაქტორის — ი. ქავჭავაძის ნაწარმოებია. ამაზე მივფიქრობთ სტილი და საკითხის ორივე წერილში ერთნაირი გადაწყვეტა და ნაწარმოების ეროვნული პათოსი: „სულის საქმეს გარდა, — წერს ხელმოუწერელი „მოწინავეს“ ავტორი, — ეს ორი გარემოება (რომ ათონის ქონება ქართველების კანონიერი საკუთრებაა და იქ დიდი ბიბლიოთეკაა დაცული. — ლ. ქ.) უნდა გვაძულვდეს, უნდა ხელს გვანძრევინებდეს ჩვენ, ახლანდელ ქართველებსა და გვაფიქრებინებდეს ამ ჩვენ ძვირფას საუბრის უკან დაბრუნებაზე. ვიმეორებთ, იე არ უსაღიშეთ ისა და ათონის მთისაკენ მართოს სულის საქმე იე არ მიგვიზიდავს. არამედ საერო საქმეც“. სხვა ყველაფერთან ერთად (თემა, იდეური შინაარსი, პათოსი), აზრის გაძლიერებისათვის გამეორების ხერხი („უნდა გვაძულვდეს, უნდა ხელს გვანძრევინებდეს“) და საკითხის ეროვნულ ასპექტში განხილვა, ჩვენი აზრით, ილიას ხელწერაა.

განსჯული წერილების მსგავსია სხვა ნაწარმოებებიც. მტკიცება რად უნდა იმას, რომ ილია რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობით დანტერესდებოდა, მით უმეტეს მაშინ, როცა მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია და მწერლის შესახებ არსებული ყოველი ცნობის გამოვლენა ცხოველი ინტერესის საგანი წარმოადგენდა. იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ ავტორი წერს: „ეს ფრიალ საინტერესო ცნობა რუსთაველზედ მიღებულია თ. გიორგი ჭორჭაძის მეუღლის ეკატერინესაგან, თ. ათანასე მაცაშვილისასულისაგან“. ჭორჭაძეებთან მეზობლობას რომ თავი დავანებოთ, ილიას მაცაშვილებთან ნათესაობაც აკავშირებდა. მისი მკვიდრი ბიძაშვილი პელაგია მაცაშვილების რძალი იყო¹³. საფიქრებელია, რომ ასეთ შემთხვევაში ეკატერინე ცნობას სწორედ დიდ მწერალსა და ნათესავს — ილიას გაუგზავნიდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს წერილებიც, რომლებიც წმინდა ლიტერატურულ საკითხებს ეხებიან, ილიას მემკვიდრეობის ორგანული ნაწილია როგორც თემატიკით, ისე სტილითა და სხვა კომპონენტებით.

IV. „დროების“ ხელმოუწერელ წერილებს შორის ყურადღებას იქცევს თეატრის შესახებ დაწერილი „მოწინავეები“ და „ფელეტონები“. 1880 წელს გაზეთის 44-ე ნომრის მოწინავედ დაბეჭდილია «ერთი შენიშვნა „თფ. მოამბეს“». როგორც ავტორი აღნიშნავს, „თფ. მოამბემ“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ დ. ყოფიანი გვიდა თეატრის ამხანაგობიდან და შოში გამოთქვა: „დროება“ ობიექტურად ვერ გააშუქებს ამ ფაქტს, რადგან მისი ერთი თანამშრომელთაგანი კომიტეტის წევრად ირიცხებაო. ამიტომ „თფ. მოამბეს“ საჭიროდ მიანდა, საქმეში ჩარეულიყვნენ საქართველოს რუსული გაზეთები.

„დროების“ მოწინავე წერილის ავტორმა „თფლისის მოამბის“ საპასუხოდ შენიშნა: იმავე ლოგიკით ჩვენც შეგვეძლო გვეპასუხა. „სამწუხაროა, რომ „თფ. მოამბის“ ერთი თანამშრომელთაგანი ერთობ დაახლოებით გარეულია ამ საქმეში, რომ პატივცემულ დ. ი. ყოფიანისაგან კომიტეტის წევრად წარდგენილი პირი თ. მ. ბებუთოვი იყო რეჟისორად და ფეხზე დამყენებლად „მოამბის“ რედაქციის ერთი წევრისა, რომ კომიტეტმა უარპყო აგრეთვე

¹³ სანდრო მაცაშვილის დედა ილიას მკვიდრი ბიძაშვილი პელაგია ყოფილა. იხ. ბარბარე მაცაშვილის მოგონება: „ლიტერატურის მატანიე“, 1—2, თბ., 1940, გვ. 151.

მეორე წინადადება ბატ. დ. ი. ყიფიანისა იმის შესახებ, რომ „თფ. მოამბის“ რედაქციის ერთს წევრთაგანს კომიტეტისაგან მისცემოდა პიესის დაწერისათვის პრემია (100 მან.). ეს გარემოება დაუშლის „თფ. მოამბეს“ რედაქციას სრულის მიუღდგომლობით შეეხოს ამ სამწუხარო მოვლენას“.

გაზ. „დროების“ იმავე ნომერში გამოქვეყნებულია თეატრის კომიტეტის განცხადება დ. ყიფიანის ამხანაგობიდან გასვლის შესახებ და სხვა ექვს წევრთან ერთად პირველი ხელს აწერს ი. ჭავჭავაძე.

„დროების“ 46-ე ნომრის მოწინავეც იმავე საკითხს ეხება, წარმოადგენს „თფ. მოამბისადმი“ ვაცემულ პასუხს და კვლავ პოლემიკური ტონით ნათქვამია: „ჩვენ ისევ ძველს ჩვენს საბაასო საგანს დაეუბრუნდებით და დამშვიდებით ვკითხვით „თფ. მოამბეს“: თუ „დროება“ თეატრალურ კომიტეტზე, იმის აზრით, ვერას დასწერს მიუღდგომლად, რადგან ერთი იმის რედაქტორი თუ თანამშრომელი ამ კომიტეტის წევრია, რატომ ამავე საბუთით არ შეგვეძლო გვეთქვა, რომ თუ ასეა, მაშვერც „თფ. მოამბე“ დასწერს ამ საგანზე ვერაფერს მიუღდგომლად, რადგან თეატრალურ კომიტეტმა ჩაბახა და დაიწუნა ხსენებულის გაზეთის ერთ თანამშრომელთაგანის კომედია, რადგან ამ კომედიის დაწუნება ავტორმა თავის პირად შეურაცყოფად მიიღო კომიტეტის მხრით და უეჭველია, აქ თავმოყვარეობა იმუშავებდეს“ (დაყოფა ჩვენია.— ლ. ჭ.).

როგორც ვხედავთ, „თფ. მოამბე“ თავის განცხადებით უპირატესად შეეხო ილიას, რადგან თეატრალური კომიტეტის წევრი და „დროების“ „რედაქტორი თუ თანამშრომელი“ იგი იყო. ამდენად, ცხადია, პასუხიც ილიას უნდა გაეცა. რასაკვირველია, იგივე შეიძლებოდა გაეკეთებინა სხვა თანამშრომელსაც, მაგრამ, მიღებული წესის მიხედვით, ეს თანამშრომელი უნდა ყოფილიყო ს. მესხი, რადგან ხელმოუწერლად „მოწინავეს“ იგი წერდა, სხვები კი ხელს აწერდნენ და გაზეთის სხვა ადგილზე ბეჭდადნენ თავის წერილებს.

ჩვენ მიერ დასახელებული „მოწინავე“ წერილები ი. გოგებაშვილის მიერ შეტანილი არ არის ს. მესხის „გადაუწერელი სტატიების“ სიაში. მაშასადამე, ისინი ეკუთვნის მეორე რედაქტორს — ი. ჭავჭავაძეს, ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ იქვე გამოქვეყნებულია იმავე საკითხზე თეატრის კომიტეტის განცხადება, რომელსაც პირველი ი. ჭავჭავაძე აწერს ხელს. მეტიც, ამ წერილების ატრიბუციისათვის არსებობს პირდაპირი ცნობაც, რომელიც, პუბლიცისტური წერილების შინაარსიდან გამომდინარე დასკვნას ადასტურებს. როგორც ირკვევა, დროების 46-ე ნომერში დაბეჭდილი პასუხი „თბილისის მოამბეს“ ყოფილა სწორედ ის ისტორიული წერილი, რომელიც ი. ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის დუელის საბაბად იქცა. „29 თებერვალს „დროების“ 46 ნომერში დაიბეჭდა მეტად მწვავე მეთაური „ობზორის“ წინააღმდეგ. კილოზე ცხადად ეტყობოდა, რომ ეს ხელმოუწერელი მეთაური ილიასია, იმავე დღეს ილია დუელში იქნა გაწვეული, დუელი მოჰხდა მეორე დღეს, I მარტს“¹⁴, — წერს გრ. ყიფშიძე. ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

თეატრის წარმოდგენების შესახებ რეცენზიებს წერდნენ: ა. წერეთელი, მ. (ი. მაჩაბელი), ლელო (ი. მეუწარგია), „ქართული თეატრის მოყვარე“, „ქართული სცენის მოყვარე“ და ხელმოუწერელი „თეატრის მატინანს“ ავტორი, რომლის წერილები უფრო ხშირად „ფელეტონის“ ადგილზე იბეჭდებოდა.

¹⁴ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, მ. გედევანიშვილის გამოცემა, თბ., 1914, გვ. XLI. (როგორც ცნობილია, დუელი შერიგებით დამთავრდა).



ატრიბუციის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს წერილებს, ^{გაქვეყნებული} ^{ქვეყნის} ქვესათაურები, რომლებიც ყველა ავტორს განსხვავებული აქვს, მაგ., „მ“ — „ქართული წარმოდგენა“, აკაკი — „ქართული თეატრი“ ან მარტივად „თეატრი“, ლელო — „თეატრალური ქრონიკა“. გაზეთში დაცული ეს გარემოება, ჩვენი აზრით, მიგვიბრუნებს იმაზე, რომ „თეატრის მატრიანის“ სათაურით დაწერილი რეცენზიები ერთ ავტორს ეკუთვნის. იმავეს ამტკიცებს წერილების შინაარსი: „მატიანის“ ავტორი გვიან დაწერილ წერილებში აღნიშნავს მაგ.: „წარმოდგენა არის რთული საქმე, და მასუბრებელსაც, როგორც ერთხელაც მოგახსენეთ (დაყოფა ჩვენი. — ლ. ქ.), გამოაქვს თეატრიდამ რთული შთაბეჭდილება და არა ნაწყვეტ-ნაწყვეტი“ („დროება“, 1880, № 20). მართლაც, ავტორი ამ აზრს უფრო ვრცლად და შესამჩნევი სიღრმით გამოთქვამს იმავე წლის „დროების“ მე-8 და მე-9 ნომრებში.

„თეატრის მატრიანეში“ ავტორი წერს: „პიესაში, როგორც თვით ცხოვრებაში, რომლის სურათსაც წარმოადგენს ეს პიესა, მოქმედნი პირნი არ არიან გაფანტულნი, უთავ-ბოლოდ დაქსაქსულნი, არამედ შეკავშირებულნი არიან და შეადგენენ რთულს მოქმედებას. თითოეულის პირის ქცევა, მიხვრა-მოხვრა, კილო ლაპარაკისა ბევრად დამოკიდებულია იმ ურთიერთობაზედ, რომელიც სუფევს დანარჩენ მოქმედ პირთა შორის. ამიტომ მარტო საკუთარის როლის, ე. ი. წარმოსადგენ პირის, ხასიათისა და მოქმედების გაცნობა და დაკვირვება საკმარისი არ არის ავტორისათვის. მან უნდა გაიცნოს სხვა მოქმედ პირთა როლებიც, უნდა დააკვირდეს და შეისწავლოს მთელი პიესა. ამას მოითხოვს ავტორის საკუთარი, პიროვანი სარგებლობაც; მასუბრებელი უყურებს და ისმენს არა მარტო რომელსამე თვითეულ მოქმედ პირს, არამედ მთელ პიესას, როგორც რთულ მოქმედებას. რთულია აგრეთვე ის შთაბეჭდილებაც, რომელიც გამოაქვს მასუბრებელს თეატრიდამ, იქნება ამა და ამ აქტიორმა უკეთესად ითამაშა, ვიდრე მეორემ, მაგრამ რა გამოვიდა: თუ მისი თამაშობა განმარტოებულია, თეატრის მნიშვნელობა თითქმის ნახევარზედ დაკარგულია“ („დროება“, № 120). ასეთივე მითითებაა, მაგ., 93-ე ნომერში დაბეჭდილ „თეატრის მატრიანეში“. ავტორი წერს: „უწინაც მითქვამს და ეხლაც მოგახსენებთ, რომ ყოველი საქმის წარმატება დამყარებული უნდა იყოს თვითონ ამ საქმის არსებით პირობათა მომართვაზედ და არა სხვა რომელსამე გარეშე გარემოებაზედ. ქველმოქმედება ვერაფერი თამაშს უქია საქმის წარმატებისა“. „უწინ“ — „დროების“ მე-8 და მე-9 ნომრებში დაბეჭდილ „თეატრის მატრიანეში“, მართლაც, ვრცლად არის მსჯელობა, რომ „მოყვარულის“ სცენაზე მოღვაწეობა ქველმოქმედებაა და იგი მულმივი თეატრისათვის უკვე საკმარისი აღარ არის. ეს ყოველივე ექვიპოტანლად მიგვიბრუნებს, რომ „თეატრის მატრიანე“ — ყველა ერთ ავტორს ეკუთვნის.

ჩვენი აზრით, „თეატრის მატრიანეები“ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებია:

- ა) „დროებაში“ ასეთი რუბრიკით თეატრის შესახებ დაწერილი წერილები ილიას რედაქტორის დროს გამოჩნდა მხოლოდ; ბ) ისინი ხელმოუწერლად იბეჭდებოდნენ და არ არიან შეტანილნი ს. მესხის თხზულებათა ბიბლიოგრაფიაში, რადგან ეკუთვნოდა მეორე რედაქტორს; გ) წერილების სათაურებში „მატიანე“ ი. ჭავჭავაძის თხზულებებისათვის იყო დამახასიათებელი. როგორც ცნობილია, ვაზ. „ივერიაში“ სისტემატურად იბეჭდებოდა „საქართველოს მატრიანე“ და ისინი ჯერ კიდევ 80-იან წლებში ამოწერეს გამომცემლებმა, რო-

მღებცი მუშაობდნენ მწერალთან ხელშეკრულებით¹⁵; დ) „დროების“ პარალელურად ჟურნ. „ივერიაში“ ი. ჭავჭავაძე „შინაურ მიმოხილვებში“ ხშირად უწოდებდა თავის თავს „უბრალო მემატინანეს“ და აქაც შენიშნავს: „მე, როგორც თეატრის მემატინანე“. „თეატრის მატინანეები“ ხასიათდებიან მსჯელობის სიღრმით და მათში ხშირად არის გამოყენებული ილიას სტილისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური გამოთქმა „წინ წამდგარი“ — დაწინაურების თუ განვითარების ნაცვლად და სხვ.

ერთ-ერთ „ქართული თეატრის მატინანეს“ (1880 წ, № 104) მოწერილი აქვს ფსევდონიმი „ქართულის თეატრის მოყვარე“. ეს ნაწარმოები თვით სათურით კავშირს ამყდენებს სხვა „თეატრის მატინანებთან“, ხოლო ტექსტი კი თავის სტილით თვალსაჩინოდ გვაგრძნობინებს, რომ ილიას ნაწარმოებთან გვაქვს საქმე. წერილში გამოყენებულია ი. ჭავჭავაძის სტილისათვის დამახასიათებელი გრამატიკული წყობის წინადადებები და სპეციფიკური გამოთქმები: „ჩვენის საზოგადოების საყვარელი აქტრისა“, „საზოგადოებამ მებენეფისე მიიღო დიდის ტაშითა“, „რომელსაც ამ ერთის წლის განმავლობაში არაერთხელ მოვეყვანივართ აღტაცებაში თავისის ღაზათიანის თამაშობითა“, „თვითონ დრამა მაგდენივერფერია და თუ ამ დრამაში ყურადღების ღირსი რამ არის — ეგ პირველი მოქმედებაა“, „ეგ მოქმედება საესეა ყველა ჩვენის ოჯახის საერთო ავტორიანიობითა“, „მე რომ ავტორი ვყოფილიყავ, მარტო მაგ ერთს მოქმედებას დავკერდებოდი და დანარჩენს სამს მოქმედებას ჩაილულის წყალს დავალევიებდი“. „დენერლის სახლიდამ“, „გულიდამ მართლის გრძნობით ამოკენესილი სიტყვა“, „მიწილი-მოწილის იმიტომ ვამბობ, რომ დრამაში მასალა იმისთანა, რომ ეგ მასალა კაცმა კარგად მიუყენოს ერთიერთ მანეთს“, „ახლა იკითხეთ, რამოდენა ნიჭით არის აღესილი ეგ მართლა — და ჩინებული მოთამაშე“, „გაბუნიას ქალმა ამ უკანასკნელ ხანებში უფრო და უფრო იჩინა თავი და წარმატებაში შევიდა“, „ჩვენის ახლად ფეხადგმული ავტორებისათვის მაგისტრანა აქტრისა სწორედ განძია“, „ვინც ამ უკანასკნელს დროს მაროლი შინა გაბუნიას ქალი, ის ვერ იტყვის, რომ ეგ როლი ვერ გამოიყენა და ფეხზე დვერ დააყენაო“, „ბევრი ამბობდა, საფაროვის ქალი, — ეგ მართლა და ჩინებული აქტრისა, ვოდვილებში არ ივარგებსო“, „ეგ ცხადად ეტყობოდა თამაშობაში“, „მაყურებელს გული შეჰსძრა ნამდვილის ტკივილითა“ და სხვ.

აქ მოყვანილი წინადადებები, ჩვენი აზრით, გვიჩვენებენ, რომ „ეს“ და „ამ“ ნაცვალსახელების ნაცვლად „ეგ“ და „მაგ“ ნაცვალსახელები, „დამ“ თანდებული, სპეციფიკური თქმები — „იჩინა“, „წარმატებაში შევიდა“ და სხვა დამახასიათებელი გრამატიკული შეთანხმებები ი. ჭავჭავაძის ავტორობაზე მიგვითითებს. ამ ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილიდან ირკვევა ისიც, რომ მწერალს იმავე ხელმოწერით წერილი ჰერ კიდევ 1879 წელს ქართული მუდმივი დასის ჩამოყალიბებისათვის მზადების დროსაც დაუბეჭდილი: „ორი წელია მას აქეთ, რაც ქართული თეატრი დაარსდა. ამ დაარსების წინეთ, —

¹⁵ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის ფონდი, № 217.



ქართული

წერს „ქართული თეატრის მოყვარე“, — ჩემს ფელეტონში („დროებში“ №148¹⁶ 1879 წ.) სხვათა შორის აი რას ვამბობდი. მართლაც, მითითებულ წერილსაც ხელს აწერს „ქართული თეატრის მოყვარე“. აქ განხილულ წერილთან დაკავშირებით ისიც ირკვევა, რომ „ქართული თეატრის მოყვარე“ და „ქართული სცენის მოყვარე“ ერთი და იგივე პირია. პირველ წერილს გამოეხმაურა ალ. ყაზბეგი, რომლის პასუხსაც „დროების“ 201-ე ნომერში „ქართული თეატრის მოყვარე“ „ქართული სცენის მოყვარე“ მიაწერა. ვფიქრობთ, განხილული სტილური ნიშნების მიხედვით საჩინოა, რომ „თეატრის მატინესათვის“ მიწერილი ეს ფსევდონიმებიც ი. ჭავჭავაძისაა. „ქართულ თეატრსა და „დრამატულ საზოგადოების“ საქმეებს უძღვნა ილიამ არა ერთი და ორი თანაგრძნობით გამობარბი წერილი, — წერს გრ. ყიფშიძე, — ჯერ ისევ 1880 წლამდევე. მერე კიდევ ჰბეჭდავდა ილია ხანდაზმით შესანიშნავ წერილებს სადრამო კრიტიკის შესახებ და აგრეთვე რეცენზიებს და მით აღლიტებდა საზოგადოების ინტერესსა და თანაგრძნობას ქართულის თეატრისადმი“¹⁶. მიგვაჩნია, რომ გრ. ყიფშიძე ილიას მიერ 1880 წლის შემდეგ დაწერილ „რეცენზიებში“ განხილულ „თეატრის მატინეებსაც“ გულისხმობდა.

V. 1881 წელს საქართველოში ახალი მთავარმართებლის ღონდუკოვ-კორსაკოვის დანიშნვასთან დაკავშირებით დაიწყო მითქმა-მოთქმა, რომ კავკასიაში მოხდებოდა რიგი სამოქალაქო ცვლილებანი. ი. ჭავჭავაძემ მიზნად დაისახა, პრესის საშუალებით ჩამოეყალიბებინა ის საკითხები, რომელთა მოგვარებაც, მისი აზრით, საჭირო იყო. მწერალი მათ სპეციალურად შეეხო 1881 წლის დეკემბრის „შინაურ მიმოხილვაში“, რომელიც დაბეჭდა ჟურნ. „ივერიაში“¹⁷. მწერალმა აღნიშნა, რომ საჭიროა სასამართლო რეფორმების გატარება და ერობის შემოღება. „გარდა ამისა, — წერს იგი, — სხვა მრავალი საჭიროება დაღაღებს ჩვენში და იმათაც არანაკლები ყური უნდა ათხოვონ, თუ მართლდა სიკეთე უნდათ ქვეყნისა. ჩვენ იქნება ათავის დროზე დევრცლად ავხსნათ ეს საჭიროებანი, მაგრამ ამჟამად კი მოკლედ ავხსნათ“¹⁸. მართლაც, „შინაურ მიმოხილვაში“ ანუსხულობს საჭიროებანი: „საერო განათლების საქმე უნდა გადაისინჯოს და ძირიანად გადაკეთდეს“, „დიდის ყურადღების მიქცევა უნდა ჩვენს სასულიერო საქმესაცა“, „ეხლანდელი წესი სახელმწიფო ტყიდამ სარგებლობისა სრულებით უნდა გაუქმდეს“, „სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემის საქმეც სულ სხვაფრივ უნდა მოეწყოს“, „ფრიად საჭიროა ეხლანდელი ბაჟი არაყის ხდისა შეიცვალოს“, „დიდი საქმეა გზების კეთებაცა“. ჩამოთვლილი საკითხების შესახებ ილიას მოკლედ მნიშვნელოვანი აზრები აქვს გამოთქმული.

ჟურნ. „ივერიაში“ აღარ არის სხვა „შინაური მიმოხილვა“, რომელშიც განხორციელებული იქნებოდა ი. ჭავჭავაძის დაპირება, რომ აღნიშნულ „საჭიროებებზე“ ვრცლად სხვა დროს ილაპარაკებდა. სამაგიეროდ ვაზ. „დროებში“ დაბეჭდა რამდენიმე ხელმოუწერელი „მოწინავე“ „ჩვენი საჭიროებანი“. ავტორმა „პირველ სტატიაში“ მკითხველს აუწყა, რომ ახალი მთავარმართებელი თვითონ თხოულობს საზოგადოებისაგან შემწეობას საჭირო ცვლი-

¹⁶ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, მ. გედევანიშვილის გამოცემა, თბ., 1914, გვ. XIV (დაყოფა ჩვენია).

¹⁷ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 5, თბ., 1960, გვ. 128.

¹⁸ იქვე, გვ. 136 (დაყოფა ჩვენია).

ლებების მოხდენის საქმეში და ამიტომ ყველამ უნდა იფიქროს საზოგადო საქმეზე. „მეორე სტატიის“ არის მსჯელობა ზოგიერთ საქიროებაზე, რომელიც ბოლოს დასკვნისა და პუნქტების სახით არის ჩამოყალიბებული: „ჩვენი მეურნეობის წარმატებისათვის, — წერს „ჩვენი საქიროების“ ავტორი, — საადგილ-მამულო საქმის კეთილ გზაზე დასაყენებლად და საზოგადოთ მატერიალურ მდგომარეობის განკეთილებისათვის აუცილებლად საქიროა:

ა) გამიჯვნის დაჩქარება საქართველოში,

ბ) გლეხებისაგან მამულების გამოსყიდვის საქმის დაჩქარება და ამგვარ საქმეთა წარმოების გაადვილება და

გ) უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლისა და რამდენიმე პირველ-დაწყებით სამეურნეო სკოლის გამართვა ჩვენის მხრის სხვადასხვა ადგილებში“.

„ჩვენი საქიროებანის“ მესამე წერილში დასაბუთებულია, რომ საქიროა „ქარგი სამართლის“ შემოღება.

18.11.2

როგორც ვხედავთ, „დროების“ წერილებში გავრცობილი და შევსებულია მსჯელობა მოსაგვარებელი საკითხების შესახებ, კერძოდ, ავტორი კვლავ უბრუნდება საერო განათლების გაუმჯობესებასა და სისამართლო რეფორმას, ხოლო ახალს უმატებს ბატონყმური ნაშთების ლიკვიდაციის დაჩქარების საქიროებას. „ჩვენი საქიროებანი“ არა მარტო შინაარსობრივ-ლექსიკურად არის დაკავშირებული „ივერიის“ სათანადო „შინაურ მიმოხილვასთან“, არამედ მთელი თავისი სტილით და პათოსით ხელშესახებდალ გვაგრძნობინებს ავტორის ვინობას; მაგ., „ათასჯერ თქმულა, და ეს უთქმელადაც ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენ ქართველები, იმთავითვე, ისტორიული დროებიდანვე მეურნეობის მიმდევარი, მიწისმომქმედებელი ვართ. მართალია, იყო დრო, როდესაც ჩვენ წინაბართ ერთს ხელში ხმალს ეჭირათ და მეორით გუთანს მოუძლოდნენ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც გარეშე და, საუბედუროდ, ხშირად შინაგანი მტერიც მოსვენებას არ გვაძლევდნენ, თავს გვესხმოდნენ, ომს ავაციტხდნენ. მოვიშორებდით თუ არა თავიდან მტერს, იმ წამსვე ისევ გუთანს დაუბრუნდებოდით, მიწის მუშაობას შეუდგებოდით, რადგან ამ მიწიდან მოველოდით ჩვენ საზრდო-საცხოვრებელს. ვაჭრობასა და ადგილმცემობას ქართველის ერთობ რაინდული ხასიათი როგორღაც ვერ შეეთვისა; ქარხანა-ფაბრიკები ჩვენში ბლომად არასოდეს არ ყოფილა და თუ ყოფილა, ისიც არაქართველებისაგან გამართული.

ამიტომაც ახლა, როდესაც გარეგანი მშვიდობიანობა მაინც არის ჩვენში დამყარებული, როდესაც ადგილ-მცემობისა და ქარხნულ წარმოებისათვის გული არ მიგვიძღვის, როდესაც ჩვენ საცხოვრებელ-საბადებელს დღემიწისაგან მოვფლით, — ამიტომაც, ვიმეორებთ, უმთავრესი ყურადღება ამ უამდადგილ-მამულის საქმეს უნდა აქონდეს მიქციული“ („ჩვენი საქიროებანი“. დაყოფა ჩვენია — ლ. ქ.).

„ჩვენი საქიროებიდან“ აქ მოყვანილი მსჯელობა გუთნისა და ხმლის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ „ჩვენ, ქართველები, იმთავითვე, ისტორიული დროებიდანვე მეურნეობის მიმდევარი, მიწის მომქმედი ხალხი ვართ“ და ამიტომ უმთავრესი ყურადღება მიწათმოქმედების გაუმჯობესებას უნდა მივაქციოთ, ვიმეორებთ, თეორიის სახით წითელ ზოლად გასდევს ილიას მემკვიდრეობას. აქ ატრიალუციის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ანალიზური შეხედულებანი ტექსტობრივი პარალელების სახით ერთდროულ-

ვაქ. სსრ კ. მარქსის
საბ. საბ. რესპუბ.
გენერალთაგან



ლად ვითარდებოდა ჟურნ. „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძის „შინაურ მიმოხილვებში“ და „დროების“ ხელმოწერელ „მოწინავეებში“, რომლებიც ი. გოგებაშვილმა ს. მესხის ბიბლიოგრაფიაში არ შეიტანა და, მამასადამე, ეკუთვნოდნენ მეორე რედაქტორს — ილია ჭავჭავაძეს. აი, ეს ტექსტობრივი პარალელებიც: „ქვეყანაზედ მავათ (ოქროსა და ხმალს. — ლ. ქ.) გარდა არის ერთი კიდევ რაღაც, რომელსაც, თუ არ პირველი, უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს ქვეყნის განაწილებაში... ის ერთი რაღაცა გუთანია... დიახ, ბატონებო. ჩვენის გულითადის ფიქრით, ქვეყანა იმისია, ვისაც ერთს ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანია. მარტო ხმალი, მართალია, თავისითაც ძლიერია, მაგრამ ვერსად ხანგრძლივ ფეხს ვერ მოიკიდებს, თუ ამხანავად გუთანია არ იყოლია... ეს ერთი მუჟა ხალხი რამ შეგვინახა? ხმალმა და გუთანმა. ჩვენ რომ დღეს ბინა გვაქვს, ადგილზედ რომ ფეხმოკიდებულები ვართ... ჩვენ რომ ამდღეს დაუძინებელს მტერს გავუძელით, გავუძელით და გადავრჩით, ჩვენი ერი რომ დედამიწას შერჩა და დედამიწა — ერსა, — ეგ იმიტომ, რომ ერთს ხელში ხმალი გვეჭირა, და მეორეში გუთანია დასაბამიდგანვე დღემდე. ესეც ვიქნებით შემდეგშიც, თუ ეგ ორი უძლეველი ძალღონე ერის სიმკვიდრისა ხელს გვექნება“¹⁹. სხვაგან მწერალი შენიშნავდა, „მიწათმოქმედება დღეს ერთადერთი სახსარია, ერთადერთი წყაროა, ერთადერთი საეკონომიო მოქმედება ცხოვრების გასაძლიერებლად ჩვენში“²⁰. ან „ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზედ ფეხი უდგას და ხელი გუთანს უვლია“²¹. ეს იდეური ერთიანობა, ტექსტობრივი პარალელები თვალსაჩინოდ მიგვიჩვენებენ იმაზე, რომ „დროების“ უცნობი „მოწინავეები“, „ჩვენი საჭიროებანი“ ილია ჭავჭავაძის ნაწერებია. ავტორი რამდენადმე გამკლავდა კიდევ მეოთხე „მოწინავეის“ ხელმოწერაში. „დროების“ 65-ე ნომერში (1882 წ.) დაბეჭდა „ჩვენი საჭიროების“ განმარტავებელი წერილი „ჩვენი მდგომარეობა“, რომელსაც ბოლოში ხელს აწერს „ი. მიწობლიძე“. მან თერთმეტ მუხლად ჩამოაყალიბა „ჩვენს საჭიროებანში“ განხილული საკითხები და ბოლოს შენიშნა: „ჩვენ ამით ვათავებთ გამოკვლევას ჩვენი საზოგადო საჭიროებისა. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ დანარჩენ ჟურნალ-გაზეთებმაც (უნდა) მიაქციონ ყურადღება თავის მხრივ ყველა მუხლს ჩვენი შენიშვნისას, განარკვიონ და შეავსონ იმის ნაკლულე ვანება“. ამ შენიშვიდან ორი რამ ცხადია: 1. „ი. მიწობლიძე“ ავტორია სხვა ნომრებში დაბეჭდილი „ჩვენი საჭიროებანისა“. მან დაამთავრა „გამოკვლევა ჩვენი საზოგადო საჭიროებისა“. 2. „ი. მიწობლიძე“ რედაქციის წევრია და გაზეთის სახელით თხოულობს, რომ სხვა ჟურნალ-გაზეთებმაც განიხილონ „ჩვენი საჭიროებანის“ საკითხები.

„ი. მიწობლიძის“ ხელმოწერით „დროებაში“ სხვა წერილი აღარ დაბეჭდილა. „ი. მიწობლიძის“ გვარის თანამშრომელი გაზეთის არასოდეს არა ჰყოლია. ცხადია, „ი. მიწობლიძე“ ფსევდონიმია. ჩვენი აზრით, „ი.“ ამჟღავნებს ილიას სახელს, ხოლო „მიწობლიძე“ კი თავის შინაარსით საესკებოთ ესადაგება მწერლის მოღვაწეობას, რომელიც მთლიანად მიძღვნილი იყო „ობოლი“ ქვეყნის მოვლა-პატრონობისადმი. „დროების“ განხილული მოწინავეების ავტორი რომ ილია ჭავჭავაძეა, ჩვენი აზრით, თვალსაჩინოა.

VI. ცნობილია, რომ ილია, რომელიც სხვა ქვეყნების მაგალითებზე ღრმად

¹⁹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოთ ტომად, ტ. 5, გვ.121—123.

²⁰ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოთ ტომად, ტ. 7, თბ., 1962, გვ.

ერკვეოდა საზოგადოების ისტორიული განვითარების კანონებში, სუბიექტურად განიხილავდა ქართველი ერის სოციალურ ურთიერთობებს წარსულსა (მეცხრამეტე საუკუნემდე) და მომავალში. მწერალი თავის „ცხოვრება და კანონში“ პირდაპირ წერდა: „ჩვენს ძველს ცხოვრებაში დას-დასად დაყოფა ერობისა არ არსებობდა. არ არსებობდა იმ მხრით, რომ ერთ წოდებას რაიმე წარმომადგენლობა ჰქონოდა უპირატესობით ქვეყნისა საქმეთა გამგეობაში და მეორეს — არა, და ერთს ამით ეჩაგრა მეორე... იმ ბრძოლასა და შეხეთქებას წოდებათა შორის უფლების დასაწყობად, გასაერთობად, რომელიც ევროპაში იყო და ეხლაც არ გათავებულა და რომელიც უპირველესი მიზეზი იყო ერის წყობა-წყობად დაყოფისა, ჩვენში აღგილი არ ჰქონია... ჩვენ იმას ვამბობთ, რომ რაკი ბრძოლა არ იყო, ბანაკებად დაყოფაც ერისა არ იქნებოდა, არ იყო წყობა-წყობად განცალკევების მიზეზიც ჩვენს ერობაში“²².

„დროების“ ხელმოუწერელი „მოწინავეს“ ავტორი იმავე შეხედულებას ავითარებს და იდეურ შინაარსთან ერთად მთელი სტილით ხელშესახებად გვაგრძნობინებს ავტორის ვინაობას. აი, ეს მსჯელობაც: „წინეთ, წარსულ დროებში, ურთიერთი დამოკიდებულება წოდებათა შორის ჩვენს ქვეყანაში სულ სხვა გვარი იყო, ვიდრე მას შემდეგ, როცა ჩვენი მამულის ბედ-იღბალის ხელმძღვანელობისათვის თავი უნდა დაგვენებებია. ის მაღალი და კეთილშობილი გრძნობა, რომელიც აერთებდა გლეხსა და თავად-აზნაურსა და ჰთესავდა მათ შორის ძმობას და სიყვარულს, ის გრძნობა მოისპო. ნათქვამია, საზოგადო უბედურება აახლოვებს და ამეგობრებს ადამიანებსო, საქართველოს უბედურება, მამულის მწუხარება აახლოვებდა და მჭიდროდ აკავშირებდა სხვადასხვა წოდებას ერთმანეთთან. ერთი და იგივე განსაცდელი მოელოდა მტრისაგან როგორც გლეხის ცოლ-შვილს და ოჯახს, აგრეთვე თავადისას. ეს იყო უმთავრესი მიზეზი იმ სამაგალითო ძმურის ურთიერთ დამოკიდებულებისა ბატონთა და ყმათა შორის, რომლის მზგავს მაგალითს ძვირად ვიპოვით სხვა ქვეყნებში.

გავშორდით რა გარეგან მტერს და მუდმივ შიშსა, ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ცხოვრებას სხვა ფერი დაეძვა. ბატონთა და ყმათა შორის მოისპო ძველი კავშირის საგანი; მათ შორის დაარსდა დიდი ზღვარი. რა შედეგი მოიტანა ამ მოვლენამ? ორთავე წოდების გარყვნა და ზნეობითი გახრწნა. მეცხრამეტე საუკუნის ბატონ-ყმობის ისტორია ჩვენში შეადგენს ერთს სამწუხარო ფურცელთაგანს იმ წიგნისას, რომელსაც უნდა დაერქვას საქართველოს ცხოვრება“ („შენიშვნა“ — „დროება“, 1882, № 179. დაყოფა ჩვენის).

როგორც ვხედავთ, ორივე ავტორი ერთნაირად ფიქრობს წარსულში ქართველი ხალხის სოციალური ურთიერთობის განვითარებაზე. დასაწყისი ფრაზების თითქმის ერთმანეთზე დამთხვევა („ძმურის ურთიერთდამოკიდებულებისა“, „ჩვენის ქვეყნის ისტორიულ ცხოვრებას“ და სხვ.), ჩვენი აზრით, უეჭველად გვაგრძნობინებენ, რომ „დროების“ ამ ტიპის „მოწინავეებიც“ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებია.

იდეურ-თემატური და შემოქმედებითი გამეორებები სხვა ბევრ წერილშიც ჩანს. ამიტომ დავკმაყოფილებით კიდევ რამდენიმე მაგალითის მოყვანით, მაგ.: „ამათ მოსაგერიებლად (გარეშე და შინაური მტრებისა. — ლ. კ.), — წერს

²² ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 5, გვ. 52—53.

„მოწინავეს“ ავტორი, — ჩვენ მუდამ მზად უნდა ვყოფილიყავით, მუდამ ფარ-ხმალით ვიყავით შეიარაღებული, მუდამ ომი, ბრძოლა, ერთი სიტყვით, ჩვენი არსებობის დაცვა გვახსოვდა.

ვინც კი ნიჭიერი, მძლე, მამაცი, მოხერხებული იყო ჩვენს ერში, ყველა ბრძოლის ველზე გამოდიოდა, ყველას მტრის მოსაგერიებლად უნდა მოეხმარა ეს თავის ნიჭიც, მხნეობაც და ოსტატობაც. ამგვარმა მდგომარეობამ გამოცვალა ჩვენი ერის ხასიათი. ყველა ომის კაცებად შევიქენით. ყველას თოფ-იარაღი გვეჭირა ხელში. ყველა ციხეებზე ვიდევით და გადავყურებდით მტერს, როდის მოვა, როდის დაგვესხმის თავს და როდის დაგვეპირდება იმასთან შებამოა.

„თუ ასე ბევრს ვლაპარაკობთ ჩვენ ამ ნივთიერ ღონისძიებაზე, ამ კეთილდღეობაზე, იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ ახლანდელს დროში ამის თქმა თითქმის შეუცდომლად შეიძლება, ბურთი და მაიდანია იმას აქვს, ვისაც ცოტაოდენი მაინც ნივთიერი ძალა, ეკონომიური კეთილდღეობა შეუძენია. ამაზედ არის დამოკიდებული გონებითი განვითარება და ცხოვრების ყოველმხრივი წარმატება ერისა; უამისოდ არც სკოლები გვექნება, არც სამშობლო ლიტერატურა და მწერლობა, არც თეატრი და არც სხვა რამ, რაც ეარსება და ხდის და კაცს კაცად. ნივთიერი კეთილდღეობა არის ძალა, რომელიც კაცს და ერს უფრო თავისუფლად, უფრო დამოუკიდებლად და ღონიერად ხდის; ეს ითქმის, განსაკუთრებით იმისთანა ერზედ, რომელსაც თავის საკუთარი სამშობლო აქვს, რომელიც ამასთანავე სხვა მხრითაც დაჭილდობებულია ბუნებისაგან, როგორც მაგალითად, მშვენიერის სამშობლო ქვეყნით, კეთილშობილურის ხასიათებითა და მდიდარის ისტორიული წარსულით“ („ქართველები საქართველოში“, „დროება“, 1881, № 206, დაყოფა ჩვენია).

მოყვანილი ამონაწერის მიხედვით, ჩვენი აზრით, იგრძნობა, რომ წერილი „ქართველები საქართველოში“ ილიას მემკვიდრეობის ორგანული ნაწილია თემით, იდეით, სტილით და ტექსტობრივი პარალელებით. მწერალი თავის ნაწარმოებებში მუდამ არიგებდა ერს, რომ საჭირო იყო ცხოვრების განვითარების ტენდენციების გაგება და ამის მიხედვით მოქმედება. იგი იმას, რაც ამ უცნაურ წერილებში აქვს ნათქვამი, სხვა ცნობილ ნაწარმოებებშიც წერდა: „დღევანდელი ფარ-ხმალი ქონებაა. კარგია თუ ცუდი ასეთი ყოფა, — წერს ილია, — ჩვენ ამაზედ თვალი უნდა ავახილოთ, ამაზედ ვიფიქროთ. საქმე ის არის, რომ დღევანდელმა დღემ კაცობრიობა იქამდე მიიყვანა, რომ თუ ერს ქონება შეძენილი არა აქვს და მის გაძლიერების გზაზე არა სდგას, იგი ღონემიხილი ღომია, უხორთუმო სპილია იმ მწვავს და დაუნდობელ ომში, რომელსაც არსებობისათვის ბრძოლას ეძახიან“²³.

ილია ჭავჭავაძე უბრუნდებოდა იმ აზრსა და თემას, რომელიც მოცემულია წერილში „ქართველები საქართველოში“. კერძოდ, მწერალი საკითხს, თუ როგორ რჩებიან კაპიტალის წყალობით ქართველები საქართველოში ცარიელზე, სპეციალურად ეხება ნაწარმოებში „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“²⁴.

²³ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 7, თბ., 1956, გვ. 39—40.

²⁴ იქვე, გვ. 36—40.

„დროების“ ხელმოუწერელ „მოწინავეებს“ შორის არის რამდენიმე „საახალწლო“ და წლიური მიმოხილვა. ცნობილია, რომ ილიას ამ სახის წერილები ბევრი აქვს. მათში მწერალი იძლეოდა განვლილი წლის მოვლენათა შეჯამებას და შემდგომი მუშაობის გეზს. „დროების“ „საახალწლოები“ და წლიური მიმოხილვებიც, ზემოთ განხილული წერილების ანალოგიურად, თემით, სტილით, სპეციფიკური გამოთქმებით, თავისებური გრამატიკული წყობითა და პათოსით კვლავ ილიას ცნობილ ნაწარმოებებთან ტექსტობრივ კავშირებს ამჟღავნებენ და, ჩვენი აზრით, ხელშეახებლად მიგვივითებენ ავტორის ვინაობაზე: „ჩვენდა სანუგეშოდ, — წერს ილია 1882 წლის აპრილ-მაისის „შინაურ მიმოხილვაში“, — რომ ბევრს ჩვენგანს გული გახსნია საქვეყნოდ, ბევრს ჩვენგანს უგრძნია და უცვნია ის ტკივილები ქვეყნის ტკივილებად, და თუ იღწვის ესლა მათ გამო, პირადი ანგარიში და გამორჩომა უკან დაუყენებია და მარტო საზოგადოდ, საქვეყნოს სიკეთეს ეტანება მთელის თავისის შეძლებითა და ღონითა... ჩვენს სიტყვას ღონე და ძლიერება მიეცა და ფარხმლად შეექმნა ყოველს საქვეყნოდ მიმართულს მოქმედებას... საქვეყნო სიკეთისათვის აზრი დაიძრა ჩვენში... საქვეყნოდ მომართული აზრი გულში გამოგვენასკვა... თვითოეულში ყველასა ვხედავთ და ყველაში თვითოეულს“²⁵. ჩვენი აზრით, მწერალი იმავე აზრს ავიტარებს ხელმოუწერელ „საახალწლოში“ და წლიურ მიმოხილვებში. „ამ გავლილ მძიმე წელიწადებს, — წერია 1883 წლის „საახალწლოში“, — უნაყოფოდ არ ჩაუვლია ჩვენის საზოგადოებისათვის. ერთი სანუგეშო მოვლენა შევნიშნეთ ამ ჩვენს საზოგადოებაში... ეს სანუგეშო მოვლენა მდგომარეობს შემდეგში:

თითქმის ჩვენში ვერ იპოვნით, რომ თავის მდგომარეობაზე, თავის თავზე და ბედ-იბლაზედ არ ჰფიქრობდეს; ყველას ზრუნვა, დაფიქრება ეტყობა სახეზედაც, მოქმედებაშიაც, ცხოვრებაშიაც. აღრინდელი განთქმული უზრუნველობა ქართველის კაცისა თანდათან ისპობა; ქართველმა დაიწყო ფიქრი იმაზედ — თუ ვინ არის ის, რა არის, რა მდგომარეობაშია დღეს და რა მოელის ხელს. ეს მოვლენა... პირველი ნიშანია ჩვენის ერის გამოღვიძებისა და წარმატებისა. „გამოვიცან შენი თავიო!“ ამბობს ძველი საბერძნეთის ბრძენთა ბრძენი ფილოსოფოსი სოკრატი. ჩვენ ვცდილობთ ახლა ჩვენი თავის, ჩვენი ვინაობის და რაობის გამოცნობას და როცა დავინახავთ, გამოვიცნობთ, რომ დღევანდელს ჩვენს მდგომარეობას ბევრის მხრით შევლავ, და ხმარება, განკარგება და გაუმჯობესება ექვივრება, უმეპვლია, ამ გზას დავადგებით და მაშინ უკეთესი მომავალიც მოსალოდნელია“.

იმავე წლის „დროების“ მეექვსე ნომერში დაბეჭდილია ხელმოუწერელი „შარშანდელი წელიწადი“, რომელშიც ავტორი წინა წერილზე მითითებით აღნიშნავს: „ამას გარდა ერთი სანუგეშო მოვლენაც შევნიშნეთ საკუთრივ ჩვენს საზოგადოებაში, მოვლენა, რომელიც ამას წინათაც აღვნიშნეთ: ის, რომ რაც ხანი მიდის, თანდათან უფრო ნათლად ვხედავთ ჩვენს მდგომარეობას, ეცნობილობთ ჩვენს თავს, ჩვენს ვინაობას. სანუგეშო ეს იმითია, რომ ამ წერტილიდამ, ამ დროიდგან იწყება ხოლმე ხალხის წინსვლა, წარმატება და თავის საერო საქმეებზე ზრუნვა“ (დაყოფა ჩვენია. — ლ. ჭ.).

„ივერიის“ შინაური მიმოხილვისა და „დროების“ „სახალწლოს“ თუ წლიური მიმოხილვების ტექსტობრივ, ნათესაობა, ჩვენი აზრით, თვალსაჩინოა. ისინი ერთ სანუგეშო გარემოებაზე მიგვიითებენ, ამ მოვლენას ერთნაირად აფასებენ. „დროების“ წერილები ილიას სპეციფიკური გამოთქმებით („განკარგება“, „ენაობა“ და სხვ.) ავტორზე გარკვეულად მიგვიითებენ.

VII. 1880 წელს „დროების“ მე-17 და მე-18 ნომრებში დაიბეჭდა „მოწინავე“ „კავკასიის უნივერსიტეტი“. ნაწარმოები მიძღვნილია კავკასიაში, კერძოდ თბილისში, უნივერსიტეტის დაარსების აზრის დამტკიცებისადმი. ავტორი ეკამათება ი. სვიმონიძის (ი. გოგებაშვილის) მიერ მე-16 ნომერში გამოქვეყნებული წერილის აზრს, რომ კავკასიაში უნივერსიტეტის დაარსება ქართველებს სარგებლობას ვერ მოუტანს, თუ დაბალ სასწავლებლებში ქართველი მოსწავლეების კონტიგენტი არ გაიზარდა. ი. გოგებაშვილი წერდა: „ვსთქვათ, გაიხსნა ჩვენ დედაქალაქში უნივერსიტეტი. თუ ჩვენი განათლების მდგომარეობა მანამდის ძირეულად არ შეიცვალა, თუ ქართველებს რიცხვმა გიმნაზიებში ათად და ოცად არ იმატა, ვანა ბევრს რასმე მოგვათბობს ჩვენ უნივერსიტეტი? ას სტუდენტში რომ მხოლოდ ორიოდ ჩვენგანი ერიოს, ნუთუ ეს არ იქნება ცვა-რი ზღვაში, ნუთუ ეს ჩვენ არსობაში რასმე კეთილად შესცვლის! ამას ჩვენთვის იმისთანავე მნიშვნელობა ექმნება, როგორც პურის ნამცეცს დამწვეულისთვის და წყლის ცვარს მწყურვალისათვის“.

„დროებამ“ ი. გოგებაშვილის წერილს დაურთო შენიშვნა: „უნივერსიტეტის რედაქცია ამ მოკლე ხანში მკითხველს უძღვნის ცალკე წერილს. — რედ.“. მართლაც, გაზეთის მორიგ ნომერში დაიბეჭდა ხელმოუწერელი მოწინავე წერილი „კავკასიის უნივერსიტეტი“. ავტორი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი საშუალებას მისცემს ქვეყანას, უფრო რაციონალურად გამოიყენოს თავისი მიღი-დარი შესაძლებლობანი; ახალგაზრდები, რომლებიც რუსეთში ვერ მიდიან და ან მიდიან, მაგრამ ჰავას ვერ უძლებენ, ადგილობრივ მოიღებენ განათლებას; ადგილობრივი კადრები დასაქმებულნი იქნებიან; უნივერსიტეტი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც საჭიროა კავკასიაში, რადგან საჭიროა ადგილობრივ შეიქმნას ინტელიგენციის ძალა, რომელიც თურქეთის მხრიდან მომავალი ევროპული ექსპანსიის უკუგდებას შესძლებს. ბოლოს წერილის ავტორი პირდაპირ შენიშნავს: „შემცდარი აზრია, უბრალო შიშია, რომ კავკასიის უნივერსიტეტს საკმაო მოწაფეები, სტუდენტები არ ეყოლებათ, რადგან ჩვენს საშუალო სასწავლებლებში ცოტანი ათავებენ მუდამ წელიწადს კურსსო, და ამის გამო უნივერსიტეტით ბევრი ვერ ისარგებლებს“. წერილში თვალსაჩინოდ არის დამტკიცებული შიშის უსაფუძვლობა, რომლის შემდეგ ვაკეთებულა დასკვნა: „ამნაირად, ყოველის მხრით აუცილებელი, საჭიროა და შესაძლებელია კავკასიაში უნივერსიტეტის გახსნა. სახელმწიფო ინტერესი, ხალხის სარგებლობა, ქვეყნის საჭიროებანი, თვით ბუნება თხოულობს, რომ ჩვენში იყოს უმაღლესი სასწავლებელი — უნივერსიტეტი“. სხვა წერილებშიც, რომელნიც „დროებაში“ ხელმოუწერელი მოწინავეების სახით გამოქვეყნდნენ და არ არის შეტანილი ს. მესხის ბიბლიოგრაფიაში, ავტორი იბრძვის უნივერსიტეტის დაარსების აზრის დაფუძნებისათვის, იცავს მას ვაზ. „კავკასიის“ მხრივ რეაქციული შემოტევებისაგან. იგივე ავტორი ესალმება ქუთაისის ბანკის მიერ უნივერსიტეტისთვის თანხის გამოყოფას და თბილისის ბანკს მხარდაჭერისაკენ მოუწოდებს. 1880 წლის 19 თებერვალი ხელმოუწერელი მოწინავეების ავტორს საქართვე-

ლოში უნივერსიტეტის დაარსების დასაწყისად მიაჩნია, რადგან თანხის გაღებათ ამ დღეს იქნა გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯი.

უნივერსიტეტის შესახებ დაწერილი ამ ხელმოუწერელი წერილების სხვადასხვა ნიშანზე დაკვირვება, ჩვენი აზრით, ილიას ავტორობას ამჟღავნებს: ა) ი. გოგებაშვილის წერილს აქვს შენიშვნა, „რომ უნივერსიტეტის რედაქცია გაცემს პასუხს“. მართლაც, პასუხი დაიბეჭდა ხელმოუწერლად ვახუთის მოწინავეს ადგილზე. ავტორმა გააკრიტიკა ი. გოგებაშვილი, რომელსაც შემდეგ პოლემიკა აღარ გაუგრძელებია. რადგან „მოწინავე“ ხელმოუწერელია, ერთ-ერთი რედაქტორი ყოფილა „უნივერსიტეტის რედაქციის“ წევრი. თუ ვიფიქრებთ, ვინ იყო მაშინ უნივერსიტეტის იდეისათვის პირველი მებრძოლი, ჩვენი აზრით, პასუხი თავისთავად ილიაზე მითითებას უნდა შეიცავდეს. ბ) „მოწინავეს“ ადგილზე ხელმოუწერლად, როგორც რედაქტორს, მას შეეძლო წერილის დაბეჭდვა; გ) ეს წერილი შეტანილი არ არის ს. მესხის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში და, მაშასადამე, მეორე რედაქტორს ეკუთვნის; დ) წერილის დამწერი დიდი ავტორიტეტია, რადგან უნივერსიტეტის რედაქცია მისი საშუალებით სცემს პასუხს ი. გოგებაშვილს, რომელიც კამათს აღარ აგრძელებს. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, ჩვენი აზრით, თვალსაჩინოა ილიას ავტორობა. იგი ხომ ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისიდან იბრძოდა უნივერსიტეტის დაარსებისათვის და ამ დროსაც, ჩანს, შემთხვევას არ კარგავდა თავისი იდეის განხორციელებისათვის. აქ აღარაფერს ვამბობთ წერილის სტილზე, რომელიც თვალსაჩინოდ მიგვანიშნებს რკინისებური ლოკის ავტორზე. ამ წერილების ატრიბუციისათვის მნიშვნელობა აქვს უთუოდ ი. ჭავჭავაძის მიერ 1886 წელს „ივერიის“ ერთ-ერთ „მეთაურში“ უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლის საქმის მცოდნის უშუალოდ გახსენებას, ილია წერდა: „1880 წელს ასტყდა ლაპარაკი უნივერსიტეტის გამართვის თაობაზე ტფილისში. ამ ხმების და ლაპარაკის საქმედ გარდაქცევისათვის ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკმა გადასწყვიტა მაშინ ორმოცი ათასი მანეთი შეაწიოს, თუ ვინცობაა ტფილისში უნივერსიტეტი გაიმართება“ („ივერია“, № 192).

გაზ. „დროების“ ხელმოუწერელი „მოწინავეები“ და ზოგიერთი „ფელეტონი“, რომლების შესახებ მსჯელობა გვქონდა ზემოთ, ჩვენი აზრით, ტექსტულურად ადასტურებენ ზოგად დასკვნას, რომ ს. მესხის თხზულებათა ბიბლიოგრაფიის — „ამოუწერელი სტატიების“ გარეშე დატოვებული „დროების“ 1880—1883 წლების მეთაური წერილები ილია ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის. ისინი თემატური, იდეური და სტილური ნიშნებით ამ დიდი მწერლის შემკვიდრეობის ორგანულ ნაწილად გვესახება. „დროებაში“ დაბეჭდილი ილიას უცნობი ნაწერები ახალი შტრიხებით ამდიდრებენ ჩვენს წარმოდგენას ი. ჭავჭავაძის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე; რად ღირს თუნდაც უნივერსიტეტის იდეის დაფუძნებისათვის ბრძოლა, როგორც თანამებრძოლთა ექვების, ისე ბიუროკრატიული შემოტევების უკუსაგდებად. მიგვაჩნია, რომ ს. მესხის „ამოუწერელი სტატიების“ სიის გარეშე დარჩენილი „დროების“ „მოწინავეები“ და ზოგიერთი ჩვენი მიერ განხილული სხვა ნაწარმოები ილიას თხზულებათა მომავალ აკადემიურ გამოცემაში უნდა დაიბეჭდოს.

Л. П. ЧРЕЛАШВИЛИ

АТРИБУЦИЯ НЕПОДПИСАННЫХ ПУБЛИЦИСТИЧЕСКИХ
СТАТЕЙ В ГАЗЕТЕ «ДРОЭБА»

Резюме

В 1880—1883 годах в газете «Дроэба» было два редактора — Сергей Месхи и Илья Чавчавадзе. Сохранился список статей, написанных Сергеем Месхи. Проведенный текстологический анализ указывает, что остальные неподписанные передовицы принадлежат перу Ильи Чавчавадзе.

Установленное авторство позволяет включить эти статьи в новое академическое издание собрания сочинений грузинского писателя.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის
სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის
განყოფილება

წარმომადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერა-
ტურის ინსტიტუტმა

ვახტანგ ვახანი

6. ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისას“ ინტერპრეტაციისათვის

ეს წერილი უშუალო გავრძელება (ასე ვთქვათ, მეორე ნაწილია) სტატიისა — „ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები და მათი გამოყენების თავისებურებანი“, რომელიც დაიბეჭდა „მაცნეს“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია) 1984 წლის მე-2 ნომერში.

გამოქვეყნებულ ნაწილში ვეხებით „ბედი ქართლისას“ უმთავრეს ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებს (ასეთია, ჩვენი აზრით, ალ. ჭავჭავაძის „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“ და პ. იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“). აქვე საუბარია იმის შესახებ, რომ პოემის მეორე კარში (მეფე-მსაჯულის საუბარში) იგულისხმება 1799 წლის ქვეშევრდომობითი ტრაქტატი (შეზღუდული ავტონომია) და არა 1783 წ. მფარველობითი ხელშეკრულება, ან 1801 წლის მაინფესტი, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე იყო მიჩნეული.

1799 წლის ქვეშევრდომობითი ტრაქტატი შეაპირობა ქვეყნის იმდროინდელმა მძიმე საგარეო და საშინაო ვითარებამ, რაც კიდევ უფრო ნათლად, რელიეფურად წარმოაჩინა 1795 წ. კრწანისის ტრაგედიაში. საქართველოს იმხანად არ შეეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება და შექმნილი მდგომარეობიდან თავდაღწევის ერთადერთი სწორი გზა იყო ის, რომელზედაც ქართლ-კახეთის უკანასკნელმა მეფეებმა დაგვაყენეს.

იმისათვის, რომ ზემონათქვამი ლიტონ განცხადებად არ დარჩეს, მოგვიწევს „ბედი ქართლისას“ პირველი კარის დეტალური ანალიზი. დიახ, პოემის სწორედ პირველ კარშია მთელი სიცხადითა და სისრულით ნაჩვენები საქართველოს მაშინდელი მძიმე საგარეო და საშინაო პირობები. ქვეყნის რთული საგარეო და საშინაო ვითარების გადმოცემა არაა ადვილი საქმე. მეცნიერს ამისთვის სჭირდება ვრცელი მსჯელობა, კონკრეტული ფაქტების მოხმობა-გაანალიზება, მწერალს — სქელტანიანი რომანები. ნ. ბარათაშვილი არ წერდა არც მეცნიერულ გამოკვლევებს, არც ტრილოგიებსა და ტეტრალოგიებს. იმდროინდელი ვითარება მას უნდა ეჩვენებინა მოცულობით პატარა პოემაში. მაგრამ სახელდობრ როგორ? ერეკლე მეფის მიერ გადახდილი 64 ომიდან ნაწარმოების ქარგად შეარჩია მაინცდამაინც ის (ერთადერთი), რომელიც ქართველთა დამარცხებით დამთავრდა. ეს სხვა არაფერია, თუ არა სავსებით შეგნებულად, გარკვეული მოსაზრებით გადადგმული ნაბიჯი, რომლის მიზანითაა თვალნათლივ დაანახვოს მკითხველს საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის შეუძლებლობა. კრწანისის ტრაგედიაში პოეტმა, როგორც ფოკუსში, თავი მოუყარა მე-18 საუკუნის მიწურულის საქართველოს სავალალო მდგომარეობას. ომის სურათების ჩვენება (ბატალური სცენები) და, საერთოდ, პირველი კარი მთლიანად, აქ აღწერილი ყოველი ეპიზოდი, ყოველი

სიტუაცია გვარწმუნებს, გვაჯერებს იმაში, რომ საქართველოს სასიცოცხლო ძალები დამრტყლია, ამოწურულია. პოეტის ხედვა აქეთენაა წარმართული, ესაა მისი მიზანი.

კრწანისის ველზე 1795 წელს მკაფიოდ გამოჩნდა იმდროინდელი საქართველოს აქილევსის ქუსლი — შინაგანი სისუსტე და გათიშულობა, რომლის კანონზომიერი შედეგი იყო გულბოროტი საქურისის მიერ თბილისის მიწასთან ვასწორება. მართო ის ფაქტი, რომ ერეკლემ ამ ომში ალა-შაჰმად-ხანის 35 ათასიან ლაშქარს 5 000 კაცის მეტი ვერ დაუპირისპირა, აშკარად მიუთითებს ქართლ-კახეთის სამეფოს უკიდურეს დაუძლურებაზე.

ომი საერთოდ უდიდესი და უმეცარესი გამოცდაა მოწინააღმდეგე მხარეებისა. ომი, ასე ვთქვათ, აწივლავს, ხელის გულზე წარმოაჩენს, თვლანათლივ ავლენს ქვეყნის შესაძლებლობას, მის საარსებო რესურსებს, პოტენციალს. ცნობილია, რომ „ყირიმის ომმა ცხადყო ბატონყმური რუსეთის სიღამპლე და უძლურება“¹. ყირიმის კატასტროფამ განაპირობა შემდგომი მოვლენები: გულხთა მასიური აჯანყებები, რევოლუციური სიტუაცია, საგლეხო რეფორმა და სხვა. ომი ხშირად განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის მომავალს. თუ, მაგალითად, გამარჯვებით დამთავრებული დიდგორის ომი („ძღვევამ საკვირველი“) გახდა უდიდესი მნიშვნელობის ნიშანსვეტი ქართველი ხალხის (და არა მართო ქართველი ხალხის) ცხოვრებაში, სამაგიეროდ კრწანისის ტრაგედიამ საბოლოოდ გადაწყვიტა ბედი ქართლისა. სხვათა შორის, კრწანისის ომს ასეთივე გადაწყვეტი მნიშვნელობას ანიჭებდნენ სხვა რომანტიკოსებიც. ალ. ჭავჭავაძე წერს: „ალა-შაჰმად-ხანის უკანასკნელმა შემოსევამ და ტფილისის აოხრებამ 1795 წელს გადაწყვიტა საქართველოს ზედი. საქართველომ თვალნი თვისნი მიაპყრო ერთმორწმუნე რუსეთს, რომელშიაც იგი წინადაც კპოებდა დასაყრდნობს. რუსეთის მონარქებმა სულდილობა გამოიჩინეს და მას დახმარების ხელი გამოუწოდეს“². ხოლო გრ. ორბელიანი პირდაპირ ამბობს: „თავგანწირულმა გმირობამ ვერა დაჰსძლია შავ-მხვედრი... წახდა თბილისი და მასთან დაემხო ძველი ივერი“ („სადღეგრძელო“). პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში კრწანისის ომს ასეთივე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ორბელიანიც: „სიმხნე ვაცრუედა, სისხლი გაცუდდა; თვის ქალაქის წინ იბრძვის ირავლი, გმირნი წყდებიან, ვერას შევლიან, ქალაქს ავარდა ოთხ კუთხივ ალი!“³. და ამის შემდეგაა, რომ ერეკლემ „ჩრდილოეთი აჩენა თით“⁴, ე. ი. მზერა მიაპყრო ჩრდილოელ მეზობელს — რუსეთს.

დაიხ, პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი დააყენა (განაპირობა) რთულმა საგარეო და საშინაო ვითარებამ. საქართველო რომ ისეთი ძლიერი ქვეყანა ყოფილიყო, როგორსაც წარმოადგენდა, ვთქვათ, თამარის ეპოქაში, მაშინ, ცხადია, არც მოკავშირე-მფარველის ძებნის საკითხი დადგებოდა. მფარველს, პროტექტორს ეძებს სუსტი, გასაჭირში ჩავარდნილი.

მაგრამ მიუღებრუნდეთ ისევ პირველ კარს. „ბედი ქართლისას“ მიხედვით ერეკლე კარგად იყო ინფორმირებული იმაში, რომ სპარსეთის შაჰს „ჯარი

¹ ვ. ი. ლენინი, „საგლეხო რეფორმა“ და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 127.

² ალ. ჭავჭავაძე, საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი..., თხზულებანი, თბ., 1940, გვ. 243.

³ ვ. ორბელიანი, ირავლი და იმისი დრო, იხ. ვ. ორბელიანი, ლექსები, ტფილისი, 1928, გვ. 106.



დიდალი ახლდა“, ე. ი. ქართველთა მეფემ კარგად იცოდა, „რაც დღეს საქართველოსა ჰქონი მოადგეს“. სპარსეთი დაუძინებელი და საშიში ისტორიული მტერია. მისგან ბევრი მწარე დღე დადგომია ქვეყანას, ხოლო სპარსეთის ახლანდელი შაჰი — საჭურისი ალა-მაჰმად-ხანი ჯოჯოხეთიდან მოგზავნილი ცერბერია. პოეტი საგანგებოდ შენიშნავს: „პატარა კახი ალა-მაჰმად-ხანს უპირებს შებმას ძლიერს, რისხვიანს“. გასაგებია, რომ ერეკლე, როგორც ფხიზელი პოლიტიკოსი, რომელიც რეალურად აფასებდა შექმნილ ვითარებას, უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ამ ომს. სიტუაცია მოითხოვდა ძალთა უკიდურეს დაძაბვა-მოზილიზაციას და მეფემაც ყველაფერი იღონა, შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთა, რათა მამული დაეცვა. პოემის მიხედვით, ერეკლეს არც პოლიტიკაში, არც წმინდა სამხედრო თელსაზრისით არ დაუშვია არავითარი შეცდომა, არავითარი პანიკა და დაბნეულობა, ყოველგვარი წვრილმანიც კი ასჯერაა აწონილ-დაწონილი.

გამოდის რა იმ შეგნებიდან, რომ აქ, კრწანისის ველზე, დღეს გადაწყდება საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი, მეფე ბრძოლის დაწყების წინ შემდეგი სიტყვებით მიმართავს ქართველ მეომრებს: „ჰხედავთ, ვითარის კადნიერებით შეკრებების ჩვენზედ უსჯულოება! საქართველოს დღეს გარდაუწყდება თავისი ბედი და უბედობა! დღეს ეჭირება მამულს მხნეობა! დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი, ვითა თქვენგანი ერთი მხედარი; დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული, ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!“ პასუხად ამისა იარაღსხმული მებრძოლები ერეკლეს „განუცხადებენ თავისს სიყვარულს“, დიდ ერთგულებას და მზადყოფნას, რომ მეფისა და სამშობლოსათვის სიცოცხლეს არ დაზოგავენ: „შენი გამჩენის ჰირიმე, შენი, რომ გაგავაგონე კვლავ ხმა სალხენი!.. ჩვენ თუნდ სულ ერთ დღეს დავიხოცებით, ოღონდ შენ იყავ, მეფე, დღეგრძელი! მტერი რა მტერი, ოდეს ქართველი ბატონს ირაკლის ნუგეშად ხედავს; მისთვის სიცოცხლეს ვინლა დაზოგავს!“ მეფისა და მისი ჯარის ასეთი ახლო ურთიერთობის, გულწრფელი სიყვარულისა და ერთგულების ჩვენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოემის ძირითადი აზრის გასაგებად⁴.

ბრძოლა ორივე მხრიდან იყო თავგანწირული. სპარსელთა მხრიდან იმით, რომ ერეკლემ „ჰერანის ტახტს, ხელმწიფებას ქართველთა შორის წაართვა ძალა“, ხოლო ქართველებისთვის ესაა მამულის დასაცავად გამართული ფრიად საპასუხისმგებლო ომი და, გასაგებია, თუ რა მწვევე ხასიათს მიიღებდა იგი: „შექმნათ მწარე, ძლიერი ომი; ვითა ნადირსა მშვიერი ლომი, ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი, და მტკვარსა შერთეს სისხლისა ღვარნი!“. ამით უკვე წარმოდგენა გვექმნება ბრძოლის სიცხარესა და მასშტაბურობაზე.

თუმცა პირადად ერეკლე, ისე როგორც ყოველთვის, ამ დღესაც, მოხუცებულობის მიუხედავად, მამაცურად იქნევდა ხმალს, რაც სხვებს აღაფრთოვანებდა („მეფის ირაკლის ღვაწლი ყოველთა შთაუდგამს სულსა ვაჟაკობისას“), მაგრამ „მაინც ვერ ხედვენ ბოლოს ბრძოლისას“. და აი, „რა ნახეს ქართველთ, გაჰირდა საქმე, მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე, ზრმალს ხელი იკრეს მამაპაპურად და დაერივნენ თავისებურად!“ და მართლაც, ქართველებმა ომში უშეშარიტი გმირობა, რაღაც საარაკო გულადობა გამოიჩინეს და

⁴ ერცლად ამის შესახებ იხ.: გ. ჯიბლაძე, ბართაშვილის პოეტური გენია, თბ., 1968, გვ. 363—367.

პირველ დღეს გაიმარჯვეს კიდეც (თუკი მას გამარჯვება ეთქმის). შორსმჭვრეტელ მეფეს ეს „გამარჯვება არღა ახარებს“. არ ახარებს იმიტომ, რომ „ძვირად დაუჯდა იგი ირაკლის! მრავალთ ყმაწვილთ-კაცთ, ნუგეშთა ქართლის, დასდევს აქ თავი მამულისათვის!“⁵. ამან აიძულა მეფე უკან დაეხია და ნარიყალას ციხეში გამაგრებულიყო. ერეკლე სწორად ვარაუდობდა (და ამაში მას სხვებიც დაეთანხმნენ): მეორე დღეს კრწანისის გაშლილ ველზე ქართველები შეიძლება მხნეობითა და მამაცობით ვერაფერს გამხდარიყვნენ, ხოლო ციხეში თუ დახვდებოდნენ, იქნება მტერს მათი „ძალისა ფიქრი მიცემოდა“.

ეს იყო ერეკლეს უკანასკნელი გაბრძოლება, კიდეც ერთი ცდა. ნარიყალასთვის თავის შეფარება, როგორც პოეტი გვეუბნება, იყო თავისებური ხერხი — „ემშაყობა“. ხოლო „ძველთაგან ასე ნაამბობია, რომ ზოგჯერ ხერხი ღონეს სჯობია“. ცნობილია, რომ „ხერხი“ ხშირად დიგურირებს ომებზე დაწერულ შრომებსა თუ მხატვრულ ნაწარმოებებში (მოვიგონოთ ნ. ლომოურის მოთხრობა „ხერხი სჯობია ღონესა“). იგი ძველთაგან არა მარტო ნაამბობი იყო, არამედ გამოყენებულიც. ხერხი ერეკლესაც გამოუყენებია (მაგ., ასპინძის ომში ხიდის თავზეების დახერხვა) და წარმატებისთვისაც მიუღწევია, მაგრამ ამჯერად (კრწანისის ომში) ამანაც ვერ გასჭრა. აღა-მამაჰად-ხანი სამი დღე-ღამე ამოდ ცდილობდა გადაეღახა „ზღუდენი ნარიყალასი“. და ის იყო, საბოლოოდ იმედგადაწურული, უკან გაბრუნებას აპირებდა... მაგრამ ამ დროს ციხე შიგნიდან გატყდა. იუღამ, რომელიც ხელსაყრელ „უფამს ეძიებდა“, კრიტიკულ მომენტში მტერს შეატყობინა ერეკლეს გასაჭირი. ამ ვერაგული დალატით აღშფოთებული მეფე „მყისვე აღენთო“, ერთხელ კიდეც გამირულად ეკვეთა მოწინააღმდეგეს, მაგრამ „ცუდ იყო ყოველი ღონე: აღა-მამაჰად-ხან, კვლავ თავმომწონე, შემოეპარა ციხისა კართა“.

ესა უაღრესად ტრაგიკული ეპიზოდი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და სწორედ ასეთად — საქართველოს დიდ უბედურებად, ნამდვილ ტრაგიკულ აღსასრულად — ესახებოდა იგი ნ. ბარათაშვილსაც. ამიტომაც იყო, რომ ეს ავადმოსაგონარი დღე (1795 წლის 12 სექტემბერი) ხშირად ცრემლებს აფრქვევინებდა პატრიოტ პოეტს. ნ. ბარათაშვილის გიმნაზიელი მეგობარი კ. მამაცაშვილი წერს: „მანსოვს ერთ ივლისის ღამეს, 1838 წელს, მე და ტატო ძალიან მზიარულად იყო და თავისებურად მშვენიერათ ხუმრობდა; მერე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ და ტრაგიკულს დასასრულზედ 18-ის საუუენისა, მეფის ირაკლის მოხუცებულობის გამო უღონობაზედ, ჩვენის თბილისის წახდენაზედ 1795 წელსა 12 სექტემბერს და სხვ...“

ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს ყოველთვის მოცინარს და მზიარულს, სა-

⁵ და იქვე პოეტი განაგრძობს: „აწ საფლავიცა არსად ჩანს მითთვის; ჰაერში განჰქრა მათი სახელი და არსად ეამთა მოწამე ძეგლი არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა; დუმილნი ჰღარევენ ერთგულთა ძეთა! ვფიქრობთ, აქაა „ჩანასახი“ იმ სამართლიანი საყვედურისა, იმ აღშფოთება-გულისწყრომისა, რასაც შემდეგ ი. ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები გამოთქვამდნენ ქართველი მემკვიდრეების მიერ ხალხის წიაღიდან გამოსული სახელოვანი აღამიანების დაიწყების გამო. ნ. ბარათაშვილმა თავის პოემაში ქეშმარიტად რომ უკვლავების გვირგვინი დაადგა კრწანისის იმ უსახელო გმირებს: „მაგრამ, ჰოი გმირნო, ნუ შეშფოთდებით, თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით: რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის; ქართლი თქვენს ღვაწლსაც ვერ დაიღუპებს, აღა-მამაჰად-ხანს ვიდრე ახსენებს!“

ხე გამოეცვალა, დაიწყო ხელ-სახოცით ცრემლების წმენდა და აღელვებულ-მა მიიხრა:

— ჩვენმა უხეირობამ დაგვლუპა! და ოხვრით დაუმატა:

— ვაი ჩვენო ქართლის ბედო!

დიდხანს დავდიოდით თავჩალუნული და მოწყენილი“⁶.

თუ გავიხსენებთ, რომ ამ საუბარს ქართლის ბედით გულდათუთქულ ორ მამულიშვილს შორის ადგილი ჰქონდა მაშინ (1838 წელს), როდესაც „ბედი ქართლისას“ იწერებოდა, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქართველთა უხეირობაში პოეტი გულისხმობდა სწორედ იმას, რაც პოემაში განზოგადებულია იუდას სახით, ე. ი. ბარათაშვილს აქ მხედველობაში აქვს მაშინდელი საქართველოსთვის დამახასიათებელი სინამდვილე-გამცემლობა, ცალკეულ დიდგვაროვან პირთა მორალატური საქციელი თავისი სამწუხარო შედეგებით. ამან დალუპა საქართველო! — ესაა ნაჩვენები პოემაში და ეგვეა ხაზგასმული ბარათაშვილისა და მისი მეგობრის კერძო საუბარშიც.

„ცუდ იყო ყოველი ღონეო“, — ამბობს პოეტი და მკითხველიც ნათლად ხედავს, რომ ერეკლეს ყოველგვარი ღონე, ე. ი. ყოველგვარი შესაძლებლობა, ამოწურულია. კრწანისის ომმა სინათლე და სიციხადე შეიტანა საქმეში. საბოლოოდ გიარკვა, რომ საქართველოს აღარ შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა და, მაშასადამე, აუცილებელია ასეთმა ქვეყანამ ვინმეს მიაკედლოს თავი. ასე რომ, ნ. ბარათაშვილი ფსიქოლოგიურად გვაზადებს, რათა უკეთ გავიგოთ ის დიდმნიშვნელოვანი საუბარი, რომელიც ერეკლესა და მის მსაჯულს შორის იმართება ნაწარმოების მეორე კარში. რა თქმა უნდა, ომი რომ ქართველთა გამარჯვებით დამთავრებულიყო, ერეკლე-სოლომონის ეს საუბარიც არ შედგებოდა და არც „ბედი ქართლისას“ დაიწერებოდა.

ჩვენ შეგნებულად შევაჩერეთ ყურადღება ნაწარმოებში ასე შესანიშნავად აღწერილ ბატალურ სცენებზე. ძნელი შესამჩნევი არაა, რომ თავისთავად ეს სცენები და, საერთოდ, პოემის მთელი პირველი კარი მხარს უჭერს და ამავრებს ერეკლეს პოზიციებს. საკითხი აქ თითქმის სანახევროდ გადაწყვეტილია და გადაწყვეტილია ის, ამრიგად, ერეკლეს სასარგებლოდ. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს ნ. ბარათაშვილის ეროვნულ მრწამსზე მსჯელობისას, წინააღმდეგ შემთხვევაში დაზღვეული არ ვიქნებით ცალმხრივი დასკვნებისაგან.

მაგრამ მივყვეთ მოვლენათა განვითარებას. მეორე კარში ერეკლესა და მის მსაჯულს, თბილისიდან ლტოლვილთ, უკვე არავის ხეობაში ვხედავთ, და შემთხვევითი არაა, რომ სოლომონთან საუბარს მეფე იწყებს საქართველოს მაშინდელი მდგომარეობის დახასიათებით: „შენ უწყვი ქართლის აწ ვითარება, მისი აწ ძალა, ყოფა-ცხოვრება“. ესაა ლოგიკური გადასვლა პირველი კარიდან მეორეში, მიახლოება ძირითად საკითხთან. მეფე თანამოსაუბრეს, პირველ რიგში, ომის მწარე გაკვეთილს შეახსენებს. ამას კი უშუალოდ მოსდევს საქართველოს მაშინდელი მეტად რთული საგარეო და საშინაო ვითარების ამომწურავი დახასიათება, საიდანაც ვაკეთებულობა დასკვნა, რომ ასეთ „დარღვეულ“ და დაძაბუნებულ ქვეყანას მიწის პირისაგან აღგვა მოელის და, მაშასადამე, აუცილებელია გამოინახოს გადარჩენის გზა. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, როგორც საყურადღებო ფაქტი, რომ ერეკლეს მიერ სა-

⁶ კ. შამაცაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი (მასალა ბიოგრაფიისათვის), იხ. გზ. „დროება“, 1881 წ., № 206.



ამისოდ მოყვანილი თითქმის ყველა არგუმენტი ორგანულად გამოძლიარეობს კრწანისის ტრაგედიიდან, რაც მათ (ამ საბუთებს) მეტ სიმპტიცესა და შეუვალობას ანიჭებს.

მაგრამ როგორია ისინი, ერეკლეს მიერ წამოყენებული არგუმენტები?

1. ეს გამარჯვება ალა-მაჰმად-ხანს წააქეზებს და ამიერიდან „არ დაგვაწყნარებს სიამაყითა“, მით უფრო, რომ „მას უამი შესწევს ყოვლის ღონითა“.

2. „ეს ხმა ლეკთაცა აგვიყაყანებს“.

3. მათ არც ოსმალეთი ჩამორჩება, იგი „მხოლოდ დროს შემოჰყურებს“.

ლოგიკურად სავსებით სწორი და გამართული მსჯელობაა. ჩვენი გასაჭირი, დამარცხების ხმა გაამხნევეს მტრებს (ასეთია, საერთოდ, მოწინააღმდეგის ფსიქოლოგია) და ისინი ახალი ძალით შემოუტევენ საქართველოს. „ალა-მაჰმად-ხანის საქართველოში ლაშქრობამ არა მარტო ზოგიერთი მეზობელი ხანის სიხარული და კმაყოფილება გამოიწვია, სიხარულით ცას ეწია ოსმალეთი. ხონთაქრმა ალა-მაჰმად-ხანს სავანგებოდ მიულოცა გამარჯვება და კავშირი შესთავაზა... ხსენებული სახელმწიფოები ალა-მაჰმად-ხანს კვლავ საქართველოში ლაშქრობას ურჩევდნენ. საქართველოს გასაჭირით სარგებლობა ლეკებმაც მოინდომეს. ლეკთა ბრბოები წამოიშალნენ და ქართლ-კახეთის დაუცველ სოფლებს მოედნენ“⁷. პატარა ქრისტიანული ქვეყანა მტრულ მუსულმანურ ვარემოცვაშია მოქცეული. ყოველდღე, ყოველ წუთსაა მოსალოდნელი სპარსთა, ოსმალთა, ლეკთა შემოჭრა, ხოლო ვინ არ იცის, რომ „ძნელ-არს ცხოვრება სამეფოსი, როს უჭვრეტდეს იგი ომსა დღე-ღლითი“.

ასე რომ, მარტო კრწანისის ტრაგედია (სხვა რომ არაფერი ყოფილიყო) სრულ საფუძველს იძლეოდა შეშფოთებისათვის. ერეკლეს თითი აქვს მიშვერილი ნანგრევებად ქცეული თბილისისაკენ და თავის მოსაზრებებს ამ შემზარადი კონკრეტული ფაქტით ამაგრებს. ამიტომია, რომ სოლომონთან საუბარში მეფე ისევ და ისევ ომის მძიმე შედეგებზე ამახვილებს ყურადღებას: „აი, ხომ ნახე აწ მაგალითი, რა ჰქმნა ამ ერთმან დამარცხებამანი!“ კიდევ კარგი, რომ ალა-მაჰმად-ხანი „ქალაქს დასჯერდა განძვინებული“, მაგრამ ვინ უწყის, რა მოჰყვება მის შემდგომ მოსალოდნელ თავდასხმას?

ვინაა მტრისთვის (უფრო სწორად, მტრებისთვის) პასუხის ვამცემი? სხვანაირად რომ ვთქვათ, რა მდგომარეობაა შიგ საქართველოში? სამწუხაროდ, ძალიან სავალალო. ერეკლე მეფე ახალ არგუმენტებს იშველიებს და ასე განაგრძობს მსაჯულთან დაწყებულ საუბარს:

4. „მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ, როს ყმანი ჩემნი ურთიერთს ბძარვენ!“

(ესაა სწორედ ის შინააშლილობა, ის ვამცემლობა-იუდობა, რასაც ზევით შევხებით და რამაც ასე საბედისწეროდ შეატრიალა ომის ბედი ნარჩუალას კედლებთან).

5. „მე თუმც კიდევ ვგრძნობ სულის სიმტკიცეს, გარნა ღონენი წელთ წარმიტაცეს; შენი ირაკლი ის აღარა ვარ, პატარა კახად რომ გინახვივარ!“

6. „აბა, რომელს შეილს ვხედავ ღირსეულს, რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?“

(როგორც ვიცით, ამ არგუმენტისთვისაც კრწანისის ომი იძლეოდა საფუძველს).

⁷ ბ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1975, გვ. 238.

ამრიგად, ერეკლეს მოაქვს სულ 6 არგუმენტი, რომელთაგან პირველი სამი ეხება საქართველოს საგარეო ვითარებას, დანარჩენი სამი — საშინაო მდგომარეობას. კრწანისის ომის მწარე გაკვეთილი პოეტის მიერ გამოყენებულია როგორც საილუსტრაციო მასალა, რათა მეტი სიცხადე და გარკვეულობა შეიტანოს მეფის მსჯელობაში. ამიტომაცაა ერეკლეს ყველა არგუმენტი ასე ზედმიწევნით თანმიმდევრული და შთაბეჭედავი. აქ მართლაც შესანიშნავადაა ნაჩვენები ის ტრაგიკული ისტორიული სიტუაცია, რომელიც შეიქმნა საქართველოში მე-18 ს. მიწურულს.

სად არის გამოსავალი ამ საბედისწერო ჩიხიდან? რუსეთის ქვეშევრდომობაში — ამბობს მეფე და თავის გადაწყვეტილებას შემდეგნაირად ასაბუთებს:

1. დიდი ხანია, რაც რუსეთთან საქართველოს აქვს „ერთობა, მტკიცე კავშირი — სარწმუნოება“.
 2. რუსთა სახელი შორსაა განთქმული, „ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი“.
 3. მხოლოდ ამ ერთმორწმუნე დიდ სახელმწიფოს „საფარს ქვეშ“ შეუძლია საქართველოს მოიბოვოს მშვიდობა (რაც ახლა მას ჰაერივით სჭირდება), შეინარჩუნოს ქრისტიანობა და „ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის“⁸.
 4. სჯობს რუსეთს ნებაყოფლობით შეუერთდე, ვინაიდან იგი მაინც მოისწრაფვის ამიერკავკასიისაკენ და „დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!“
- ერეკლეს ამ საბუთებს სოლომონ ლიონიძე შემდეგ მოსაზრებებს უპირისპირებს:
1. „ჯერ სამაგისო რა გვემართება“, ქვეყნის სასიცოცხლო ძალები ისე როდია დაშრეტილი, რომ „განვისყიდოთ თავისუფლება“.
 2. რა გარანტიაა, „რომ ივერნი იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?“ სახელმწიფოს მართო სჯულის ერთობა რას არგებს, „ოდეს მის შორის თვისება ერთა სხვადასხვაობდეს“.
 3. ვინ იცის, როგორ მოუხდება „რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი“, როგორ შეითვისებს რუსი ქართველს? როგორ შეიწყნარებს რუსთა მეფობა ჩვენს სურვილებს?
 4. ყველაფერს თავისუფლება, დამოუკიდებლობა სჯობია. „ქართველებს არად მიაჩნით უბედურება, თუ აქვთ თვისთ ჰეროთ ქვეშ თავისუფლება!“ სანამ თავისუფლება აქვთ და „ირაკლი ვიღრე ჰყავთ ქართველთ, უბედურებაც ბედნიერ აქვანდეთ“.

ასეთია ერეკლეს ოპონენტის მიერ განვითარებული თვალსაზრისი. საკმარისია დავაკვირდეთ სოლომონის მსჯელობას, რომ ვაევაკეთოთ შემდეგი დასკვნა: მეფის კანცლერი კარგად ხედავს ქვეყნის რთულ საგარეო და საშინაო ვითარებას. ამიტომაც, რომ იგი აბსოლუტური დუმილით უცლის გვერდს ერეკლეს მიერ მოყვანილ იმ ექვს არგუმენტს, რომლის შესახებაც ზევით გვქონდა საუბარი. სოლომონს არც უცდია თუნდაც ერთი მათგანის (ნებისმი-

⁸ გიორგი XII ღრმა რწმენით ამბობდა თურმე: „ზაკითსა მოქმედებასა ინანებს ირანი, არ შერჩება ყანთა თფილისის აოხრება, და სისხლი მცხოვრებთა დაღვრილი აქა. ირანმა წაგვახდინა: რუსეთი გარდაუხდის მავიერსა ირანსა“ (მ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ტფილისი, 1936, გვ. 176).

ერი საბუთის) დარღვევა. ჩანს, საქართველოს საგარეო და საშინაო პირობების დახასიათებაში მსაჯული მთლიანად ეთანხმება მეფეს. ვასაგებიცაა: ერეკლეს შემდეგ სხვამ ვინ, თუ არა პირველ რიგში სოლომონ ლიონიძემ, იცის, რა გასაჭირი ადგას საქართველოს (აკი მეფეც ეუბნება: „შენ უწყვი ქართლის აწ ვითარება, მისი აწ ძალა, ყოფა-ცხოვრება“). მაგრამ სოლომონ ლიონიძეს, მეფისაგან განსხვავებით, მიაჩნია, რომ, მიუხედავად ასეთი რთული ვითარებისა, საქართველოს შეუძლია თავისი შინაგანი ძალებით გამოასწოროს მდგომარეობა და შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა. ამაში კი მსაჯული აშკარად ცდება. ასე იყო ისტორიულად და ასეა ბარათაშვილის პოემაშიც. აი, როგორაა შეფასებული თანამედროვე ისტორიოგრაფიაში სოლომონ ლიონიძის პოზიციები: „მისი (სოლომონ ლიონიძის — ვ. ვ.) აზრით, ქვეყნის გამოხსნა ირან-ოსმალეთის ძალადობისაგან საქართველოს შინაგანი, გაეროიანებული ძალებით შეიძლებოდა. ამიტომ იყო, რომ იგი თავგამოდებით ცდილობდა მეფე-მთავართა ერთმანეთთან დაკავშირებას და ქართველი ხალხის ძალების დარაზმვას ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი წყობილების შესაქმნელად. მიზნის მიღწევას იგი მეფე-მთავრებთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით ფიქრობდა. მას ეგონა, რომ აღვირახსნილი და კერძო ფეოდალურ-მთავრული ინტერესებით აღჭურვილი ფეოდალები შეიგნებდნენ საერთო-სახალხო ინტერესებისათვის ბრძოლის იდეას. ამ შემთხვევაში ლიონიძე ცდება: მისი აზროვნება ფეოდალური კლასის ჩარჩოებს ვერ გასცდა. მაგრამ ამ გზით ბრძოლასაც მაშინ უღიღესი მნიშვნელობა ჰქონდა“⁹.

დიახ, სოლომონ ლიონიძე უდავოდ გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე იყო და მის აქტიურ მოქმედებას ქვეყნის გაერთიანება-ცენტრალიზაციისათვის მართლაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მაგრამ საქართველოს ხსნა მაინც არავის და არაფერს არ შეეძლო. ნ. ბარათაშვილმა თავის პოემაში, გასაგებია, გვერდი აუარა სოლომონ ლიონიძის მცდელობას მეფე-მთავრებთან მოლაპარაკების გზით მიეღწია დასახული მიზნისათვის. პოეტმა უამისოდაც კარგად გვიჩვენა სოლომონის მსჯელობის უნიადაგობა. თბილისი მტრის მიერაა დაკავებული და მიწასთან გასწორებული, ხოლო მეფე და მისი მსაჯული სადღაც ზეობაში არიან შეხიზულნი. ასეთ პირობებში განა უნიადაგოდ, ჰაერში გამოკიდულად არ ისმის სოლომონის სიტყვები: „ჯერ სამაგისო რა გვემართება, რომ განვისყიდოთ თავისუფლება?“ (მეტი რა უნდა დამართოდათ?!). ვფიქრობთ, ესაა მეფის მრჩეველის, სახელოვანი კანცლერის მსჯელობის ყველაზე სუსტი მხარე.

მაგრამ მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას. სოლომონის თვალსაზრისს, რომ თავისუფლება, დამოუკიდებლობა სჯობია ყველაფერს, მხარს უჭერს და მთლიანად ეთანხმება სათნო სოფიო (მეუღლე მსაჯულისა): „უცხოობაში რაა სიამე, სადაცა ვერ ვის იკარებს სული და არს უთვისო, დაობლებული რა ხელ-ჰყრის პატვის ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული.. ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება, თუ მოაკლდება თავისუფლება?“

რომ თავისუფლება ადამიანის ცხოვრების უმაღლესი იდეალია, ეს არსად და არასდროს არ ყოფილა საკამათო. ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებაზე არც პოემაში დავობს ვინმე. ერეკლემ ძალიან კარგად იცის, რომ უცხოობაში

⁹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 869.

არაა სიამე, რომ სხვის ქვეშევრდომობაში ყოფნას საკუთარ „პერტ ქვეშ თავისუფლება“ სჯობია. ამიტომ იგი არც ერთხელ არ ეკამათება სოლომონს, ე. ი. არ ეუბნება, ამ საკითხში არ ხარ მართალიო. პირიქით, მთლიანად და უკრიტიკოდ ეთანხმება მას: „სულ მართალია, ჩემო სოლომონ“, ან კიდევ: „მე ეგ ყოველივ არ ვიცი განა?!“ მეფე სოფიოს არ შეხვედრია, თორემ ამ „სულისა ტოლ“ კეთილ მანდილოსანსაც ასევე დაეთანხმებოდა, მხურვალედ გადაეხვეოდა და გულწრფელად ეტყოდა: „პოი, დედანო, მარად ნეტარნო...“

ასე რომ, ამ სამი მოქმედი პირის (ერეკლე, სოლომონი, სოფიო) სახით პოემაში ნაჩვენებია სამი დიდი პატრიოტი, სამი ჭეშმარიტი მამულიშვილი, რომელთა სანუგეარო ოცნებაა თავისუფლება, დამოუკიდებლობა. მათ ერთნაირი ინტენსივობითა და ნამდვილი წრფელი გრძნობით უყვართ მამული, სარწმუნოება. გრძნობის მიხედვით ერეკლეს, სოლომონსა და სოფიოს შორის განსხვავება (მით უფრო წინააღმდეგობა) არ არის და არც იყო მოსალოდნელი. ბარათაშვილი ამ მხრივ თანაბარი სიძლიერით, უხვი პოეტური საღებავებით გვიხატავს თითოეულ მათგანს, მუხლს იდრეკს და ეთაყვანება ქართველთა ამ სახელოვან წინაბრებს. ვერ ხედავს რა მიკერძოებას რომელიმე საღმრთო, მკითხველი სიმპათიით იმსჯელებსა თუ იგივე მოპირდაპირე მხარის (ერეკლე — სოლომონ, სოფიო) მიმართ.

მაგრამ ერთია სასურველი, საოცნებო, ხოლო მეორე — მკაცრი სინამდვილე, აი თუნდაც ეს, რაც სულ ახლახან გადახდილმა კრწანისის ომმა დაგვიტოვა: ნანგრევებად ქვეული თბილისი („სახლნი — სამშობლო დანაცრებულან; მიდამო ხედავს უპატრონობას, აღოხრებასა და ნატამლობას! დუმილი სუფევს მის არემარე! მხოლოდ ბუბუბუტებს მტკვარი მწუხარე, შემრთველი მრავალთ სისხლთა ქართველთა. იგი გადარჩა მხოლოდ სპარსელთა!“)¹⁰, როგორც მე-18 საუკუნის მიწურულს საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარების ცოცხალი (და მასთან სიმბოლური) სურათი. სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ბედნიერებისათვის იბრძოდა ერეკლე მთელი ექვსი ათეული წელი, ამისთვის აელვებდა ხმალს, მაგრამ გადატყდა ეს ხმალი და აი, მეფე იძულებულია დათრგუნოს საკუთარი გრძნობები და შეეღიოს თავისუფლებას. ეს იყო ტრაგედია, რომელიც ულმობელმა ისტორიულმა სინამდვილემ არგუნა საქართველოს ნიჭიერ წინამძღოლს.

აქ გვინდა მოვყვანით ერთი ვრცელი ამონაწერი პ. იოსელიანის წიგნიდან. ფიქრობთ, ეს ამონაწერი კიდევ უფრო გასაგებს გახდის ერეკლეს განცდებს, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას რომ ახლდა: „მწუხუნებული მეფე (გიორგი. — ე. ვ.) სამეფოსათვის დაუწყნარებელისა შინა შფოთთაგან და მტერთა ლეკთაგან გაქლვისაგან, — ჰფიქრობდა და განიზრახავდა რუსეთისადმი ქვეყნისა გარდაცემასა. პატრმან ნიკოლა... მოახსენა მეფესა: „მკროპიისა მეფეთა ვერ უძლებს სამეფო შენი ტახტილი. წესდება მათი და ჩვეულება იქმნება სამძიმო თქვენთვის. დამონებული სხვათაგან მეფობა არის უბედური და მარადის სამწუხარო. სხვათაგან დამოკიდებული ქვეყანა იქმნე-

¹⁰ დროის ავბედობას მხოლოდ მტკვარი გადაურჩა, ხოლო მის ნაპირებზე გაშენებული ქალაქი მიწასთან გასწორდა. მსგავსმა კონკრეტულმა ფაქტმა შთააგონა ალ. ჭავჭავაძეს ლექსი „ვოგრა“ (1841 წ.); ოდესღაც აყვავებული ქალაქის ნანგრევები ამჟამად „ქმუნეთათა თვისთა მნახველთადა აზიარებენ. უდაბურება, მჭუმარება, არაარობა. თვალსა და გულსა კაციისასა სევდით ავსებენ“. ხომ არ ითამაშა ამ ნაწარმოების შექმნაში ერთგვარი როლი „ზედი ქართლისას“ ზემოდამოწმებულმა ადგილმაც?

ბა დაცინებული და საკიცხველი. უცხო ნათესავი, პატრონად ქვეყანისა მოყვანილი შეეჭმნება ერსა მტერად და მღვწენლად, და მაწუხებელად. მამაშვილური მთავრობა მეფეთა, — გარდაიქცევა მამინაცვლისა და დედინაცვლისა სახედ სიყვარულისა უგვანისა და ბუნებისაგან არაოდეს აღსარებულისა. რუსნი შემოიტანენ პირველადე მძიმესა უღელსა და დასდებენ ქვეყანისა კისერსა; მოითხოვენ დიდთა ხარკთა, რომელთაცა თქვენ ვერ შესძლებთ. მაშინ თქვენი მამულნი და ყმანი გაისყიდებიან ბარაბანითა და მკვდარნი თქვენნი დაიმარხებიან მუზიკითა“.

„— ჩემო პატრო! — უპასუხა მეფემან, — დავსუსტიდით, ვაჭრება ქრისტიანობა აქ ურუსთო. მეტად მოგვერია მტერი და რა მტერი? ქრისტესი. თუ არა მკლავი რუსთა ხელმწიფისა, ვერ ვინ დაცივამს საქრისტიანოსა. მესმის სიმძიმე რუსთა ჩემზედა ბრძანებლობისა. რა ვქმნა? ვის მივმართო? რა პასუხი ვავსცე ქრისტესსა! ვერ წავიწყებდ სულსა. შევსწირავ ცოლ-შვილსა და შევუდგები ქრისტესა და ჯვარისა თაყვანისმცემელთა მოვიყვან მწულ ქვეყანისა. ესე იყო სურვილი ძველთა მამა-პაპათა ჩემთა; და ეს იყო პაზრი მამისა ჩემისა და მეც დავადგრები მასზედ. ჩემი პირობები რუსეთისა მეფესთან, — საკეთილონი არიან ქვეყანისათვის“¹¹.

როგორ გვაგონებს ეს დიალოგი, პატრ ნიკოლასა და გიორგი XII-ს შორის რომ გამართულა, ერეკლე-სოლომონის იმ საუბარს, რომელსაც პოემამში ვისმენთ (ამასთან, აქ ერთხელ კიდევ ესმება ხაზი იმ ფაქტს, რომ გიორგი XII თავისი ახალი ტრაქტატით მამამისის — ერეკლე მეფის ნაანდერძებს აგვირგვინებდა). თბილი გულისა და მხურვალე პატრიოტული გრძობების გარდა ერეკლეს აქვს ცივი გონება და შექმნილი ვითარების ფხიზელი ანალიზის უნარი. სამშობლოს აწმყოსა და მომავალზე ფიქრში თითოად გათენებული მრავალი დამის, ყოველი საპირო წვრილმანის ასჯერ აწონ-დაწონის შემდეგაა ერეკლე რომ აყალიბებს იმ არგუმენტებს, რომელთაც ჩვენ ზევით გავეცანით და რომელთაგან სოლომონმა ვერც ერთი ვერ დაარღვია. მართლაც, მეფის თითოეული დებულება ისე ღრმადაა მოტივირებული, თანაც სათანადოდ ილუსტრირებული (კრწანისის ტრაგედიის კონკრეტული მაგალითებით), რომ ძნელია მათ რაიმე არსებითი დაუპირისპირო. ვანა სოლომონის მიერ წამოყენებული რომელიმე მოსაზრება აბათილებს ერეკლეს თუნდაც ერთ ნებისმიერ საბუთს? მეტიც, ერეკლეს მიერ საცხებით ნათლად დასმულ კითხვას — „მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის რა მოვავარო უმჯობეს ამის?“ — სოლომონმა დამატებით ვერაფერი უპასუხა და მხოლოდ ადრე ნათქვამი გაიმეორა. ვერ დააყმაყოფილა რა მიღებულმა პასუხმა, მეფემ იგივე კითხვა უფრო კატეგორიული ტონით ხელმეორედ დაუსვა მსაჯულს: „მაგრამ, აბა, თქვე, ქართველთა რა ჰყონ ამ უბედობის და დარღვევის დროს? აბა, ირაკლიმ რა მოავაროს მშვიდობისათვის საყვარელთ ყმათა?“ მაგრამ სოლომონი მას ამჯერად აბსოლუტური დუმილით შეხვდა (დუმილი ზომ თანხმობის ნიშანია?!). ასე რომ, საუბარს იწყებს და ამთავრებს მეფე. მსაჯულს სათქმელი უკვე აღარაფერი აქვს. მოკლედ, სოლომონი გამოტეხილად, გულახდილად ეუბნება ერეკლეს, თუ რა არ უნდა გააკეთოს, მაგრამ ვერაფერს ურჩევს, თუ რა გააკეთოს, როგორ მოიქცეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მსაჯული იწუნებს მეფის წინადადებას რუსეთის ქვეშევრდომობაზე, მაგრამ ვერ გვთავაზობს სხვა უკეთესს.

¹¹ პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 154.

მაგრამ ერეკლესთან დაცილების შემდეგ მარტო დარჩენილი სოლომონი თავის თავთან განაგრძობს საუბარს. ღრმად უფიქრდება რა ყველაფერ იმას, რაც ამ ცოტა ხნის წინ მოისმინა, ამბობს: „მაგრამ ვინ იცის! იგი იქნება უკეთ ფიქრობდეს, რაც გვეჭირება: ბევრჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის გონება ყმათა ვერა მიხედების!“ როგორც ვხედავთ, მსაჯული, რომელსაც უკვე ეჭვი ეპარება საკუთარი პოზიციების სისწორეში, მეფის მიმართ აშკარა კომპრომისზე მიდის.

სოლომონში მომხდარი ეს „გარდატეხა“ ფსიქოლოგიურად ადვილი ასახსნელია: ერეკლესთან კამათში იგი ხომ წინასწარ ვაფრთხილების, ასე ვთქვათ, სათანადო მომზადების გარეშე ჩაება. სანამ მეფის პირისპირ იდგა, მას საშუალება არ ჰქონდა საფუძვლიანად ჩაჰკვირებოდა თანამოსაუბრის არგუმენტებს, და მხოლოდ იმას ამბობდა, რასაც გრძნობდა (გული კარნახობდა). მაგრამ ახლა, როდესაც, ბუნების წიაღში მარტო მყოფს, ფიქრებში ხელს არავინ უშლის, განსჯის, ანალიზის უკეთესი პირობები აქვს. ამის შედეგია ზემოთმოყვანილი გონივრული დასკვნაც, სადაც მეფის გადაწყვეტილება მიჩნეულია „ღვთიურ ზრუნვად“ ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე.

ასეთია ის პოზიციები, რომელიც „ბედი ქართლისაში“ უკავიათ მე-18 საუკუნის საქართველოს გამოჩენილ მოღვაწეებს — მეფე ერეკლესა და სოლომონ ლიონიძეს. ჩვენ, რაც შეიძლება, სრულად და ობიექტურად მიმოვიხილეთ ორივე მხარის არგუმენტები. ღრმად ვართ დარწმუნებული და, ვფიქრობთ, ამაში მკითხველიც დაგვეთანხმება, რომ ერეკლე მეფის მიერ წარმოდგენილი საბუთები შეუღარებლად უფრო ძლიერი და ლოგიკურია, ვინემ მისი ოპონენტისა (აქ სასხვათაშორისოდ გვინდა შევინშნოთ შემდეგი: ერეკლე-სოლომონის კამათში პირველს ვაცილებით მეტი სიტყვიერი მასალა ეძლევა — 73 სალექსო სტრიქონი, ვინემ მეორეს — 30 სტრიქონი. არა გვგონია, ეს შემთხვევით იყოს). და განა შეიძლება ყოველივე ამის შემდეგ სერიოზულად ვამტიკოთ, რომ „სოლომონ ლიონიძის არგუმენტები არაფრით ჩამოუვარდება ერეკლესას, პირიქით, იგი უფრო მძლავრადაც დაგვესახება“. როგორც „ბედი ქართლისას“ ანალიზმა დაგვარწმუნა, მასში სრული სიცხადითაა ნაჩვენები, რომ სიმართლე ერეკლეს მხარეზეა, ვინაიდან მისი არგუმენტები ბევრად უფრო ძლიერი, ლოგიკური და შეუვალია.

პოემას წითელ ზოლად ვასდევს ერეკლე მეფისადმი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა. ერეკლესა და მის ქვეშევრდომთა მამაშვილური სიყვარულის ჩვენებას („შენი გამჩენის ჭირიმე, შენი...“) მოსდევს პოეტის ალტაცებული შეძახილი (ლირიკული წიაღსილა): „ნეტარ მეფისა გულს მამობრიულს, ოდეს მოყმენი, ვით მამას შეილნი, განუცხადებენ თავისს სიყვარულს“. ასეთ სიყვარულსა და ერთგულებას დიახაც რომ იმსახურებს პატარა კახი. ნაწარმოებში ერეკლე დახატულია როგორც ხალხთან ახლო მდგომი გონიერი მმართველი, „ვითა მამა კეთილი, რომელსა სურს, რომ თავისი შვილი თვის სიცოცხლემივ დაასახლაროს“¹². აღსანიშნავია, რომ კრწანისის

¹² ეს „მამა კეთილი“ იგივე ის „კეთილი მეფეა“, რომელიც პოეტმა წარმოგვიდგინა ლექსში „ფიქრნი მტკერის პირას“ (დაწერილია 1837 წელს, პოემაზე მუშაობის დაწყების ახლო ხანებში): „თუღდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული? მისი სიცოცხლე — ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული; მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა ღროს არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!“

ველზე დამარცხებით თავზარდაცემული, აფორიაქებული ერეკლეს ფიქრები ისევ და ისევ საყვარელ მოყმეებს დასტრიალებს. მეფეს გულით სწაღია, შეიტყოს „კახთა საჭიროება“, სცნას „პაზრთა მათთა აწ ვითარება“.

ერეკლესადმი ღრმა საყვარულისა და პატივისცემის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ის პროლოგი (თუ შესავალი ნაწილი) — მიმართვა კახელებისადმი („კახთა მიმართ“), რომელსაც ნაწარმოების გაგებისათვის, ცხადია, გარკვეული ფუნქცია აქვს დაკისრებული (პროლოგი ხომ მხატვრული თხზულებისათვის ისაა, რაც უვერტიურა ოპერისათვის):

„მანო კახელნო, ნამდილ ქართველნო, მოლხინე სულით,
 თქვენში აღზრდილა პატარა კახი მეფედ და გმირად;
 თქვენ გიყვართ მისთა ღრთთა ხსენება მხურვალეს გულით,
 როს თქვენებრ მღზენი ველინებოდა მტერსაც გამგმირად!
 და რაც საყვარლის ჩენის ირაკლის ქამან მეფობის
 მოუვლინა აწ გამოხატვას ჩემს ყმაწვილობის,
 მეც, მანო, კახნო, თქვენ შემოგიძღვინო მას არმალანად,
 ერთსულობისა, ვეფაცობისა, ღონის საგანად“.

მიეაქციოთ ყურადღება ხაზგასმულ სიტყვებს (ხაზი ჩენია). აქ საუბარია პატარა კახზე, როგორც მეფესა და როგორც გმირზე, ე. ი. პროლოგში ერეკლე შექებულია როგორც პოლიტიკოსი (მეფე) და როგორც უებრო მეთომარი, ნიჭიერი სარდალი (გმირი). თუმცა „გმირი“ აქ მარტო კარგ მებრძოლსა და სარდალს არ ნიშნავს, არამედ უფრო ფართო გაგებითაც (ეროვნული გმირის მნიშვნელობითაც) არის ნახმარი. და მართლაც, შემდეგ ნაწარმოებში შესანიშნავადაა ცხადყოფილი ის, რაც დასაწყისში დეკლარაციულადაა განცხადებული: ერეკლე მკითხველს წარუდგება ბრწყინვალე მებრძოლად, სწორუბოვარ სამხედრო სტრატეგად და ასეთივე დიდებულ პოლიტიკოსად, რომელიც რეალურად აფასებს შექმნილ მდგომარეობას.

მოკლედ, პროლოგში ხოტბამესხმული მეფე მეფური შარავანდდით, მთელი თავისი მომხიბვლელობითა და სიდიადით დგას ჩვენ წინაშე პოემის პირველი წინადადებიდან უკანასკნელ წერტილამდე. მეფის ფიქრი და ზრუნვა პეშმარტად რომ მეფურია, ღრმა და „ღვთიურია“, იმდენად ღრმაა, რომ ხდება ხოლმე ასედაც: „ბევრჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის გონება ყმათა ვერა მიჰხედების!“ ეს მარტო ნ. ბარათაშვილის შეხედულება არაა. ასე ფიქრობდნენ პოეტის თანამოაზრეები (და არა მარტო თანამოაზრეები). ჩანს, ესაა ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, კერძოდ ალ. ჭავჭავაძის სალონში, გაბატონებული თვალსაზრისი. მოუესმინოთ ამ სალონის ერთ-ერთ წევრსა და პოეტის ინფორმატორს პ. იოსელიანს: „მეფეთა ისტორია მეფემან უნდა ჰსწეროსო, — ხშირად მეტყოდა მეფის ძე თეიმურაზ¹³. თქმასა ამას

ეპეს გარეშეა, რომ აქ „კეთილ მეფედ“ ნაგულისხმევია სახელდობრ ერეკლე II. ორივე ნაწარმოებში ერეკლე გამოყვანილია მამულისა და შვილთა (ე. ი. ქვეშევრდომთა) ბედნიერ მერმისისათვის მზრუნველის როლში. როგორც ლექსში („ფიქნი მტკვრის პირას“), ისე პოემაში ერეკლეს უპირისპირდება ბოროტი მეფე, მუდამ სხვისი სამეფოს დაპყრობის მოწადინე, „თვის დიდებისათვის სისხლთა აღმჩქეფე“ (ცნობილია, რომ კეთილ და ბოროტ მეფეთა შეპირისპირებით დახასიათების ტრადიცია ქართულ მწერლობაში შ. რუსთაველიდან მოდის).

¹³ ესაა ცნობილი მეცნიერი, პირველი ქართველი აკადემიკოსი თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონი (1782—1846).

აქუს თავისი ჰაზრი, ძალი და მნიშვნელობა. მეფემან, უეჭველად, უკითხვის, რასა რაისთვის იქმს. ჩვენ მწერალნი, არა მეფენი, ადვილად შევსაცდებით საქმეთა მომდინარეობისა კულზედ და გზაზედ; ადვილად ვერ ვპოვებთ მიზეზთა, რომელთაცა აწარმოეს ანუ ამიზეზეს საქმე რაიმე¹⁴.

და მართლაც, დრომ, მომავალმა სავსებით დაადასტურა ამ შეხედულების სისწორე და ჭეშმარიტება. ერეკლეს „ღვთიურმა“, ხელმწიფურმა აზრმა, აავიდან რომ ბევრი ვინმესთვის გაუგებარი და დამაეჭვებელი იყო, საბოლოოდ სიკეთე და ბედნიერება („ტკბილი ნაყოფი“) მოუტანა საქართველოს:

„აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აჲ ჰაზრი შენი
 და ესკაშთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აჲ შენი ძენი!“

ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“, საიდანაც ეს სტრიქონებია ამოღებული, დაწერილია 1842 წელს. რუსეთთან საქართველოს შეერთების დადებითი შედეგები ამ დროისათვის უკვე სახეზე იყო და პოეტი აქ სწორედ ამ შედეგებზე აკეთებს აქცენტს.

გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ დამოწმებული ლექსის შემდეგ ტაეპებს:

„თავანს ვსცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს!
 გახსოვს, სიკვდილის ეამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს?“

სამეცნიერო ლიტერატურაში არავის დაუფასეს კონკრეტული კითხვა, თუ სახელდობრ რომელ ანდერძზეა საუბარი ლექსში. ჩვენი ღრმა რწმენით, აქ იგულისხნება ერეკლეს მიერ სწორედ სიკვდილის წინ („სიკვდილის ეამს“) ნათქვამი, ნაანდერძევი (ანდერძს ჩვეულებრივ სიკვდილის წინ ტოვებენ)¹⁵. აქ იგულისხმება კრწანისის ომის შემდეგ უკვე ღრმად მოხუცებული მეფის დანაბარები, რომელიც მისმა შვილმა „გაალრმავეა“ და 1799 წლის ქვეშევრდომობითი ტრაქტატით დაავიროვინა. ჩვენ ვიცით, თუ კრწანისის ტრაგედიამ რა ახალი ჩანაფიქრი გაუჩინა ერეკლეს და სანამდის მიიყვანა ამ ჩანაფიქრმა (და აგრეთვე კიდევ უფრო გართულებულმა სავარეო და საშინაო პირობებმა) გიორგი XII. აქ გვინდა მკითხველს შევახსენოთ შემდეგი: პ. იოსელიანის მონოგრაფიაში, როგორც ვიცით, არაერთხელაა ხაზგასმული, რომ გიორგი მეფე მამის გზას მიჰყვებოდა, ერეკლეს ანდერძ-დანაბარებს ასრულებდა (იხ. „ცხოვრება...“ გვ. 154, 175, 194 და სხვ.). თავის მხრივ გიორგი XII-ს გარდაცვალებამდე (გარდაიცვალა 1800 წ. 28 დეკემბერს) ერთი კვირით ადრე (22 დეკემბერს) უთქვამს: რუსეთის იმპერატორისათვის „ჩამიზარებია ანდერძად ცოლ-შვილი ჩემი და საქართველო“¹⁶ (ცხადია, რუსეთის იმპერატორს გულისხმობდა როგორც მფარველს, პატრონს); ხოლო გარდაცვალების წინა დღეს (27 დეკემბერს) დასძინა თურმე: „რუსთა ხელმწიფესა ვუტევებ პატრონად ქრისტიანობისა“¹⁷. ეს მართლაც „სიკვდილის ეამსა“ ნათქვამი (ამის

¹⁴ პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 284.

¹⁵ „ანდერძი — მოკვდავთვან ღარიგება“ (საბა, ტ. IV, გვ. 60); „ანდერძი — გარდაცვალებულის მიერ სიცოცხლეშივე ზეპირად ან წერილობით გამოთქმული სურვილი (დანაბარები), მისი სიკვდილის შემდეგ შესასრულებელი“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, გვ. 497).

¹⁶ პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 209.

¹⁷ იქვე, გვ. 212.



შემდეგ კიდევ უფრო გასაგები გახდება ნ. ბარათაშვილის ლექსიდან შემოდამოწმებული სტრიქონები).

მართალია, თავისუფლება, დამოუკიდებლობა სჯობია ყველაფერს, ესაა ადამიანის ცხოვრების უმძლესი იდეალი (ამას ქადაგებს „ზედი ქართლისას“ სამივე მოქმედი პირი: ერეკლეც, სოლომონიც, სოფიოც. გვევება ნათქვამი ლექსშიც „სუმბული და მწირი“ — 1842 წ.), მაგრამ იმ კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში, რომელიც მე-18 საუკუნის მიწურულს საქართველოში შეიქმნა, ერთადერთი გონიერული გადაწყვეტილება იყო ის, რაც ერეკლეს ანდერძის თანახმად გიორგი XII-მ მიიღო. მარქიზმ-ლენინიზმი გვასწავლის: ისტორიაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას კი არა, თუ რა მოხდა, არამედ იმას, თუ რა შედეგები მოჰყვა ობიექტურად ამა თუ იმ აქტს. შედეგები კი განუზომლად დიდია. რუსეთმა დაიცვა გარეშე მტერთაგან აწიოკებული საქართველო. „ვის შეეძლო ქართველთა სამეფოსა დაცვა, გარდა რუსთა“, — წერს პ. იოსელიანი „ცხოვრებაში“ (გვ. 247). ეს კარგად, ძალიან კარგად ესმის ნ. ბარათაშვილსაც. სხვათა შორის, პოემაში ერეკლე ამბობს: „ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფებოა“ (საყურადღებოა: „დაიცავს“ და არა „დაიპყრობს“). ეს მართლაც ასე მოხდა და აი, ერთ-ერთი არსებითი ხასიათის დადებითი შედეგიც:

„სიღაც აქამდინ ზმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი
აწ არაა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა,
ვერა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველვა;
შავის ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,
აწ მოგვიგვირან მრავალის მხრით ჩვენთა მომძეთა!“

დიახ, მეფის ბრძნული გადაწყვეტილება, რაც თავის დროზე (მე-18 საუკუნის მიწურულს და შემდეგშიც ერთხანს) ჯერ კიდევ ყველასათვის არ იყო გასაგები (ბევრის გონება ვერა მიხვდა) და აზრთა შეხლა-შემოხლის მიზეზი ზღებოდა, 40-იანი წლებისთვის უკვე ადვილად მისახვედრია:

„აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძ-ნამავსა“¹⁸.

ეს ყველაფერი ნათქვამია ლექსში. მაგრამ ახლა ასეთი კითხვა გვებადება: არის თუ არა თვითონ პოემაში რაიმე მინიშნება რუსეთთან საქართველოს შეერთების დადებით შედეგებზე (სახელდობრ შე დე გე ბ ზ ე)? ვფიქრობთ, რომ არის. აბა, კარგად დავაკვირდეთ: მთიულეთიდან მობრუნებულმა ერეკლემ მტრის მიერ დაქველვადანაცრებული ქალაქი ისევ აღადგინა, „თუმცა აღრინდელს მრავალი აკლდა“. საქართველოში მშვიდობიანობა დამყარდა და აი, დასვენებულმა და ღონემოცემულმა ქვეყანამ ახალი ძალით შეუტია მაჰმადიან აგრესორებს:

„წარვიდენ წელნი მოსვენებისა
და კვლავ ირაკლიმ ზრმალი ბრძოლისა
აღიღო ლეკთა შესამუსვრელად!
არც სპარსნი მორჩნენ დაუმარცხებლად.
სიბერის ეჟმსა მოიცა ძალი
და შეაჩრწუნა კვლად ოსმალის;
კვლავ ასახელა თავის სახელი“.

¹⁸ „ანდერძნამავი — ანდერძის წიგნი“ (საბა, ტ. IV, გვ. 60).

ეს სტრიქონები, ცხადია, პირდაპირი აზრით არ გაიგება, ანაქრონიზში. აქ ნავულისხმევია ის ბრძოლები, რასაც მოგვიანებით (1801 წ. ცნობილი აქტის შემდეგ) რუსეთის რეგულარული არმია აწარმოებდა (ქართველთა აქტიური მონაწილეობით) საქართველოს დაუძინებელი მტრების წინააღმდეგ და რასაც შედეგად მოჰყვა ჩვენი ქვეყნის ისტორიული საზღვრების აღდგენა-გაფართოება (თუმცა დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის დაკარგვა დარჩა ტკივილად. „მაგრამ ამო იყო ყოველი: დიდი ხანია გულს ირაკლისა გარდუწყვეტია ბედი ქართლისას!“ აი, ეს ტკივილი იყო, რომ აწუხებდა შემდეგ „მგზავრის წერილების“ ავტორს).

როგორც ცნობილია, საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის იდეა რუსეთის განმთავისუფლებელ როლს სწორედ ერეკლემ დაუკავშირა. მეფის ეს ჩანაფიქრი პერსპექტიული ჩანდა, ვინაიდან რუსეთისა და საქართველოს ინტერესები ამ შემთხვევაში (უფრო სწორად: ამ შემთხვევაშიც) საესტაბლიშმენტო ემთხვეოდა ერთმანეთს. და მართლაც, 1783 წლის ტრაქტატის პირობით იმპერატორი უნდა დახმარებოდა საქართველოს მაჰმადიან მეზობელთაგან მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნების საქმეში¹⁹. ასე რომ, პოეტს ჰქონდა უფლება ერეკლესათვის, ქართველი ხალხის ეროვნული გმირისათვის მიეწერა თურქ-სპარს-ლეკთა შემუსვრა-შეძრწუნების სასიხარულო ფაქტი (ბოლოს და ბოლოს ესეც ხომ ერეკლეს მიერ გადადგმული გონივრული პოლიტიკური ნაბიჯის, ბრძნული „ნანადერძების“ ნაყოფია). ამნაირი უფლებით სარგებლობს ნ. ბარათაშვილი აგრეთვე ლექსში „ომი საქართველოს თავად-აზნაურ გლეხთა...“ (1844 წ.), სადაც XIX ს. 40-იანი წლების კავკასიურ ომებს „წარმართავს“ ერეკლე მეფე თავისი ქართული მხედრობით (და არა იმპერატორი რუს-ქართველთა გაერთიანებული ძალებით)²⁰.

მოკლედ, ყველაფრიდან ჩანს, რომ ნ. ბარათაშვილი მხარს უჭერს და ამართლებს საქართველოს უკანასკნელ მეფეთა გადაწყვეტილებას ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში. ზემოგანხილული ნაწარმოებები „არავითარ საფუძველს არ იძლევა განვაცხადოთ, რომ თითქმის ნიკოლოზ ბარათაშვილი ერეკლეს ორიენტაციის მომხრე არ იყო. პირიქით, სხვა ქართველ მოწინავე მოაზროვნეებთან ერთად, ბარათაშვილი მთელი არსებით გრძნობდა ერეკლეს ბრძნული აზრის ქეშმარიტებას“²¹. და მართლაც, ერეკლე მეფისა და გიორგი XII-ის გადაწყვეტილებათა შეფასების საკითხში „ბედი ქართლისას“ ავტორს ეთანაზრებოდნენ სხვა მოღვაწეებიც. მოუწმინოთ ალ. ჭავჭავაძეს: „მიზნად ისახავდა რა თავისი ხალხის სახელისა და სარწმუნოების დაცვას, გიორგისათვის ძნელი არ იყო გადაწყვეტა იმისა, თუ რომელი თავისი მეზობელი სახელმწიფოსათვის უფრო ხელსაყრელი იყო ჩაებარბინა თავი-

¹⁹ შდრ. მ. დუმბაძე, ცარიზმის ბატონობის განმტკიცება, საქართველოს ისტორიულ-მიწა-წყლის შემოერთება, წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, IV, გვ. 874—889; ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801—1921 წწ., თბ., 1980, გვ. 11—13; ი. ცინცაძის, ლ. ეზნაიძის, გ. პაიჭაძის, ვ. მაჭარაძისა და სხვათა შრომები.

²⁰ აქ, ძმანო, — მიმართავს პოეტი დაღესტანში მეზობელ თანამეზამულებს, — ნუ თუ ჩრ გესმით მეფის ირაკლის ხმა მადლით? გიხმობთ: „ქართველნო, ჰე, შაბაშ! კურთხევა თქვენდა ზე მადლით“²².

²¹ გ. ჯიბლაძე, ბარათაშვილის პოეტური გენია, გვ. 391. იხ. აგრეთვე დამოწმებულ წიგნზე დაბეჭდილი ჩვენი რეცენზია: „როცა შემოქმედებითი გატაცება“ (ვახ. თბილისი“, 1969 წ., № 46).



სი ერის მომავალი. მან მიმართა რუსეთს, იცოდა რა ქართველებს ძველთაგანი მისწრაფება მისდამი, და არც შემცდარა არჩევანში²². ასე ფიქრობდა პ. იოსელიანიც. მხოლოდ ზემოდასახელებულ მოღვაწეთა შორის მაინც არის განსხვავება. პ. იოსელიანი ხოტბას ასხამს მეფის რუსეთის მმართველობას და „ამართლებს გიორგი მეთორმეტის პოლიტიკას საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში“ (ა. ვაჭარელია). ალ. ჭავჭავაძე და ნ. ბარათაშვილი კი მომხრენი იყვნენ რუსეთის მფარველობაში ჩვენი ქვეყნის შესვლისა მხოლოდ მეგობრობითი პირობების საფუძველზე. ამ მეგობრობით მოგებული რჩებოდა არა მარტო საქართველო, არამედ რუსეთიც. მცდარია „ის აზრი, — წერს ალ. ჭავჭავაძე, — თითქოს რუსეთისათვის საქართველო უსარგებლო რამ ყოფილიყოს“ (თხზულებანი, გვ. 253). ამას ამბობს ნ. ბარათაშვილიც: „მათი (რუსეთში გადახვეწილ ქართველთა. — ვ. ვ.) ცხოველი, ტრფიალებით აღსაესე სული უღნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული“ (როგორც ვხედავთ, ორი დიდი ქართველი რომანტიკოსის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი აქაც ემთხვევა ერთმანეთს).

ქართული რომანტიზმის ცნობილ წარმომადგენლებს კარგად ესმოდათ რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესული მნიშვნელობა, მაგრამ ისინი ასევე კარგად ხედავდნენ მუდლის მეორე მხარესაც და მუდამ უკომპრომისო პრინციპულობით იბრძოდნენ მეფის რუსეთის უხეში კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ. ალ. ჭავჭავაძეს, ნ. ბარათაშვილსა და იმდროინდელ სხვა პროგრესულ მოღვაწეებს არასდროს არ დაუთმიათ თავიანთი პატრიოტული პოზიციები²³.

ვასაგებია, რომ ნ. ბარათაშვილი, რომელიც პოემებზე მუშაობისას უხვად სარგებლობდა პ. იოსელიანის მიერ მოძიებული მასალებით (ისტორიული საბუთებით, მეცნიერული ჩანაწერებით, პირადი გადმოცემებითა და სხვ.), არ იზიარებდა „ცხოვრების“ ავტორის მონარქისტულ თვალსაზრისს (ესეც იყო, ალბათ, მიზეზი იმისა, რომ პ. იოსელიანი ზოგჯერ ნ. ბარათაშვილის გაკილვის ობიექტი ხდებოდა).

დასკვნა. შემთხვევითი არაა, რომ ნ. ბარათაშვილმა ერეკლე მეფის მიერ გადახდილი 64 ომიდან თავისი პოემის ქარგად შეარჩია მაინცდამაინც ის (ერთადერთი), რომელიც ქართველთა დამარცხებით დამთავრდა. ესაა შეგნებულად გადადგმული ნაბიჯი, რომლის მიზანია თვალნათლივ დაანახვოს მკითხველს მწარე სინამდვილე: საქართველოს სასიცოცხლო ძალები დაშრეტლია და, მაშასადამე, საჭიროა გამოინახოს გადარჩენის გზა.

საქართველოს მაშინდელი მღვთმარეობა შესანიშნავადაა დახასიათებული ერეკლეს მიერ იმ ექვს არგუმენტში, რომელთაგან პირველი სამი ეხება ქვეყნის საგარეო ვითარებას, ხოლო დანარჩენი სამი — საშინაო პირობებს. შე-

²² ალ. ჭავჭავაძე, საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი..., „თხზულებანი“, თბ., 1940, გვ. 243.

²³ თუ არ ვცდებით, XIX ს.-ის ქართულ მწერლობაში ნ. ბარათაშვილია პირველი, რომელმაც მწვავედ გაიკცხა ზოგიერთი გადაგვარებული თანამემამულე: „ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ გარდაუცვალა მათ გული ცხოველი“ „ქანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს, ოღონდ ვაამოთ ჩვენს საყუთარს გულს; რის ქართველობა, რა ქართველობა! მითომ რას გვავენებს უცხო ტომოზა?“ ესაა სატირა, ლირიკის ერთ-ერთი ენარი, რაც „გადაგვარების მოსურნეთა“ (აკაკის სიტყვებით) სამხილებლად ფართოდ გამოიყენეს შემდეგ ჩვენმა საზოციანოებმა.

ქმნილი ვითარებიდან გამოსავალი არის რუსეთის ქვეშევრდომობა, — ამბობს მეფე და ამ გადაწყვეტილების გასამართლებლად კიდევ ოთხ არგუმენტს იშველიებს.

ერეკლესაგან განსხვავებით, სოლომონ ლიონიძეს მიაჩნია, რომ საქართველოს შეუძლია თავისი შინაგანი ძალებით გამოასწოროს მდგომარეობა და შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა. ამაში კი მსაჯული აშკარად ცდება (ასე იყო ისტორიულად, ასეა პოემაშიც).

ერეკლეს მიერ წარმოდგენილი საბუთები, რომელიც შექმნილი ვითარების რეალისტურად შეფასებას ემყარება, შეუღარებლად უფრო ძლიერი და შეუვალაია, ვინემ მისი ოპონენტისა. მეფის ლოგიკურმა მსჯელობამ ბოლოს და ბოლოს სოლომონსაც დაახვეინა უკან და ერთგვარი კომპრომისის გზაზე დააყენა, დაეჭვა თავისი პოზიციების სისწორეში.

სოლომონის თვალსაზრისს, რომ თავისუფლება, დამოუკიდებლობა სკობა ყველაფერს, ერეკლეს იზიარებს, სავსებით ეთანხმება. მაგრამ ერთია სასურველი, ხოლო მეორე — მკაცრი სინამდვილე. იმ კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში, რომელიც მე-18 საუკუნის მიწურულს შეიქმნა, ერთადერთი გონიერული გადაწყვეტილება იყო ის, რაც ჯერ ერეკლემ მიიღო, ხოლო შემდეგ მისი ანდერძის თანახმად გიორგი XII-მ გააკეთა.

პოეტი ამართლებს ერეკლეს გადაწყვეტილება-ანდერძს („სიკვდილის ქამს რომ უთხრა ქართლს დაობლებულს“). ეს ჩანს როგორც „ბედი ქართლისაში“, რომელსაც თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს პატარა კახისადმი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გრძობა, ისე განსაკუთრებით ლექსში „საფლავი მეფისა ირაკლისა“, რომელშიც შეჯამებულია საქართველოს რუსეთთან შეერთების ოთხი ათეული წლის შედეგები. ვფიქრობთ, ამ დადებით შედეგებზეა, კერძოდ, საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენა-გაფართოებაზე, მინიშნება თვითონ პოემაშიც, როდესაც საუბარია ერეკლე მეფის მიერ თურქ-სპარს-ლეკთა შემუსვრა-შეძრწუნების შესახებ.

В. А. ВАХАНИЯ

К ИНТЕРПРЕТАЦИИ ПОЭМЫ Н. БАРАТАШВИЛИ «СУДЬБА ГРУЗИИ»

Резюме

Нельзя считать случайным, что из 64 сражений, проведенных царем Ираклием II, Н. Бараташвили положил в основу своей поэмы именно то единственное, которое закончилось поражением грузин. Поэт стремился показать читателю горькую действительность: жизненные силы Грузии иссякли и, следовательно, нужно искать пути, ведущие к спасению.

Положение Грузии того времени точно охарактеризовано в тех шести аргументах, выдвинутых царем Ираклием, из которых три касаются внешнеполитической обстановки, а остальные три — внутренних условий. Выход из создавшегося положения царь видит в принятии российского подданства и в оправдание этого решения приводит еще четыре аргумента. В отличие от Ираклия, царский советник Со-

ლომონ ლიონიძე считает, что Грузия в состоянии исправить положение собственными силами и сохранить независимость.

Соображения царя Ираклия, основанные на реалистической оценке создавшейся обстановки, гораздо более убедительны и неопровержимы, чем аргументация его оппонента (логическое рассуждение царя в конце концов заставляет и Соломона отступить и усомниться в правильности своих позиций). В конкретной исторической ситуации, сложившейся в конце 18 века, единственно разумным было решение Ираклия, осуществленное в соответствии с его завещанием Георгием XII. Поэт оправдывает завет царя Ираклия. Это видно и в «Судьбе Грузии», и, особенно, в «Могиле царя Ираклия», подводящем итоги сороколетию со дня присоединения Грузии к России. Думаем, что на эти положительные результаты содержится намек в самой поэме, когда речь идет об уничтожении царем Ираклием мусульманских захватчиков.

ა. მ. გორკის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ვახანიაშვილმა

დოქტორი სლიმენიაკი

მაბაღლი და მაღალი შაირის დაპირისპირების ფუნქციონატორის
 მემფისიტაოსანში

რუსთაველის პომას და მისი ზეგავლენით შექმნილ სხვა ეპიკურ თხზულებებს ახასიათებს უნიკალური „ბიმეტრული“ კომპოზიცია, რომელიც ეყრდნობა დაბალი და მაღალი შაირის კარედების მონაცვლეობას¹.

ამგვარი კომპოზიციის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც პოლიმეტრული კომპოზიციის², ასევე საერთოდ მეტრისა და სემანტიკის ურთიერთობის გამოკვლევის თვალსაზრისით. ბუნებრივი ზდება აღნიშნული საკითხის შესწავლის დროს ლექსთმცოდნეობის ხსენებულ მიმართულებათა მიერ გამომუშავებული მეთოდების გამოყენება. თანამედროვე ლექსთმცოდნეობის და სტილისტიკის არსებით მიღწევას წარმოადგენს მეტრის სემანტიკის დარგში თიეტურული სტატისტიკური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა (ტრადიციულად ასეთი მიდგომა გამოიყენება მხოლოდ ლექსის ფორმალური შესწავლის დროს)³. როგორც ჩანს, აღნიშნულ დარგში გამოკვლევის ზუსტ მეთოდებს უკვე შეუძლიათ შეცვალონ ინტუიტიური დაკვირვებანი, რომლებსაც, რამდენადაც დამაჯერებლად უნდა მოჩანდნენ ისინი, მაინც მხოლოდ ვარაუდების ღირებულება აქვთ⁴. ამიტომ პირვანდელ ამოცანად ჩვენ ვთვლით ინტუიტიურ დონეზე თითქოს ცნობილ დებულებათა შემოწმებას, რის შემდეგ მხოლოდ მკვლევარს შეუძლია გადავიდეს ახალი ფაქტების ძებნაზე.

წინამდებარე წერილში ჩვენ ვცდილობთ დაბალი და მაღალი შაირის დაპირისპირების ფუნქციის შესახებ არსებული ძირითადი ვარაუდების „თარგმნას“ რაოდენობრივ შეფარდებათა ენაზე. გასინჯული იქნება აგრეთვე ერთი კანონზომიერება, რომელზეც ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში ყურადღება მიქცეული არაა. ბოლოს განხილულია გამოყოფილი ფაქტორების შეფარდებითი ძალა და მათი დამოკიდებულება ერთმანეთისადმი.

დაბალი და მაღალი შაირის დაპირისპირების სემანტიკურ ფუნქციებზე ჯერ ოცდაათიან წლებში ყურადღება მიაქციეს ვ. ბერიძემ და პ. ბერაძემ⁵. ვ. ბერიძის აზრით, „მაღალი ანუ ჩქარი შაირი შოთას უპირატესად გამოყენებული აქვს მაშინ, როდესაც მდგომარეობა, საქმის ვითარება დაუყოვნებლივ მოქმედებს მოითხოვს; ამავე შაირით გადმოცემულია უფრო ხშირად მხიარული, სალაღობო სცენები.

დაბალი ან ნელი შაირი, პირიქით, უპირატესად გამოყენებულია მაშინ, როცა მოსაწყენი, სევდის მომგვრელი სურათებია მოცემული, აგრეთვე მძიმე, სერიოზული საკითხებია გადასაწყვეტი, ანდა ეპიკური თხრობაა გადმოსაცემი⁶.

ფაქტობრივად ვ. ბერიძე აღმრავს ორ ძირითად დებულებას: 1. მაღალი შაირი უფრო დინამიკურია, დაბალი — უფრო სტატიკური. 2. მაღალი შაირი დაკავშირებულია მხიარულ განწყობილებასთან, დაბალი — სევდიან განწყობილებასთან.

თავისი აზრის დასამტკიცებლად ვ. ბერიძეს მრავალი მაგალითი მოჰყავს.



ქართული
ენის ინსტიტუტი
თბილისი

ვ. ბერიძის თვალსაზრისს ეთანხმება აგრეთვე პ. ბერაძე. „(მაღალი) შაირის ლექსი... უფრო ცხოველი და დინამიკურია, ვიდრე გრძელი შაირი. ამიტომაც ამ ლექსით მოულოდნელი რამ ამბავი, ელდისებური განცდა და სწრაფი მოძრაობა წარმოისახება. გრძელი შაირის ლექსი დამძიმებულია, უმთავრესად მწუხარებისა, სევდის და გლოვის განცდათა მოთხრობის გადმოცემისათვის არის შესაფერისი“⁷. ამავე თვალსაზრისს იზიარებენ კ. კეკელიძე⁸ და შ. ნუცუბიძე⁹.

1960-იან წლებში რუსთაველის შაირის სემანტიკური ფუნქციების საკითხი თავისებურად განიხილა პროფ. შ. ლლონტმა¹⁰. ის არ დაეთანხმა დაბალი და მაღალი შაირის ოპოზიციის და განწყობილების კავშირის შესახებ არსებულ აზრს და მოიყვანა მაგალითები, სადაც მაღალი შაირი იხმარება სევდიანი განწყობილების, ხოლო დაბალი შაირი — მხიარული განწყობილების გადმოსაცემად. საერთოდ ყველა აღნიშნული მკვლევარი თავიანთი აზრის დასამტკიცებლად მაგალითების მოყვანის იქით არ მიდიან. ცხადია, რომ ორივე აღძრული დებულებისათვის შესაძლებელია საწინააღმდეგო მაგალითების მითითება¹¹. ამიტომ არსებული აზრების ობიექტური შემოწმება შეიძლება იყოს მხოლოდ სტატისტიკური. ამგვარი შემოწმების დროს „ივიწყება“ კონკრეტული სიტუაციების და კონტექსტების თავისებურებანი და იწარმოება მათი შეჯამება მთლიანი ტექსტის მანძილზე. ამ გზით მიღებულ კანონზომიერებათათვის გამოიყენება სტატისტიკური ღირებულების კრიტერიუმები, რომლებიც უზრუნველყოფენ შედეგების არაშემთხვევითს ხასიათს.

ანალიზი დაეწყოთ დინამიზმის ვარაუდით. სტატისტიკურ სტილისტიკაში კარგად ცნობილია ტექსტის დინამიზმის საზომი — ზმნის ნაწილი ტექსტში. რა თქმა უნდა, კონკრეტულ კონტექსტებში სტატისტიკური სიტუაცია შეიძლება დახასიათდეს ზმნების სიჭარბით და პირიქით — შესაძლებელია დინამიკური მოვლენების აღწერა ზმნების დაუხმარებლად. მაგრამ დიდი ტექსტების ან ტექსტის დიდი მონაკვეთების დახასიათების დროს ეს საზომი გამართლებულია¹². მაშასადამე, ხსენებული ვარაუდის თანახმად, მოსალოდნელია დინამიზმის საზომის უფრო დიდი საშუალო მნიშვნელობა მაღალი შაირის კარდისათვის, ვიდრე დაბალი შაირისას.

ანალიზისათვის ჩვენ გამოვიყენეთ საზომის შემდეგი ვარიანტი:

$$d = \frac{v}{\text{Subst} + \text{Adj} + \text{Impers}}$$

სადაც v — ზმნების რიცხვია კარდში, Subst — არსებით სახელთა რიცხვი, Adj — ზედსართავ სახელთა რიცხვი, Impers — მიმღობათა და ზმნის საწყის ფორმათა რიცხვი, როგორც ვხედავთ, d სიდიდე წარმოადგენს ზმნებისა და სახელების (ფართო გაგებით) რიცხვის შეფარდებას. ნორმირება სახელების რიცხვზე უფრო ეფექტური გეგონია, ვიდრე ტრადიციული ნორმირება მთელი ტექსტის სიგრძეზე, რადგან, ჩვენი აზრით, სწორედ სახელშია განხორციელებული წარმოდგენა „სტატისტიკური სიტუაციების“ შესახებ. რა თქმა უნდა, ამ მოსაზრებას ჯერ სჭირდება ზუსტი დამტკიცება.

საზომის ეფექტურობა შეიძლება ჯერ უფრო გადიდდეს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყველა ზმნა დინამიზმს არ ასახავს. არიან ზმნები და ზმნის ფორმები, რომელთა მნიშვნელობა, პირიქით, აშკარად სტატისტიკურია. ასე, გამოთვლის დროს ჩვენ მხედველობაში არ ვღებულობთ ზმნებს იყო,

იქნა, იქნება და ამ მწკრივების დანარჩენ ფორმებს, აგრეთვე დინამიკური ვნებითის მესამე სერიის ფორმებს (ქმნილა, დაფარულა და სხვა¹³).

პოემის კარგდები დაჭაფუფებულ იქნა შაირის სახეობის (მაღალი თუ დაბალი) და d მაჩვენებლის მნიშვნელობის მიხედვით¹⁴ (იხ. ცხრილი 1, სადაც მოყვანილია კარგდების რიცხვი თითო ჯგუფში).

მაღალი შაირისათვის d სიდიდის საშუალო მნიშვნელობა შეადგენს 0,925, ხოლო დაბალი შაირისათვის 0,629. სტატისტიკური ღირებულების შემოწმება¹⁵ გვიჩვენებს, რომ განსხვავება უტყუარია.

ამგვარად, პირველი ვარაუდი მართლდება.

მეორე დებულების შემოწმება უფრო ძნელია. ტექსტის ემოციური ელფერისათვის შესაფერისი საზომი ჩვენთვის ცნობილი არაა. ამიტომ პოემის თითო კარგდის „განწყობილება“ ჩვენ იძულებული ვიყავით, გაგვერკვია ინტუიტურად. მართალია, აღნიშნული გარემოება მეორე ვარაუდის შემოწმებას უფრო სუბიექტურ და, მაშასადამე, წინასწარ ხასიათს აძლევს.

გადავიდეთ სათანადო პროცედურის აღწერაზე. პოემის სტროფები დაყოფილ იქნა სამ ჯგუფად: „მაჟორული“, „მინორული“ და „ნეიტრალური“.

მაჟორული სტროფის მაგალითი:

ეთანდღის მიხვდა მოსმენა საქმისა სანატრელისა,
 ადგა და კაბა ჩაიკცა, მჯობი ყოვლისა ჰრედისა;
 უხარის ნახვა ვარდისა, არ ერთგან შეუყრელისა.
 ამოა ჰვრებტა ტურდისა, სიახლე საყვარელისა (120)

მინორული სტროფი:

„აჲ წახდეს იგი ნათელნი, მზისაცა მოწუნარენი!“
 მისი ვერ გასძლო ხსენება, დაზნდა და სულთქვნა მწარენი,
 ყმა და ასმათი ტიროდეს, ხმას სცემდეს იგი არენი,
 კმუნეთი თქვეს: „მაკლავნი ცულ ქმნილან, ვა, გმირთა
 მემეტქარენი!“ (338).

ნეიტრალურ ჯგუფში შედის ყველა ის სტროფი, რომლებზეც არ შეიძლება დაჭერებით ითქვას, მაჟორულია თუ მინორული. მაგალითად:

ილოცავს, იტყვის: „მაღალო ღმერთო ზმელთა და ცათაო,
 ზოგჯერ მომცემო პატიეთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,
 უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,
 მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის-თქმათაო!“ (800).

ამ ჯგუფში შედის აგრეთვე სტროფები, რომლებიც ორსავე განწყობილებას შეიცავს:

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზენ გვირსა!
 ყოველი შენი მონდობილი ნიადგმცა ჩემებრ ტირსა!
 სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!
 მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა. (940).

ჩვენი გამოანგარიშების მიხედვით, მაჟორული განწყობილების შემცველ სტროფებში 166 მაღალი შაირით არის დაწერილი და 164 — დაბალი შაირით. მინორული განწყობილებისათვის შესაბამისად გვაქვს 116 მაღალი და 170 დაბალი შაირის სტროფი. ტენდენცია აშკარაა, თუმცა ძალიან ძლიერად არ არის გამოსახული. სტატისტიკური შემოწმება ადასტურებს ამ შედეგის ღირებულებას (იხ. ცხრილი 2)¹⁶. როგორც ვხედავთ, მეორე დებულებაც ამ წინასწარი შემოწმების ფარგლებში მართლდება. არსებული პოლემიკა შეიძლება აიხსნას დადგენილი კანონზომიერების სისუსტით.

დაბალი და მაღალი შაირის თხოვნიცის შეიძლება ჰქონდეს აგრეთვე ერთი ფუნქცია, რომელიც ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში პრაქტიკულად განხილული არ არის (გამონაკლისს წარმოადგენს პ. ბერაძის ერთი დაკვირვება, რომლის შესახებ იხ. ქვემოთ). სიტყვა მიდის შაირის ორივე სახეობის დამოკიდებულებასზე ტექსტის გარკვეული თემატიკური მთლიანობის მქონე მონაკვეთებთან. ასეთ ბუნებრივ, ტრადიციულად გამოკვეთილ მონაკვეთებს წარმოადგენს პოემის თავები¹⁷. უპირველეს ყოვლისა დადგენილი უნდა იყოს, რომელი თავებისადმი აქვს მიდრეკილება შაირის თითო სახეობას, რის შემდეგ შესაძლებელია ამ მიდრეკილებათა ინტერპრეტაციის ძებნა.

თითო თავში გამოთვლილ იქნა დაბალი და მაღალი შაირის რაოდენობათა შეფარდება და ამ შეფარდების გადახვევა მთელი ტექსტის დამახასიათებელი რიცხვიდნ. განხილულია მხოლოდ ის თავები, სადაც ეს გადახვევა სტატისტიკურად ღირებულია.

მაღალი შაირის სიჭარბით ხასიათდება შემდეგი თავები:

„თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საქებნად“; „დათხოვა ავთანდილისა როსტევან მეფესთანა და ეპირის საუბარი“; „ავთანდილისაგან შერმადინის საუბარი“; „მშობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცისა“; „ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა“.

დაბალი შაირი სჭარბობს შემდეგ თავებში: „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“; „წიგნი ტარიელისა ინდოთ მეფის წინაშე და გამარჯვებით შემოქცევა“; „ამბავი ნესტან-დარეჯანისა ქაჯთაგან შეპყრობისა“; „წიგნი ავთანდილისა ფრიდონთან მიწერილი“; „ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა ფრიდონისაგან“; „ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთა მეფისაგან“; „დასასრული“.

დანარჩენ თავებში სტატისტიკურად ღირებული მიდრეკილება არ იკვეთა.

ამ განსხვავებათა ინტერპრეტაციის მიზნით ანალიზი დაიწყო იმ თავებით, რომლებშიც ჰარბობს დაბალი შაირი. ზოგ მათგანში აღწერილია თინათინის მეფედ დასმა, ქორწილი, „გამარჯვებით შემოქცევა“ და ამასთან დაკავშირებული საზეიმო სცენები. ორი თავი — „ამბავი ნესტან-დარეჯანისა ქაჯთაგან შეპყრობისა“ და „წიგნი ავთანდილისა ფრიდონთან მიწერილი“ გადმოგვცემს საწაფელის შესრულებას — ნესტან-დარეჯანის ადგილის გაგებას. პირველ მათგანში ფატმანი ავთანდილს უცხადებს ნესტანის დაპყრობის ადგილს, ხოლო მეორეში ავთანდილი ამ მხიარულ ამბავს აცნობებს ფრიდონს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირების მთავარი ამოცანაა ნესტანის პოვნა; რაც შეეხება მის განთავისუფლებას, ავთანდილის სიტყვით რომ ეთქვათ, „მიჩნს თამაშად“ (1307, 2). აგრეთვე, როდესაც ავთანდილი ტარიელს ეუბნება: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ (1348, 4), ნესტან-დარეჯანი ჯერ ქაჯეთში იმყოფება. ამრიგად, უპირატესად დაბალი შაირით დაწერილია ის თავები, სადაც გადმოცემულია მხიარული სცენები, რომლებიც უმეტესი ნაწილით დაკავშირებულია დაბრკოლების დაძლევისთან და წადილის შესრულებასთან¹⁸.

რას წარმოადგენს უპირატესად მაღალი შაირით დაწერილი თავები? აქაც ეტყობა გარკვეული თემატიკური მთლიანობა: ხუთიდან სამი თავი გადმოგვცემს ავთანდილის ორივე გამგზავრების მომზადებას¹⁹. მაღალი შაირი ჰარბობს აგრეთვე ორ თავში, რომლებსაც ზემოთ აღწერულ თემასთან კავშირი

არა აქვთ. ეს არის „მბობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცისა“ და „ქორ-წილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა“. პირველ მათგანში ეს მოვლენა აღვილად აიხსნება ამ თავის შინაარსის მაღალი დინამიზმით (სხვათა შორის, ძ მარვენებლის საშუალო მნიშვნელობაც ამ თავისათვის მაღალია და უდრის 1, 24). რაც შეეხება მეორეს, აქ საკითხი უფრო რთულია: ზემოთ მოყვანილ დაკვირვებათა საფუძველზე მოსალოდნელია, რომ ეს თავი დაწერილი უნდა ყოფილიყო უპირატესად დაბალი შაირით და არა მაღალით. ამ გამონაკლისის შესაძლებელი ახსნა შემდეგია. პოემის ბოლოში დაგროვებულია საზეიმო სცენები, რომელთა აღწერისათვის პოეტი უპირატესად დაბალ შაირს ხმარობს. ალბათ, მონოტონურობის დარღვევის მიზნით ამგვარი სცენებისაგან უკანასკნელში რუსთაველი მეტრების პროპორციას ცვლის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხელნაწერებში და მთელ რიგ გამოცემებში ამ თავს წინ უძღვის ერთი მონაკვეთი, რომლის კუთვნილება რუსთაველისადმი საეჭვოა („ინდო-ხატელთა ამბავი“). ამგვარად, ამ საკითხის გადაჭრა დაკავშირებულია რთულ ტექსტოლოგიურ პრობლემებთან და ესაჭიროება შემდგომი გამოკვლევა.

ჩვენი აზრით, ზემოთ აღწერილი სურათის ყველაზე ბუნებრივი ინტერპრეტაცია დაკავშირებულია იმასთან, მოქმედების რომელ ფაზას გადმოგვცემს პოემის ესა თუ ის თავი. მართლაც, პოემის სიუჟეტი²⁰ იწყება გარკვეული წონასწორობის მდგომარეობით, რომელსაც შლის „უცხო მოყმის“ აღმოჩენა. მთელი შემდგომი მოქმედება მიზნად ისახავს წონასწორობის აღდგენას, რომელიც პოემის ბოლოში ხდება. თვით მოქმედება შედგება ორი ციკლისგან: ტარიელის ძებნისა და ნესტან-დარეჯანის ძებნისა. ორივე ციკლი იწყება ავთანდილის გამგზავრებით. პოემაში შედის აგრეთვე მსგავსი სტრუქტურის მქონე შედარებით დამოუკიდებელი ეპიზოდი — ტარიელის ომი ხატაელებთან. უპირატესად დაბალი შაირით გადმოცემულია პირვანდელი წონასწორობის მდგომარეობა (ექსპოზიცია) და მის აღდგენასთან დაკავშირებული სცენები, ე. ი. მოქმედების დასასრული (აგრეთვე ტარიელის და ხატაელთა ომის დასასრული), უპირატესად მაღალი შაირით კი — მოქმედების ორივე ციკლის დასაწყისი.

ზემოთ აღნიშნული ტენდენციები შეიძლება ვუწოდოთ ნარატიულ ფაქტორს, რადგანაც ისინი დაკავშირებული არიან პოემის ნარატიულ (თხრობით) სტრუქტურასთან.

ამრიგად, ჩვენ გავარკვეით დაბალი და მაღალი შაირის ხმარებასთან დაკავშირებული სამი ფაქტორი: 1. დინამიზმი; 2. განწყობილება; 3. ნარატიული ფაქტორი.

ბუნებრივად იბადება შემდეგი კითხვები: 1. რა შეფარდებითი ძალა აქვთ გამოყოფილ ფაქტორებს, ე. ი. რამდენად არსებითია მათი ზეგავლენა დაბალი და მაღალი შაირის ხმარებაზე პოემაში. 2. რამდენად დამოუკიდებელი არიან ეს ფაქტორები ერთმანეთისაგან. 3. რამდენად ამომწურველია დაბალი და მაღალი შაირის განაწილების ჩვენი მოცემული ახსნა, ან რამდენად დიდია ჭრჭერებით უცნობი ფაქტორების ზეგავლენა.

ამ საკითხების გადასაწყვეტად გამოყენებული იქნა მათემატიკური მეთოდია, რომელიც საფუძველად უღვეს კლასიკურ დისპერსიულ ანალიზს²¹. ამ მიდგომის თანახმად, ტექსტის შინაგანი არაერთნაირობა იზომება ე. წ. „სრული გაფანტულობის“ (полный разброс) მეშვეობით. ამ საზომის განსაზღვრის მიზნით პოემის თითო კარგად უკავშირდება გარკვეული სიდიდე X, რომელ-

საც შეუძლია მიიღოს ორი მნიშვნელობა: 1—მაღალი შაირისათვის და 0—დაბალი შაირისათვის. ამ სიდიდის მნიშვნელობათა ერთობლიობა მოგვცემს მაღალი შაირის ტექსტობრივი განაწილების სურათს, მათი საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობაც — მაღალი შაირის ნაწილს ტექსტში (აღინიშნება P ასოთი). ამ ნაწილს თუ გამოვაკლებთ X სიდიდის მნიშვნელობას თითო კარედისათვის (X—P), მივიღებთ ამ კარედის გადახვევას მაღალი შაირის „საერთო ტექსტობრივი დონისაგან“. ასეთ გადახვევათა კვადრატების ჯამი ყველა კარედისათვის წარმოადგენს ხსენებულ სრულ გაფანტულობას, რომელიც აღინიშნება როგორც $SS_{სრულ}$. დისპერსიული ანალიზის მიდგომის თანახმად, ცალკე ფაქტორის ძალა განისაზღვრება მისი წვლილით სრულ გაფანტულობაში. სახელდობრ, ამ ფაქტორის მიღებულ მნიშვნელობათა (ფაქტორის დონეების) შესაბამისად კარედები დაიყოფა ჯგუფებად: თითო ჯგუფი პასუხობს ფაქტორის გარკვეულ დონეს. მაგალითად, განწყობილების ფაქტორისათვის გვექნება ორი დონე — „მაყორული“ და „მინორული“ და შესაბამისად კარედების ორი ჯგუფი. ფაქტორების დონეებად დაყოფის პრინციპების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ. თითო ჯგუფის ფარგლებში, ყველა X სიდიდეებისათვის გამოვიანგარიშოთ მათი საშუალო არითმეტიკული, ე. ი. მაღალი შაირის „საშუალო კონცენტრაცია“ ფაქტორის მოცემული დონისათვის და გაფანტულობა X სიდიდის მიღებული საშუალო მნიშვნელობათათვის მთელი ტექსტის ფარგლებში ($SS_{სრულ}$ სიდიდის ანალოგიით). ეს გაფანტულობა წარმოადგენს განხილული ფაქტორის წვლილს სრულ გაფანტულობაში. მას ჰქვია გაფანტულობა ჯგუფთა შორის (разнос между групп) და აღინიშნება როგორც $SS_{შორ}$. ნაშთი $SS_{სრულ}$ — $SS_{შორ}$, რომელსაც უწოდებენ გაფანტულობას ჯგუფთა შინა(разнос внутри групп), არის სრული გაფანტულობის სხვა ფაქტორებთან დაკავშირებული ნარჩენი. ამავე მიდგომის თანახმად ფაქტორების შეფარდებითი ძალა გაირკვევა მათი შეფარდებითი წვლილით, რომელიც უდრის $SS_{შორ} / SS_{სრულ}$. გაფანტულობაში. რაც უფრო დიდია $SS_{შორ}$, მით უფრო არსებითია ფაქტორი. რომელიმე ორი ფაქტორის დამოუკიდებლობის დაფასებისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ანალოგიური პროცედურა მეორე ფაქტორისათვის, როდესაც პირველის თითო დონე ფიქსირებულია, და შევჯამოთ შედეგები დონეების მიხედვით. ამით მივიღებთ მეორე ფაქტორის დამატებით წვლილს, როდესაც პირველი გამორიცხულია. ფაქტორთა დამოუკიდებლობის შემთხვევაში ეს სიდიდე ახლოს უნდა იყოს $SS_{შორ}$. სიდიდესთან მეორე ფაქტორისათვის, როდესაც პირველი გამორიცხული არ არის.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის სრული გაფანტულობა გამოთვლილ იქნა შემდეგი ფორმულის მიხედვით, რომელიც ჩვენ შემთხვევაში უპასუხებს ზემოთ აღწერილ პროცედურას:

$$SS_{სრულ} = np(1-p) = 393,$$

სადაც n კარედების საერთო რიცხვია პოემაში, p — მაღალი შაირის სტროფების ნაწილი ტექსტში. n სიდიდე უდრის 1585, ხოლო p — 0,45.

გაფანტულობა ჯგუფთა შინა თითო ფაქტორისათვის გამოთვლილ იქნა შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$SS_{შინ} = \sum_{i=1}^g n_i p_i (1 - p_i),$$

სადაც p_i მაღალი შაირის ნაწილია ცალკე ჯგუფში, n_i კარედების რიცხვია ამ ჯგუფში, g — ჯგუფთა რიცხვი.

ახლა გავარკვიოთ, როგორი შეფარდებითი ძალა აქვთ ჩვენს გამოყოფილ ფაქტორებს, ე. ი. რას წარმოადგენს თითო ფაქტორისათვის მისი გაფანტულობა ჯგუფთა შორის. ზემოთ ნათქვამის მიხედვით, ეს სიდიდე უდრის ნაშის $SS_{სრავ} - SS_{შინ}$. გადმოცემის მოხერხებულობის გამო ფაქტორები აღწეროთ შემდეგ მიმდევრობაში: დინამიზმი, ნარატიული ფაქტორი, განწყობილება.

დავიწყოთ დინამიზმიდან, რომლის ქვეშ შემდგომ ვიგულისხმებთ d სიდიდის მნიშვნელობას. დინამიზმის ფაქტორის დონეები წარმოადგენს d საზომის მნიშვნელობათა ინტერვალებს (იხ. ცხრილი 1)²².

გაფანტულობა ჯგუფთა შინა დინამიზმისათვის უდრის 354, ხოლო ფაქტორის წვლილი $393 - 354 = 39$. როგორც ვხედავთ, სრული გაფანტულობის დაახლოებით ერთი მეათედი აიხსნება დინამიზმის ზეგავლენით.

გადავიდეთ მეორე ფაქტორზე — ნარატიულზე. აქ გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს დონეების გამოყოფა. ჩვენი ვარაუდით, ის თავები, რომლებშიც ჭარბობს მაღალი შაირი, ახასიათებს მოქმედების ორივე ციკლის დასაწყისს, ხოლო ის თავები, რომლებშიც ჭარბობს დაბალი შაირი, — ექსპოზიციას და მოქმედების დასასრულს. მაგრამ ზემოთ მოყვანილ თავებს, სადაც ეს სიჭარბე სტატისტიკურად ღირებულება, მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვთ, რომ შესაძლებლობას მოგვცემენ, ვივარაუდოთ შინაარსობრივი პრინციპი, რომლის მიხედვითაც მთელი ტექსტი უნდა დავყოთ ფაქტორის დონეებად. ასეთი დაყოფა შეიძლება ჩატარებულ იქნეს ორი გზით: ან ინტუიტურად, „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციის შესახებ არსებულ აპრიორულ მოსაზრებათა საფუძველზე, ან რომელიმე ფორმალიზებული პროცედურის მეშვეობით²³. ამ სტატიაში ჩვენ ავირჩიეთ პირველი გზა. ნარატიული ფაქტორის გამოყოფის ფორმალიზებული პროცედურა, რომელიც ეყრდნობა თავის დინამიზმისა და მაღალი შაირის კონცენტრაციის ერთდროულ განხილვას, აღწერილი იქნება ცალკე წერილში. იქვე ნაჩვენებია იქნება, რომ ორივე მიდგომა დაახლოებით მსგავს შედეგებს მოგვცემს.

ნარატიულ ფაქტორში გამოყოფილი იქნა შემდეგი დონეები (ქვემოთ მოყვანილია თავების სათაურები).

I. ექსპოზიცია, მოქმედების ან მისი ცალკე ეტაპის ფინალი. ამბავი როსტევან არაბთა მეფისა; როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა; ტარიელისაგან თავის ამბის მბობა, ოდეს ავთანდილს უამბო; წიგნი ტარიელისა ინდოთ მეფის წინაშე და გამარჯვებით შემოქცევა; ამბავი ავთანდილისა არაბეთს შექცევისა; ამბავი ნესტან-დარეჯანისა აჯთავან შეპყრობისა; წიგნი ავთანდილისა ფრიდონთან მიწერილი; წასლვა ავთანდილისა გულანშართ და ტარიელის შეყრა; ტარიელისა და ავთანდილისაგან წასლვა ფრიდონისასა; ტარიელისაგან ზღვათა მეფისას მისლვა; ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა ფრიდონისაგან; სამთავანე ქვაბსა მისლვა და მუნით არაბეთს წასლვა; ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთა მეფისაგან; ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა; დასასრული.

4. მ. ა. ც. ნ. ენისა და ლიტერატურის სერია, 1985, № 4



II. მოქმედების ციკლების დასაწყისი. წიგნი ავთანდილისა და ვაზირის საუბარი; ავთანდილისაგან შერმადინის საუბარი; ანდერძი ავთანდილისა როსტევენ მეფის წინაშე ოდეს გაიპარა; ლოცვა ავთანდილისა.

III. დანარჩენი. პოემის კარგები დაჯგუფებულ იქნა ფაქტორის დონეებად მათი შემცველი თავების მიხედვით (იხ. ცხრილი 3). ამის შემდეგ გამოთვლილ იქნა გაფანტულობა ჯგუფთა შინა, რომელიც უდრის 377. შესაბამისად, ფაქტორის წვლილი $393 - 377 = 16$. როგორც ვხედავთ, ნარატიულ ფაქტორს უფრო მცირე ზეგავლენა აქვს დაბალი და მაღალი შაირის ხმარებაზე, ვიდრე დინამიზმს, მაგრამ მაინც სიდიდით მსგავსია.

რამდენად არის ეს ორი ფაქტორი დამოუკიდებელი ერთმანეთისაგან? ზემონათქვამის მიხედვით, ნარატიული ფაქტორი შეიძლება ჩაითვალოს დინამიზმისაგან დამოუკიდებლად იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელის ფიქსაციის დროს ნარატიული ფაქტორის წვლილი თითქმის არ იცვლება. მართლაც, დინამიზმის გაფანტულობა ჯგუფთა შინა უდრის 354-ს, იგივე სიდიდე ორი ფაქტორისათვის კი 341-ს, მაშასადამე, ნარატიული ფაქტორის წვლილი დინამიზმის გამორიცხვის შემდეგ $354 - 341 = 13$. როგორც ვხედავთ, დინამიზმიდან „გაწმენდის“ შემდეგ ეს სიდიდე მერყეობს ძალიან სუსტად. ასე რომ, განხილული ფაქტორები პრაქტიკულად დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან — ციკლების დასაწყისის აღწერისას რუსთაველი დინამიზმს (ჩვენი გაგებით) არ აღიღებს, დასასრულის აღწერისას კი არ ამცირებს, მაგრამ დაბალი და მაღალი შაირის შეფარდება მაინც იცვლება.

ორივე ფაქტორის საერთო წვლილი შეადგენს $393 - 341 = 52$, რაც სრული გაფანტულობის დაახლოებით ერთ მეექვსედს ქმნის. მაშასადამე, მეტრების განაწილების არაერთნაირობის დაახლოებით ხუთი მეექვსედი უნდა აიხსნას სხვა მიზეზებით.

გადავიდეთ უკანასკნელი ფაქტორის — განწყობილების განხილვაზე. მას მივაწერთ ორ დონეს — „ამჟორულს“ და „მინორულს“. მართალია, არიან კარგდებიც, რომლებსათვის ჩვენ გარკვეული განწყობილება დადგენილი არა გვაქვს, მაგრამ ასეთი კარგდების გამოყოფა უფრო სუბიექტურ, ვიდრე ობიექტურ ხასიათს ატარებს (კარგდები, რომლების შესახებ დაჯერებით არ შეიძლება ითქვას, რომელ ჯგუფს ეკუთვნიან). ამიტომ ამგვარ სტროფებს მხედველობაში არ ვიღებთ. კარგდების რიცხვიც შესაბამისად მცირდება (616 და არა 1585). მცირდება აგრეთვე სრული გაფანტულობა, რომელიც ამ შემთხვევაში შეადგენს 151,5. ფაქტორის წვლილი $153 - 151,5 = 1,5$. როგორც ვხედავთ, განწყობილების ფაქტორის ზეგავლენა დაბალი და მაღალი შაირის განაწილებაზე თითქმის შეუმჩნეველია. ასე რომ, მიუხედავად იმისა, სწორია ზემოთ გამოთქმული ვარაუდი თუ არა, მას არ შეიძლება ჰქონდეს არსებითი რამე მნიშვნელობა²⁴.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ დაბალი და მაღალი შაირის განაწილებაზე ზეგავლენის მომხდენი სამი ფაქტორი, რომელთა შორის ორი უკვე ცნობილი იყო ინტუიტიურ დონეზე. გარკვეულ იქნა მათი შეფარდებითი ძალა და ერთმანეთზე დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, საჭიროა ზოგი ალძრული დებულების შემდგომი დაზუსტება და გაღრმავება. შემდგომი კვლევის პირველი რიგის ამოცანები, ჩვენი აზრით, შემდეგია:

1. „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური კომპოზიციის შესწავლა ფორმალურ ნიშან-თვისებათა საფუძველზე.

2. ახალი, ჭერჭერობით უცნობი ფაქტორების ძებნა, როგორც ვიციტ, დინამიზმის და ნარატიული ფაქტორის საერთო წვლილი ამომწურავი როლია (განწყობილების ფაქტორს, მისი წვლილის სიმცირის გამო, მხედველობაში არ ვიღებთ).

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ბ ი

1. ღაბალი და მალალი შაირის განსხვავება „ვეფხისტყაოსანში“ მეტრული და არა რითმული ხასიათის მიგვანიძა, რადგანაც ეს განსხვავება საუაღდებულოა. როგორც ვიციტ, „ვეფხისტყაოსანში“ შაირის ორივე სახეობის შერევა ერთი სტროფის ფარგლებში აკრძალულია.

2. პოლიმეტრული კომპოზიციის შესახებ იხ. მაგ. Руднев П. А., Опыт семантического анализа монометрической и полиметрической стиховых структур на метрическом уровне. Труды по русской и славянской филологии, XXI (Уч. зап. Тартусского Гос. университета, вып. 306), Тарту, 1973, გვ. 297-311.

3. ქართული ლექსის შესწავლა დღემდე უპირატესად ხარისხობრივ ხასიათს ატარებს. მნიშვნელოვან გამოწვევას ქმნის აკად. გ. ვ. წერეთლის რედაქციით გამოცემული მონოგრაფია „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“ (თბილისი, 1973). აგრეთვე უნდა აღინიშნოს კ. ჭიჭინაძის წიგნი „ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა“ (თბილისი, 1925), სადაც დღესაც დიდ ინტერესს წარმოადგენს ალიტერაციის და „ვერბალური ალიტერაციის“ (ფუძეთა გამეორების) გამოკვლევის წამოყენებული რაოდენობრივი მეთოდი.

4. ლექსის სემანტიკის გამოკვლევის არსებული ზუსტი მეთოდების შესახებ იხ. მაგალითად, Гаспаров М. Л., Современный русский стих: метрика и ритмика, М., 1974 (შესავალი) და იქვე ციტირებული ლიტერატურა.

5. იხ. ვ. ბერძე, რუსთველის შაირისათვის, წიგნში: ვ. ბერძე, რუსთველოლოგიური ეტიუდები, თბ., 1961, გვ. 117—128. პ. ბერძე, რუსთველის ლექსის რითმი, რუსთველის კრებული, თბ., 1938, გვ. 215—240.

6. ვ. ბერძე, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

7. პ. ბერძე, დასახ. ნაშრ., გვ. 228. ავტორი ხმარობს მამუკა ბარათაშვილის ტერმინოლოგიას.

8. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტომი მეორე, მეორე შეკრებილი და შესწორებული გამოცემა, თბ., 1941, გვ. 212.

9. Ш. Нудубидзе. Поэтика Руставели, წიგნში: Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, Тбилиси, 1957, გვ. 17.

10. შ. ლლონტი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, სოხუმი, გვ. 126—130.

11. პ. ბერძე და ვ. ბერძე კარგად ესმოდათ მათი თვისებების შეფარდებითი ხასიათი. მაგალითად, პ. ბერძე წერდა: „რაც ჩვენ თვითმული შაირის ხასიათის შესახებ ვთქვით, მისაღებად ძირითადად... ჩვენ შეიძლება მოვიყენოთ დინამიკურობის შემცველი გრძელი შაირის ლექსი...“ (დასახ. ნაშრ., გვ. 228).

12. ამ საზომის სხვადასხვა ვარიანტის შესახებ იხ. Б. Н. Головин, Язык и статистика, М., 1971, გვ. 147; Петров В. М., Каменский В. С., Шепелева С. Н., „Прозрачность“ стиха прозы: опыт экспериментального исследования восприятия, в кн.: Проблемы структурной лингвистики, 1976, М., 1978, გვ. 297-314.

შდრ. აგრეთვე Тулдава Ю. А., К проблеме сопоставления субъективных и объективных характеристик стиха, Studia metrica et poetica II. Tartu, 1977, გვ. 88, სადაც ელემენტარულად ნაჩვენებია დინამიზმის საზომის შესატყვისობა სათანადო ინტერპრეტაციის წარმოდგენასთან. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თვითონ ვ. ბერძეც თავის არგუმენტაციაში არ ერიდება ზმნების დათვლას (დასახ. ნაშრომი, გვ. 128). მაგრამ რადგან ეს „პროცედურა“ გამოყენებულია მხოლოდ ორი კარედისადმი, ის ფაქტობრივად წარმოადგენს მაგალითების მოყვანის ნაირსახეობას. შდრ. აგრეთვე ს. ციხელიძის შენიშვნა: „რუსთველის მეტყველებაში დიდი ხვედრითი წონა აქვს ზმნების გამოყენებას, რითაც პოეტ



აღწევს თხრობის არაჩვეულებრივ დინამიკას“ (რუსთაველის პოეტიკა, წიგნში: *საზოგადოებრივი მეცნიერებების თეორიები*, შოთა არსთაველი — დავით გურამიშვილი, თბ., 1974, გვ. 65).

13. ცხადია, რომ არსებობს სტატისტიკური სიტუაციების ამსახველი სხვა ზმნებიც, მაგრამ მათი გამოყოფა აუცილებლად უფრო სუბიექტურ ხასიათს ატარებს. ამიტომ ჩვენ მხედველობაში მივიღეთ მხოლოდ ყველაზე თვალსაჩინო და უძველეს შემთხვევებს.

14. აქ და შემდგომ ჩვენ ვსარგებლობთ 1966 წლის გამოცემით (გ. წერეთლის და ი. აბაშიძის რედაქციით). ამ გამოცემაში სტროფების საერთო რიცხვი შეადგენს 1587. ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ № 17-ს, სადაც შერეულია შაირის ორივე სახეობა და № 762-ს, რომელიც დაწერილია ფისტიაურით. ამრიგად გვრჩება 1585 სტროფი.

15. გამოყენებული იქნა ულმის არაპარამეტრიული კრიტერიუმი, რომლის შესახებ იხ. *Л. З. а. к. Статистическое оценивание*, М., 1976, გვ. 248. მიღებული იყო სტატისტიკური ღირებულების დონე $\alpha = 0,05$.

16. პირველი და მეორე ჯგუფის შედარებისათვის გამოყენებული იქნა χ^2 კრიტერიუმი ღირებულების დონით $\alpha = 0,05$.

17. ამასთან ერთად არსებობს ზოგი შეპასუხება თავების ტრადიციული გამოყოფის წინააღმდეგ: იხ. მ. ი. ჩიქოვანი, ფოლკლორული ტერმინოლოგია და დისათაურების სისტემა ვეფხისტყაოსანში, წიგნში *შოთა რუსთაველი*, საიუბილეო კრებული, თბ., 1966, გვ. 173—184.

18. დღევინილი სურათი თითქოს ეწინააღმდეგება ინტუიტურად ცნობილ და ზემოთ შემოწმებულ ფაქტებს (მეორე ვარაუდი). სინამდვილეში წინააღმდეგობა არ არის: საქმე იმაშია, რომ აქ მეტრის სემანტიკური მიდრეკილებანი ისწავლება არცთუ ცალკე სტროფის, არამედ მთლიანი თავის, ე. ი. საქმად დიდი სემანტიკური მონაკვეთის, დონეზე. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ აგრეთვე, რომ აღნიშნული გადახვევა ახასიათებს ტექსტის შედარებით პატარა ნაწილს. საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველა განხილულ თავში (ერთის გარდა) d საზომიც, თავის მხრივ, მთელ ტექსტთან შედარებით სტატისტიკურად ღირებულ ცვლილებას არ განიცდის (დაწერილებით იხ. ქვემოთ).

19. მაღალი შაირის სივარზე ავთანდილის პირველი გამგზავრების აღწერისას აღნიშნული ჰქონდა ვერ ბ. ბერაძეს. ამ ფაქტს იგი ჰხნიდა „ავთანდილისათვის მოულოდნელი დავალებით“ (დასახ. ნაშრ., გვ. 230), რაც, მისი აზრით, დინამიკურ თხრობას ქმნის. მაგრამ ასეთმა ახსნამ არ შეიძლება დაგვიამყოფილოს, რადგან მეორე გამგზავრება ავთანდილისათვის სრულიად მოსალოდნელი იყო.

20. ქვემოთ გამოთქმული მოსაზრებანი შეეხება მხოლოდ სიუჟეტს (მოვლენათა მიმდევრობას თხრობის მიხედვით) და არა ფაბულას (მოვლენათა „რეალურ“ მიმდევრობას).

21. შდრ. *Г. Шеффе, Дисперсионный анализ*, М., 1963, გვ. 85-134. საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენ გამოყენებული პროცედურა წარმოადგენს დისპერსიული ანალიზის მხოლოდ პირველ საფეხურს — ფაქტორთა წვლილის გამოთვლას და სტატისტიკური ღირებულების შემოწმების პრეტენზია არა აქვს. ამიტომ ჩვენს შემთხვევაში ზედმეტია დისპერსიული ანალიზის გამოყენების ჩვეულებრივი პირობები: ცალკე დაყირვებათა ნორმალური განაწილება და მათი თანაბარი დისპერსიები.

22. დისპერსიული ანალიზის პროცედურები დამუშავებულია დისკრეტულ სიდიდეებისათვის, ხოლო d სიდიდე უწყვეტია. ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით d სიდიდის მნიშვნელობანი გავერთიანოთ ინტერვალებად. საჭიროა ითქვას, რომ დინამიზმთან დაკავშირებულ დახასიათებათათვის არსებობს მნიშვნელობა არა აქვს გამოყოფილი ინტერვალის რიცხვს. ასე 16 ინტერვალების შემთხვევაში დინამიზმის ფაქტორის წვლილი შეადგენს 41; 8 ინტერვალისათვის (დაყოფა, რომელსაც მივყევით ჩვენ) — 39; 2 ინტერვალისათვის (ყველაზე „ტლანჭი“ შესაძლებელი დაყოფა) — 27. როგორც ნაჩვენებია იქნება ქვემოთ, ამ შემთხვევაშიც დინამიზმის წვლილი სხვა ფაქტორებზე დიდი რჩება.

23. საერთოდ, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური კომპოზიციის დღემდე არსებული გამოკვლევები (მაგ., დ. ქუციანიშვილი, რუსთაველის პოეტური ზელოვნების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1968, გვ. 7—136; აგრეთვე ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 88—94) ეყრდნობა პოემის შინაარსის ინტუიტურ ანალიზს. როგორც ჩანს, პოემის სტრუქტურის ამ ასპექტსაც ესაჭიროება ფორმალისტული შესწავლა.

24. ჩვენ ჩაატარეთ აგრეთვე პარალელური დოთლა, რომელშიც მონაწილეობდა მთელი ტექსტი, ხოლო განწყობილების თვალსაზრისით ნეიტრალური და ამბივალენტური სტროფები მინიშნული იყო ფაქტორის შესაბამე დონედ. მასში ფაქტორის წვლილი უდრის 1. როგორც ვხედავთ, არსებითად არაფერი არ იცვლება.

ცხრილი 1

საზომის მნიშვნელობა	მაღალი შაირის სტროფების რიცხვი	დაბალი შაირის სტროფების რიცხვი
0 —0,2	17	51
0,2—0,4	81	230
0,4—0,6	122	228
0,6—0,8	160	163
0,8—1,0	85	69
1,0—1,4	160	76
1,4—2	59	31
>2	38	15

ცხრილი 2

განწყობილება	მაღალი შაირის სტროფების რიცხვი	დაბალი შაირის სტროფების რიცხვი
მაჟორული	166	164
მინორული	116	170
ნეიტრალური	440	529

ცხრილი 3

ნარატიული უაქტორის დონეები	მაღალი შაირის სტროფების რიცხვი	დაბალი შაირის სტროფების რიცხვი
I	153	314
II	97	43
III	472	506

Д. И. СЛИВНЯК

О ФУНКЦИИ ПРОТИВОПОСТАВЛЕНИЯ ВЫСОКОГО И НИЗКОГО ШАИРИ В «ВЕПХИСТҚАОСАНИ»

Метрическая композиция поэмы основана на чередовании двух размеров — высокого и низкого шаири. Согласно существующей точке зрения, имеются следующие различия в семантике этих метров: 1) высокое шаири более динамично, чем низкое; 2) высокое шаири передает преимущественно мажорное настроение, а низкое — минорное. Эти положения подтверждаются в работе статистическими методами. Исследуется также семантическая тенденция, называемая в статье «нарративным фактором»: высокое шаири тяготеет к началу циклов действия, низкое — к концу. Показано, что нарративный фактор не зависит от указанных выше тенденций. Рассмотренные в статье факторы упорядочены с точки зрения их относительной силы: 1) динамизм, 2) нарративный фактор, 3) настроение.

ერევენის საბელმწიფო უნივერსიტეტის არმენოლოგიურ გამოკვლევათა პრობლე-
მური ლაბორატორია
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა
ს. ცაიშვილმა

აკოლონ ცანავა

პართული კოსმოგონიური მითები

(მემორატული და ფაბულატური გადმოცემები)

მემორატული და ფაბულატური მითოლოგიური გადმოცემების შესატყვისი ქართული ტერმინი არა გვაქვს. რუსულ ფოლკლორში მემორატულ გადმოცემას შეესაბამება „ბილიჩკა“, ხოლო ფაბულატურს კი — „ბივალშჩინა“.

ბილიჩკები (მემორატული ცრუ რწმენები) და ბივალშჩინები (ფაბულატური ცრუ რწმენები) რუსული ზეპირსიტყვიერი არაზღაპრული პროზის ისეთივე ქანრადია მიჩნეული, როგორც ისტორიული გადმოცემები, ლეგენდები და თქმულებები¹.

1973 წელს ფრებერგში (გფრ) შედგა საერთაშორისო თათბირი, რომელიც მიეძღვნა ზეპირი არაზღაპრული პროზის პრობლემების შესწავლას. ყურადღების ცენტრში იყო „დემონოლოგიური გადმოცემები, მათი კლასიფიკაციისა და შესწავლის საკითხები“².

ჩვენ ქართული მემორატული და ფაბულატური მითოლოგიური გადმოცემების ჩაწერა დაიწყო ჯერ კიდევ ადრე 1965—1972 წლებში სამეგრელოს სამეცნიერო ფოლკლორული ექსპედიციებში ყოფნის დროს. ვიწერდით გადმოცემებს ამ კუთხის ყოფაში შემონახულ მითოლოგიურ პერსონაჟებზე — მესეფი, ტყეშმაფა, ოჩოკოჩი, როკაპი, ალარტი, კაპუნია, ანთარი და სხვა. შემდეგში გავაგრძელეთ მსგავსი მასალების შეგროვება 1976—77 წლებში სვანეთის, 1978 წელს ზემო იმერეთის, 1979 წელს ყაზბეგისა და 1980 წელს ლიახვის ხეობის ექსპედიციებში მუშაობისას.

გარდა ექსპედიციების დროს მოპოვებული მასალებისა, სხვადასხვა სახის კრებულებიდან და მონოგრაფიული ნაშრომებიდან ამოწერეთ მემორატული და ფაბულატური მითოლოგიური გადმოცემების ტიპური ნიმუშები და ამჟამად ხელთა გვაქვს ორასზე მეტი დასახელების ტექსტი, რომლის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ არაზღაპრული პროზის ამ საინტერესო ქანრის შესახებ.

ჩვენ რომ წარმოდგენა გვქონდეს, თუ როგორია მემორატული და ფაბულატური მითოლოგიური გადმოცემების კონკრეტული სახე, აქვე მოვიყვანთ დამახასიათებელ ტიპურ ნიმუშებს:

ლიახვის ხეობის სოფ. შინდისში მცხოვრები ერთ-ერთი მთქმელი ასეთ

¹ Э. В. Помер'анцева, Мифологические персонажи в русском фольклоре, М., 1975, გვ. 6.

² იქვე, გვ. 9.

³ ა. ცანავა, წარმართული ღვთაებანი, იხ. ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები, თბ., 1970, გვ. 5—29; მისივე, ძველი კოლხური ღვთაებანი, ეპიკური ქანრები, მ. ჩიქოვანის რედ., თბ., 1981, გვ. 87—109.

მემორატულ გადმოცემას გვიყვება: „ბიძაჩემისაგან გამიგონია, რომ ქაჯები კლდეებში, გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ, ჭგუფ-ჭგუფად, ვერ ეტეოდნენ იმდენი იყვნენო. ერთ ბიჭს ჰქონია ხმალი, რომელიც ისეთ წყალში იყო ამოვლებული, რომ ყველაფერს ჭრიდა. ეს ბიჭი თურმე მზესთან მიდიოდა და გზაზე ქაჯებს გადაეყარა. თავის ხმლით დაუხოცია ყველა ქაჯი და კლდიდან გადმოუყრია.

ამას რომ გვიყვებოდა ბიძაჩემი, ამ დროს ბებია მსვენნიდან სიმინდით სავსე ტომარა გადმოაგდო და ჩვენ შევშინდით: ქაჯი ხომ არ გადმოვარდაო⁴. მეორე, ზემონიქოზელი მთქმელი ფუძის ანგელოზს ასე ახასიათებს: „ფუძის ანგელოზი ახალგაზრდა, უმწიკვლო ქალის სახით იმყოფება ოჯახში. მისი თვალთ დანახვა არ შეიძლება, მაგრამ მას შეუძლია მიიღოს კარის მეზობლის ქალიშვილის სახე და ისე გეჩვენოს. ბიძაჩემის (პავლე მინდიაშვილის) მამისაგან გამიგონია, რომ მე ბევრჯერ ჩემი ფუძის ანგელოზი კარის მეზობლის დიმიტრის ქალიშვილის სახით გამომცხადებია, ხშირად დავლაპარაკებოვარ, მაგრამ მომიხედავს და გამქრალაო⁵.

ორივე გადმოცემა მემორატია, რადგან აქ ზებუნებრივ ძალებთან შეხვედრა არ არის გართულებული, იგი ერთლანიანია. ერთ შემთხვევაში ნაჩვენებია არაჩვეულებრივი ხმლით ქაჯების ამოწყვეტა, რომლისგან მიღებული უჩვეულო განცდა ასოცირებულია სხეუნიდან ტომარის ჩამოვარდნასთან და, მეორე შემთხვევაში, საფარველდებული ფუძის ანგელოზი მეზობლის ქალიშვილის სახით ეჩვენება ოჯახის უფროსს. მემორატის (ბილიჩის), როგორც თხრობითი ერთეულის სტრუქტურას, განსაზღვრავს რწმენაზე დამყარებული ამბის ერთლანიანობა. ეს ფაქტი განიცდებოდა ოდესღაც მომხდარ ნამდვილ ამბად. ამ შემთხვევაში მთქმელსა და მსმენელს აინტერესებს არა თხრობის ოსტატობა, სიუჟეტური წიაღსვლები, არამედ გასაკვირი, საოცარი ამბის ნამდვილობა.

რაც უფრო მეტი ეპიზოდები ჩნდება მემორატში, რაც უფრო გართულებულია მოქმედება, მით უფრო შორდება მემორატს და გადადის ფაბულატში — ბივალშინიად ან ზღაპრად იქცევა⁶.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დასახლებული დევები იტაცებენ ბავშვებს, ქალებს, საქონელს, მოსავალს. მათ წინააღმდეგ მებრძოლ ღვთისშვილებს, ქართული მითოლოგიის „კულტურულ გმირებს“ იახსარსა და კობალას მორიგე ღმერთი აძლევს სპეციალურ საგმიროს (ლახტას), რომლის საშუალებით მიწაზე (ზეპირ) მოსიარულე დევებს სპობენ და ნაწილს კი განდევნიან მიწის ქვეშ. იახსარისა და კობალას ბრძოლა დევების წინააღმდეგ და ამ ბრძოლის ამსახველი ამბის სტრუქტურა მემორატს სცილდება და ფაბულატში გადადის, თუმცა ეს ფაბულატი მაინც რწმენის ფარგლებში რჩება და ზღაპრამდე არ მალდდება. ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ფაბულატური მითოლოგიური გადმოცემები დედამიწაზე (ზეპირ) მოიარულ და დედამიწის ქვეშ გამიწირვლებულ დევებზე ფა-

⁴ მთქმელი: თინა ხუციშვილი, ჩამწ. ა. ცანავა, შინდისი (გორის რ.), 1980, ფ. არქ., ქ 332, გვ. 56.

⁵ მთქმ. მიხ. ჭაფარიძე, ჩამწ. ა. ცანავა, ზემო ნიქოზი (გორის რ.) 1980, ფ. არქ., ქ 332, გვ. 142.

⁶ ე. პოვერანცევა, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.



ბულატური (ბივალშინის) ტიპის გადმოცემებს მიეკუთვნებიან. ტიპური ნიშნულად შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი გადმოცემა:

„როშის გორზე იყვნენ დაბანაკებული დევები... მათ ჰქონდათ სამკედლო და იმით გარდა ხევსურეთში სხვა მკედლები არ იყვნენ. ვინც მათთან მოიტანდა რამე საჭედს..., ისინი ქალს სთხოვდნენ — ლამაზი ვინც იქნებოდა ოჯახში, რძალი იქნებოდა თუ ქალიშვილი. რამდენი ღირებულების იყო სამუშაო, შეაფასებდნენ და ეტყოდნენ: ამდენ ღამეს გამოგზავნე ესა და ეს ქალიო, თუ არა, არ გაგიკეთებთ საქმესო. მეტი გზა არ ჰქონდათ და უსართუბდნენ დევებს სურვილს.“

ერთ კაცს ძალიან ლამაზი ცოლი ჰყავდა და გუთნის იარაღის გაკეთებაში ის სთხოვეს. რადგან იარაღები აუცილებელი საჭირო იყო, რადგან უიმისოდ შიმშილით ამოწყდებოდნენ, გაუგზავნა ცოლი. ცოლი რომ დაბრუნდა დევებიდან, ქმარს უთხრა: იქ რომ არ გაგეგზავნე და აქვე მოგვკალი, უკეთესი იყოვო და დაიწყო ტირილი. კაცი შეწუხდა, არ იცოდა რა ექნა. მერე ერთი თერთი ხარი ჰყავდა და თქვა, მოდი ამ ხარს ღმერთისათვის დაგვლავ და იქნებ რამე გვეშველოსო. მორიგე ღმერთმა შეიწყნარა ამდენი ვედრება და ხალხის დასახსნელად გამოგზავნა კობალა. მისცა ერთი დიდი ლახტი და მოულოცა ძალი და შეძლება, რომ დევები ხალხის შემწუხებულები გაენადგურებინა⁷.

ცნობილია, რომ ხთონური სამყაროს ბოროტი ძალების (გველვეშაპების, დევების, ქაჯების, ცალთვალა ციკლოპებისა და სხვათა) დამორჩილება, გადმობრება ან მოსყიდვა არ შეიძლება, ისინი მთლიანად უნდა მოისპონ ისე, როგორც ამას ამირანი და „ვეფხისტყაოსნის“ გმირები აკეთებენ ქაჯების მიმართ. ერთ-ერთ ფაბულატურ გადმოცემაში იახსარს საყვედურბენ ღვთისშვილები, რომ მან „ცოდვიან ტბაზე“ ლამაზი ქალის სახით მოვლენილი დევის ქალი (ეშმაკი) საინდო და არ მოკლა.

„მთურხევეს ციციანიათ ფშავის ხევის ხეთისშვილებს შეკრება... წასულან სალაშქროდ... იახსარს რგებია გოვციან ტბაზე წასვლა. დევები ყოფილან იქა. ყველა დაბრუნებულა და იახსარი არ მოსულა ლაშქრობიდან. მერე მოსულა დაგვიანებით. უკითხავთ: სად იყავით. იმას უთქვამს: — ქალი ამოვიდა ტბიდან, ისეთი მშვენიერი იყოო, სამჯერ გადაუდევ ისარი და ვერ ვესროლეო, ვერ გავიმეტეო („ვერ გავიჩქერეო“). მერე საყვედური უთქვიათ ღვთისშვილებს, რატომ არ ესროლეთ, ის ხომ ეშმაკისა იყოო“⁸.

ასეთი რამ იახსარის მოძმე ღვთისშვილს კობალასაც შეემთხვა, მაგრამ მან არ შეიწყნარა ძმობილი ხმალას მუდარა და მზეთუნახავი დევის ქალიც სხვა დევებს თან მიჰყოლა. გადმოცემით: „იორზე, ვერხველის დევთა განადგურებისას კობალას ხმალა გასმობილებია, სადაც ეს უქანასკნელი ერთ მეტად ლამაზ დევის ქალს მოუხიბლავს და კობალასთვის მისი ცოცხლად გაშვებაც კი უთხოვნია. კობალას მისი მუდარა არ შეუწყნარებია და დევთა მზეთუნახავიც სხვა დევებისთვის მიუყოლებია“⁹.

⁷ თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967, გვ. 157. თ. ოჩიაურის ნაშრომიდან დამოწმებული გადმოცემები, რომლებიც კუთხურ კოლოზე იყო ჩაწერილი, ჩვენ სალიტერატურო ენაზე გადმოვიტანეთ, ოღონდ დაცულია სპეციფიკური მითოსური შინაარსის შემცველი სინტაგმებისა და წინადადებების კონსტრუქცია.

⁸ თ. ოჩიაური, დასახ. წიგნი, გვ. 43.

⁹ იქვე.

ბულატური (ბივალშჩინის) ტიპის გადმოცემებს მიეკუთვნებიან. ტიპურ ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი გადმოცემა:

„როშკის გორზე იყვნენ დაბანაკებული დევები... მათ ჰქონდათ სამჭედლო და იმით გარდა ხევსურეთში სხვა მჭედლები არ იყვნენ. ვინც მათთან მოიტანდა რამე საქედს..., ისინი ქალს სთხოვდნენ — ლამაზი ვინც იქნებოდა ოჯახში, რძალი იქნებოდა თუ ქალიშვილი. რამდენი ღირებულების იყო სამუშაო, შეაფასებდნენ და ეტყოდნენ: ამდენ ღირებულებას გამოგზავნე ესა და ეს ქალი, თუ არა, არ გაგიკეთებთ საქმესო. მეტი გზა არ ჰქონდათ და უსრულებდნენ დევებს სურვილს.“

ერთ კაცს ძალიან ლამაზი ცოლი ჰყავდა და გუთნის იარაღის გაკეთებაში ის სთხოვეს. რადგან იარაღები აუცილებელი საქირო იყო, რადგან უმისოდ შიმშილით ამოწყდებოდნენ, გაუგზავნა ცოლი. ცოლი რომ დაბრუნდა დეგებიდან, ქმარს უთხრა: იქ რომ არ გაგვგზავნენ და აქვე მოგვკალი, უკეთესი იყოვო და დაიწყო ტირილი. კაცი შეწუხდა, არ იცოდა რა ექნა. მერე ერთი თეთრი ხარი ჰყავდა და თქვა, მოდი ამ ხარს ღმერთისათვის დავკლავ და იქნებ რამე გვეშველოსო. მორიგე ღმერთმა შეიწყნარა ამდენი ევდრება და ხალხის დასახსნელად გამოგზავნა კობალა. მისცა ერთი დიდი ლახტი და მოულოცა ძალი და შეძლება, რომ დევები ხალხის შემწუხებლები გაენადგურებინა⁷.

ცნობილია, რომ ხთონური სამყაროს ბოროტი ძალების (გველეშაპების, დევების, ქაჯების, ცალთვალა ციკლოპებისა და სხვათა) დამორჩილება, გადმობრუნება ან მოსყიდვა არ შეიძლება, ისინი მთლიანად უნდა მოისპონ ისე, როგორც ამას ამირანი და „ვეფხისტყაოსნის“ გმირები აკეთებენ ქაჯების მიმართ. ერთ-ერთ ფაბულატურ გადმოცემაში იახსარს საყვედურობენ ღვთისშვილები, რომ მან „ცოდვიან ტბაზე“ ლამაზი ქალის სახით მოვლენილი დევის ქალი (ეშმაკი) დაინდო და არ მოკლა.

„მათურხვეს სცოდნიათ ფშავის ხევის ღვთისშვილებს შეკრება... წასულან სალაშქროდ... იახსარს რგებია ცოდვიან ტბაზე წასვლა. დევები ყოფილან იქა. ყველა დაბრუნებულა და იახსარი არ მოსულა ლაშქრობიდან. მერე მოსულა დავვიანებით. უკითხავთ: სად იყავიო. იმას უთქვამს: — ქალი ამოვიდა ტბიდან, ისეთი მშვენიერი იყოო, სამჯერ გადაუდევი ისარი და ვერ ვესროლაო, ვერ გავიმეტეო (ვერ გავიჩქერეო“). მერე საყვედური უთქვიათ ღვთისშვილებს, რატომ არ ესროლე, ის ხომ ეშმაკისა იყოო“⁸.

ასეთი რამ იახსარის მომხმე ღვთისშვილს კობალასაც შეემთხვა, მაგრამ მან არ შეიწყნარა ძმობილი ხმალას მუდარა და მზეთუნახავი დევის ქალიც სხვა დევებს თან მიაყოლა. გადმოცემით: „იორზე, ვერხველის დევთა ვანადგურებისას კობალას ხმალა გასამობილებია, სადაც ეს უკანასკნელი ერთ მეტად ლამაზ დევის ქალს მოუხიბლავს და კობალასთვის მისი ცოცხლად გაშვებაც კი უთხოვნია. კობალას მისი მუდარა არ შეუწყნარებია და დევთა მზეთუნახავიც სხვა დევებისთვის მიუყოლებია“⁹.

7 თ. თ ჩ ი ა უ რ ი, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მითიანეთში, თბ., 1967, გვ. 157. თ. თ ჩ ი ა უ რ ი ნაწრომიდან დამოწმებული გადმოცემები, რომლებიც კეთხურ კოლზე იყო ჩაწერილი, ჩვენ სალიტერატურო ენაზე გადმოვიტანეთ, ოღონდ დაცულია სპეციფიური მითოსური შინაარსის შემცველი სინტაგმებისა და წინადადებების კონსტრუქცია.

8 თ. თ ჩ ი ა უ რ ი, დასახ. წიგნი, გვ. 43.

9 იქვე.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემონახულ მემორატულ და ფაბულატურ მითოლოგიურ გადმოცემებში „კულტურული გმირები“ (ღვთის-შვილები) — კოპალა, იახსარი, თერგვაული, შუბნური, გიორგი ნაღვარმშვენიერი, თვით ლაშარის ჯვარი, ხორციელი ვახუა მეგრელაურისა და აღნათ მინდიას მონაწილეობით, ღვე-კერპებს მთლიანად სპობენ. ვადარჩენილები გამიწრივლდნენ, თვალისაგან უხილავი გახდნენ, მიწისქვეშ მიიმაღნენ. ამ გმირებმა ადამიანებს საარსებო და სასიცოცხლო ტერიტორია შემოუფარგლეს, კულტებიც დააფუძნეს. ამავე დროს მათ ჭაჭავეთიდან, სადაც მისვლა მხოლოდ ღვთაებებსა და ღვთისშვილებს შეუძლიათ, ეტალონური საყოფაცხოვრებო ფასეულობანიც (ოქროს ფანდური, საერევი, საწყაო, გრდემლ-კვერი, სამართებელი, მარგალიტები და ა. შ.). წამოდეს, რაც კაცობრიული კულტურის თანმიმდევრულ აქტად არის მიჩნეული.

მითოლოგიის სპეციალისტი ზურაბ კეკელიძე ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების თეზისებში აღნიშნავს, რომ „სამყაროს შექმნის ორიგინალური მითოსის არარსებობის საკომპესაციოდ ქართულ მითოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და მრავალრიცხოვანი ვარიანტებით არის გავრცელებული მეორადი კოსმოგონიები, სახელდობრ: 1) კაცობრიული არსებობისათვის აუცილებელი პირობების შექმნა — ღვთისშვილთა მიერ ღვე-კერპების განდევნა-შეიწროება ადამიანისათვის სასიცოცხლო სივრცის შესაქმნელად, რისი უშუალო შედეგია საკულტო ადგილებისა და, საერთოდ, კულტის დაფუძნება; 2) მეორე ეტაპზე საყოფაცხოვრებო კულტურის დანერგვა კაცობრიულ საზოგადოებაში ანუ მეორე კოსმოსის (სოციუმის) შექმნა ღვთისშვილთა მიერ, აწ უკვე ადამიანთა მონაწილეობით (ჭაჭავეთური განძის, კულტურულ ფასეულობათა ეტალონების მოპოვება და მათი დანაწილება), რაც შეიძლება გააზრებულ იქნეს როგორც ერთხელ მომხდარი აქტი... ორივე ეს კოსმოგონია, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს კაცობრიული კულტურის შექმნის თანმიმდევრულ აქტებად, გაცნობიერებულად და გააზრებულად არის წარმოდგენილი არა საერთო ქართულ, არამედ ადგილობრივ (ფშაბ-ხევსურულ) ანდრეზულ მასალაში, რაც მოწმობს მისი გამომუშავებული საზოგადოების სიმყარეს და მაღალ ინტელექტუალურ-იდეოლოგიურ დონეს“¹⁰.

პატივცემული მკვლევარი ზეთისშვილთა მიერ ღვე-კერპების წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველ გადმოცემებს „ანდრეზულ მასალებს“ უწოდებს. მაგრამ ანდრეზი არ გულისხმობს მითოლოგიურ გადმოცემას, მას სულ სხვა — მაგალითის მნიშვნელობა გააჩნია. ანდრეზულის ნაცვლად, ჩვენი აზრით, ამ ტიპის გადმოცემებს უნდა ეწოდოს მემორატული და ფაბულატური მითოლოგიური გადმოცემები. დევების გამიწრივლებისა და ჭაჭავეთურ ფასეულობათა მოპოვების ამსახველი გადმოცემების უმეტესობა „ბივალშჩინებია“ (ფაბულატები). მემორატებსა და ბივალშჩინებს ჯერ კიდევ კავშირი აქვთ რელიგიურ რწმენასთან. მოქმელს ნამდვილად სწამდა იახსარისა და კოპალას სასწაულ-მოქმედება, მათ მიერ ღვე-კერპების განდევნა-გამიწრივლება, ამიტომ ლოცულობდნენ მათ, მათთან ერთად — უმაღლესი მორიგე ღმერთის, კვირიასა და

¹⁰ ზ. კეკელიძე, ქართული კოსმოგონიური მითოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს XIX სამეცნიერო კონფერენციის მოხსენების თეზისები, თბ., 1980, გვ. 44.

მზე ქალის, ანუ დღე სინდელის, სახელებს. ჩვენ უნდა დავეთანხმოთ თინათინ ოჩიაურის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყოფაში „მითი ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი რელიგიისაგან... ამდენად მისი შექმნის პროცესზე დაკვირვება, ცოცხალ სინამდვილეში მისი ელემენტების დაქერა, უსათუოდ მნიშვნელოვანია ზოგადად მითების წარმოშობის პრობლემის თვალსაზრისით“¹¹.

როგორც ცნობილია, მითოლოგიურ გადმოცემას ახასიათებს „მკაცრი“ ნამდვილობა და კონკრეტული ეთნოგრაფიული არეალი (ასეა ეს გილვამეშის ეპოსში, ილია და ოდისეაში, ქართულ სამონადირეო და დევ-კერპების წინააღმდეგ მებრძოლ ხეთისშვილთა ციკლის მითოლოგიურ გადმოცემებში). მითის ზღაპრად ტრანსფორმაცია გულისხმობს მითოლოგიური ამბის „მკაცრი ნამდვილობის“ შესუსტებას და შეგნებულ გამონაკონთა განვითარება-ვაფართოებას, რომელსაც დაკარგული აქვს ეთნოგრაფიული კონკრეტულობა. ჩვენ ერთ-ერთ აღრინდელ შრომაში ვწერდით: „მითოლოგიურ გადმოცემებში ამბავის „მკაცრმა ნამდვილობამ“, მისმა ეთნოგრაფიულმა კონკრეტულობამ მკვლევარი არამც და არამც შეედრომაში არ უნდა შეიყვანოს და არ მიიჩნიოს მითოსური არსებანი კონკრეტულ, თუნდაც, ოდესღაც არსებულ რეალურ პირებად (ვგულისხმობთ ღვთისშვილების კოპალასა და იახსარის ბრძოლას დევებთან, მონადირეების „საქმიან“ ურთიერთობას ტყის კაცებთან (ოჩოკონი-ოჩოპინტრესთან), დალ-ტყაშმაფა-მესეფებთან)“¹².

როგორც სამართლიანად მიუთითებს ზ. კეცნაძე, ღვთისშვილების მიერ დევ-კერპების განდევნა-შევიწროება და აღამიანებისათვის სასიცოცხლო სივრცის შემოფარგვლა საკულტო ადგილების დაფუძნებით სამყაროს შექმნის მეორადი კოსმოგონიური მითებია და მას განსაკუთრებული ადგილი უნდა მიეკუთვნოთ ზოგად კოსმოგონიურ მითოლოგიურ სისტემაში. პირველადი კოსმოგონიური მითები მიწის, ცის, მზის, მთვარის, ვარსკვლავების, ზღვების, მდინარეების და ა. შ. შექმნის თაობაზე ჩვენამდე მეტად ძუნწადაა მოღწეული და სწორედ ამის საკონპენსაციოდ მეორადი კოსმოგონიები შემოინახა უხვად საქართველოს მთიანეთმა და დღემდე ყოფიერობს ფშავსა და ხევისურეთში.

კაცობრიული საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპზე ხდება საყოფაცხოვრებო კულტურის დანერგვა, სოციუმის შექმნა ღვთისშვილთა მიერ აღამიანების მონაწილეობით (ქაჯავითიდან გამოაქვთ კულტურული ფასეულობების ეტალონები).

ორივე ეს კოსმოგონია (დევ-კერპების განდევნა და კულტურულ ფასეულობათა ეტალონების მოპოვება და მათი დანაწილება), როგორც მიუთითებს ზ. კეცნაძე, „გაცნობიერებულად და გააზრებულად არის წარმოდგენილი არა საერთო ქართულ, არამედ ადგილობრივ (ფშავ-ხევსურულ) ანდრეზულ მასალებში“. აღნიშნულის გამო უნდა შევნიშნოთ, რომ კატეგორიული განცხადება „არა საერთო ქართულის“ თაობაზე დაზუსტებას მოითხოვს. მართალია, ფშავ-ხევსურეთში ორივე კოსმოგონიური მითები „თანმიმდევრულ აქტებად“ არის წარმოდგენილი, მაგრამ ასეთი რამ, მეტ-ნაკლები ოდენობით, საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება. ე. ი. კოსმოგონიური მითები ზოგად

¹¹ თ. ოჩიაური, დასახ. წიგნი, გვ. 7.

¹² ა. ცანავა, ძველი კოლხური ღვთაებანი, ეპიკური ჟანრები, მიხ. ჩიქოვანის რედ., 1981, გვ. 92.

ქართულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, ოღონდ, ცალკე კუთხეების მიხედვით, მეტ-ნაკლები ოდენობითაა შემონახული. ჩვენ სამეგრელოს ყოფაში დავადასტურეთ დევ-კერპების წინააღმდეგ მებრძოლი ალარტის ხატი, რომელიც შემდეგ დამკვიდრდა გარკვეულ ტერიტორიაზე და, ტრანსფორმაციის გზით, ალარტის წმინდა გიორგის სალოცავად იქცა¹³. თვით წმინდა გიორგი კი, როგორც ამის თაობაზე თ. სახოკია გადმოგვცემს (იხ. „ეთნოგრაფიული ნაწერები“, 1956 წ.), იახსარ-კოპალას მსგავსად, დევებს მესს უშენს და ამ საშინელი არსებობისაგან ათავისუფლებს ადამიანთა საარსებო ტერიტორიებს. თუ ფშავ-ხევსურეთში დევები გამიწრივლდებიან, დასავლეთ საქართველოში ზღვის ფსკერს მიეფარებიან, მათ არა აქვთ უფლება თავი ამოყონ ზღვიდან. წმინდა გიორგი მაშინათვე ელვასა და მესს მოუვლენს და მოსპობს. ზოგი დევი ბუზად იქცევა, მაგრამ ადამიანების მოსარჩლე ყოვლისშემძლე გიორგი იმათაც საკადრისს მიაგებს. წმინდა გიორგის ბრძოლა დევების წინააღმდეგ ტიპოლოგიურად მსგავსია მითრას მიერ ჩატარებული იმ დიდი ბრძოლებისა, რომლებითაც მან ირანელებს საშინელი ბოროტი ძალები მოაშორა დევების სახით.

ამგვარად, კოსმოგონიური მითები არა მარტო ლოკალური, არამედ საერთო ქართული და, ტიპოლოგიურად, ზოგადკაცობრიული ასპექტების შემცველია. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ თვით ფშავ-ხევსურეთში ჩაწერილი ის მრავალრიცხოვანი მითები, რომლებიც, ერთი მხრივ, დევ-კერპების განდევნასა და, მეორე მხრივ, ქაჯავეთიდან კულტურულ ფასეულობათა მოპოვებისათვის ბრძოლას ასახავენ და ტიპოლოგიურად მსგავსებას პოულობენ სხვა ხალხთა კოსმოგონურ მითოსურ წარმოდგენებთან.

დევებისა და დვთისშვილების ბრძოლის მითოსური ასპექტები და ტიპოლოგია. ამ ტიპის ფაბულატური მითოლოგიური გადმოცემების განხილვამდე საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდ სიტყვა ვთქვათ თვით დემონოლოგიური პერსონაჟების დევებისა და ქაჯების შესახებ. ორივე ეს დემონოლოგიური პერსონაჟი აღმოსავლური წარმოშობისაა და ტიპოლოგიურ-გენეტიკურ მსგავსებას ავლენენ ქართულ სამყაროსთან.

დევი (ირანული *Devi* „ღმერთქალი“) ინდურ მითოლოგიაში ღმერთი შივას ცოლია. დევის კულტი მომდინარეობს ღმერთების დედის უძველესი კულტიდან, ეს დადასტურებულია ინდოეთში სამი ათასი წლის წინათ ჩ. წ.-მდე, გაიგებოდა როგორც ქმრის—შივას ენერჯის მანიფესტაცია. შივას ორმაგი ბუნება (კეთილი და დამღუპველი) გადატანილი იყო დევებზე¹⁴. ა. ქრისტენსენის წიგნში „ნარკვევები ირანულ დემონოლოგიაზე“, რომელიც 1941 წელს გამოქვეყნდა კოპენჰაგენში ფრანგულ ენაზე, საინტერესო ცნობებია მოყვანილი დევების შესახებ¹⁵. მითრას რელიგიაში დევი (*daivas*) გაგებული

¹³ ა. ც ა ნ ა ე ა, ძველი კოლხური ღვთაებები, იხ. ეპიკური ჟანრები, გვ. 101.

¹⁴ *Мифы народов мира*, М., т. I. 1980., გვ. 360.

¹⁵ ესარგებლოთ სერჯი სერებრიაკოვის 1977 წელს შესრულებული შრომიდან — „აღმოსავლური დემონოლოგია და „ფეხვისტყალის“ ზოგიერთი პერსონაჟის საკითხი“ (შრომა დაწერილია რუსულ ენაზე და გადაბეჭდილი სახით ინახება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში).

იყო როგორც ბოროტი არსება, მაგრამ თავდაპირველად daiva აღნიშნავდა „სინათლის ღმერთს“. ზოროასტრი დაუპირისპირდა ღვებს და დასახა იგი ბოროტების ქვეყნის იარაღად („Орудиями мира зла“)¹⁶. როგორც წმინდა გიორგი, მითრაც დაუპირისპირდა ღვებებს. იგი თავებს ქრიდა მათ, ღვენიდა, მისდევდა მბრწყინავი საბრძოლო ეტლით, ათასობით ისრებითა და რკინის იარაღებით აღჭურვილი. „საწინელებით შეპყრობილი ღვეები გარბოდნენ მის წინ“.

ღვეები აღამიანებს ართმევდნენ ბედნიერებასა და უკვდავებას. დადიოდნენ ჭვუფ-ჭვუფად, არ ინდობდნენ ქალებს, „მიუხედავად ტირილისა და კივილისა, ღვეები მათ მიმართ ძალადობას მიმართავდნენ“. ღვთისშვილებმა მორიგე ღმერთის დახმარებით აიძულეს ზებირ (დედამიწაზე) მოსიარულე ღვეები გამიწრივლებულიყვნენ; ზოროასტრმაც აიძულა დედამიწაზე მოარული ღვეები „ყოვლისშემძლე ლოცვის“ წარმოთქმის შემდეგ მიწის ქვეშ ჩასულიყვნენ. „ღვეები, რომლებიც ოდესღაც დედამიწაზე აღამიანების სახით დარბოდნენ, მიწის ქვეშ მიიმაღნენ“. ზოროასტრის შემდეგ ირანში, როგორც წმინდა გიორგისა და ღვთისშვილების შემდეგ საქართველოში, ღვეები „არ ჩნდებოდნენ დედამიწაზე დასანახი ფორმით“¹⁷.

ზოგიერთი ღვეი, როგორც ფშავ-ხევსურეთში ბეღელა, ავთანდილი, მუზა და სხვ., საკუთარი სახელითა ცნობილი¹⁸. აქაც, როგორც ჩვენთან, ადრე ღვეები და აღამიანები გვერდ-გვერდ ცხოვრობდნენ.

ფშავ-ხევსურეთის გადმოცემების მიხედვით, იასხარსა და კოპალას გაძმობილებულ ხმალს მომხიბვლელი ღვეის ქალები ევლინებიან აღამიანური სახით. ასეთი მაქციობა ახასიათებს ირანულ ღვეებსაც. ეს თვისება ძალუმადაა შესული ინდოევროპულ ხალხთა ფოლკლორში¹⁹. როგორც ჩვენთან ქაჯავეთში, ასევე აქაც ღვეები მიწისქვეშ ამზადებენ ჯაღოსურ ისარს, რომლის მომპოვებელი გმირი უძლეველი ხდება²⁰.

როგორც ქართულ ყოფაში ასევე სპარსულენოვან სამყაროში („შაჰ-ნამეს“ მიხედვით) ღვეები აკეთებენ იმის საწინააღმდეგოს, რასაც სთხოვენ. როსტომს ზღვაში უნდოდა ჩავარდნა და ღვეს სთხოვა — მთაზე დამავდეთ²¹.

ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატები და ღვთისშვილები, ზოგჯერ ხატის მკადრების გახუა მეგრელაურისა და აღონათ მინდიას მონაწილეობით, აწარმოებენ ლაშქრობას ქაჯავეთის წინააღმდეგ, საიდანაც ზღვის ნაპირებზე მოხვეტილი თვალ-მარგალიტი, სამშველდოებში დამზადებული გრდემლ-ჩაქუჩი, სასრევი, საწყაო, სამართებელი, ოქროს ძალიანი ფანდური და ა. შ. კულტურული ფასეულობანი მოაქვთ. ტიპოლოგიური ვითარებაა აღმოსავლურ მითებშიც. ირანში ჯიმშედის მეფობის სხვადასხვა პერიოდში სწარმოებდა ომი ეშმაკებთან, ომის მიზანი იყო ეშმაკეულთა ფასეულობების მოპოვება და მათი ხალხისთვის დანაწილება. ამ ბრძოლის შედეგად ეშმაკეულთა სამყოფელიდან (ზღვიდან, მთებიდან, გამოქვაბულებიდან, უდაბნოებიდან) წამოიღეს ყოველი-

¹⁶ ს. სერგბრიაკოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

¹⁷ იქვე, გვ. 25.

¹⁸ იქვე, გვ. 47.

¹⁹ იქვე, გვ. 76.

²⁰ იქვე, გვ. 78.

²¹ იქვე, გვ. 84.



ვე ის, რაც ადამიანებს სჭირდებოდათ — ოქრო, ვერცხლი, მინერალები, კეთილსურნელოვანი სამკურნალო წამლები და სხვ.²²

ქართულ მითოლოგიაში ცნობილია მოტივი იმის თაობაზე, რომ დემონოლოგიურ არსებას (დევს, ოჩოკოჩს, ქაჯს) ადამიანმა მეორეჯერ არ უნდა დაარტყას და არც ესროლოს, რადგან ეს იწვევს პირველი დარტყმულის ან ნასროლის განეიტრალებას²³. აღმოსავლურ (სპარსულ) ყოფაში დადასტურებულია მსგავსი მოტივიც. ერთი დევი, რომელიც სასიკვდილოდ არის განწირული, მეტოქეს ეხვეწება კიდევ დაარტყას, მაგრამ „გმირმა იცის, რომ თუ მეორეჯერ დაარტყავს, დევს თავისი ძალა დაუბრუნდება“²⁴. ტიპოლოგიურია აგრეთვე დევებისა და ქაჯების მიერ ბავშვების მოტაცების, მათი შეცვლის მითოსური გადმოცემები (დევების მიერ შეცვლილ ბავშვს სვანები „ნადალუს“ ეძახიან). დევების მემკვიდრე ჯინები ბავშვებს იტაცებენ და ზოგჯერ საკუთარში ცვლიან. ქაჯები მოტაცებულ ბავშვებს მწყემსად აყენებდნენ; მოტაცებულის სანაცვლოდ, როგორც ჯინები, ზოგჯერ საკუთარს უტოვებდნენ²⁵. როგორც ფშავ-ხევსურეთის ქაჯეთურ სიმღიდრეს, სომხური ტრადიციითაც, დევები თავიანთ ოქროსა და ვერცხლს მთის სიღრმეში ინახავდნენ²⁶.

ქაჯი (каджк, кадж, „გულადი“, „მამაცი“) სომხურ მითოლოგიაში მიჩნეულია ქარისა და გრივალის სულად. ზოგჯერ მას აიგივებენ ბოროტ სულთან — ვეშათან და სხვებთან. გვიანდელ მითებში (ქრისტიანულში) ქაჯს ადამიანური წარმომავლობა აქვს. ცხოვრობენ მაღალ მთებში, პიტალო კლდეებში, მღვიმეებში, ღრმა ხევში, აქვთ იქ სასახლეები. მთასა და ხეობებში ექო რომ ისმის, „ეს ქაჯის ხმაა“. დადიან წყვილებად. ზოგჯერ ადამიანს ქაჯი, როგორც დალი მონადირეს, ნაცნობი მეგობრის სახით ევლინება, გზას უზნევს, მიჰყავს ტყეში ან კლდეზე და ღუპავს მას. ისინი იტაცებენ აყვნიდან ბავშვებს, როგორც ამას სვანეთში აკეთებენ დევები, და ცვლიან თავიანთ ავადმყოფ ბავშვებზე²⁷.

ქაჯები, მესეფების მსგავსად, წყეულების, ქორწილის დროს კლავენ ხარს (მესეფნი ჯიხვს ან ირემს), ხარშავენ, ხორცს შეჰამენ, დარჩენილ ძვლებს მოაგროვებენ, ჩაყრიან ტყავში და ხელახლა აცოცხლებენ, ოღონდ გაცოცხლებულ ხარს ერთი ფეხი პარალიზებული აქვს, რადგან ვილაც მოპატივებულს ეს ფეხის ძვალს მოუშარია²⁸.

როგორც ვხედავთ, დევებისა და ღვთისშვილების ბრძოლის მითურ ასპექტებსა და ტიპოლოგიას საინტერესო დასკვნამდე მიყვავართ. კულტურული გმირების კოპალასა და იახსარის მიერ ღვე-კერების განდევნა მიწის პირიდან (ზეპირიდან), მათი გამიწორივლება, ადამიანებისათვის საარსებო სივრცის შემოსაზღვრა და იქ კულტის დამკვიდრება ტიპოლოგიურად თანხვედნილია აღმოსავლეთის ხალხების მითურ სამყაროსთან. ასევე, კულტურული

²² იქვე, გვ. 90—91.

²³ საბავშვო თამაშობაშია დღემდე შემონახული ეს ტრადიცია გადმონაშთის სახით მგურულ ყოფაში („ადამიანტე მახუტელა“). ამის თაობაზე იხ. ა. ცანავა, ქართული ზეპირ-სიტყვიერების საკითხები, თბ., 1970, გვ. 19.

²⁴ ს. სერებრიაკოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

²⁵ იქვე, გვ. 108, 114.

²⁶ იქვე, გვ. 112.

²⁷ Мифы народов мира. М., ч. I, 1980, გვ. 607.

²⁸ ს. სერებრიაკოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

გმირების, ღვთისშვილებისა და ჯვარ-ხატების მიერ ქაჯავეთური განძის, კულტურულ ფასეულობათა ეტალონების მოპოვება და მათი დანაწილება მეორე კოსმოსის (სოციუმის) შექმნის ტოლფარდი იყო, რომელსაც ასევე ტიპოლოგიური ასპექტები გააჩნია სხვა ხალხთა მითოლოგიურ წარმოდგენებთან. ამგვარად, ფშავ-ხევსურულმა გადმოცემებმა შემოგვიინახეს ისეთი მყარი, დასრულებული მითური მოდელები და წარმოდგენები, რომლებსაც უნარერსად დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადი მითოლოგიის აქტუალური პრობლემების გასარკვევად და დასადგენად.

ღვთისშვილების ზესკნელ-ქვესკნელში მოგზაურობის მითოსური ასპექტები და ტიპოლოგია. თინათინ ოჩიაურის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჩაწერილ ერთ-ერთ მითურ გადმოცემაში ნათქვამია: „პირველად მორაგემ რომ ხეთისშვილნი ზეციდან გადმოუშვენა, მაშინ ისინი გერგეტს და აბინავა, გერგეტის მთის ძირში და ნებას არ აძლევდა, რომ ჯერ ხმელეთზე სახალბოდ გამოსულიყვნენ და მოქმედება დაეწყათ. მხოლოდ გადმოშობილნი კი იმიტომ იყვნენ, რომ დევებთან უნდა ეწარმოებინათ ბრძოლა, რადგან დევები ხორციელთ, ე. ი. ხალხს, ანადგურებდნენ, ხოცავდნენ და ყოველნაირად ავიწროებდნენ მათ... შეწუხდა ხალხი და არ იცოდნენ რა ექნათ. ხალხმა მკითხავების საშუალებით ის კი გაიგო, რომ ხეთისშვილნი არიან გერგეტში ხალხის დასახმარებლად გადმოშვებულნი, მაგრამ ღვთიდან არ ჰქონიათ მოქმედების ნება“²⁹.

მეორე გადმოცემის მიხედვით, დევებმა ქალებს დაუწყეს წამება, თურმე, ისე მოაჯადოვეს, რომ ქალები თვითონვე მიზობდნენ დევებთან. ეს ამბავი ღვთისშვილებმა (ხთის ნამადებმა) იწყინეს. შესთხოვეს მორიგე ღმერთს, რომ კარატიონისთვის (კარატის ჯვარისთვის) ძალა მიეცა... მორიგე ღმერთს საგმირო ლახტი მიუცია კარატიონისთვის. რაღაც ცეცხლისაგან ყოფილა ეს ლახტი გაკეთებული, სადაც დაჰკრავდნენ, იქ ცეცხლს აჩენდა³⁰.

ბოლოს მორიგე ღმერთმა ნება დართო ღვთისშვილებს დაეწყათ მოქმედება დევების წინააღმდეგ. ღვთისშვილებისა და ჯვარ-ხატებისათვის მეხის თვისების საბრძოლო ლახტის (საგმიროს) მიცემა ტიპოლოგიურია მითრას, წმინდა გიორგის, თუ ზევსის (მეხის მტყორცნელის) სასწაულოქმედო რეგალიებისა. ზეციდან ჩამოსული კობალა, გადმოცემის მიხედვით, „ფშავის მთაზე უძილაურთის თავს, ირემთ კალოს რომ ეძახიან, იქ დაარსდა (დაივანა. — ა. ც.) და ადევნებდა თვალ-ყურს, სად იქნებოდა ბრძოლა საჭირო დევებთან... (ერთ მხენელს) გაპირეების დროს გაახსენდა და შემოსძახა: „გმირო, კობალაე, მიშველო“ ... ეს კობალამ მაშინვე გაიგო და იმ წამსვე იქ გაჩნდა... ლახტი ესროლა და იმით ე. ი. დევების ბინას ცეცხლი წაუკიდა, მერე მივიდა და ს უ ყ ვ ე ლ ა ა მ ო წ ყ ვ ე ტ ა ი მ ყ ო ფ ი დ ე ვ ე ბ ი. ერთი შეუძვრა როშკის ციხეში. ესროლა ლახტი და ციხეს ერთი კუთხე მოუშტვრია. დევი აქედანვე გაეცქა და როშკის მთაში ერთს კლდის ძირში ჩაუშვრა. ამ კლდესაც ესროლა ლახტი, გახეთქა კლდე ორად და დევს თვალც მოსთხარა. ამ კლდეს იახარის კლდე ჰქვიათ დღესაც“³¹.

²⁹ თ. ოჩიაური, დასახ. წიგნი, გვ. 156—157.

³⁰ იქვე.

³¹ იქვე, გვ. 157—158.

კობალა გერგეტის მთაზე გადმოუშვა მორიგემ, მაგრამ, როგორც სამარ-თლიანად მიუთითებს მიხ. ჩიქოვანი, „ჩქვე ივარაუდება იახსარის დაშვებაც. გერგეტი და მყინვარწყვერი (ყაზბეგი) სხვა შემთხვევაშიც იხსენიება წარმართულ ღვთაებათა სამყოფ ადგილად. ამის გამო შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართულ მითოლოგიაში ღმერთთა საცხოვრისი გერგეტ-მყინვარია, რომლის ქვეშ ამირანი იქნა მიჯაჭვული. მაშასადამე, ბერძნული ოლიმპის მოვალეობას მყინვარ-გერგეტი ასრულებდა. ამ ადგილებში ღმერთე შემორჩენილია მრავალი საკულტო ობიექტი, ქრისტიანული ბეთლემისა და გერგეტის სამების ტაძრის ჩათვლით“³². რახან ღმერთმა ღვთისშვილები გერგეტის მთიდან გადმოუშვა, გერგეტ-მყინვარის წმინდა მთებს კოსმოსური ღერძის ფუნქციაც ჰქონდათ დაკისრებული. მათ ზესკნელ-ქვესკნელიც უნდა დაეკავშირებინათ ერთმანეთთან. ლაშარის ჯვრის მიერ ნათქვამ სიტყვებს („ბერი გიორგი მეც ვიყავ, ცას ვები ოქროს შიბითა, გორაზე შედგა ბერმუხა, ზედ ავდიოდი კიბითა“) ზურაბ კიკნაძე ასეთ კომენტარს უკეთებს: „ამ სიტყვებში მსოფლიო ღერძის ოთხი განსახიერებაა წარმოდგენილი — მთა, მასზე ამოსული მ უ ხ ა, შ ი ბ ი (ჯაჭვი) და კიბე..., რითაც აღიოდნენ და ჩამოდიოდნენ ღვთის ანგელოზნი ანუ ღვთის შვილნი, ხევსურთა საკრალური ენით რომ ვთქვათ... ამ მითოლოგიის ვარიანტები უმნიშვნელო ეპიზოდებად არის გაფანტული ქართულ ზღაპრებში, სადაც ისინი მითოსის დამსხვრევის შემდეგ მოხვდნენ“³³.

კავკასიელ ხალხთა კოსმოგონიური წარმოდგენის მიხედვით, „მყარ მიწას მრგვალი ფორმა აქვს, ირგვლივ ზღვებითა და მთებითა შემოზღუდული, ქვეყნის ბოლოს დგას სიცოცხლის ხე, რომელიც ვერტიკალურად აერთებს ცას, მიწასა და მიწისქვეშა ქვეყანას“³⁴.

ასეთი სიცოცხლის ხე (ალვა ან ალვის მსგავსი მცენარე), რომელიც ყურძენს იხსამს, ბატონის, წმინდა გიორგის კარზედ ამოდის ხოლმე. „Растущая в святилищах высокоствольная виноградная лоза почиталась как древо жизни“³⁵. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქვეყნის ბოლოს და ღვთის კარზე ამოსული სიცოცხლის ხე ერთსა და იმავე დროს სკნელების შემეერთებელიცაა და უკვდავების თუ ხანგრძლივი სიცოცხლის მომნიჭებელიც. ქართული სკნელი (ქვეყანა) განლაგებულია ვერტიკალურად. ზესკნელი დასახლებულია ღმერთებით, დანტასტიკური არსებებით, შუა სკნელი — ადამიანებით, ცხოველებით და მცენარეებით. ქვესკნელშია გარდაცვლილთა სულები, ხლონური არსებები — დეგები, ღრაკონები, ღრმა მდინარეები³⁶. ერთი ქვეყნიდან მეო-

³² მიხ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971, გვ. 174. ამ შრომაში ავტორს საინტერესოდ აქვს განხილული ქართული თეოგონის საკითხები (გვ. 164—175) და, აგრეთვე — ქართული მითოლოგია და ხალხური პოეზია (გვ. 105—163).

³³ ზ. კიკნაძე, არწივი და სამი სკნელი, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, 1973, გვ. 86.

³⁴ Мифы народов мира, М., ч. I, 1980, გვ. 603.

³⁵ В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, გვ. 58.

³⁶ Мифы народов мира, М., ч. I, 1980, გვ. 603.

რწმე გადასვლა შეუძლიათ მხოლოდ ღმერთებს, ღვთისშვილებს, აგრეთვე ნახევრად ღვთაებრივ ვმირებს (გილგამეში, ამირანი). „ადამიანებს შეუძლიათ ასეთი გადასვლა მხოლოდ ღმერთების ნებართვით, „სახის შეცვლის“, ე. ი. სიკვდილის, გზით (ქართული „გარდაცვალება“ სიტყვასიტყვით აღნიშნავს „სახის შეცვლას“, სიკვდილს)“. როცა სული დროებით ტოვებს სხეულს, ღმერთებთან ერთად მოგზაურობს და გადადის ერთი ქვეყნიდან მეორეში, დაბრუნების შემდეგ ისევ ჩასახლება თავის სხეულში. ასე იქცევა, მაგალითად, ხევსური ვახუა მეგრელაური და ინგუშელი ბოტკი შირაკა³⁷. გარდა სხვადასხვა სახის ხეების, მთების, კოშკების, კიბეებისა თუ შიბებისა (ჯაჭვებისა), ზესკენელ-ქვესკენელთან მაკავშირებელ საშუალებებზე გამოყენებულია სასწაულმოქმედი ცხოველები, ფრინველები, ფანტასტიკური არსებები — დევები, ქაჯები და ა. შ. ამ წარმოდგენებიდან იღებს სათავეს წმინდა ხისა და ტყის (კორმის) მთის, ცხოველისა და ფრინველის ზებუნებრივი ძალმოსილება. სწორედ ასეთი წარმოდგენის შედეგია ქართულ მითებში ჭიუტი ღვთაების (შუბნურის) კერიაზე მოვლინება დაუმორჩილებელი ხის სახით.

ქართული პანთეონის მეთაურია უმაღლესი ღმერთი, ყველა არსებულის მბრძანებელი, ის იმყოფება მე-7 ცაზე, მისი ნების გარეშე არაფერი ხდება მზისა და მირის ქვეშ. დანარჩენი ღმერთები — ღვთისშვილები გამოდიან ლოკალურ ღმერთებად, დამცველებად და უშამავლებად ადამიანებსა და უმაღლეს ღვთაებებს შორის. ღვთისშვილების მეთაური იყო კერია, რომელსაც თავისი კარი ჰქონდა. „გილგამეშის“ ეპოსის ღვთაებები საგანგებოდ შეიკრიბნენ და წარღვნა მოახდინეს. ასევე იკრიბებოდნენ ოლიმპოს ღმერთები მნიშვნელოვანი აქციის ჩატარების წინ. ასეთ შესაკრებ ადგილად ქართულ პანთეონში ღმერთის კარი ითვლებოდა.

ვერა ბარდაველიძის შრომებში დადგენილია, რომ ღმერთი ითვლებოდა მამად, სათემო-სატომო ღმერთები — მის შვილებად. შესაბამისად მათ „ღვთის-შვილებს“ უწოდებდნენ. ღვთისშვილები ერთმანეთის მიმართ „მოდე-მოძმე-ები“ იყვნენ. მოდე-მოძმეობა დედის ხაზით ვითარდებოდა. მზის ღმერთის, მზე ქალისა და მისი გუნდის წევრები პერსონიფიცირებული იყო სახელწოდებაში — დობილინი³⁸.

ღვთისშვილების სხვადასხვა საშუალებით ზესკენელ-ქვესკენელში მოგზაურობას მრავალი ტიპოლოგია მოეპოვება. საკმარისია გავიხსენოთ ნახევრად ღმერთკაცის გილგამეშის მოგზაურობა ზღვის შუაგულში მჯდომი სიღურის ქვეყანაში, მითური მამუს მთის გვირაბის გავლით და იქიდან უკვდავების ბაღის ამოტანა. ღვთისშვილების მსგავსად, გილგამეში და ენქიდუ ამარცხებენ ზემზაბას და ადამიანებს უმკვიდრებენ სასიცოცხლო ტერიტორიას კედარის ტყეებითურთ.

ღმერთების შვილი ფუ-სი კიბით აღიოდა ზეცაში. ეს არ არის ჩვეულებრივი კიბე. მითის მიხედვით, ლაპარაკია კიბე-მთაზე და კიბე-ხეზე, როგორც ეს ტიპოლოგიურად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დასტურდება. ღმერთები და უკვდავები „ნაბიჯ-ნაბიჯ“ აღიოდნენ ცაზე და მიწაზე ეშვებოდნენ ან მთიდან ან კიბე-ხიდან³⁹. უნდა სცოდნოდნათ სად იყო ასეთი მთა ან ხე.

³⁷ იქვე.

³⁸ ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

³⁹ Юан Ке, Мифы древнего Китая, М., 1965, зб. 53.

ეს კი არაჩვეულებრივ ადვილას იყო დაცული. შამანები, ღვთისშვილები მსგავსად, პირდაპირ აღიოდნენ ცის სასახლეში დენბაოშანის მთიდან, რათა გაეგოთ ღმერთების ნება და შემდეგ ხალხისთვის ეუწყებინათ, ასეთი მთები სხვაგანაც იყო. მხოლოდ ერთი ხე — ცზიანმუ ბოლომდე წვდებოდა ცას. იგი ამოზრდილი იყო ღუგუანის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, სადაც იმყოფებოდა ცისა და მიწის ცენტრი, ღვთის კარზე ამოსული ალვის ხის მსგავსად, ცზიანმუც ბადის შუა ადგილას იყო ამოზრდილი⁴⁰. ფუ-სი პირველი ავიდა ამ ხის კიბით ცაზე. ღუგუანის ნაყოფიერი ველი მდებარეობდა ცის კიბის ახლოს, ამ კიბით „ღმერთები მიწაზე ჩამოდიოდნენ“⁴¹.

ქართული თეოგონიის პერსონაჟები, ღვთისშვილებისა და ჯვარ-ხატების (მორიგე, დალი, ხელსამძივარი, ლაშარელა, კობალა, იახსარი, პირქუში, თეთრი მთის ქორი თერგავული და სხვა) საზით, საკმაო სისრულით აქვს დახასიათებული პროფ. მიხ. ჩიქოვანს თავის შრომებში⁴².

ჩვენ ღვთისშვილები გვიანტერესებს იმ ფაბულატური გადმოცემების კვალობაზე, რომლის ძალითაც ისინი გვევლინებიან ზოგადმითოლოგიურ კულტურულ გმირებად და გვერდში უდგანან ადამიანებისათვის სასიცოცხლო და საარსებო საშუალებების მოპოვებისათვის მებრძოლ ღვთაებათა პანთეონის პერსონაჟებს.

გადმოცემის მიხედვით, იახსარი ყოფილა დიდი ძალის მქონე. ის ებრძოდა დევებს და ანადგურებდა. იმ დროს დევები (დევ-კერპები) ზეპირად (მიწაზე) გამოსულნი ყოფილან. ხოცდნენ და ჭამდნენ ხალხს... მორიგე ღმერთმა იახსარსა და კობალას, ერთუროს მოამეთ, ორივე წმინდა ბერს, მოულოცა ძალი და შეძლება დევებთან ბრძოლისა და მათი განადგურებისა...

ხაშარს (ადგილის სახელია)... სახელგანთქმული დევები ცხოვრობდნენ — მუზა და ბელელა. მუზა ყოფილა დევების მეფე და ბელელა ლამაზი დევის ქალი... სოფ. უძილაურთას თავს არის... ზედ მთაზე დიდი მოედანი, რომელსაც ჰქვია ირემთ კალო... სახელგანთქმული დევები დაბარებულნი იყვნენ, ყველგანით უნდა მოსულიყვნენ... იახსარსა და კობალას... განზრახული ჰქონდათ ამ დროს დევების ამოწყვეტა. ბრძანებაც ასეთი იყო მორიგე ზეთისაგან...

იახსარი ჩუმად წავიდა და ჩაუსაფრდა ირემთ კალოზე მომავალ მუზას... დაჰკრა თავში ლახტი და მუზა დევი აქვე მოკლა... ხაშარში რაც დევები იყვნენ..., მუზას... მოსაშველებლად გამოემართნენ. მივარდა იახსარი თავისი ლახტით და სულ ამოწყვეტა ყველა დევი⁴³.

აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს დევებისა და ქაჯების, ე. ი. ხთონური ძალების, სულ ამოწყვეტა. მითური მოდელის მიხედვით, როგორც აღვნიშნეთ, ამგვარი არსებების დამორჩილება, გადმობირება ან მოსყიდვა არ შეიძლება.

⁴⁰ იქვე, გვ. 54.

⁴¹ იქვე, გვ. 157.

⁴² მიხ. ჩიქოვანი, ქართული თეოგონია, იხ. ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971, გვ. 164—175; მისივე, ქართული მითოლოგია და ხალხური პოეზია, იხ. ქართული ხალხური პოეზია, I, მიხ. ჩიქოვანის რედ., 1972, გვ. 11—76; მისივე, თეთრი მთის ქორი თერგავული, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, III, თბ., 1977, გვ. 76—91.

⁴³ თ. თხიფაძე, დასახ. წიგნი, გვ. 143—145.

ისინი სრულად უნდა მოისპონ. ასეა ეს ამირანის ეპოსში, „ვეფხისტყაოსანში“ და ლეთისშვილთა მიერ დევ-კერპების წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველ ფაბულატებში. კოპალამ დამძობლებულ ხმალას უსაყვედურა ლამაზი დევის ქალის დანდობა და თვითონ მოკლა დევის ქალი. ასეთი შეცდომა თვით ლეთისშვილ იახსარს არ აპატებს და საჭაროდ გაკიცხეს.

ლეთისშვილები, როგორც ზევსი კრონოსის მიმართ, სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ დევების წინააღმდეგ. ბრძოლის ადგილას — ირემთ კალოზე მათ სიბი ქვეები დააზღავეს (დააყარეს). რათა დევებთან შებრძოლების დროს ქვეყანა „არ ჩაბრუნვილიყო“ (დედამიწა არ ჩაქუთულიყო). როგორც ცნობილია, ლეთისშვილებმა მთლიანად გაეღიტეს დევ-კერპები ფშავ-ზევსურეთში. უკანასკნელი ერთი ცალთვალა დევი გაექცათ და ტბაში ჩავარდა, იახსარი დაეღვენა მას, ჩაჰყვა ტბაში და იქ მოკლა. ამის თაობაზე ვაჟა-ფშაველა წერს: „სისხლი დევისა ამოვიდა მალღა ძირიდან, გადაეფინა ტბას და მთლად დაფარა, გაება ზედ აბლბუდასებრ. იახსარი, რადგან წმინდა იყო, ანველოზი, ლეთის შვილი, ვერ ამოვიდოდა მალღა, რომ დევის სისხლი არ მისცებოდა და არ გაუწმინდურებულიყო. დარჩა ხატი იახსარი ტბაში. ხალხმა გაიგო ეს ამბავი და დიდად შეწუხდა, ქადაგის პირით ხალხმა ღმერთს შესთხოვა, ესწავლებინა მას ხალხისთვის საშუალება იახსარის ტბიდან განთავისუფლებისა, ეშოვნათ ოთხრქა, ოთხყურა ცხვარი და იმის სისხლით გაენათლათ ტბა, ე. ი. სისხლი ამ ცხვრისა ჩაეღვარათ ტბაში, ანუ შიგ ჩაეკლათ ცხვარი. ფშავში ბევრი ეძებეს ოთხრქა, ოთხყურა ცხვარი, მაგრამ ვერ მოიძიეს. ბოლო დროს ზევსურეთში აღმოჩნდა ეს საოცარი ცხვარი. ლეთის ბრძანებისამებრ, წაიყვანეს და ჩაკლეს ცხვარი წაყადის ტბაში. მაშინვე ცალი პირი ტბისა გაიხსნა და იახსარი მტრედისფრად ამოვიდა ტბიდან, შემოჯდა ტბის პირად ქვაზედ და დაიწყო მხრების ბღერტა, სწორება“⁴⁴.

თინათინ ოჩიაურის მიერ ჩაწერილი გადმოცემა უფრო აკონკრეტებს ოთხრქა-ოთხყურა ცხვრის პატრონის სადაურობას და მოგვეთხრობს იმაზე, თუ როგორ ბოროტად გამოიყენა ბლოელმა მეცხვარემ იახსარის მიერ შემოთავაზებული კეთილი სამსახური. „...რომელმა ბლოელმაც ოთხრქა-ოთხყურა ცხვარი მისცა, იმას უთხრა იახსარმა: „შენ კაი სიკეთე ქენი, რომ ცხვარი მიეცი ჩემთ ყმათ და მე დამიხსენიო. შენ ერთსულ მიშველე, სამაგიეროდ მე სამჯერ გიშველიო. როცა ძალიან გაგიჭირდება, მაშინ შემომძახე“⁴⁵ და დაგისწიო... (ორჯერ მართლაც დიდი ვაჭირებიდან იხსნა, მაგრამ)... მესამედ შე მო ს ძ ა ხ ნ ა უბრალო საქმეზე... გაწყრა იახსარი, შერისხა და ის ოჯახი სულ ამოწყვიტა“⁴⁶.

იახსარის მოძმე ლეთისშვილი კოპალაც, როგორც სხვა ლეთისშვილები, მორიგე მგერგეტის მთიდან გადმოუშვა. კოპალამაც ღმერთის (მორიგის) მიერ გაკეთებული ლახტით მთლიანად ამოწყვიტა მიწის ზემოთ (ზეპირ) მოსიარულე დევები, ვინც გადარჩა, სულეზად იქცნენ და მიიძალნენ⁴⁷.

ზეპირად მოსიარულე დევებს ხანდისხან ენაბრებიან ქაჯებიც, რომლე-

⁴⁴ ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. IX, თბ., 1964, გვ. 80. ჩართულია წერილში — „კოპალა და იახსარი — დევების მებრძოლი“, 1889 წ.

⁴⁵ შამახვა: როცა გაუჭირდებოდათ, ქულს მოიხდიდნენ და შეეხვეწებოდნენ რომელიმე თავის სალოცავს, სალოცავი ხმას გაიგებდა და მიეშველებოდა.

⁴⁶ თ. ო ჩ ი ა უ რ ი, დასახ. წიგნი, გვ. 149—150.

⁴⁷ იქვე, გვ. 164—165.

ბიც უფრო მეტად ქაჯავეთში, ხთონურ სამყაროში მოქმედებენ და კულტურულ ფასეულობათა ეტალონებს ფლობენ. ქაჯები კოპალას ნასროლ ქვას, რომელიც სამოცი ნაბიჯითაა დაშორებული დედის ნასროლ ქვაზე, ეჭაჯგურებიან, უნდათ უკან გადმოსწიონ, მაგრამ ამ დროს კოპალამ მოუსწრო, ნახა დეების ორპირობა და „დაერია თავის ლახტით და სულ ამოწყვიტა“⁴⁸.

ხალხური მოქმელი, როცა ღვთისშვილისა და დეების ბრძოლას აღწერს, ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ დეები ან ქაჯები „სულ ამოწყვიტა“. ეს გამოთქმა მითოლოგიური შინაარსის შემცველია და მიუთითებს კოსმოსისა და ქაოსის თავისებურ ასპექტებზე, რომელსაც მრავალგანზომილებიანი ტიპოლოგიური და გენეტიკური პარალელები გააჩნია. ეს ასპექტი უაღრესად კონცეპტუალური მიზანდასახულობითაა ასახული შოთა რუსთაველის გენიალურ „ვეფხისტყაოსანში“.

ამგვარად, ღვთისშვილები (კოპალა, იახსარი და სხვ.) მორიგე ღმერთისა და „ხმელთმოურვის“ კვირიას დახმარებით დეე-კერპებისაგან ათავისუფლებენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტერიტორიას, უქმნიან ადამიანებს სიცოცხლისა და გამრავლებისათვის აუცილებელ საარსებო საშუალებებს და თანაც ამკვიდრებენ თავიანთ ადგილობრივ კულტებს. ამის შემდგომ იწყება, ადამიანების მონაწილეობით, ღვთისშვილების მიერ საყოფაცხოვრებო კულტურის დანერგვა საზოგადოებაში, ანუ მეორე კოსმოსის (სოციუმის) შექმნა. ეს გულისხმობს ქაჯავეთური განძის, კულტურულ ფასეულობათა ეტალონების მოპოვებასა და განაწილებას.

საყოფაცხოვრებო კულტურის დანერგვა კაცობრიულ საზოგადოებაში ადამიანების მონაწილეობით. აღნიშნული ტიპის სიუჟეტები საინტერესოდ გადმოგვცემს, ადამიანების მონაწილეობით, ჯვარ-ხატების მიერ ქაჯავეთური 'ნიმდირის (ე. ი. საყოფაცხოვრებო და კულტურული ფასეულობათა ეტალონების) მოპოვებისა და დანაწილების მითურ ასპექტებს. ეს ასპექტებიც არ არის ლოკალური და გარკვეულ მნიშვნელობას იძენს მითოლოგიის ზოგადი სტრუქტურულ-ტიპოლოგიური საკითხების კვლევა-ძიების დროს. ამ შემთხვევაში არალოკალურობა სრულიადაც არ გულისხმობს ეთნოგრაფიული კონკრეტულობის მოხსნას, როგორც ეს ზღაპრისთვისაა დამახასიათებელი. ბივალუზინების ტიპის ფაბულატებში კულტურული გმირების ყალიბი ზოგადია და ამდენად გლობალური, ეთნოგრაფიული სინამდვილე კი, სადაც ეს კულტურული გმირები მოქმედებენ, კონკრეტულ-რეალურია. ქაჯავეთის დასალაშქრად მიდიან ფშავე-ხევსურეთის ჯვარ-ხატები და ღვთისშვილები. ღვთისშვილების რიცხვი ძალიან ბევრია ფშავესა და ხევსურეთში. მათ შორის გამორჩეულია კოპალა, იახსარი, პირქუში, ლაშარი და მრავალი სხვა. ამ ახლო ხანებში მიხ. ჩიქოვანმა გამოავლინა ორი მეტად ძლიერი ღვთისშვილის სახე, რომელთა შესახებ მკვლევარი წერს, რომ ღვთისშვილთა დასახელებისას „თავში ბერი ბუქნა ბაადური და თეთრი მთის ქორი თერგვაული უნდა მოვაქციოთ“⁴⁹. მართლაც, თეთრი მთის ქორი თერგვაული ქაჯავეთის დასალაშქრის პირველი ორგანიზატორი და მეთაური ყოფილა. ამაზე მიუთითებს ნაშრომში მოყვანილი სტრეოტიპული გამონათქვამები: „ჩემნო იმედნო,

⁴⁸ იქვე, გვ. 190.

⁴⁹ მ. ჩიქოვანი, თეთრი მთის ქორი თერგვაული, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, III, თბ., 1977, გვ. 79.

ღვარშვენიერი“ შეიძლება უკავშირდებოდეს „ულურ“-ს. ლამაზ, გამორჩეულ, პირმშვენიერ კაცს „ულურიან კაცს“ ეძახიან ზევსურეთში.

ღვთისშვილებს, გარდა გასაუჩინარებელი საფარველისა, აქვთ ჰაერზე გასაშლელი ნაქსოვიც (ზღაპრული მფრინავი ხალიჩის არქექტივი). ჰაერზე გადენილ „ხალიჩაზე“ მდგარი ღვთისშვილი საგმიროს პირდაპირი დაშენით ამარცხებს დევეკრებებს.

ქაჯეთის (ქაჯუეთის) დალაშქვრა ხორციელი კაცის მონაწილეობით (მინდისა და გახუას მსგავსად) წმინდა გიორგისაც მიეწერება. ამ ასპექტში წმ. გიორგი და მითრას მსგავს ტიპოლოგიურ ორეულებს წარმოადგენენ. 1911 წელს ბისოელი ზაბუა ქეთელაურისაგან ა. შანიძეს ასეთი მითოლოგიური გადმოცემა ჩაუწერია (მოგვყავს ლიტერატურულად გადმოღებული): „გიორგი ქაჯავეთში წასულა და იქ ერთი ხორციელი კაცი წაუყოლებია. მთაზე სადღაც კლდეში სულეში (სული) ამოთრიდებია (ამოუყვანია) და თან გაუყოლებია ქაჯავეთში. იქ (ქაჯავეთში. — ა. ც.) ქაჯებს საფერხნე (შესაკრებელი, სასაუბრო) ადგილი ჰქონიათ გაკეთებული. იქვე სამკედლოში ერთი სინის (ბრინჯაოს, რვალის, რკინის) მკედელი ჰყოლიათ. სინასა ჰედდა. შევიდა წმ. გიორგი და იმ კაცის სულიც თან შეჰყვა. წმ. გიორგის ის საჭედი სინა მოუხიბლავს (მოუყადობია). როგორც კი იმ სინას გამოიღებს, გრდემლზე შეაგდებს და კვერსა დაჰკრავს — სინა გასკდება და ქაჯებს სულ ამოხოცავს („სრულ გალუპას“)... (იქდან) მოუტანავ კიდევ ოქროს ფანდური, ცხრა ძალიანი, ოქროს საცერი, სამართებელი, სასრევი“⁵⁹.

ქაჯავეთთან ასეთი მდიდრული საყოფაცხოვრებო ფასეულობათა მოტანა, რომელიც კოსმოგონიური მითოსის გარკვეული ასპექტია და ტიპოლოგიური ყალიბიც გააჩნია მსოფლიო მითოლოგიაში, ამ შემთხვევაში წმ. გიორგის მიეწერება. მისი ადრინდელი არქექტივები ღვთისშვილები, გიორგი ნაღვარშვენიერი, თერგვაული და სხვები არიან.

ქართულ მითოლოგიაში ხთონური პერსონაჟების — დევეებისა და მათი მემკვიდრე ქაჯების აბსოლუტურ ბოროტებზე არსებული მყარი მითოლოგიური მოდელები საფუძვლად დაედო გენიალურ „ვეფხისტყაოსანში“ უდიდესი მხატვრულ-მეტაფორული ძალით წარმოსახულ ქაჯურ ბოროტებას. მითურ ასპექტში ხალხური „ქაჯავეთი“ და შოთა რუსთაველის ქაჯეთი იდენტურნი არიან, მაგრამ ამ საკითხზე სხვა შრომაში გვაქვს საუბარი. მეტად საყურადღებოა მითოლოგების — გამიწვრილებების საოცრად ტყველი სემანტიკა. ამ ერთსიტყვიან მითოლოგებში მრავალი რამ იგულისხმება. თინათინ ოჩიუაურის ცნობით, ფშავ-ხევსურეთში დასახლებული დევეკრებების დამარცხების შემდეგ „გადარჩენილი დევეები გამიწვრივდნენ, ე. ი. უხილავ არსებად იქცნენ, რომელთაც იღუმალათა შეეძლოთ ენების მოტანა“⁶⁰. დევეების უხილავ არსებად ქცევის მითური ასპექტი შესანიშნავადაა რეპროდუცირებული „ვეფხისტყაოსანის“ შემდეგ სტრიქონებში: „კვალი ძენენს და უკვირდა ვერპოვნა ნაკვალევსა, აგრე კვალ-წმიდად წარხლომა კაცისა, ვითა დევსა“ (1951, 981-2). ფშაველი ირაკლი გოგოლაურისა და ხევსური ამირან არაბულის გადმოცემით, გამიწვრილება ავ სულად ქცევას ნიშნავს, როცა ადამიან-

⁵⁹ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი, 1931, გვ. 594—595.

⁶⁰ თ. ოჩიუაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

ზე ამბობენ „მიწრიელი ხარ ათერო, თანთან მიწისაკ მიძვრები“ (კაფიაა, ეთერს აკაფიავენს მეტოქე), ეს იმას ნიშნავს, რომ მეტოქე ეთერს აღარებს აე სულს. როცა დევების მიმართ ამბობენ „გამიწრიელდაო“, ეს ნიშნავს კიდევ უფრო გაავდნენ, უფრო უარესი ცუდები გახდნენო, თანაც, იგულისხმება მათი მიწისქვეშ განდევნა. ერთ-ერთ ლექსში ნათქვამია: „დევნ გამიწრიელდნენ გომეწარს, მცხოვრებ დაშინდნენ ყველანი, დაუპერავის ავსულთა ხევი, მთანი თუ ველანი“⁶¹.

ამგვარად, გამიწრიელება დევის უკვალოდ გაუჩინარების („აგრე კვალწმიდად წარხნობა კაცისა, ვითა დევისა“) თავისებური მითოლოგემაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, რომ ქართული კოსმოგონიური მითები საყურადღებო და მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენენ როგორც ეროვნული, ისე ზოგადმითოლოგიური პრობლემატიკის კვლევა-ძიების საქმეში.

А. В. ЦАНАВА

ГРУЗИНСКИЕ КОСМОГОНИЧЕСКИЕ МИФЫ

Резюме

В грузинской космологии сохранились космогонические мифы вторичного характера, подразумевающие на первом этапе изгнание «божьими сыновьями» злых сил (дэвов и каджей) с лица земли и ограничение территории обитания людей путем учреждения молитвенных культов. На втором этапе «божьи сыновья», т. е. «культурные герои» с участием людей выносят из Каджети (из хтонического мира) эталоны культурно-бытовых ценностей (молот и наковальню, меру, золотой пандури, жемчуга, минералы, золото и серебро и т. д.).

Оба эти космогонические представления излагаются в мифах меморатного и фабулатного типа («былички» и «бывальщины»), которыми так богаты горные районы Восточной Грузии, особенно Пшав-Хевсурети. Копала, Иахარი, Тергваули, Гиორги Нагварმშენიერი («Прекрасноликий») и другие «культурные герои» («божьи сыновья») изгоняют из Пшав-Хевсурети дэвов-идолищ, учреждают свои молелии, а затем, при участии существ во плоти (Миинди, Гаухა) совершают набег на Каджети (хтонический мир), выводят оттуда похищенную каджями в мире существ во плоти богиню весны и плодородия Самдзивари (Самзевари), а также выносят эталоны культурных ценностей.

Отмеченные космогонические представления находят себе типологические параллели в мировой мифологии. Эти представления в определенном аспекте метафоризованы в бессмертном «Вепхისტკასანი» Шота Руставели.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება
წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

ვიალა ხელაშვილი

ანიარის სახე სპარსულ ხალხურ დასტანებში

საქვეყნოდ აღიარებული სპარსული პოეზიის შედევრების გვერდით ღირსეული ადგილი უკავია პროზის ჩინებულ ნიმუშებს, მათ შორის ხალხურ დასტანებსაც, რომლებიც მხატვრულ ღირსებებთან ერთად გვაცნობენ ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებას, მათ პრაქტიკულ საქმიანობასა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვადასხვა საინტერესო ასპექტებს.

ჩვენი კვლევის მიზანია შევისწავლოთ აიარათა სოციალური სახის სრულყოფის, მათი განვითარების, მათი საზოგადოებრივი ფუნქციის როლი და მნიშვნელობა იმ დასტანების მიხედვით, რომელნიც უკავშირდებიან ამ ეპოქის განვითარების მეორე პერიოდს (XVI—XIX სს.). იმისათვის, რომ უფრო ცხადი, თვალნათელი და მიზანმიმართული ყოფილიყო ამ მიმართებით ჩვენს მიერ განხილულ დასტანებში მოკვლეული მასალა, უპირველესად შევისწავლეთ ამ პერიოდის ირანის საქალაქო ცხოვრება, მისთვის დამახასიათებელი სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური ნიშნებით.

მონღოლთა შემოსევამ, ირანის ქალაქების მოსახლეობის მასობრივმა ელექტამ მნიშვნელოვნად შეარყია ამ პერიოდის ირანის პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერება, რამაც თავის მხრივ გამოიწვია საქალაქო ცხოვრების დაცემა, ვაჭრობისა და ხელოსნობის, ვაჭარ-ხელოსანთა ორგანიზაციების დაქვეითება. მონღოლთა დესპოტობით უკიდურესად შეძრწუნებულ ხალხს დაკარგული ჰქონდა რაიმე წარმატების იმედი. ვერაინ ბედავდა მხაგვრელთა წინააღმდეგ გამოსვლას, რადგან ადგილობრივი ფეოდალები, რომლებიც ცდილობდნენ პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნებას, იმის ნაცვლად, რომ მხარი დაეჭირათ ხალხისათვის მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში, გადადიოდნენ მხაგვრელთა მხარეზე და ეხმარებოდნენ მათ თანამემამულეების ძარცვა-ჟლეტაში. რა თქმა უნდა, ასეთმა ვითარებამ თავისთავად განაპირობა საქალაქო ცხოვრების ამსახველი ლიტერატურის ერთგვარი მიძინება. ის სამწუხარო ფაქტი, რომ ჩვენამდე არ მოუღწევია რაიმე ცნობას XIV—XV საუკუნეებში შექმნილ დასტანების შესახებ, შესაძლებელია, სრულიადაც არ ნიშნავდეს იმას, რომ ამ პერიოდში საერთოდ აღარ იქმნებოდა საქალაქო ცხოვრების ამსახველი ლიტერატურა. მართალია, მონღოლ ხანებს არაფრად უღირდათ ადგილობრივი ლიტერატურის განვითარება, მაგრამ გამომდინარე თავიანთი მატერიალური ინტერესებიდან, ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეწყობათ საქალაქო ცხოვრების აღდგენისა და ხელოსნობა-ვაჭრობის განვითარებისათვის. ისე რომ, XVI საუკუნიდან კვლავ იწყება საქალაქო ცხოვრების ხელახალი აღორძინება, რაც თავის მხრივ ქმნის პირობებს დასთანური ლიტერატურის ხელახალი აღზევებისათვის. თუ დასაწყისში (1502—1590 წწ.) მომქალაქებული ყიზილბაშურ-მომთაბარული ტრადიციებისათვის უცხო იყო საქალაქო ცხოვრება, შემდგომ პერიოდში, რომელიც მოიცავს 1590—1722 წლებს, უკვე თანდათანობით იმქალავრა და გავლენა მოიპოვა საკუთრივ ირა-



ნულმა ელემენტმა¹. მიუხედავად იმისა, რომ საქალაქო ცხოვრების განვითარებას აფერხებდა არახელსაყრელი შინაგანი პოლიტიკური ვითარება და ხანგრძლივი ომები, რომელსაც ირანი ეწეოდა მეზობელ სახელმწიფოებთან, XVII საუკუნის მანძილზე გაბატონებულმა ხანგრძლივმა მშვიდობიანობამ, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებამ, თავის მხრივ, შეუწყო ხელი ქალაქის ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის ზრდა განვითარებას. ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა საქალაქო ცხოვრების ყოველი სფერო თავისი კონტროლისათვის დაექვემდებარებინა და თავისი ინტერესების შესაბამისად წარემართა. XVII საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს დაცარიელებული ხაზინა შეავსოს ქალაქის წარმოებელი მოსახლეობის კიდევ უფრო მეტი ექსპლოატაციის ხარჯზე. ამ მიზანს ემსახურება მრავალრიცხოვანი საქალაქო გადასახადები, ფეოდალთა თვითნებობა. მსხვილი საერო და სასულიერო ფეოდალები დიდვაჭრებთან ერთად ქმნიან ქალაქის მოსახლეობის ზედა ფენას — არისტოკრატიას, რომელიც ქალაქის ეკონომიურად სუსტი, უუფლებო მოსახლეობის ნაწილის ექსპლოატაციის ხარჯზე მდიდრდება. ფეოდალურ ირანში არ იყო დაცული ქალაქის მშრომელ მოქალაქეთა ქონებრივი, პიროვნული უფლება, ამიტომაც კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივი სამართლის საფუძველზე წარმოქმნილი სოციალური უთანასწორობის პრობლემა თავისთავად იწვევდა მოსახლეობის დაბალი ფენების უკმაყოფილებას. იყო შემთხვევები, როცა გაბატონებული კლასის წარმომადგენლები თავიანთი ანგარებითი მიზნების განსახორციელებლად უკავშირდებოდნენ კიდევ დაბალი საზოგადოებრივი ფენების გამოსვლებს, მაგრამ მათი ეს „თანაგრძნობა“ ქრებოდა მაშინვე, როგორც კი საწადელ მიზანს მიღწევდნენ. „სხედასხვა იყო სოციალურ მოძრაობაში მათი ჩაბმის მიზეზიცა და მიზანიც. მათ სურდათ სოციალური მოძრაობა სასურველი მიმართულებით წარემართათ“². ასე ცდილობდა ცენტრალური ხელისუფლება სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დამორჩილება-დაქვემდებარებას.

სპარსული ხალხური დასთანების განვითარების მეორე პერიოდი სწორედ XVI—XVIII საუკუნეებს მოიცავს³. იგი ხასიათდება დასთანური ლიტერატურის მომძლავრებით, კლასიკური ხანის ხალხური პროზის განვითარება-გადამუშავებით. ამავე პერიოდს ახასიათებს ძველი მხატვრული სიტყვიერების მიმბაძველობა, ძველი ეპიკური ტრადიციებისა და ადრინდელი დასთანების თემების გადამუშავება პატრიოტული და სარწმუნოებრივი ასპექტების წინა პლანზე წამოწევა-წარმოჩინების ნიშნით. სწორედ დრომ, მომძლავრებულმა ისლამმა განაპირობეს ის, რომ ხშირად ასეთ დასთანებში მითური და პრინსლამური გმირებიც კი მუსულმანებად გვევლინებიან. აქ მთქმელისა თუ მსმენელისათვის ისტორიული ფაქტი კი არ არის მთავარი, არამედ გმირის მყარი სარწმუნოებრივი პოზიცია. რელიგიის წარმომადგენლებიც ყოველნაირად უწყობენ ხელს რელიგიური ელემენტებით ხალხური შემოქმედების გამ-

¹ იხ. კ. კუცია, სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, ვაჭრობა, საქალაქო გადასახადები, თბილისი, 1966, გვ. 5.

² გ. ბერაძე, „ქალაქის რაისების“ ინსტიტუტი X—XII სს. ირანში. თბ., 1969, გვ. 168.

³ იხ. ალ. გვახაჩია, სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან (დასთანები), თბ., 1973, გვ. 62.



დიდრებას, მათ დამკვიდრებას ხალხურ პროზაში. ასე მოიკიდა ისლამმა ფეხი ხალხურ შემოქმედებაში, ამიტომაც არის, რომ მეორე პერიოდის დასთანების გმირებს ღმერთის განსაკუთრებული სიყვარულისა და ყოვლისშემძლეობის შტეციე რწმენა გააჩნიათ. სწორედ ამ მიმართებით გადაკეთდა კლასიკური ხანის (XII-XIII სს.) მრავალი სარიანდო-საგმირო პოემა. ამ პერიოდის დასთანებას ახასიათებთ ენის ხალხურობა, მეტყველებისა და თხრობის სისადავე, საგმირო-პატრიოტული ელემენტის გაძლიერება. სწორედ ასეთი თხზულებები განსაზღვრავენ ამ პერიოდის დასთანური ლიტერატურის ხასიათსა და მიმართულებას, მათში ყურადღება ძირითადად გადატანილია საგმირო-საფალავნო ეპიზოდებზე, გმირების სარწმუნოებრივ და პატრიოტულ თვისებებზე, რის გამოც ამ თხზულებებში შედარებით მკრთალად აისახა ამ პერიოდის აღმოსავლეთის საქალაქო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ყოფითი სურათები. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდის დასთანებაში მაინც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დაბალი ფენების წარმომადგენელ აიართა სამოქალაქო თუ საოჯახო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი წესებისა და ადათების ასახვას. აიართა ყოფის ამსახველ დასთანებას შორის ჩვენ ამჯრად განვიხილავთ: „ყაპრამან ნამეს“, „ბაპრამ ო გოლანდამს“ და „ამირ არსლანს“⁴.

დასთან „ყაპრამან-ნამე“ მიეწერება კლასიკური ხანის მწერალს აბუ თაჰერ იბნ ჰასან იბნ ალი იბნ მუსა თართუსის, მაგრამ, როგორც ჩანს, მას პირვანდელი სახით არ მოუღწევია ჩვენამდე. ავტორის მიერ აღწერილია ყაპრამანის თავგადასავალმა ისე იცვალა სახე საუკუნეებისა და მთხრობელთა წყალბოთი, რომ, ეტყობა, ძალზე მცირედილა შემორჩა საერთო პირველ წყაროსთან. ეს იქიდანაც ჩანს, რომ დასთან განსაკუთრებით უსვამს ხაზს ქვეყნის მეომრებისა და მოქალაქეების გმირულ სულისკვეთებას, პატრიოტულ გრძნობას.

დასთანის სიუჟეტური ქარგის მიხედვით ირანის მეფეს თალეყმორადს ჰყავს ვაჟი ყაპრამანი, ხოლო მის ძმას აპრასბს — ყაპთარანი. ერთხელ დევებმა სამი წლის ყაპრამანი ყაფის მთის კალთებზე გაიტაცეს, ხოლო შვიდი წლის ყაპთარანმა კი გაქცევით უშველა თავს. ვერ გადაიტანა თალეყმორდმა შვილის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება და გარდაიცვალა. ირანის დიდებულები სამეფო ტახტზე იწვევენ შვიდი იყლიმის ხმლით მპყრობელს ჰუშანგს, რომელმაც მორიგ დასალაშქრავ სამეფოდ ინდოეთი აირჩია. ამ დასთანის სიუჟეტური ხაზის განვითარება მიმდინარეობს ჰაბუკი ყაპრამანის ცხოვრებისა და მისი გმირული საქმეების ჩვენების ფონზე. დასთანისათვის დამახასიათებელი იდეალიზებული და ჰიპერბოლური ბერებებით არის აღწერილი მისი დაეჯეკაცება. თექვსმეტი წლისა იგი ისეთი მძლე ფალავანი შექმნილია, რომ მისი აღმზრდელი დევებიც კი შეუწუხებია. საქმე იქამდე მისულა, რომ ისინი იძულებულნი გამხდარან მიძინარე ყაპრამანი რუბი მასქუნის მთაზე გადაეყვანათ და იქ დაეტოვებინათ. სწორედ აქ შეეყრება ყაპრამანი ინდოეთს მიმავალ ჰუშანგის ლაშქარს. აქედან იწყება მისი გაუთავებელი საგმირო თავგადასავალი. გოლიათი ყაპრამანი ფალავანთა ყურადღებას იქცევს, მაგრამ ეს ცნო-

⁴ მასლის მოსაოველად გამოვიყენეთ სპარსული „ქეთაბე ყაპრამან“ (1284 წ. ლითოგრაფიული გამოცემა), სპარსული „ბაპრამ ო გოლანდამს“ (ლითოგრაფიული გამოცემა — 1867) და სპარსული „ამირ არსლან“, თეირანი, 1966. „ყაპრამანიანის“ ქართული ტექსტი (ილ. გეჯხარის და სარგის ცაიშვილის გამოცემა — 1965), ქართული „ამბავი მცირე ბარამ ტაბუსისა“ და „Амир Арслан“, сокращенный перевод с персидского и примечания А. Шойтова, М., 1978.

აეტორი განმარტავს, რომ I და II პირის ნაცვალსახელებს არც ბრუნვა აქვთ და არც რიცხვი: „ფორმათა უქონლობის გამო, აღნიშნულ სიტყვებს ზოგ შემთხვევაში შეიძლება მაგიერობა გაუწიონ და ამგვარად ნაკლი შეუესონ სათანადო კუთვნილებითმა ნაცვალსახელებმა, რომელთაც ფუძედ ასღებული აქვთ უბრუნველი პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვისათვის ნაგულისხმევი „ფორმა“ (რასაც ვარჩევით მხოლოდ ჩემ გვიჩვენებს). ესენი ყველა თითქმის წესებრივად იბრუნვიანო“, — შენიშნავს აეტორი და იქვე იძლევა კუთვნილებითი ნაცვალსახელების (ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი) ბრუნების პარადიგმებს.

აქ. შანიძე განავრძობს: „კუთვნილებითი (ბრუნვიანი) ნაცვალსახელები სათანადო პირის (უბრუნველ) ნაცვალსახელებს ნაკლს უქცებენ ან მაგიერობას უწევენ მოქმედებითსა და ვითარებითში, და ზოგჯერ იქაც კი, სადაც პირის ნაცვალსახელებს თითქოს ბრუნვის ფორმა მოეპოვებათ, როგორცაა, ვთქვათ, ნათესაობითი; მაგ., „ჩემის-თანა“ დღეს უკვე სწორედ ასეთ მაგიერობას გულისხმობს; ხოლო „ჩემ-თან“, „შენ-თან“ და სხვა, ან კიდევ „ჩემ-ზე“, „შენ-ზე“ და სხვ. ასეთსავე მაგიერობას გულისხმობს მიცემითსა და სადაობითში (უქანასკნელ მაგალითებში მიცემითის ფორმის ნიშან-კვალი წაშლილია ფონეტიკური წესის ზეგავლენით; უნდა გვქონოდა: ჩემს-თან, შენს-თან, ჩემს-ზე შენ-ს-ზე). ასეთივე მაგიერობა შეიძლება სახელობითიც გვქონდეს:

„მე რომ თქვენი ვიყო, იმას ერთი ლამაზად მივტყეპდი რუსული წყეპლითა“ (ჭავჭავაძე „გლეხთა განთ. სცენები“), „მე რომ თქვენი ვიყო, ამ სიცრუვისათვის ციმბირში დავაკარგვინებდი“ (იქვე).

ერთი სიტყვით, ა. შანიძისათვის I და II პირის ნაცვალსახელები უბრუნველი სიტყვებია, ყოველ შემთხვევაში, პირველი რიგის (სახ., მოთხ., მიც.) ბრუნვებში. მართალია, მათ ზოგჯერ ნაკლს უეცებენ, თუ მათ მაგივრობას ეწევიან, კუთვნილებითი ნაცვალსახელები, მაგრამ ეს არაა საკმარისი იმისათვის, რომ ისინი ბრუნვის ნამდვილ ფორმებად! მივიჩნიოთ და პარადიგმებში შევიტანოთ.

თანამედროვე ქართული ენის ფორმალურ-ფუნქციურ მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენ წარმოვადგინეთ I და II პირის ნაცვალსახელთა ბრუნების სხვა სქემა:

სახ.	მე	შენ (ა)
მოთ.	მე	შენ (ა)
მიც.	მე II ჩემ-ს(ა) (ჩემ-სა-ვით)	შენ-ს(ა)
ნათ.	ჩემ-ის(ა) (ჩემ-ის-თანა)	შენ-ის(ა)
მოქ.	ჩემ-ით(ა)	შენ-ით(ა)
ვით.	ჩემ-ად(ა) (ჩემ-ამდე)	შენ-ად(ა)
წოდ.	—	შენ, შე ²

განვმარტავდით: „მეორე პირის ნაცვალსახელის მსგავს ფორმებს მოგვეცემდა „ჩვენ“, „თქვენ“ ნაცვალსახელთა ბრუნებაც და გვექნებოდა: პირის ნაცვალსახელები „მე“, „შენ“, „ჩვენ“, „თქვენ“ და კითხვითი ნაცვალსახელი „ვის“ სახელობითსა და მოთხრობითში ფუძის სახით არიან წარმოდგენილი, დანარჩენ ბრუნვებში ისინი ჩვეულებრივ იბრუნვიან, მხოლოდ გასათვალისწინებელია ფონეტიკური ფაქტორები“ [2,24—25].

თანამედროვე ქართულში I და II პირის ნაცვალსახელთა უბრუნველობის შესახებ განმტკიცებული აზრის ჭეშმარიტებაში დაეჭვების ერთგვარ საბაზს იძლევა თბილისელ ახალგაზრდათა ჟარგონზე დაკვირვება. ყურადღებას იქცევს გამოთქმები: „ვის ეუბნები მაგას — მეს? ან „ვისზე ლაპარაკობ — მეზე?“

ენობრივი შემოქმედების თვალსაზრისით ეს თავისთავად საინტერესო ფორმები მეტყველებაში (და აქედან ენის სისტემაში) დაიპყვიდრებენ თუ არა ადგილს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ისინი კარგად მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ „მეზე“ ფორმის ნამდვილი სიტყვათნაცვალი „ჩემზე“ თანამედროვე სამეტყველო ქართულის, და არა მხოლოდ მისი, ცოცხალი ენობრივი ელემენტი და I პირის ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმაა.

ეგვე მოვლენა აშკარას ხდის შეუსაბამობას, რომლის მიხედვითაც „ჩემთვის“ პარადიგმაში ნათესაობითის ფორმადაა მიჩნეული (აქედან „ჩემ“ ფუძე კუთვნილებითი ნაცვალსახელის ნათესაობითის ფორმიდან წასესხები), ხოლო „ჩემზე“, „ჩემში“, „ჩემთან“ ფორმები პარადიგმის გარეთაა დატოვებული.

¹ ამიტომაცაა, სიტყვა „ფორმა“-ს ავტორი ბრჭყალებში სვამს.

² სქემაზე წარმოდგენილი იყო „ენ“ ნაცვალსახელის ბრუნვის ფორმებიც, ამაზე ქვემოთ. ეს სქემა სრულიად უმნიშვნელო ცვლილებებით, ჩვენზე მიუთითებლად, გაიმეორა ლ. შალვაშვილმა [3,61—62].



არაერთხელ აღნიშნულა, რომ ქართულში იბრუნვიან არა მხოლოდ სახე-
ლები, არამედ (რა თქმა უნდა, გარკვეულ სიტუაციაში) ყველა მეტყველების
ნაწილი, მათ შორის ზმნებიც კი — თანაც ბრუნების ყველა ფორმალური მო-
თხონილების დაცვით.

ამ ტენდენციის დადასტურებაა თანამედროვე ქართულში საკუთარი სა-
ხელების ბრუნების, ძველი ქართულიდან განსხვავებული, ახლებური ფორმე-
ბი — ისინიც, საზოგადო სახელების მსგავსად, ბრუნვის ნიშნებს ყველა ბრუნ-
ვაში დაირთავენ და საჭირო შემთხვევაში მარცვალთლიაობის ხმოვნებსაც მი-
იღებენ — შოთა-მ(ა), ელენ-ს(ა).

მიუხედავად ასეთი ძლიერი ტენდენციისა, I და II პირის ნაცვალსახელე-
ბი სახელობითსა და მოთხრობითში არ იბრუნვიან. I და II პირის ნაცვალსა-
ხელთა და (მათთან გათანაბრებულ) ადამიანის საკუთარ სახელთა (ანთროპო-
ნიმთა) ბრუნების თავისებურება, განსხვავებული საზოგადო სახელთა ბრუნ-
ებისგან, ძველ ქართულში დადასტურებული მოვლენაა და, თავის მხრით,
სათავეს ალბათ საერთო ქართულიდან იღებს.

I და II პირის ნაცვალსახელთა ფორმებში საერთო-ქართველურ დონეზე
(-ჟე-) ფორმანტის აღდგენასთან დაკავშირებით თ. გამყრელიძე წერდა: „მამასა-
დამე (-ჟე-) ელემენტის სახით უძველეს ნაცვალსახელურ ფორმებში საქმე უნდა
გვქონდეს რაღაც მნიშვნელ ფორმანტთან, რომელიც გარკვეულ ფუნქციას ას-
რულებდა და იწვევდა პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა გაერთმინიშ-
ნელიანებას. ნაცვალსახელურ ფუძეთა ეს საერთო (-ჟე-) მორფემა მათ ერთ
კატეგორიად აერთიანებდა და უპირისპირებდა მესამე პირის ფორმებს, რომ-
ლებიც წარმოშობით ჩვენებით ნაცვალსახელებს წარმოადგენენ.“

ნაცვალსახელურ ფუძეებში არსებული (-ჟე-) ელემენტის ამგვარი ინ-
ტერპრეტაცია საფუძველს გვაძლევს იგი ადამიანთა კლასის ექსპონენტად
მივიჩნიოთ. ნიშანდობლივი ამ მხრივ ის არის, რომ (-ჟე-) მორფემა თავს იჩენს
მხოლოდ იმ ფორმებში, რომლებიც მოსაუბრისა და მსმენელის, ე. ი. სამეტ-
ყველო კომუნიკაციის სუბიექტის, მხოლოდ ადამიანთა სახელნაცვალთა, მაშინ
როდესაც „არაპერსონალური“ მესამე პირის აღმნიშვნელ ნაცვალსახელებში,
რომლებიც აერთიანებენ ადამიანისა და ნივთის კლასებს, (-ჟე-) ფორმანტი
არ არის წარმოდგენილი. მესამე პირის ნაცვალსახელური ფორმები პირთა
კორელაციის არამარკირებულ წევრებს გამოხატავდა. აქ აშკარად იგრძნობა
დაპირისპირება ვინ- და რა- ჯგუფის სახელებს შორის“ [4, 43].

I და II პირის ნაცვალსახელთა და „ვინ“ კითხვითი ნაცვალსახელის ფუ-
ძეების შედგენილობა-მსგავსების საკითხს ჩვენ ქვევით უფრო დაწვრილებით
შევეხებით, აქ კი ვიტყვით მხოლოდ იმ ნიშანდობლივ მოვლენაზე, რაც ზმნის
სტრუქტურაში ე. წ. **ორიენტაციის** ახლებურად გააზრებამ გამოავლინა: და-
დგინდა, რომ ე. წ. სააქეთო ორიენტაცია სინამდვილეში **საპირველმეორეპირო**
ორიენტაცია, ე. ი. იგი გულისხმობს მოსაუბრე პირებს (ანუ I და II პირებს)
და არა მათს სივრცობრივ მყოფობას. **მო-** ზმნისწინი იხმარება მაშინაც, როცა
მოქმედი პირი (მოცურავს) აუზის მოპირდაპირე ნაპირიდან ჩემკენ, პირველი
პირისკენ მოძრაობს (**მო-**ცურავს) და მაშინაც, როცა პირველი პირიდან (ჩემ-
გან) იქითკენ **მო-**ცურავს, თუ „იქითკენ“ მეორე პირი იმყოფება („**მო-**ცურავს“
ჩემკენ, „**მო-**ცურავს“ შენკენ). ზმნისწინის ხმარებას პირველ შემთხვევაში გა-
ნაპირობებს პირველი (მოსაუბრე) პირის, ხოლო მეორე შემთხვევაში — მეო-
რის (საუბრის მონაწილე პირის) პოვნირება.

მომ- (მო-ფერინავ) ზმნისწინი გამოიყენება მაშინაც, როცა მოსაუბრე თბილისიდან ლენინგრადში მყოფ მეგობარს აცუობინებს მისი მომავალი მოქმედების შესახებ, თუმცა მეორე პირის მყოფობა პირველი პირის არეში, თუ პირველ პირთან ახლოს (ყოვორც ამას ამტკიცებენ [1,246]) სრულიად გამოორიცხებულია.

ამან განაპირობა ე. წ. „სააქეთო“ ორიენტაციისთვის, რომელიც მოზმნისწინით გადმოიციმა, გვეწოდებინა „მოუბარტყენული“ ორიენტაცია, ხოლო „საიქეთოსთვის“ — „სხვათამიმართი“³.

„ვინ“ და „რა“ კლასიკატეგორიათა დაპირისპირება კარგად ჩანს ნაცვალსახელების ბრუნვათა ფორმებშიც. „ვინ“ ნაცვალსახელი, როგორც ადამიანთა კლასის მარკერი, აბსოლუტურად ისეთსავე ფორმებს ავლენს, როგორსაც I და II პირის ნაცვალსახელები, ხოლო „რა“ იბრუნვის ისე, როგორც ნივთის კატეგორიის წარმომადგენელი ყოველი საზოგადო სახელი.

I და II პირის ნაცვალსახელთა დაპირისპირება სხვა ნაცვალსახელებთან კარგად ჩანს რუსულშიც, სადაც III პირის ნაცვალსახელები, საზოგადო სახელების მსგავსად, ავლენენ სხვაობას სქესისა და რიცხვის მიხედვით, I და II პირის ნაცვალსახელები კი ამ კატეგორიებს ვერ გაარჩევენ.

ამ კონტექსტში საინტერესო იქნებოდა, ალბათ, იმის აღნიშვნაც, რომ ცნობილი ფრანგი ენათმეცნიერი ე. ბენვენისტი, რომელმაც საგანგებო ყუზადლება მიაქცია ნაცვალსახელთა ასეთ ბინარულ (I და II||III) დაპირისპირებას, თავის მოსაზრების დასადასტურებლად ქართული ენის მონაცემებსაც იშველიებს [5,262].

ერთი სიტყვით, ის ფაქტი, რომ I და II პირის ნაცვალსახელები „განსაკუთრებულად“ იქცევიან და არ ემორჩილებიან საზოგადო სახელთათვის დადგენილი ბრუნვის წესებს (მსგავსად ჩვენებითი და მათგან მომდინარე III პირის ნაცვალსახელებისა), განპირობებულია იმ თავისებურებებით, რომელნიც ამ ნაცვალსახელებს განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებენ საერთოდ ენის სისტემაში და უნივერსალური ხასიათისაა. რასაკვირველია, მათი ამ განსხვავების მარკირება შეიძლებოდა სხვა ფორმითაც რეალიზებულიყო, მაგრამ ქართულმა რატომღაც ასეთი ხერხი აირჩია: I და II პირის ნაცვალსახელები (და მათ გვერდით მათი კორელატი კითხვითი ნაცვალსახელი „ვინ“) უბრუნველად, ფუძის სახით წარმოგვიდგინა, რაც ჩვენი აზრითაც, იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ საერთო-ქართველურ დონეზე „ვინ“ და „რა“ კლასების დაპირისპირება მარკირებული იყო — ერთიმეორეს უპირისპირდებოდა, ერთი მხრით, „ვინ“ ჭკუფი უბრუნველი ფორმებით და, მეორე მხრით, „რა“ ჭკუფი — ბრუნვისნიშანდართული.

„ვინ“ და „რა“ ჭკუფების (კლასების) დაპირისპირების მოშლამ უპირველესად ანთროპონიმთა და საზოგადო სახელთა ბრუნვის ფორმათა გათანასწოებისაკენ სწრაფვაში იჩინა თავი. შემდეგ კი ნაცვალსახელებშიც გამოიმუდვინდა.

როგორც ზ. სარჯველაძე მიუთითებს, ანთროპონიმთა ბრუნვებში პირველი სიახლე (სახელობითი ბრუნვის ნიშნის ფორმები) დოკუმენტურად VII საუკუნიდან დასტურდება [6,364], რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამეტყველო ენაში იგი დიდი ხნის წინათ გამოჩნდა.

³ უფრო დაწერილებით ამ საკითხს სხვაგან ვეხებით.

ჩვენთვის ამჯერად მნიშვნელობა არა აქვს ნაცვალსახელთა ბრუნებაში მომხდარი ცვლილებების ქრონოლოგიური ღონის განსაზღვრას, თუმცა ერთი აშკარაა: „მე“ ფუძის გვერდით თანდებულიანი „ჩემ“ ფუძის არსებობა, ყოველ შემთხვევაში, ნათესაობითა და მოქმედებითში, ალბათ, საერთო-ქართველურ დონეზე უნდა ვიგულისხმოთ⁴.

უფრო გვიან უნდა გაჩენილიყო თანდებულიანი მიცემითის ფორმები: „ვეფხისტყაოსანში“ ერთადერთი მაგალითია -ზე თანდებულიანი მიცემითისა და ისიც საეჭვოა, არის კი აქ გამოყენებული ფორმა პირის ნაცვალსახელის ფუნქციით ნახმარი — „ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად არა შენზე კრფებიან“.

ში- თანდებულიანი მიცემითი („ჩემში დარწმუნებულ იყავი“, „შენში ვხედავ მამაშენის ორეულს...“), როგორც იტყვიან, ჩვენი თვალის წინ გაჩნდა, მაგრამ ძალიან ჩქარა იკიდებს ფეხს.

რაც შეეხება უთანდებულო მოქმედებობის („ჩემ-ით“, „შენ-ით“)⁵, ეს ფორმები შედარებით ახალია. ახალია, რა თქმა უნდა, ქართული ენის მდიდარი ისტორიის თვალსაზრისით, თორემ დადასტურებული ფორმა XII საუკუნეს განეკუთვნება: „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ: „მაგრა სჯობს, შენცა გალხინოს ჩემმან შენითა ლხენამან“, ე. ი. „ის სჯობს, შენც მოგალხინოს ჩემმა სიხარულმა, რომელიც თვითონ შენით მაქვს“, ანუ „ის სიხარული, რაც შენ მე მომანიჭე, შენვე მინდა გაგიზიარო“.

ამდენად „მე“-ს გვერდით „ჩემ“ ფუძე (მეტწილად თანდებულიან ნათესაობითა და მოქმედებითში, ნაკლები ვაგრცელებით — თანდებულიან მიცემითსა და უთანდებულო მოქმედებითსა და ვითარებითში) პირველი პირის ნაცვალსახელის ამოსავალ ფორმად დიაქრონიულადაც დადასტურებულია.

რაც შეეხება თანამედროვე ქართულს, ვფიქრობთ, იქ საეჭვო არაფერია: „ჩემ“ ფუძიანი მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი პირველი პირის ნაცვალსახელად სრულფასოვანი სტრუქტურული ელემენტია მისი მთლიანი სისტემისა და, გასაგებია, მან („ჩემ“ ფუძიანმა ფორმებმა) ბრუნების პარადიგმაში შესაფერისი ადგილი უნდა დაიპიროს.

I პირის ნაცვალსახელად „ჩემ“ ფუძიანი ფორმების პოვნირება დადებით პასუხს სცემს იმ ენობრივი უნივერსალის მოთხოვნილებასაც, რომლის მიხედვით კუთვნილებითი ნაცვალსახელები წარმოდგებიან (ნაწარმოებნი არიან) პირის ნაცვალსახელთაგან და აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევაში გამოიყენებენ მათსავე ფუძეებს.

„ჩემ“-ი კუთვნილებითი ნაცვალსახელი ისევე მოდის „ჩემ“ პირის ნაცვალსახელის ფუძიდან, როგორც „შენი“ — „შენ“ ფუძიდან, „ჩვენი“ — „ჩვენ“-იდან და „თქვენი“ — „თქვენ“-იდან.

რაც ითქვა „ჩემ“ ფუძის ბრუნებებში გამოყენებაზე, იგივე უნდა ითქვას „შენ“, „ჩვენი“ და „თქვენი“ ფუძეებზეც. მეორე რიგის ბრუნებებში (თანდებუ-

⁴ ამ დონეზე სულეტური ფორმების დაშვების შესაძლებლობაზე ვაკყრით თ. გამყრელიძე მითითებებს [4,50].

⁵ „ჩემით რიგის ფორმები პირის ნაცვალსახელთა მოქმედებითად მიიჩნდათ ქართველ გრამატიკოსებს. ამ აზრისა იყო ნ. შარიც. შემდეგ ეს თვალსაზრისი ვაკატიტიკეს და ჩემით და მისთ. ამოიღეს პირის ნაცვალსახელთა პარადიგმიდან [3,54].

„ჩემ-ზე“, „ჩემ-ში“, „ჩემ-ით“ ფორმების პირის ნაცვალსახელად ვარაუდობენ კ. ჩხენკელია [7,143, 144] და პ. ფოტიც [8,93].



ლიან და უთანდებულოებში) ისინიც „ჩემ“ ფუძის მსგავსად აწარმოებენ პირის ნაცვალსახელებს და საბოლოოდ თანამედროვე ქართულში I და II პირის ნაცვალსახელთა ბრუნება ასეთ სახეს მიიღებს:

სახ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
მოთ.	მე*	შენ	ჩვენ	თქვენ
მიც.	მე* ჩემ-ს(ა)	* შენ-ს(ა)	* ჩვენ-ს(ა)	* თქვენ-ს(ა)
ნათ.	* ჩემის(ა)	* შენის(ა)*	* ჩვენის(ა)	* თქვენის(ა) *
მოქ.	ჩემით(ა)	შენით(ა)	ჩვენით(ა)	თქვენით(ა)
ერთ	ჩემ-ად(ა)	შენ-ად(ა)	ჩვენ-ად(ა)	თქვენ-ად(ა)
წოდ.	—	შენ-მე	—	თქვენ, თქვე

II. კითხვითი ნაცვალსახელი „ვინ“. ქართულში ვერ იბოვით მეორე სიტყვას, რომლის ფორმაცვალების შესახებ იმდენი დაწერილიყოს (ზოგჯერ ერთიმეორის სრულიად გამომორიცხავი), რამდენიც „ვინ“-ზე დაიწერა. სამეცნიერო შრომებში აზრთა სხვადასხვაობა არავის უკვირს, მაგრამ საქმარისაა გადავხედოთ სასწავლო სახელმძღვანელოდ დამტკიცებულ გრამატიკულ ლიტერატურას (სადაც თითქოსდა აზრთა სიჭრელე გამორიცხული უნდა იყოს) და ვნახავთ, რომ არც ერთ სახელმძღვანელოში ერთნაირი ფორმა არ მეორდება. უფრო მეტიც, ერთი და იგივე ავტორი საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში ერთ აზრს ადგას, უმაღლესისაში კი — სხვას [1, 103; 10, 203; 11, 63; 12, 159].

სახ.	ვი-ნ	ვი-ნ	ვი-ნ	ვი-ნ
მოთ.	ვი-ნ	ვი-ნ	ვი-ნ	ვი-ნ
მიც.	ვი-ს(ა)	ვი-ს	ვი-ს	ვი-ს
ნათ.	ვის(ა)	ვის	ვის	ვის
მოქ.	—	(ვი-ს-ით)	(ვისით)	—
(კითხ.-კუთვნილება.)				
ერთ.	—	რად	(ვისად)	—
წოდ.	—	—	—	—

სქემის მიხედვით აშკარაა, ავტორები ორ რამეში შეთანხმებულან:

- ა. პირველ ოთხ ბრუნვაში „ვინ“ ერთნაირად იბრუნვის.
- ბ. „ვინ“-ში „ვი“ ფუძეა, ნ სახელობითისა და მოთხრობითის ნიშანია, ხ — კი მიცემითისა და ნათესაობითისა.

აკ. შანიძის აზრით: „ვინ“ ნაცვალსახელის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სულ ორ ფორმას გვიჩვენებს ოთხი ბრუნვისათვის, რომლებიც მას მოეპოვება: ესენია ვინ (სახ., მოთხ.) და ვის(ა) (მიც., ნათ.) ამ ფორმების ერთმანეთთან შეპირისპირებით ბრუნვის ნიშნებად -ნ და -ს გამოდის, ხოლო ფუძედ ვი (მაშასადამე, ფუძეს ბოლოში მოუღის ხმოვანი ი). სახელობითსა და მოთხრობითში ბრუნვის ნიშნად წარმოდგენილი ნ, როგორც ეს პირველად პ. შუხართმა აღნიშნა, წარმოშობით მარტოოდენ მოთხრობითისაა და სახელობითში შემდეგ არის გადასული. რაც შეეხება ნათესაობითისა და მიცემითის ფორმათა ურთიერთობას, აქ ნათესაობითში -ის დაბოლოებისაგან, წინამავალი მსგავსი ხმოვნის გავლენით, მარტოოდენ -ხ დავტოვებთ და ამიტომ ნათესაობითის ფორმა მიცემითისას დაემსგავსა. ნათესაობითის მაგალითები

* ვარსკვლავიანი ფორმები მხოლოდ თანდებულდართული იხმარებიან, რა თქმა უნდა, იმ ფონეტიკური ცვლილებების გათვალისწინებით, რაც ამ ბრუნვებში ამა თუ იმ თანდებულის დართვასთან დაკავშირებითაა მოსალოდნელი.



ვის მიერ, ვის-გან, ვის-თვის. მოქმედებითი, ვითარებითი და წოდებითი აკლია. ამათგან მოქმედებითსა და ვითარებითში ნაკლი შეიძლება შევსებულ იქნეს სათანადო კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმით, რომელიც თითქმის წესებრივ ფორმებს გვიჩვენებს“ [1, 103].

როგორც ვხედავთ, პატივემეული ავტორი აქაც ლაპარაკობს „ნაკლის შევსებაზე“, მაგრამ „ნაკლის შემავსებელი“ ფორმები პარადიგმაში შეტანილი არაა. სამაგიეროდ ასეთი ფორმები (ფრჩხილებში ჩასმული) პარადიგმას ახლავს საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში, რაც ცოტა არ იყოს, გაკვირვებას იწვევს: თუ ეს ფორმები სტაბილურია, რატომ არაა შეტანილი „საფუძვლებში“, ხოლო, თუ სტაბილური არაა, რატომ მოხდენენ სასკოლო სახელმძღვანელოში?.

„საფუძვლებიდან“ ზემოთ მოყვანილი ციტატისა და საერთოდ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრის მიხედვით „ვინ“ ნაცვალსახელი განცალკევებულად მდგომი წარმოვიდგება არა მხოლოდ ნაცვალსახელთა შორის, არამედ საერთოდ ქართული ენის სახელთა სისტემაში:

1. იგი ერთადერთი სიტყვაა, რომლის ფუძე **o** ხმოვანზე მთავრდება;

2. თითქმის ერთადერთი სიტყვაა, რომელსაც მოთხრობითის ბრუნვის ნიშნად მოუღის **ნ**;

3. ერთადერთი სიტყვაა, რომელსაც მოთხრობითისა და სახელობითში ერთი და იგივე ნიშანი აქვს;

4. სახელობითის ნიშნად **ნ** მხოლოდ მას აქვს;

5. დაბოლოს, მოქმედებითი ეწარმოება კითხვით-კუთვნილებითის ფუძიდან, რაც სამგზის ოპერაციას მოითხოვს. მართალია, ავტორი არ მიუთითებს, რომ კითხვით-კუთვნილებითი კითხვითის ფუძეს ეყრდნობაო, მაგრამ, რადგან აქ სხვა ფუძე არა გვაქვს, ეს თავისთავად იგულისხმება და გამოდის.

გვეონდა კითხვითის ფუძე ***ვის**“, რომელიც ისესხა კითხვით-კუთვნილებითმა. მან ნათესაობითში მოგვცა **ვისი**“. ეს ფორმა უკან დაიბრუნა კითხვითმა, დაურთო მას მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი **-ით** და მივიღეთ: **ვი-ბ** → **ვი-ბ-ი** → **ვის-ბ-ი** (ი)თ.

6. აზარდა სახელობითისა და მოთხრობითისა „ვინ“ ნაცვალსახელს ერთნაირი ფორმა აქვთ აგრეთვე მიცემითსა და ნათესაობითში. როგორც ეს აღრე **ნ**. მარს ჰქონდა აღნიშნული, ფუძისეული **o**-სა და ნათესაობითი ბრუნვის ხმოვანი ელემენტის შერწყმით მიღებულია **ვის** (**ვი-ის**), რის გამოც უძველეს ქართულშივე ნათესაობითი ფორმის მხრივ მთლიანად დაემთხვა მიცემითს. რაც შეეხება სხვა ბრუნვებს, ვინ ნაცვალსახელს არ გააჩნია არც მოქმედებითი, არც ვითარებითი, მაგრამ ასეთი ფორმები რომ უნდა არსებულებოდა, ეს ჩანს მთელი რიგი ზმნისართებიდან. „მოქმედებითი ბრუნვის ფორმა ვით⁸, რომელიც წარმოდგარია ნათესაობითის მსგავსად ხმოვნის შერწყმით (**ვი-ით** ვით), საფუძვლად უდევს ვითარ, ვითარცა, ვითარმედ ზმნისართებს, ხოლო ვითარებითის ფორმა ვიდ გაქვავეული სახით შემონახულია ერთადერთ ნაწარმოებ ზმნისართში, როგორცაა ვიდრე“ [13, 332 — ხაზი ჩვენია. — ა. ფ.]. აქ უკვე ყველაფერი ისევ თავიდან იწყება: ჯერ გვექონდა **ვის**“ ფუძე,

7 მარცვალთლიაობის ა, რომელიც ა. შანიძესთან ახლავს მიცემითსა და ნათესაობითს, როგორც ცნობილია, მხოლოდ ფონეტიკური დანამატია და მას სემანტიკური ღირებულება არა აქვს.

8 ამ აზრს იზიარებს თ. შარაძენიძე [14, 158].

8. მა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1985, № 4

რომელიც იბრუნვოდა და რომელმაც მოქმედებითში სრულიად კანონზომიერად მოგვეცა ვით (ვი-თ>ვით), ე. ი. „ვი“ ფუძეს, ალბათ, ყველა ბრუნვა ჰქონდა. ზევით კი გვიმტკიცებდნენ, რადგან „ვი“-ს, როგორც კითხვით ნაცვალსახელს, მოქმედებითი არ ჰქონდა, ისეა კუთვნილებითის ნათესაობითისგან და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის დართვით მივიღეთ საჭირო ფორმაო (ვის→ვისი→ვის-ი-ით→ვისით).

„ვიწ“-ის თავგადასავალი არც ამით მთავრდება:

7. „ვი“- გამოიყოფა „ვი-ეთ“ სიტყვაშიც, რომლის „ეთ“ სუფიქსი მრავლობითობის მაწარმოებლადაა აღიარებული⁹ (კვლავ ერთადერთი ფორმა) და, რაც მთავარია, ამ მრავლობითის სახელობითის ფორმა არა აქვს; თანაც მრავლობითობის ნამდვილ ნიშნებს (ნ, თა) თავიდან მიიღებს (ვი-ეთ-ნ-ი, ვი-ეთ-თა) და ისიც საცნაურია, რომ „ვეით“-ის მნიშვნელობა აღარაფრით ჰგავს არქტიპის, „ვიწ“-ის მნიშვნელობას, გადმოგვეცეს განუსაზღვრელობას (ვილაც, ვილაც-აებო) [13, 335].

ვეფქრობთ, ერთ სიტყვაში ამდენი გამონაკლისი მეტისმეტად ბევრია.

ქუშმარიტებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზის ძიების აუცილებლობა გვაუვლებს, ექვი შევიტანოთ „ვიწ“ ნაცვალსახელის აქ წარმოდგენილ ინტერპრეტაციაში.

რადგან ყველა ამ „უცნაურობათა“ სათავე ნ-ს მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად გამოცხადებაში უნდა ვეძიოთ, საჭიროა დაწვრილებით განვიხილოთ სწორედ ის დებულებები, რომელზე დაყრდნობითაც პ. შუხარდტმა (რომლის მოსაზრებასაც იმეორებს ყველა შემდგომი დროის მკვლევარი) ნ „ვიწ“-ში მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად მიიჩნია, ხოლო შემდეგ მთელი ფორმა — სახელობითის მიერ ნასესხებად.

შუხარდტის სტატია ერგატიული კონსტრუქციის არსის ძიებას ეხებოდა და, რასაკვირველია, ამ ბრუნვის ნიშნის წარმომავლობის საკითხს გვერდს ვერ აუკლიდა.

ეკმათება რა მ. ბროსეს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მოთხრობითი „ჩვენებითი ნაცვალსახელია“ და არა ბრუნვა, შუხარდტი წერს: „მან წარმოადგენს სწორედ მოთხრობით ბრუნვას იგი ნაცვალსახელიდან და შეეფარდება დაბოლოება -მან-ს (კაც-მან-ში) დაახლოებით ისე, როგორც რუსული დაბოლოება ему хорошо—ему-ში ან им хорошо—им-ში. გამეორება ჩვენებითი ნაცვალსახელისა დასაშვებია მხოლოდ მესამე პირში: „მან უგუნურმან“ (მაგრამ „შენ უგუნურმან“, „მათ უგუნურთა“)¹⁰ [16, 48].

შუხარდტიდანვე მოდის ბრუნვისნიშნის ფორმის მომდევნოდ ხმარებული „მან“-ის (კაც-მან მან) ემფატიკურ არტიკლად გამოცხადების იდეაც: „რაც შეეხება მან, იგი, მან, ისინი უნდა განვიხილოთ [როგორც ემფატიკური არტიკლები. თუ რაოდენ ცოტა საერთო აქვთ მათ მოთხრობითი ბრუნვის დაბოლოებასთან, ამას ადასტურებს უამრავი ტექსტი ბიბლიიდან, რომლებიც, რა თქმა უნდა მ. ბროსესათვის კარგადაა ცნობილი, მაგალითად, „რომელი მოიღო დედაკაცმან“ (ლუკა, 13, 21)¹⁰, „მიუგო ერთმან მათგანმან“ (ლუკა, 24, 18), „კაცმან ვინმე დაახ...“ (ლუკა, 20, 9), სადაც „ვიწმე“ — ბერძნულ πικ —სრულ წინააღმდეგობაში იქნებოდა „მან“-თან, რომელიც ბერძნულ გ-ს უღრის [16, 49].

⁹ ამავე აზრისაა არნ. ჩიქობავაძე [15, 169].

¹⁰ შუხარდტი ამ წინადადებას, სრულიად სამართლიანად თარგმნის არა როგორც „განსაზღვრულმა დედაკაცმა“, არამედ როგორც „ერთმა (განუსაზღვრელმა) დედაკაცმა“.

რომელიც იბრუნებოდა და რომელმაც მოქმედებითში სრულიად კანონზომიერად მოგვცა ვით (ვი-ით > ვით), ე. ი. „ვი“ ფუძეს, ალბათ, ყველა ბრუნვა ჰქონდა. ზევით კი გვიმტკიცებდნენ, რადგან „ვი“-ს, როგორც კითხვით ნაცვალსახელს, მოქმედებითი არ ჰქონდა, ისეხსა კუთვნილებითის ნათესაობითისგან და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის დართვით მივიღეთ საჭირო ფორმა (ვის—ვისი—ვის-ი-ით—ვისით).

„ვინ“-ის თავგადასავალი არც ამით მთავრდება:

7. „ვი“- გამოიყოფა „ვი-ეთ“ სიტყვაშიც, რომლის „ეთ“ სუფიქსი მრავლობითობის მაწარმოებლადაა აღიარებული⁹ (კვლავ ერთადერთი ფორმა) და, რაც მთავარია, ამ მრავლობითის სახელობითის ფორმა არა აქვს; თანაც მრავლობითობის ნამდვილ ნიშნებს (ნ, თა) თავიდან მიიღებს (ვი-ეთ-ნ-ი, ვი-ეთ-თა) და ისიც საცნაურია, რომ „ვიეთ“-ის მნიშვნელობა აღარაფრით ჰგავს არქეტების, „ვინ“-ის მნიშვნელობას, გადმოგვეცემს განუსაზღვრელობას (ვილაც, ვილაც-აებო) [13, 335].

ვიფიქრობთ, ერთ სიტყვაში ამდენი გამონაკლისი მეტისმეტად ბევრია. ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზის ძიების აუცილებლობა გვავალებს, ეჭვი შევიტანოთ „ვინ“ ნაცვალსახელის აქ წარმოდგენილ ინტერპრეტაციაში.

რადგან ყველა ამ „უცნაურობათა“ სათავე ნ-ს მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად გამოცხადებაში უნდა ვეძიოთ, საჭიროა დავწვილებით განვიხილოთ სწორედ ის დებულებები, რომელზე დაყრდნობითაც პ. შუხარდტმა (რომლის მოსაზრებასაც იმეორებს ყველა შემდგომი დროის მკვლევარი) ნ „ვინ“-ში მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად მიიჩნია, ხოლო შემდეგ მთელი ფორმა — სახელობითის მიერ ნასესხებად.

შუხარდტის სტატია ერგატული კონსტრუქციის არსის ძიებას ეხებოდა და, რასაკვირველია, ამ ბრუნვის ნიშნის წარმომავლობის საკითხს გვერდს ვერ აუვლიდა.

ეკამათება რა მ. ბროსეს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მოთხრობითი „ჩვენებითი ნაცვალსახელია“ და არა ბრუნვა, შუხარდტი წერს: „მან წარმოადგენს სწორედ მოთხრობით ბრუნვას იგი ნაცვალსახელიდან და შეეფარება დაბოლოება -მან-ს (კაც-მან-ში) დაახლოებით ისე, როგორც რუსული დაბოლოება ему хорошо—ему-ში ან им хорошо—им-ში. გამოერება ჩვენებითი ნაცვალსახელისა დასაშვებია მხოლოდ მესამე პირში: „მან უგუნურმან“ (მაგრამ „შენ უგუნურმან“, „მათ უგუნურთა“)“ [16, 48].

შუხარდტიდანვე მოდის ბრუნვისნიშნის ფორმის მომდევნო ხმარებული „მან“-ის (კაც-მან მან) ემფატიკურ არტიკლად გამოცხადების იდეა: „რაც შეეხება მან, იგი, მან, ისინი უნდა განვიხილოთ [როგორც ემფატიკური არტიკლები. თუ რაოდენ ცოტა საერთო აქვთ მათ მოთხრობითი ბრუნვის დაბოლოებასთან, ამას ადასტურებს უამრავი ტექსტი ბიბლიიდან, რომლებიც, რა თქმა უნდა მ. ბროსესათვის კარგადაა ცნობილი, მაგალითად, „რომელი მოილო დედაკაცმან“ (ლუკა, (13, 21)¹⁰, „მიუგო ერთმან მათგანმან“ (ლუკა, 24, 18), „კაცმან ვინმე დაახ...“ (ლუკა, 20, 9), სადაც „ვინმე“ — ბერძნულ τὶς —სრულ წინააღმდეგობაში იქნებოდა „მან“-თან, რომელიც ბერძნულ ἑ-ს უდრის [16, 49].

⁹ ამავე აზრისაა არნ. ჩიქობავაც [15, 169].

¹⁰ შუხარდტი ამ წინადადებას, სრულიად სამართლიანად თარგმნის არა როგორც „განსაზღვრულმა დედაკაცმა“, არამედ როგორც „ერთმა (განუსაზღვრელმა) დედაკაცმა“.

ერთი სიტყვით, ჩვენებითი ნაცვალსახელი მან, ბრუნვის ნიშანი მან (კაც-მან) და ნაწევრად გამოყენებული „მან“ (კაც-მან მან) მისთვის სხვადასხვა ოდენობაა.

და იქვე უტევ კეთდება მოულოდნელი დასკვნა, რომელიც ზემოთ აღრე თქმულს სრულიად ეწინააღმდეგება: „თუმცა მე დაჟინებით ვამტკიცებ, რომ დაბოლოება მან არაა ჩვენებითი ნაცვალსახელი, მაინც ვთვლი, რომ ამ უკანასკნელმა პირველისგან აიღო თავისი ნ (ეს უკანასკნელი პირველისგან დავალებულია ნ-თი)“ [16, 51].

აქ მოულოდნელობა სწორედ იმაშია, რომ თუ „მან“ ისე შეეფარდება „მან“-ს (კაც-მან-ში), როგორც „emy“, хорош-emy-ს, როგორღა შეიძლება იმის მტკიცება, რომ ისინი სხვადასხვა ოდენობაა? რუსული ნაცვალსახელი emy ზომ მიცემითი ბრუნვაა „он“-ისა და ითვლება იმავე ოდენობად, რა ოდენობადაც хорош—emy-ს დაბოლოება?

რუსულთან შეპირისპირება ჩვენ სხვა მხრივაც გვეჩვენება გაუმართლებლად, როგორც ცნობილია, emy, им და მსგავსი დაბოლოებანი რუსულში მხოლოდ ზედსართავებში იჩენენ თავს, ე. წ. „მოკლე“ ფორმების საპირისპიროდ, მაშინ როცა საზოგადო სახელებში ასეთი ფორმები არ გვხვდება. ქართულში კი ბრუნების ერთი ტიპი გვაქვს და ბრუნვის ნიშნებიც ყველა ბრუნებადი სიტყვისთვის საერთოა (რა თქმა უნდა, ფონეტიკური ცვლილებების გათვალისწინებით).

ამ შესაბამისობათა მიუხედავად ერთი აშკარაა, შუხარდტისათვის მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი „მან“ (კაც-მან) და ნაცვალსახელი „მან“ სხვადასხვა ოდენობაა. შუხარდტის მოსაზრებების გამზიარებელი მეცნიერები კი პირტკუ იქცევიან, ისინი მოთხრობითი ბრუნვის ნიშანს „მან“ ნაცვალსახელიდან მიღებულად თვლიან.

დავებრუნდეთ ისევ შუხარდტის მოსაზრებებს. იგი წერს: „თუ განვიხილავთ იმან-ს (და მის შემოკლებულ მან-ს) როგორც აქტიურ ბრუნვას (სახ.: იგი, ის) მიღებულს *იგ-მან, *ის-მან-იდან, ასევე ამან-ს (სახ.: ვე(ე), ეს(ე)) მიღებულს *აგ-მან ან *ას-მან-იდან (შეად. აქ//იქ; ასე//ისე; აგი//აზე), დაეინახავთ, რომ მ განეკუთვნება ძირს. ეს მტკიცდება არა მხოლოდ მონათესავე ენების მონაცემებით, არამედ ქართლის დახრილი ბრუნვების ჩვენებითაც (ნათ. (ი)მ-ისი, (ა)მ-ისი, მიც. (ი)მ-ას, (ა)მ-ას და სხვ.). ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ (ი)მან, (ა)მან წარმოდგებიან სახელობითის *(ი)მა, *ამა-საგან აქტიური ბრუნვის ნ ნიშნის დახმარებით. ეს უკანასკნელი უპირისპირდება მ(ა) ნიშანს არსებითსა [და ზედსართავ სახელებში].

უკანასკნელი ფორმები არსებობენ სინამდვილეში, როგორც იმა, იმ და ამა, ამ, თუმცა უფრო ფართო მნიშვნელობით, ვიდრე სახელობითი ბრუნვაა. ამასთანავე ისინი გამოიყენებიან არა სახელობითში, არამედ დახრილ ბრუნვებში, მათ შორის აქტიურში, უშუალოდ არსებითების წინ, რომელთაც ისინი განსაზღვრავენ სახ. „ის ხე“, მოთ. „იმ ხემ“, „ამა და იმ კაცმა“. უფრო აშკარად ჩანს ეს ნ აქტიურ ბრუნვაში მაგან-ს (სახელობითიდან), ნათ. მაგ-ისი, მიც. მაგან-ს სახელობის წინ კი მაგ.

გამომდინარე აქედან, ჩვენ ვალდებულნი ვართ დავინახოთ თავდაპირველი აქტიური ბრუნვა *ვიან“ ფორმაშიც (ნათ. „ვი-სი“? მიც. ვი-ს?), რომელსაც მხოლოდ გვიან დაეკისრა სახელობითის როლი“ [16, 52].

როგორც ვხედავთ, შუხარდტმა დაუშვა, რომ სახელობითი გვქონდა იმა, ამა, რომელთა მიცემითი ბრუნვის ფორმებთან შედარება (იმა-ს, ამა-ს) თავისთავად გვაძლევდა მოთხრობითისათვის 5 ნიშანი გამოგვეყო. სწორედ ეს ნიშანი მიიჩნია მან მოთხრობითი ბრუნვის ფორმად.

აქვე შუხარდტი აცხადებს: „მართალია, დაბოლოება მან (იგულისხმება საზოგადო სახელების კაც-მან. — ა. ფ.) განეკუთვნება ძველ ქართულ ენას, მაგრამ მე ვთვლი მას უფრო გვიანდელად, ვიდრე დღეს ქართულში არსებულ „-მა-“ „-მ-ს“, რომლის სვანურ „-მ“-სთან ნათესაობა მე საეჭვოდ არ მეჩვენება და თუ მე დაბეჯითებით ვამტკიცებ, რომ „მან“-ი წარმოშობით არ არის ნაცვალსახელი „მან“-ი, მაინც მიმაჩნია, მას ნასესხები აქვს უკანასკნელისგან დაბოლოება 5 (იგი ვალდებულია უკანასკნელისგან 5-თი)“ [16, 51].

ერთი სიტყვით, შუხარდტი რამდენიმეჯერ ახსენებს 5 მორფოფონემას, მაგრამ არსად არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ საიდანაა იგი მიღებული. მისთვის ამ ნიშნის არსებობის დაშვების ერთადერთი საფუძველი არის ჰიპოთეტური *ამა, *იმა და ნამდვილად არსებული „მაგა||მაგ“ ფუძეების -ბრუნებისას პარადიგმაში მოთხრობითის ადგილას 5-ს გაჩენა:

სახ.	იმა-	იმა-	მაგ-
მოთ.	ამა-ნ	იმა-ნ	მა-ნ
მიც.	ამა-ს	იმა-ს	მა-ს

შუხარდტი აშკარად ცდება, როცა „მან“ ბრუნვის ნიშნის უფრო გვიანდელ წარმონაქმნად მიიჩნევს, ვიდრე თანამედროვე ქართულსა და ძველშიც დადასტურებული -მა, -მ-ს.

ზ. სარჯელაძემ დოკუმენტურად დაადასტურა, რომ ძველი ქართულის უძველეს ტექსტებში -მა, -მ არსად არ გვხვდება. ისინი ჩნდებიან მხოლოდ X საუკუნიდან. მან ძველია და მისი გაცვეთის გზით მიღებულია -მა, -მ [6, 361].

მასასადამე, მესამე პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების მოთხრობითში 5 ნიშნის დაშვებას მხოლოდ ბრუნვის პარადიგმის ჩვენება უღვევს საფუძვლად და არა ძველი ქართული ენის მონაცემები, რომელშიც ცალკე დამოუკიდებელ ბრუნვის ნიშნად 5 არსად არ გვხვდება.

ამ დაშვების ჭეშმარიტებად გასაღების შემდეგ შუხარდტი ორ ახალ ვარაუდს აყენებს: „გამომდინარე აქედან, ჩვენ ვალდებულნი ვართ თავდაპირველი აქტიური ბრუნვა დავინახოთ „ვინ“-ში (მიც. ვი-ს? ნათ. ვ-ისი?), რომელზედაც უფრო გვიან გადატანილი იქნა სახელობითის როლი (რომელსაც მოგვიანებით დაეკისრა სახელობითის გამოხატვა)“ [14, 52].

ე. ი. „ვინ“-ში 5-ს მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად გამოცხადება ადრე „მან“-ში მის ამავე ბრუნვის ნიშნად დაუსაბუთებელ ვარაუდს ემყარება¹¹ და არც ის ვარაუდია ენობრივი მონაცემებით შემაგრებული, თითქოს მოთხრობითი ბრუნვის ფორმა მერე სახელობითს გამოეყენებინოს.

შუხარდტის ამ დაშვებების მცდარობა განაპირობა იმან, რომ:

¹¹ მოთხრობითი ბრუნვის „მან“ ნიშნის 5 და „ვინ“-ის 5 ერთსა და იმავე ოდენობად მიუჩნევია ფრ. ბოპსაც (იხ. Fr. Bopp, Die Kaukasischen Glieder des indoeuropäischen Sprachstammes, Berlin, 1847, გვ. 7—8 [9,61]).



1. იგი არ დაინტერესდა ნაცვალსახელთა სხვა ფორმებში დაუძებნა ისეთი შემთხვევები, როცა მოთხრობითი და სახელობითი აგრეთვე ემთხვევოდა ერთმანეთს;

2. „ვიწ“–ის ფუნქციური მხარის (რაც ნ-ს ქონებით უნდა ყოფილიყო განპირობებული) ანალოგის ძებნა დაიწყო ჩვენებისა და III პირის ნაცვალსახელებში, რომელთა კორელატსაც იგი („ვიწ“) არ წარმოადგენს.

ზემოთ ხსენებულ თეზისებში ჩვენ „ვიწ“–ის ბრუნება ასეთი სახით წარმოვადგინეთ.

სახ. ვიწ
 მოთ. ვიწ
 მოც. ვი:(ა)
 ნათ. ვის(ა) (ვის-ი.-ა)
 მოქ. ვის-ით-ა
 ვით. ვის-ად
 წოდ. —

ბრუნვათა ეს ფორმები თანამედროვე ქართულში არსებული ფაქტია. დასაძებნი იყო მხოლოდ ის გზა, რომელმაც ამ ფორმებამდე მიგვიყვანა.

თუ დავუშვებდით, რომ სახელობითისა და მოთხრობითის „ვიწ“ ფორმებში ნ ბრუნვის ნიშანი იყო, უნდა დაგვეშვა ყველა იმ გამონაკლისების ნამდვილობა, რომლებზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ და, რაც იქიდან მოდიოდა, რომ „ვიწ“–ის ნ-ს ანალოგად „მან“–ის ნ ცხადდებოდა.

ჩვენ ავიჩიეთ სხვა გზა ნაკარნახევი იმ დებულებიდან, რომ ქართულში უნდა არსებულიყო „ვიწ“ და „რა“ კლასკატეგორიათა დაპირისპირება, რის საფუძველზედაც „ვიწ“ ნაცვალსახელს გვერდით ამოუდგებოდა მე(ვ), შენ, ჩვენ, თქვენ ნაცვალსახელები, რომლებთანაც მას საერთო აქვს სწორედ ნ ელემენტი და რომელთა კორელატსაც თავად წარმოადგენს¹².

მსჯელობის ამ მიმართულებით წაყვანას მხარს უჭერდა კვლავ ენაში დადასტურებული ფორმები: „ვიწ“, I და II პირის ნაცვალსახელების მსგავსად, სახელობითისა და მოთხრობითში ერთნაირი ფორმით იყო წარმოდგენილი. ახსენას მოითხოვდა მიცემითისა და შემდგომი ბრუნვის ფორმები. და სწორედ აქ დაგვეპირდა ერთადერთი დაშვება (თანაც ქართული ენის ფონეტიკის თვალსაზრისით სავსებით მისაღები და მსგავს სიტუაციაში დადასტურებული). მიცემითში მოხალღუნელ „ვიწს“ ფორმაში ს მორფოფონემის წინ ფუძისეული ნ ფონემის დაკარგვა (იხ. [6, 344]. და მივიღეთ „ვის“ (—ვი(ვ)-ს), რომელიც რეინტერპრირებულ იქნა მიცემითის ფუძედ და, „ჩემ“ ფუძის მსგავსად, შემდეგ ბრუნვებში ძირეულ (resp. ფუძე) სეგმენტად გამოყენებული.

ნათესაობითში ამ ახალ ფუძეს უნდა მოეცა *„ვის-ის“, მაგრამ რადგან ფუძისეულ სეგმენტში არსებული „ის“ ბგერათკომპლექსი მასალობრივად იმე-

¹² მსგავსი აზრი ჯერ კიდევ 1960 წელს გამოთქვა მ. ბ. კიკვიძის [17, 60—63]. თუმცა უნდა ითქვას, რომ ბ. კიკვიძეცა და ჩვენც „ვიწ“-ში ნ-ს ბრუნვის ნიშნად არ ვთვლით და ასეც მას I და II პირის ნაცვალსახელთა მსგავს ნიშნთან ათანაბრებს, მსჯელობის მიმართულება და არგუმენტირება ჩვენ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული გვაქვს. ბ. კიკვიძე „ვიწ“ ნაცვალსახელის სხვა ბრუნვის ფორმებით არ დაინტერესებულა.

ბ. კიკვიძის აზრს ემთხვევა გ. კლიმოვის დებულება, რომლისთვისაც, ჩვენი მოსაზრებისგან განსხვავებით, „ვიწ“-ის ნ და „მან“-ის ნ ერთი და იგივე ოდენობაა. გ. კლიმოვისათვის მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი „მან“-ი იგივე „მან“ ნაცვალსახელია, რასაც ჩვენ აგრეთვე არ ვიზიარებთ [9, 61].

ორბედა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს, იგი გაგებულ იქნა სწორედ ასეთად და იმის გამოც, რომ ქართულს **ო** და **უ** ფუძიან სახელებში მიცემითისა და ნათესაობითის ფორმათა დამთხვევის პრეცედენტი უკვე ჰქონდა, ამ ბრუნვის ფორმა („ვის“) დაემთხვა მიცემითს.

რაც შეეხება მოქმედების, აქ მოიხსნა ყველა ზევით განხილული სამ თუ ოთხსაფეხურიანი დაშვებები და ყველაფერი ჩვეულებრივი წესით წარმოგვიდგა „ვის“ (ფუძეს+ით=„ვის-ით“). ასევე იწარმოება შედარებით ნაკლები გამოყენების მქონე ვითარებითიც.

აქ შეიძლება დაგვემთავრებინა, მაგრამ, როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სულ სხვანაირი მოსაზრებებია გამოთქმული. ფიქრობენ, რომ ქართული ენის მე(ნა), შენ(ა), თქვენ(ა), ჩვენ(ა); ზე-ნა, ქვე-ნა, უკა-ნა, წი-ნა, ში-ნა ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებში, აგრეთვე მეგრულ-ქანურის მა(ნ), სი(ნ), მუ(ნ), თე-ნა, თი-ნა ნაცვალსახელებში და მათ გვერდით „მან“, „ვინ“ ფორმებში დადასტურებული ნ(ა) ელემენტი წარმოადგენს დეტერმინანტ სუფიქსს [15, 178]. ამ დეტერმინანტს I და II პირის ნაცვალსახელებში გამოყოფს თ. გამყრელიძე [4, 41]. მაგრამ ამ უკანასკნელთან, როგორც ვნახეთ, ნ-ს წინამავალი ხმოვანი (ე) მიეკედლებოდა *ჟ-ს და გვაძლევდა (ჟე-) სეგმენტს, რომელსაც ავტორი აღნიშნის კლასის გადმომცემ ფუნქციას უკავშირებდა.

როგორც ჩანს, ეს მოსაზრება არ (თუ ვერ) გაითვალისწინა დ. მელიქიშვილმა¹³.

მისი აზრით: „როგორც ცნობილია, ნაცვალსახელურ ძირებდალ აქ (იგულისხმება ზევით ჩამოთვლილი ფორმები. — ა. ფ.) გამოყოფილია თანხმოვნითი ელემენტები: მ, შ, ჩუ, თქუ, მ, ვ, ხოლო დეტერმინანტ ელემენტად — ნ(ა). მაგრამ, რა ფუნქციისაა მათ შორის არსებული ხმოვნები ე, ა, ზ, ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი, თუ არ ჩავთვლით ნ. მარის ვარაუდს, რომლის მიხედვითაც მან ნაცვალსახელსა და მუნ ზმნისართში სემიტური ენების ანალოგიით ან და უნ მიცემითი ბრუნვის ნიშნებადაა მიჩნეული“ [18, 50].

ავტორმა ნ-სთან ერთად დეტერმინანტ ერთეულად მიიჩნია ხმოვნითი (ა, ე, ი) ელემენტებიც და ან, ენ, ინ, უნ სუფიქსები გამოჰყო არა მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ ფორმებში, არამედ აქ-ან-ა, ი-ქ-ან-ა, ზ-ენ-ა, წ-ინ, შ-ინ, მ-უნ, ძოდ-ან, გუშ-ინ ზმნისართებშიც და, ვფიქრობთ, სრულიად უსაფუძვლოდ უარყო ირ. ვეშაპიძის ვარაუდი ამ უკანასკნელთა თანდებულებთან და ზმნისწინებთან დაკავშირების თაობაზე [19, 99]. დ. მელიქიშვილი განაგრძობს: „შეიძლება ვიფიქროთ, რომ კითხვითი „ვინ“ ნაცვალსახელის ბრუნება ჩამოყალიბდა III პირის ნაცვალსახელის ყალიბის მიხედვით, სადაც ნ-ს ბრუნვის ნიშნად რეინტერპრეტაციის შემდეგ ფუძედ გაგებულ იქნა მა-, ხოლო ნ, ს, იხ... ბრუნვის ნიშნებად. ანალოგიურად გაეწყობოდა „ვინ“ ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმაც (ვი-ნ, ვი-ს), ოღონდ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აქ სახელობითსა და მოთხრობითის ფორმალური დიფერენციაცია არ მომხდარა“ [18, 55—56].

აქ აშკარად არაა ნათქვამი, მაგრამ გუმანიტ შეიძლება მაინც მივხედეთ, რომ დ. მელიქიშვილი ბ. კიკვიძის მოსაზრებებს ეყრდნობა, რადგან მისთვისაც

¹³ იგი თ. გამყრელიძეზე საერთოდ არ მიუთითებს და არც ჩვენს თეზისებს იცნობს.



„ვინ“-ის ფორმაცვლების დადგენისთვის „მან“-ის ჩვენება ამოსავალი და ამ მოსაზრებებში რაციონალური მარცვალი ისაა, რომ „ვინ“-ი სახელობითშია და მოთხრობითშიც უბრუნველ ფუძედაა გამოცხადებული.

III. ჩვენებითი და „რა“ კითხვითი ნაცვალსახელები. ჩვენ ზემოთ საკმაოდ ნათლად ვთქვით დიქციონარულად ქართულში ადამიანისა და ნივთის კატეგორიის არსებობის დაშვების აუცილებლობაზე და აღვნიშნეთ ისიც, რომ I და II პირის ნაცვალსახელები და მათი კორელატი „ვინ“ ნაცვალსახელი ანთროპონიმებთან ერთად ფორმალურად (უბრუნველობით) ამ კლასში ერთიანდებოდნენ.

თავისთავად ცხადია ჩვენებითი ნაცვალსახელები (რომელთა ერთი ჯგუფი III პირის ნაცვალსახელის როლში გამოდის) და მათი კორელატი „რა“ ნაცვალსახელი მათთან დაპირისპირებულ ლექსიკურ-გრამატიკულ კატეგორიას ქმნიდნენ და ერთიანდებოდნენ ნივთის კატეგორიის კლასში. ეს სწორედ ის კლასია, რომლის ბირთვის საზოგადო სახელები ქმნიდნენ და რომელიც პირველად გაფორმდა ბრუნვის ნიშნებით.

ჩვენ ვიზიარებთ გ. კლიმოვის მოსაზრებას (თუმცა ეს მხოლოდ მის მოსაზრებად არც ჩათვლება) იმის თაობაზე, რომ სახელობითისა და მოთხრობითის ნიშნების ამოსავლად ქართულში (შესაბამისად) „ი“, „ო“ და „მან“ იქნეს მიჩნეული.

ჩვენთვის მთლად ნათელი არაა ჩვენებითი ნაცვალსახელების სახელობითისა და მოთხრობითის ფუძეების ურთიერთობა: ისინი ერთი და იგივე ფუძეებია, როგორც ამას შუხარდტი ფიქრობდა, თუ სხვადასხვაა, როგორც ქართველი მეცნიერები ფიქრობდნენ, ჩვენ მოთხრობითი ბრუნვის ფუძე გვიანტერესებს, სადაც საკითხი სრულიად ნათელია: სახეზეა ამა-, იმა-, მაგა-, მა- ფუძეები.

ჩვენი აზრით, ამ ფუძეებიდან მოთხრობით ბრუნვის საწარმოებლად ენამ გამოიყენა იგივე ნიშანი, რომელიც გამოიყენებოდა საზოგადო სახელთა მოთხრობითის საწარმოებლად და უძველეს ტექსტებში დადასტურებულია ფაქტობრივად. ეს ნიშანია „მან“, თუ ამა-, იმა-, მა- ფუძეებს „ვინ“-ის მსგავსად) მორფემათა გასაყარზე გამოვლდებოდა აბსოლუტურად მსგავსი კომპლექსები („მა“), რამაც გამოიწვია ბრუნვის ნიშნის, „მან“-იდან „მა“- კომპლექსის, დაკარგვა და მხოლოდ ნ ელემენტის შენარჩუნება. ამ გზით მივიღეთ: ამა-ნ, იმა-ნ, მა-ნ. ამათი ანალოგიით მოსალოდნელი „მაგა-მან“ ფორმაშიც მსგავსი პროცესი მოხდა და იქაც მივიღეთ „მაგა-ნ“.

რადგან ასეთი ფონეტიკური გარემო არ იყო, არავითარი ცვლილება არ მომხდარა „რა“ ნაცვალსახელის ბრუნებაში, იგი ზუსტად, ყოველი წესის დაცვით, იმეორებს ა ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელების ბრუნების ტიპს.

აქვე შეიძლება კიდევ ერთი ვარაუდი გამოგვეთქვა: როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თ. გამყრელიძემ I და II პირის ნაცვალსახელებში ყველგან აღადგინა ბავისმიერი ხმოვანი ჭ და I და II პირის ნაცვალსახელთა არქეტიპად იგულისხმა: *მჭენ, *შჭენ, *ჩჭენ, *თჭენ, საიდანაც გამოჰყო ნ დეტერმინატი და(-ტე-) ელემენტი, რომლის ფუნქციადაც ადამიანის კლასის კატეგორიის გამოხატვა ივარაუდა.

ჩვენი აზრით, შეიძლება ამ ორი ელემენტის ერთში გაერთიანება, რომელსაც გვერდში „ვინ“ ამოუღებოდა (ტენ|ჭენ), მით უფრო, რომ ე/ი აბ-

ლაუტი ქართულისთვის ასე დამახასიათებელია, ხოლო მნიშვნელობის პლანში დაბრკოლება არაა.

დასკვნითი დებულებები:

1. პირველი პირის ნაცვალსახელი ქართულში სუბლექტური ფორმითაა წარმოდგენილი. მიცემითში „მე“-ს გვერდით უდგას „ჩემ“ ფუძე, რომელიც აგრძელებს ქვემოთა რიგის ბრუნვებს და რომელიც დაედო საფუძვლად კუთვნილებით ნაცვალსახელის ფორმას.

2. „მე“-ს მსგავსად სახელობითში და მოთხრობითში ფუძის სახით გვაქვს: „შენ“, „ჩვენ“, „ქვენი“, რომლებიც ქვედა რიგის ბრუნვებში მეტწილად თანდებულებით, ზოგჯერ უთანდებულოდაც ყველა ბრუნვაში არიან წარმოდგენილნი და რომელთა ფუძეებსაც იყენებს კუთვნილებითი ნაცვალსახელები.

3. ქართულში არა გვაქვს „ვი“ ფუძე და ყველა ის დაშვება, რომლებიც ამ ფუძის ვარაუდთან იყო დაკავშირებული, უნდა მოიხსნას.

4. ქართულში არასდროს არ გვქონია მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად ნ (ამდენად იგი ვერ გამოჩნდებოდა სახელობითშიც).

5. საზოგადო სახელთა მოთხრობითი ბრუნვის „მან“ ერთადერთი ნიშანი იყო ამ ბრუნვისათვის ქართული ენის ისტორიის მთელს მანძილზე.

6. მოთხრობითის ნიშანი „-მან“ არაა მიღებული „მან“ ნაცვალსახელიდან, უნდა ვივარაუდოთ შებრუნებული პროცესი.

7. სამუშაო ჰიპოთეზა: ა) „ვი-ეთ“ < ვინ-ერთი (ხომ გვაქვს „რა ერთი“), მით უფრო რომ „ვი-ეთ“-ი განუსაზღვრელობის მნიშვნელობით იხმარება. ბ) ვითარ-ი < „ვით-არის“.

ლიტერატურა

1. ავ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.
2. ალ. ფოცხიშვილი, ნაცვალსახელი თანამედროვე ქართულში (ბრუნვის სინქრონული ანალიზი), ფილოლოგთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ფილოლოგია, I, თბ., 1975.
3. ლ. შალვაშვილი, პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა ბრუნვის პარადიგმებისათვის, ქართული ენა, წერილების კრებული, თბ., 1969.
4. თ. გამყრელიძე, სიბილიანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1969.
5. Э. Бенвенист, Общая лингвистика, М., 1974.
6. ზ. სარჯველიძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
7. K. Tschenkel i, Einführung in die georgische Sprache, Bd. I, Zürich: Amiraniv-Verlag, 1958.
8. H. Vogt, Grammaire de lange géorgienne, Oslo. 1971.
9. Т. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962.
10. ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1969.
11. ავ. შანიძე, ივ. იშნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, I, თბ., 1975.
12. შ. კეკელია, ავ. დავითიანი, ქართული ენა, თბ., 1973.
13. ა. მარტიოროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964.
14. თ. შარაძენიძე, „ვით“ თანდებული ქართულში, თსუ შრომები, ტ. 10, 1939.
15. ანნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თსუ შრომები, თბ., 1939.



16. Г. Шухардт, О пассивном характере переходного глагола в кавказских языках, сб.: Эргативная конструкция предложения, М., 1950.

17. ბ. კიკვიძე, მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის გენეზისისათვის, ურნ. «კომუნისტური აღზრდისათვის», 1960, № 2.

18. დ. მელიქიშვილი, პირის ნაცვალსახელის ფუძის აგებულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ნარკვევები იბერულ-კავკასიური ენის მორფოლოგიიდან, თბ., 1980.

19. ირ. ვეშაპიძე, ზმნისწინის, ზმნიზედისა და თანდებულების ურთიერთდამოკიდებულებისთვის, თსუ შრ., ტ. 96, თბ., 1963.

А. П. ПОЦХИШВИЛИ

ВОПРОСЫ СКЛОНЕНИЯ ЛИЧНЫХ И ВОПРОСИТЕЛЬНЫХ МЕСТОИМЕНИЙ В СОВРЕМЕННОМ ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В современной грузинской грамматической литературе считается установленным: 1. личные местоимения I и II лиц являются несклоняемыми словами; 2. ауслатный «*ნ*» («*n*») вопросительного местоимения «*ვინ*» («*vin*») является показателем эргативного падежа, он же стал позже показателем именительного; 3. основа словоформы «*ვინ*» («*vin*») оканчивается на гласный «*ი*» («*i*») — единственный случай в грузинском языке; 4. Словоформа «*ვინ*» («*vin*») свой конечный «*ნ*» («*n*») заимствовала у местоимения III лица «*მან*» («*man*»); 5. местоимение III лица «*მან*» («*man*») — то же самое, что показатель эргативного падежа «*მან*» («*კაცმან*» — «*kas-man*»).

В работе переосмыслены эти и обоснованы новые положения.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტი

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჩიქიამ

დარეჟან ფხაკაძე

 ასპექტის გრამატიკული კატეგორიის ჩამოყალიბებისა და I
 თურმეობითის ურთიმეტრიზაციის ზოგიერთი საპითხისათვის
 ძარტულში

ასპექტი ზმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კატეგორიად ითვლება როგორც ქართული, ასევე ქართველური ენებისათვისაც. ზმნის ყოველი ნაკვეთი, დროისა და კილოს გარდა, აუცილებლად რომელსამე ასპექტსაც გამოხატავს.

ასპექტის საწარმოებლად თანამედროვე ქართულს მარტო ერთი საშუალება მოეპოვება — ეს არის ზმნისწინის დართვა. ზმნისწინიანი ფორმა სრული ასპექტის მნიშვნელობისად ითვლება, ხოლო უზმნისწინო ფორმა უსრული ასპექტის გამოხატველია (ე. წ. „სლავეური სისტემა“). რაც შეეხება ძველ ქართულს, აქ ასპექტის გამოხატვის თვალსაზრისით სულ სხვა ვითარება გვაქვს: ასპექტი უღლების კატეგორიაში შედიოდა და დრო-კილოთა სისტემის კუთვნილება იყო. ამის საფუძველზე I სერიის მწკრივები უსრული ასპექტის მნიშვნელობისა იყვნენ, ხოლო II სერიის მწკრივები კი სრულისა¹. ე. ი. აქ საქმე გვაქვს ე. წ. ბერძნულ სისტემასთან², რომლის მიხედვით ასპექტის გამოხატვის თვალსაზრისით ერთმანეთს უპირისპირდებიან პრეზენსისა და აორისტის ნაკვეთები. ქართულშიც ორსავე სერიის შემადგენლობაში მოიპოვება ნაკვეთები, რომლებიც დროისა და კილოს მიხედვით ერთნაირები არიან, განსხვავებას მათ შორის ქმნის ასპექტი. მაგრამ ისიც ვასათვალისწინებელია, რომ ყოველი ნაკვეთი სრული და უსრული ასპექტის გამოხატვის გვერდით იმედგროვულად მოქმედებდა ის რომელსამე სახესაც გამოხატავს². ე. ი. ოპოზიცია ნაკვეთთა შორის

1 ამოავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ასპექტის კატეგორიის ყველაზე სრულყოფილ განმარტებად, ჩვენი აზრით, დღეისათვის უნდა ჩაითვალოს შემდეგი: „ასპექტი ანუ სახე არის ფორმა, რომელიც ზმნის მიერ აღნიშნულ მოქმედებას წარმოადგენს ან ისე, რომ მას ბოლო უჩანს, ან ისე, რომ მას ბოლო არ უჩანს“ (იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 262). ამავე დროს, ისიც აღსანიშნავია, რომ ასპექტის აღქმა ერთგვარად სუბიექტურად არის და, თუკი ობიექტურ კრიტერიუმს მოვიშველიებთ, ვფიქრობთ, პირველ რიგში ანგარიში უნდა გავწიოთ იმას, რომ სრული ასპექტი მოქმედების ზღვარაღობას (ლიმიტაციუბას) გულისხმობს, ხოლო არასრული მოქმედების გამოხატველი ფორმა არაზღვრადია (არალიმიტაციურია).

2 ჩვენთვის ცხადია, რომ ტერმინის „მოქმედების სახე“ გამოყენებისას გარკვეული სიფრთხილე გვმართებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერმინს ქვეშ მარტო ზმნის ლექსიკურა შინაარსით გამოწვეული თავისებურებები არ აღინიშნება. არც ერთი მნიშვნელობით გვესმის იგი, როგორც ეს მაგალითად, სიგურდ აგრელთან გვხვდება. როგორც ცნობილია, მან პოლონურ ენაში აღწერა 20-ზე მეტი მოქმედების სახე (იხ. Сигурд Агрель, О способах действия польского глагола, сб. Вопросы глагольного вида, М., 1962; ასევეე მნიშვნელობით აქვს გაგებული მოქმედების სახე საბუთთა ასპექტოლოგს ი. მასლოვსაც. მას აღნუსხული აქვს მოქმედების 25 სახე (იხ. Ю. С. Маслов, О признаках глагольного вида, Studia indoeuropaejskie, Варшава, 1974, გვ. 135—140. ჩვენ ვთვლით, რომ მოქმედების სახე სემანტიკურად ახლოსაა ასპექტთან. მოქმედების სახეებად ვთვლით: მონენტობორც

ასეთია: სრული და უსრული მოქმედება (სრ.: უსრ.), რომელიც გულისხმობს შემდეგ ოპოზიციასაც: დაპირისპირება წყვეტილსა და უწყვეტ (განგრძობით, დიურატიულ) ასპექტებს შორის. ამ თვალსაზრისით უპირისპირდებიან ერთმანეთს: წყვეტილი და უწყვეტელი, I კავშირებითი და II კავშირებითი, I ბრძანებითი და II ბრძანებითი. როგორც ვხედავთ, ასპექტურ ოპოზიციასაში მონაწილეობენ მხოლოდ I და II სერიის მწკრივები. ამავე დროს, საპირისპირო წყვილის გარეშე რჩება I სერიაში აწმყო, რომელიც ამჟამინდელ მოქმედებას ვადმოსცემს და შინაგანად ვერ ეგუება სრული ასპექტის, დასრულებული მოქმედების ვადმოსცემს. აღსანიშნავია ისიც, რომ II სერიაში განკერძოებით დგას II ხოლმეობითი, რომელიც, მართალია, II სერიის ნაკვთია, მაგრამ სრული ასპექტის მნიშვნელობის ვერ იქნება, რადგან მოქმედების განმეორადობას, მრავალგზისობას გამოხატავს [1,93—95]. იგი თვით ძველი ქართულისათვისაც კი გადმონაშთადაა მიჩნეული და ამსახველი ჩანს იმ უძველესი ვითარებისა, როდესაც უღვლილება ასპექტის მიხედვით ცვლას გულისხმობდა. რაც მთავარია, ასპექტური ოპოზიციის გარეთ რჩება III სერიის მწკრივები, რომელნიც, სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული აზრის თანახმად, ძველ ქართულში მოკლებული იყვნენ ასპექტის გამოხატვის უნარს [2,953—958].

III სერიის მწკრივთა შორის ყურადღებას იქცევს I თურმეობითი, რომელიც, ამ ბოლო დროს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული აზრის თანახმად, როგორც წარმოების, ასევე ფუნქციის თვალსაზრისით ევროპულ ენათა პერფექტული ფორმების ტოლია [3,7].

როგორც ცნობილია, ინდო-ევროპულ ენებში პერფექტულ ფორმათა ძირითადი მნიშვნელობა არის რეზულტატის, ანუ მოქმედების, შედეგის აღნიშვნა, რომელიც სრული ასპექტის მნიშვნელობასაც ითავსებს [4]. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ზმნის უღლება ლათინურში აგებულია ორი ზმნური ფუძის — აწმყოსა (*infectum*) და პერფექტის (*perfectum*) ურთიერთდაპირისპირებაზე [5]. ეს დაპირისპირება შემჩნეულია ჯერ კიდევ ვარონის მიერ. მისი აზრით, ინფექტის ფუძე, რომელიც მოქმედებას განვითარებაში წარმოგვიდგენს, უპირისპირდება პერფექტის ფუძეს, რომელიც მდგომარეობას და, ამდენად, შესრულებულ მოქმედებას (სრულ ასპექტს) გამოხატავს [6,95].

ეფექტობთ, რომ I თურმეობითი უკვე ძველი ქართული ენის დონეზე სრული ასპექტის გამოხატველ ნაკვთად უნდა იქნეს მიჩნეული. I თურმეობითის ფორმები ძველ ქართულში ძირითადად გამოიყენებიან „შედეგობითი აწმყო“ მნიშვნელობით. ამ ფორმათა საშუალებით ვადმოიცემა მიღწეული მდგომარეობა, რომელიც მოქმედების რეზულტატურობას, ზღვრადობას გულისხმობს. I თურმეობითის ფორმებში წარსული პროციკირებულია აწმყოზე, სადაც წარსული არის მოქმედების არე, ხოლო აწმყო — მდგომარეობისა, რომელიც მოქმედების დასრულებულობის იდეას შეიცავს. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

ასპექტს, დიურატიულ ასპექტს, იტერატიულ ასპექტსა და ა. შ. (ეს საკითხები უფრო ფართოდაა გაშუქებული ზ. ჭუმბურიძის სტატიაში „ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის ქართულში“, იხ. „ორიონი“, თბილისი, 1967). ამავე დროს, ასპექტისა და მოქმედების სახის გამოყვანა ასპექტის ცალკე გრამატიკულ კატეგორიად გამოყოფის საშუალებას იძლევა და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ასპექტურ ოპოზიციასაში ძირითადად მიგაჩნია ოპოზიციის სრულსა და უსრულ მოქმედებას შორის (სრ.: უსრ.).



„და ავა-ვეგრა, მონანი შენნი ტანჯულ არიან“ (გამოსლ. 5.16).
 ბჭიχაεις θαν τον λαόν σου (exod. 5.16). perf.

„უფალო, მონაჲ ჩემი და ცემულ არს სახლსა შინა ჩემსა განრღუელი და,
 ძნიად იგუემების იგი“ (მათე, 8. 6. DE). Κύριε, ὁ παῖς μου βίβηται ἐν τῇ βίχῃ
 παραλισιχῆς, θεῖων βλασφημῆστος (M. 8. 6). perf.


„...ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოსრულ ხართ მახვლითა და წათებითა“
 (ლუკა, 22. 52 C). Ἐὰν ἔπι ληστῆν ἐξήμεις μετὰ μαχαίρων καὶ ξίλων (luk 22.52).

„და უკუეთუ ეშმაკი თავსა თვსსა ზედა აღდგომილ არსს და განყოფილ არს“ (მარ. 32. 26). καὶ εἰ ἢ ξατανὰς ἀνέστη ἐφ’ ἔσχατον καὶ ἔμερσι σθῆθ (Mark. 3. 26). aoris.

„ხოლო თქუნ გიყოფიეს იგი ქუბ ავაზაკთა“ (მათე, 21. 13 C). ὑμεῖς
 θε αὐτὸν ποιεῖτε σατῆλαιον ληστῶν (M. 21. 13). praes.

„...აჲ ესერა პური ჩემი მზამიყოფიეს“ (მათე, 22. 4 DE). Ἴδου, τὸ
 ἄριστόν μου ἦ τ ο ἰ α α α α (M., 22. 4). perf.

ამ მაგალითებში I თურმეობითი გამოიყენება შედეგობითი აწმყოს (მოქმედების რეზულტატურობის) მნიშვნელობით, რომელიც დასრულებული მოქმედების გამომხატველია. ამრიგად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ძველ ქართულში აწმყო დროის ჩვენებას ორი ნაკვეთი კისრულობდა თითქოს. ეს გარემოება აპრიორი გულისხმობს, რომ ამ ორ აწმყოს შორის რაღაც განსხვავება არსებობდა. ეს, მართლაც, ასეა და ძირითადი განსხვავება ამ ორ ფორმას შორის ასპექტის გამოხატვის საკითხთან ჩანს დაკავშირებული. ვფიქრობთ, I თურმეობითი, როგორც მდგომარეობის აღმნიშვნელი ფორმა, რომელიც მიღწეულ მდგომარეობას, შემოფარგულულ, შემოსაზღვრულ მოქმედებას გამოხატავს, დასრულებული მოქმედების გამომხატველია და აწმყოს სრულ-ასპექტიან ცალსაც წარმოადგენს. მაშინ დაპირისპირება მწყრივთა შორის შემდეგ სახეს მიიღებს: აწმყო და I თურმეობითი, ნამყო წყვეტილი (აორისტი) და უწყვეტელი, I კავშირებითი და II კავშირებითი. ე. ი. მდგომარეობის აღმნიშვნელი პერფექტული ფორმა სრულ ასპექტს გამოხატავს, ხოლო მოქმედების აღმნიშვნელი ფორმა უსრული ასპექტის მნიშვნელობისა არის.




რაკი I თურმეობითი მდგომარეობის აღმნიშვნელი სტატიკური ფორმაა, ისმის აწმყოს სტატიკურ ფორმებსა და I თურმეობითს შორის დამოკიდებულების საკითხიც. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ სტატიკურ და პერფექტულ ფორმათა ერთმანეთის გვერდით არსებობით ქართული გამოწაკლის ენათა რიცხვში არ დგას. სტატიკური და პერფექტული ფორმები ცალ-ცალკე დასტურდება ევროპულ ენებშიც. სტატიკურობა და პერფექტულობა, ვფიქრობთ, აბსოლუტურად იდენტური ოდენობები არ არის. მართალია, ორივე მდგომარეობას აღნიშნავს, მაგრამ: „მდგომარეობა შეიძლება ორგვარი იყოს: აღნიშნავდეს მდგომარეობას, ან აღნიშნავდეს მდგომარეობას, როგორც მოქმედების შედეგს“ [7,23].

მართლაც, სტატიკური აწმყოს ფორმები აღნიშნავენ სტატუსს საერთოდ: დგას, ზის, წევს, ძევს, და სხვა. აქ ძირითადია საგნის მდგომარეობის აღნიშვნა აწმყოსათვის, უბნობის მომენტისათვის. ცხადია, დასრულებული მოქმედების იდეა შორს არის ამ ტიპის ფორმებისაგან. მხოლოდ მას შეიძლება ჰქონდეს დასასრული, რაც მოქმედებაც იყო. პერფექტული ფორმებისათვის კი (I თურმეობითისათვის), როგორც აღნიშნა კიდევ, ძირითადია მოქმედების შედეგის აღნიშვნა, რომელიც წარსულისა და აწმყოს დაპირისპირებას გულისხმობს. უბნობის მომენტისათვის ვასათვალისწინებელია ერთიცა და მეორეც. მოქმედების შედეგების აღმნიშვნელი ფორმები: დაწოლილ არს, მოსრულ არს დასრულებული მოქმედების მნიშვნელობისა არის (აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე ქართულში გამოიყოფა სტატიკურ ზმნათა ნაწილი ა-ფენ-ია, ა-ბ-ია, ა-ს-ია ტიპისა, რომელთაც აშკარად პერფექტული მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ აღნიშნული ფორმები სწორედ ამ თვალსაზრისით უპირისპირდებიან სტატიკური აწმყოს დანარჩენ ფორმებს).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვენი აზრით, მდგომარეობის აღმნიშვნელ ფორმებს (I თურმ., სტატ. აწმყო) შორის მოქმედების სახეობრივი განსხვავებაც არის.

სტატიკური აწმყოს ფორმებისათვის საზოგადოდ გრძლიობაა დამახასიათებელი. ეს ფორმები დიურატიულ ასპექტს (მოქ. სახეს) გამოხატავენ. აწმყოში (დგას=იქნება დადგმული, დგას საერთოდ, მუდამ) მოქმედება მიმართულია აწმყოდან მომავლისაკენ (რომელიც ასპექტის მიხედვით ნეიტრალურია). I თურმეობითი კი გამოხატავს ისეთ დასრულებულ მოქმედებას, რომელიც წარსულში გრძლიობასაც გულისხმობს. შესაძლებელია, ეს გარემოება ხელშეწყობი ფაქტორი იმისა, რომ I თურმეობითის ფორმები ხშირად განმეორებადი და განგრძობითი მოქმედების მნიშვნელობითაც გვხვდება [8, 113—130]. ეს მნიშვნელობა I თურმეობითის ფორმებთან გრამატიკულადაც ჩანს მატერიალიზებული. მხედველობაში გვაქვს I თურმეობითის რელატიური ფორმების წარმოებაში დადასტურებული -ი-, რომელიც ხოლმეობითიდან მომდინარედ ითვლება და სტატიკური აწმყოს ფორმებთანაც იჩენს თავს [9,36,47]. ამავე ფუნქციის -ი- ფორმანტის არსებობა ივარაუდება I თურმეობითის აღწერით, აბსოლუტურ ფორმებთანაც. კერძოდ, ხოლმეობითიდან მომდინარე -ი- შეიძლება გამოიყოს ენებითი გვარის მიმღეობის ფუძეშიც, რომელიც I თურმე-

ობითის აბსოლუტური ზმნების წარმოებაში შედის [10,115] (მაგ., აღდგომ-ი-ლ არს, დაწოლ-ი-ლ არს და სხვა). გრძობა, რომელიც I თურმეობითის ფორმებთან ივარაუდება, მხოლოდ წარსულთან არის დაკავშირებული. მას აწმყოში ზღვარი აქვს დადებული, მდგომარეობის, ანუ დასრულებული მოქმედების სახით წარმოგვიდგება. ე. ი. I თურმეობითის ფორმებით ვაღმოიქცევა ერთგვარი „პერფექტული ასპექტი“, ანუ „პერფექტული მოქმედების სახე“. ამრიგად, როგორც ირკვევა, მდგომარეობის აღმნიშვნელი ფორმები ასპექტის ნაირსახეობით გამოირჩევიან. მათი საშუალებით შესაძლებელია გამოიხატოს როგორც „პერფექტული ასპექტი“, ასევე „აღიურატიული ასპექტი“. ამავე დროს, მდგომარეობის აღმნიშვნელი ფორმები ერთმანეთს უპირისპირდებიან, როგორც სრული და უსრული მოქმედების გადმოცემა ნაკეთები (სრ.: უსრ.):



როგორც ცნობილია, ზმნური ფორმებისათვის უძველესად ითვლება არა დროული, არამედ ასპექტური ოპოზიცია. ისტორიულად ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ სრული და უსრული ასპექტის ნაკეთები [11,169]. ეს ოპოზიცია წარმოშობილი ჩანს უძველესი ოპოზიციიდან — მდგომარეობა/მოქმედება, ანუ ინერტულობა/აქტიურობა. ამ ოპოზიციის მიხედვით ინდოევროპულ ენებში ერთმანეთის საპირისპიროდ დგას პერფექტი: პრეზენსი (აორისტი, იმპერფექტი), სადაც პრეზენსი (აორისტი, იმპერფექტი) მოქმედების გამოხატველი ნაკეთებია, ხოლო პერფექტი — მდგომარეობისა.

სავარაუდებელია, რომ ქართულშიც ასპექტურ ოპოზიციაში ისტორიულად მონაწილეობდნენ მდგომარეობისა და მოქმედების აღმნიშვნელი ფორმები (სტატიკური და დინამიკური ფორმები). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს I თურმეობითის (პერფექტის) ნაკეთი, რომლის თავდაპირველ ფუნქციას, როგორც ირკვევა, წარმოადგენდა მხოლოდ სტატუსის, მდგომარეობის აღნიშვნა [12,39]. ამ დებულებას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ I თურმეობითის როგორც აბსოლუტური, ასევე რელატიური (გარდაამავალი, გარდაუვალი) ნაკეთები წარმოების მხრივ სტატიკურ ფორმებთან ჩანს დაკავშირებული [13, 36—38]. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ პერფექტულობა, ანუ მიღწეული მდგომარეობის აღნიშვნა, ამ ფორმებთან

მეორეულია. სტატიკური ფორმებისა და I თურმეობითის დიფერენციაცია მომხდარი ჩანს მას შემდეგ, რაც ფორმას დაერთო თემის ნიშანი და ზმნისწინი. მდგომარეობის აღმნიშვნელმა ფორმებმა ერთი მხრივ მოგვცა პერფექტიული წარმონაქმნები, ხოლო მეორე მხრივ სტატიკური აწმყოს ტიპის ფორმები, რომელთა უძველესობა ქართველური ენების ზმნურ სისტემაში ეჭვს არ იწვევს. ეს მოსაზრება ერთგვარად ჰიპოთეტურიც არის, რადგან ამგვარი დასკვნის გაკეთება მხოლოდ საკითხის უფრო დეტალური შესწავლისა და სათანადო მასალის მოხმობის შემდეგ შეიძლება, მაგრამ ამჟამად ამ პრობლემაზე აქ ვეღარ შევჩერდებით.

ასპექტის გამოხატვის პრობლემასთან დაკავშირებით სათანადო მსჯელობას მოითხოვენ მოქმედების აღმნიშვნელი ფორმები (აწმყო, აორისტი, II ხოლმეობითი).

აწმყოს ფორმათა შესახებ ზემოთ უკვე იყო მსჯელობა. იგი ხაზოვანი, დიურატიული ასპექტის ფორმაა და I თურმეობითის უსრულსასპექტიან ცალს წარმოადგენს. რაც შეეხება აორისტს, იგი ძველ ქართულში, პირველ რიგში, იყო ნაამყო დროის თხრობითი კილოს ფორმა, რომელსაც ასპექტის გამოხატვის უნარიც ჰქონდა, რომელ ასპექტს გამოხატავდა აორისტი — სრულს თუ სრულს, ეს მაინცდამაინც ნათელი არაა. საინტერესოა, რომ, გ. მაჭავარიანის აზრით, ძველ ქართულში აორისტით გადმოცემული პროცესის დამთავრებულობა-დაუმთავრებლობას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი იყო, რომ აორისტი გადმოსცემდა შეწყვეტილ, ერთგზის, ასპექტს [14, 120]. ირკვევა, რომ აორისტი ისტორიულად მომენტობრივი ასპექტის ფორმაა, რაც დასრულებული მოქმედების მნიშვნელობისა ყოველთვის ვერ იქნება. გ. მაჭავარიანისავე აზრით, ამ მხრივ საინტერესოა ერთმანეთს შევედაროთ ნაამყო სრული (აორისტი) და ნაამყო უსრული. „მათ შორის არის განსხვავება, „პეტრე სახლს აშენებდა“ არ არის იგივე, რაც „პეტრემ სახლი აშენა“. პირველ შემთხვევაში მოქმედება ბოლომდე არ არის მიყვანილი იმიტომ, რომ გრძელდება, მეორე შემთხვევაში მოქმედება ბოლომდე არ არის მიყვანილი იმიტომ, რომ შეწყდა“ [15, 120].

აქვე უნდა ითქვას, რომ სპეციალურ ლიტერატურაში გავრცელებული აზრის თანახმად ქართული აორისტი ბერძნულთან დგას ახლოს [16, 138—141]. თვით ბერძნული აორისტის ბუნებაც დღემდე საბოლოოდ გამორკვევულად ვერ ჩაითვლება. შანტრენის აზრით, ბერძნული აორისტი გადმოსცემს ერთგზის მოქმედებას (მოქმედებას ყოველგვარი გრძლიობის გარეშე) [17]. ა. მეიეს აზრით, ბერძნული აორისტი მოქმედების სრულ სახეს გადმოსცემს [18, 226, 227], მაგრამ სხვაგან იმ აზრისაა, რომ აორისტი გადმოსცემს თავისთავად მოქმედებას, რომელიც სიმბოლურად წერტილის საშუალებით შეიძლება აღინიშნოს [19, 261, 262].


აორისტის ასპექტობრივი ბუნების შესახებ დამატებით ცნობებს იძლევა ძველი რუსულის მაგალითიც. ძველ რუსულში აორისტი თავდაპირველად იწარმოებოდა არა მარტო სრულ, არამედ უსრულ ფუძეთაგანაც და ინფინიტივისგანაც. აორისტის წარმოება მხოლოდ სრულსასპექტიან ფუძეთაგან ძველ რუსულში გვიანდელი მოვლენაა [120, 220]. საყურადღებოა, რომ როდესაც სურდათ დასრულებული მოქმედების გადმოცემა ძველ სლავურში „რთულ წარსულს“, (сложное прошедшее время), ანუ პერფექტს, მიმართავდნენ [21, 206].

მაგრამ შესაძლებელია ისიც ვივარაუდოთ, რომ ძველ ქართულში სრული ასპექტის გადმოსაცემად გამოიყენებოდა როგორც I თურმეობითი, ასევე აორისტიცი. ამათგან პირველი უძველესი ვითარების მაჩვენებელია, ხოლო აორისტისიათვის დასრულებული მოქმედების გამოხატვა შედარებით ახალი ჩანს. ეს ფორმები, როგორც ერთგზისი, მომენტობრივი ასპექტის ფორმები, ახლოს არიან სრული მოქმედების იდეასთან. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ბერძნულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირი, რაც ინტენსიურ მთარგმნელობით მუშაობაშიც ვლინდება, გზას გაუხსნიდა ე. წ. „ბერძნული სისტემის“ გავლენას ძველი ქართული ენის ნიმუშებზე. ვფიქრობთ, ქვემოთ ილუსტრირებულ მაგალითებში აორისტი სრული მოქმედების მნიშვნელობით იხმარება, მაგ: „ვანიღჟა იოსებ ძილისა მისგან და უყო ეგრე, ვითარცა უბრძანა მას ანგელოზმან უფლისაგან, და წარიყვანა მან ცოლი თჳსი“ (მათე, 2,24). „ვითარცა ესმა ესე პეროდე მეფესა, შეძრწუნდა იგი და ყოველი იერუსალჴში მის თანა“ (მათე, 2,3). „მი ვ ი დ ა და დ ა ე შ ე ნ ა ქუეყანასა, რომელსა ჰრქვან ნაზარეთ“ (მათე, 2,23). აქ ერთი გარემოებაც იქცევს ყურადღებას: სრული ასპექტის აღქმა უფრო ნათელია იმ ფორმებთან, რომელთაც პრევერბი ახლავთ. რაც შეეხება „უბრძანა“, „უყო“ ტიპის ზმნებს, აქ ერთგვარადი მოქმედების მნიშვნელობაა ძირითადი [22,127—128]. საფიქრებელია, რომ პრევერბს უკვე ძველი ქართულის დონეზე ესახება მაპერფექტივებული ძალა, რომელიც უფრო ნათლად მქლავდება ერთგვარადი ასპექტის (აორისტის) ფორმებთან, რაკი ეს ფორმები ახლოს დგანან დასრულებული მოქმედების იდეასთან. ისეთი ტიპის ფორმებთან კი, როგორიცაა, მაგალითად, ძველ ქართულში დადასტურებული „მოვკუდები, დედოფალო-გკუდები, დედოფალო“ პრევერბი მხოლოდ მოქმედების განსაზღვრულობას აჩვენებს, მაპერფექტივებული უნარი მას არა აქვს. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ უკვე ძველი ქართული ენის დონეზე ზმნისწინი დაშორებულია თავის პირვანდელ მნიშვნელობას (წინდებულის ფუნქციას) და აქვს სიტყვათმწარმოებელი ძალა. იგივე ვითარება ივარაუდება I თურმეობითის ნაკეთებთან დაკავშირებითაც. აღსანიშნავია, რომ I თურმეობითის ფორმები ძველ ქართულში თითქმის არც გვხვდება პრევერბის გარეშე (ეს განსაკუთრებით თქმის რელატიური ფორმების შესახებ, რომელთა წარმოება ზმნისწინის დართეასაც გულისხმობს. შდრ. უპყრიეს—სტატიკური აწმყოა, დაუპყრიეს—I თურმეობითი).

როგორც აღინიშნა კიდევ, ქართული ზმნის ნაკეთვა სისტემაში II ხოლმეობითი (მრავალგზისი) ერთადერთია, რომელიც მხოლოდ ასპექტს გამოხატავს. II ხოლმეობითის ძირითადი ფუნქცია ისტორიულად განგრძობითი, ნაზოვანი, დიურატიული ასპექტის ჩვენება უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს ის, რომ ხოლმეობითის მაწარმოებელი -ი- და სტატიკური აწმყოს -ი- (არ-ის, უწყ-ის, ზ-ი-ს) ერთი წარმოშობისაა [23, 89—90]. სტატიკური ზმნის ბუნება კი სავსებით გამოირჩევა როგორც მრავალგზისობას, ასევე დასრულებული მოქმედების იდეასაც. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია შემდეგი ფაქტი: „სავლისხმოა, რომ ორი ცნების (უსრული ასპექტ, მრავალგზისობა) გრამატიკული შინაარსის სიახლოვე ახლაც კი საგრძნობი და ხელშესახებია. უსრული ასპექტისა და მრავალგზისის ფორმებს არ გამოიჯანყნენ არც რუსულში, მრავალგზისი აღიარებულია უსრული ასპექტის სახესხვაობად ან მისი წარმოების ერთ-ერთ ფორმად, უსრულის გაგება არ გამოირჩევა განგრძობითობას, ის იგივე ხოლმეობითია“ [24]. ენახოთ, ზოგი მაგალითი: „რ ა მ მ ო ზ ო რ დ ი ს,



ვერ მჭვრეტელმან, ვარდი შექმნის ფერნაკულად, ნახის ცეცხლი განუახლდის; წყლული გახდის უფრო წყლულად“ (გეფხ. გვ. 11, სტ. 41). განმეორებადი მოქმედების აღმნიშვნელი ფორმები: „ნახის“, „შექმნის“, „განუახლდის“ სრული მოქმედების მნიშვნელობისად ვერ ჩაითვლება. ის, რაც ჩვეულებითია, დამახასიათებელია, მარად და მარად მეორდება, უსრული ასპექტის იდეასთან დგას ახლოს. დასრულებულად შეიძლება ვცნოთ მოქმედების თითოეული კომპონენტი, მთლიანად მოქმედება კი ვერა, რაკილა ეს მოქმედება ზღვარდადებული არ არის. ე. ი. მოქმედების აღმნიშვნელი ნაკვეთების საშუალებით შესაძლებელია გადმოიცეს როგორც სრული, ასევე უსრული სახის მოქმედება. ამავე დროს მოქმედების აღმნიშვნელ ნაკვეთებს შორის მოქმედების სახეობრივი განსხვავებაც არის.



ამრიგად, ასპექტის გამოხატვის სისტემის განვითარება ქართულში ჩვენ ასე გვესახება: ენის განვითარების პირველად დონეზე არსებობდა არა დროული, არამედ ასპექტური ოპოზიცია. ე. ი. ერთმანეთს უპირისპირდებოდა სრული და უსრული მოქმედების გამოხატველი ფორმები (სრ.: უსრ.). ეს ოპოზიცია წარმოდგარა ჩანს უძველესი ოპოზიციიდან — მოქმედება: მდგომარეობა, აქტიურობა: ინერტულობა, რომელიც მრავალი ენისათვის უნივერსალური ჩანს. შემდგომ ამ პარადიგმატულმა წყუფებმა დრო-კილოთა წყუფები მოგვცა. აქედან განვითარებულად უნდა ჩაითვალოს ოპოზიცია პრეზენსი: პრეზენტ, ან, რაც იგივეა, პრეზენსი: (აორისტი/იმპერატივი) პერატივი. შემდგომი და საბოლოო საფეხურია ოპოზიცია ზმნისწინი და უზმნისწინო ფორმათა შორის, რომელიც ახალი ქართულის კუთვნილებაა, მაგრამ სავარაუდოა, რომ ზმნისწინის ფუნქციის განვითარებას უკვე ძველ ქართულშივე ეყრება საფუძველი.

უკვე ძველ ქართულში მოქმედებისა და მდგომარეობის აღმნიშვნელი ფორმები ერთმანეთს უპირისპირდებიან არა მარტო როგორც სრული და უს-

რული ასპექტი ნაკვებები, არამედ როგორც მოქმედების სხვადასხვა სახის გად-
მომცემი ფორმები. მდგომარეობის აღმნიშვნელი ფორმებით გადმოიცემა ე. წ.
„პერფექტული სახე“ და დიურატიული მოქმედების სახე, რომელთა შორის
ასპექტური ოპოზიციაც ივლისსმება (სრ.: უსრ.).

მოქმედების აღმნიშვნელი ფორმები ასპექტის ნაირსახეობით გამოირჩევი-
ან. მათი საშუალებით გადმოიცემა როგორც მომენტობრივი მოქმედების სახე,
ასევე დიურატიული და იტერატიული მოქმედების სახეებიც. ასპექტური ოპო-
ზიციაც ამ შემთხვევაშიც დასტურდება — მომენტობრივი: დიურატიული = სრ.: უსრ.

ლიტერატურა

1. არნ. ჩიქობავა, პერმანსივის ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლე-
ლების სისტემაში, სმპ, თბ., 1943.
2. А. Шанидзе, Изменения системы выражения глагольных категорий вида
в грузинском и его последствия, СМЗ, т. III, 1942, № 9.
3. ნ. ნათაძე, შესაბამისი სერვის დრო-კოლოთა წარმოებისათვის ქართულში, იკვ, VII, თბ.,
1955. დ. ფხაკაძე, I თერმობითის ფუნქციები ქართულში, საკანდიდატო დისერტა-
ცია, მანქანაზე ნაბეჭდი (დაცულია ოსუ ბიბლიოთეკაში), 1981.
4. П. Шантрен, Историческая морфология греческого языка, М., 1953.
5. А. Эрну, Историческая морфология латинского языка, М., 1950.
6. ვარონი, IX. De Lingua Latina.
7. ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქარ-
თულში, თბ., 1975.
8. დ. ფხაკაძე, დასახ. ნაშრომი.
9. არნ. ჩიქობავა, ერატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ
ენებში, I, თბ., 1948.
10. დ. ფხაკაძე, დასახ. ნაშრომი.
11. П. Шантрен, Историческая морфология греческого языка, М., 1953.
12. დ. ფხაკაძე, დასახ. ნაშრომი.
13. დ. ფხაკაძე, დასახ. ნაშრომი.
14. გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა
სტრუქტურის საკითხები, IV, თბ., 1974.
15. გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრომი.
16. G. Deeters, Nas Kharthwelische Verbum, Leipzig, 1930.
17. П. Шантрен, დასახ. ნაშრომი.
18. А. Мейе, Общеславянский язык, М., 1951.
19. А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков,
(თარგმანი ფრანგულად), М., 1933.
20. П. Я. Черных, Историческая грамматика русского языка, М., 1953.
21. А. Мейе, Общеславянский язык, М., 1951.
22. გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრომი.
23. არნ. ჩიქობავა, ერატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებ-
ში, I, თბ., 1948.
24. ივ. ქავთარაძე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში, ქართვე-
ლურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1967.

Д. Ф. ПХАКАДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ВЗАИМОСВЯЗИ СТАНОВЛЕНИЯ АСПЕКТНОЙ КАТЕГОРИИ И ФОРМ I РЕЗУЛЬТАТИВНОГО В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Учитывая данные древнегрузинского языка, автор статьи считает, что исторически выражать завершенность действия могли статические формы, из которых в дальнейшем развились совершенные образования грузинского языка, в частности I результативное. Ни аорист, ни имперфект (II многократное) не могли быть употреблены для выражения завершенного действия. Исторически данные формы выражали лишь однократное и продленное действие (аспект). Следует считать, что на уровне древнегрузинского языка I результативное, выражая достигнутое состояние или же «результативное (завершенное) настоящее», является видовой парой для настоящего — презенса.

Развитие аспектной системы грузинского глагола сводится к следующему: на первой ступени развития существовала лишь видовая оппозиция (позже образовалась система времен и наклонений). Противостояли друг другу формы, выражающие завершенность и незавершенность действия. Эта оппозиция, вероятно, развилась из древнейшей оппозиции: состояние — действие или инертность — активность, которую для многих языков следует считать универсальной. Отсюда оппозиция перфект — презенс/имперфект — аорист.

Последней ступенью развития является оппозиция между приставочными и бесприставочными формами.

თბილისის ა. ს. ჰუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული
ენის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიციურმა

ნათელა კუთხელი

ლაზური კონსონანტიზმი

ლაზური ფონოლოგიური სისტემა შეიცავს ფონემათა ორ ძირითად კლასს: თანხმოვნები და ხმოვნები. ბგერითი სისტემა ლაზურში ფონემათა თავდაპირველი შედგენილობის თვალსაზრისით ქართულისა და მეგრულისაგან არ განსხვავდებოდა. განსხვავებამ იჩინა თავი შემდგომ პერიოდში, როდესაც ლაზები პოლიტიკურად და ენობრივად აღმოჩნდნენ გათიშულნი ქართველთა ტომებისაგან და მჭიდროდ დაუკავშირდნენ თურქულ ენობრივ გარემოს.

ლაზები კომპაქტურად მოსახლეობენ ამჟამინდელ თურქეთში. კარგა ხანს ისინი ერთგვარ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ. ოჯახში ქალი იყო მთავარი, რომელმაც სხვა ენა გარდა ლაზურისა არ იცოდა. ლაზი მამაკაცი ოჯახიდან შორს გადიოდა საშოვარზე და სწორედ ისინი დაეუფლნენ პირველ რიგში თურქულ ენას.

ათა-თურქის რეფორმების შემდეგ მუსლიმანი ქალებისათვის სავალდებულო გახდა პირველდაწყებითი განათლება, რომელიც ძალაუხმებურად თურქულ სკოლაში უნდა მიეღოთ ლაზ ქალებსაც. ასე რომ, უკანასკნელი 40—50 წლის მანძილზე ლაზურ მოსახლეობაში თავი იჩინა მასობრივმა ორენოვნებამ. ათინურ კილოკავზე მოლაპარაკე ლაზების ერთი ნაწილი საუკუნეების მანძილზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბერძნულენოვან მოსახლეობასთან. ასეთი მჭიდრო ენობრივი კონტაქტის ლინგვისტური შედეგი ისე შორს არის წასული, რომ ლაზურის ნებისმიერ კილოკავზე მოლაპარაკეს ძალიან უჭირს ათინელის გაგება; ზოგჯერ ენობრივი კომუნიკაცია თითქმის შეუძლებელი ხდება.

თავის მხრივ გართულდა კომუნიკაცია ლაზურსა და მეგრულს შორის¹. ადრე მათ შორის სხვაობა ისე მცირე იყო, რომ გაგებინების პრობლემა არასოდეს მდგარა.

მიუხედავად ასეთი იზოლაციისა ქართულენოვან სამყაროსაგან, ფონემათა ინვენტარისა და პარადიგმატულ მიმართებათა თვალსაზრისით ლაზური დღესაც გასათვარ სახალოვეს ინარჩუნებს ქართველურ ენებთან, მაგრამ ამავე დროს განსხვავდება მათგან ფონემათა დისტრიბუციული მიმართებების თვალსაზრისით².

ლაზურში თანხმოვანთა კლასის ელემენტები ქმნიან სამ სისტემას: სა-მეულებრივი, წყვილელულებრივი და ცალელულებრივი³. ყოველი სისტემის ელემენტები უნიფიცირდებიან ერთი საერთო ძირითადი ნიშნის ორგველივ: სამეულებრივი სისტემის ძირითადი მახასიათებელია ხშულობა; წყვილელულებრივი სისტემისათვის — ნაპარალოვნობა; ცალელულთა სისტემისათვის — სონორობა.

¹ გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965, გვ. 49.

² იქვე, გვ. 117.

³ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 80 შმდ.



ხშულთა სამეულეებრივ სისტემა. ხშულთა სამეულეებრივი სისტემა ლაზურში, ისევე როგორც ქართულსა და მეგრულში, შეიცავს თექვსმეტ ელემენტს: მარტივი ხშულები — ბ-ფ-ჰ, დ-თ-ტ, გ-ქ-კ; ხშულ-ანარაღოვნები (აღრეკატები) — ძ-ც-წ, ჯ-ჩ-ჭ და ხშული სპირანტიდი ყ.

სამეულთა სისტემის წევრები განლაგებული არიან გ. ახვლედიანის დეცესიურობის პრინციპის გათვალისწინებით⁴. წინა წარმოების რიგს მოსდევს უფრო უკანა წარმოების რიგი და ა. შ. სისტემა იწყება ბილაბიალური რიგით და მთავრდება ველარული წარმოების რიგით.

სამეულთა სისტემაში წარმოდგენილია ხუთი სრული სამეული და ერთი პარვეზიანი. ყოველი ჰორიზონტალური ჰრილი წარმოადგენს ტრიადას, რომლის ელემენტები ერთმანეთს მიმართ ჰომოგენურ (წარმოქმნის რავგარობის თვალსაზრისით) და ჰომორგანულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. ყოველი ვერტიკალური სვეტი შეიცავს ელემენტებს, რომლებიც ერთმანეთს მიმართ ჰომოგენური არიან მეღერობა-სიყრუის თვალსაზრისით: პირველი ვერტიკალური რიგი მეღერებია, მეორე — ყრუ ასპირატები (ფშენიეერები), მესამე — ყრუ აბრუბტივები (მკვეთრები).

ხშულთა სამეულეებრივი სისტემა

	ლაზური	მეგრული	ქართული
ხშულ-შაკლში	ბ-ფ-ჰ-ბილაბიალური	ბ-ფ-ჰ	ბ-ფ-ჰ
ხშულ-შაკლში	დ-თ-ტ-დენტალური	დ-თ-ტ	დ-თ-ტ
ხშულ-ნარ-ლოვანი (აღრეკატები)	ძ-ც-წ-პრეალვეოლარული	ძ-ც-წ	ძ-ც-წ
ხშულსაკლში	ჯ-ჩ-ჭ-ალვეოლარული	ჯ-ჩ-ჭ	ჯ-ჩ-ჭ
ხშული სპირანტიდი	გ-ქ-კ-პრეველარული	გ-ქ-კ	გ-ქ-კ
	—ყ—უკანა ველარული	—ყ/ღ	—ყ

როგორც არნ. ჩიქობავამ აღნიშნა, ლაზურს ქართულისა და მეგრულისაგან განსხვავებით ძლიერი დიალექტური დიფერენციაცია ახასიათებს⁵. განსხვავება განსაკუთრებით იჩენს თავს ფონეტიკა-ფონოლოგიის სფეროში.

ვოკალური და კონსონანტური სისტემის აღწერისას ჩვენ შევეცდებით შეძლებისდაგვარად აღვუხსნათ ეს სხვაობანი ძირითადი კილოკავების — ზოფურის, ვიწურის, არქაბულისა და ათინურის ფარგლებში. აქვე მინდა დავძინო, რომ დღემდე ვიწურ-არქაბული ერთ კილოკავად იყო მიჩნეული, მაგრამ არის მთელი რიგი მოვლენები, რომლებიც ახასიათებს ვიწურს და სრულიად არ ახასიათებს არქაბულს. როგორც ცალკეული ფონემათა ფუნქციონირების, ისე ფონემათა დისტრიბუციის თვალსაზრისით ზოგჯერ ვიწური და ათინური გაცილებით მეტ მსგავსებას ამჟღავნებენ. ამდენად ყველა ამ კილოკავის გამიჯვნა აუცილებლად მიმაჩნია.

განსხვავება ლაზურის კილოკავთა შორის ძირითადად იჩენს თავს თანხმოდანთა სამეულეებრივ სისტემაში, კერძოდ ამ სისტემის ელემენტთა რეალიზაციაში. ხშულთა სამეულეებრივი სისტემის ხუთი სამეული ლაზურში, ისევე როგორც მეგრულსა და ქართულში, სრულად არის დაცული.

⁴ იქვე, გვ. 107 შმდ.

⁵ ქართული ენის ხშულთა სამეულეები წარმოდგენილი არიან გ. ახვლედიანისული ცხრილით (ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 302).

⁶ არნ. ჩიქობავა, ჰინურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936, გვ. 9.

ხოფური	ვიწური	არქაბული	ათინური
ბ-ფ-ბ	ბ-ფ-ბ	ბ-ფ-ბ	ბ-ფ-ბ
ღ-თ-ტ	ღ-თ-ტ	ღ-თ-ტ	ღ-თ-ტ
ძ-ც-წ	ძ-ც-წ	ძ-ც-წ	ძ-ც-წ
ჭ-ჩ-ჭ	ჭ-ჩ-ჭ	ჭ-ჩ-ჭ	ჭ-ჩ-ჭ
გ-ქ-კ	გ-ქ-კ	გ-ქ-კ	გ-ქ-კ
— — ყ	— — /ჲ/	— — —	— — —

სისტემის ელემენტთა რეალიზაცია სიტყვის სამივე პოზიციაში დასაშვებია.

ყოველი სამეული, ფონემათა რეალიზაციის თვალსაზრისით, გარკვეულ კანონზომიერებას ამჟღავნებს: ნებისმიერი სამეულის მქდერი და ასპირირებული წევრი გარკვეული სიხშირით იმავე რიგის მკვეთრი (აბრუბტივი) ვარიანტის სახით რეალიზდება. ასეთი ტენდენცია გამკვეთრებისკენ აღინიშნება როგორც საკუთრივ ლაზურ, აგრეთვე ნასესხებ ლექსიკაში⁷ —

- ბ ფ ბ : ბ > პ, ფ > ჰ;
- ღ თ ტ : ღ > ტ, თ > ტ;
- ძ ც წ : ძ > წ, ც > წ;
- ჭ ჩ ჭ : ჭ > ჭ, ჩ > ჭ;
- გ ქ კ : გ > ქ, კ > კ;

გამკვეთრების ტენდენცია საერთოა ლაზურისათვის, მაგრამ კილოკავებში სხვადასხვაგვარად ზორციელდება და ერთი მკაცრი წესის დადგენა შეუძლებელია. არც ისე უნდა გავიგოთ თითქმის ყველა მქდერი და ასპირატი ნებისმიერ პოზიციაში გამკვეთრდება.

გამკვეთრების ტენდენციით ლაზურ კილოკავთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ათინური. გამკვეთრების პროცესი ლაზურში, როგორც აღნიშნავს ს. ჯიქია, არ არის დასრულებული⁸, ამიტომაც ჩვეულებრივია როგორც მქდურისა და ასპირატის მონაცვლეობა აბრუბტივთან, ასევე მქდერი||აბრუბტივი და ასპირატი||აბრუბტივი ფორმების არსებობა სიტყვის ერთსა და იმავე ფორმაში.

მართალია, გამკვეთრების ტენდენცია ძლიერია ლაზურში, მაგრამ მქდერ ფონემებს, თავისთავად, რეალიზაციის დიდი სიხშირე ახასიათებთ; ზოგჯერ ისინი ასპირირებული ვარიანტის სახითაც გვევლინებიან.

ბ ფ ბ : ბ > პ (resp. ბ/პ); ფ > ჰ (resp. ფ.//ჰ) მაგალითები: ბრინჯი (ხოფ.), პრინძი (ათინ.), ბრინძი/პრინძი, პირინძი (ბულეფ.), ფრინჯი (ვიწ.), ფირინჯი //ფრინჯი, ბრინძი (არქ.) „ბრინჯი“; ბაზარი (ხოფ.), ბაზარი/პაზარი (ვიწ., არქ.) „ბაზარი“; ხოფურში უფრო „ბაზარი“ ფორმაა დამკვიდრებული. ალბათ ქართლის გავლენით. მამუზალე>მამუზალე (ვიწ. არქ.) „ბოლოქანქარა“, იგივეა რაც „სომსიკოკარი“ და „ლალიშკინჩი“ ხოფურში. ჭუბუტა>ჭუბუტა (არქ.), წუბუტი (ვიწ.) „პაწაწკინტლა“—სრული გამკვეთრება; შარაბი (ხოფ.), შარაბი//შარაბი (ვიწ.), შერაბი//შერაბი (არქ.) „ღენო“; ფაფახი//პაფახი „ფაფახი“; ფილავე

⁷ თურქულიდან ნასესხებ ლექსიკაში გამკვეთრების საკითხს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ს. ჯიქიამ (თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობანი, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 8—9 (№ 155—156), თბ., 1974, გვ. 116 შმდ.).

⁸ იქვე, გვ. 125.

(>ფილია), ბილაგი (ხოფ., არქ., ვიწ.) „ფლაგი“; ტეფსი//ტეპსი (ხოფ., არქ.) „თეფში, პოდნოსი“; ჭონჭყოფი > ჭონჭყოპი (ხოფ.) „ჭაობიანი ადგილი“.

ღ თ ტ: ღ > ტ (resp. ღ//ტ); თ > ტ (resp. თ//ტ): ღურანი (არქ.), ღურა (ხოფ., ვიწ.), ტურა (ათინ.) „ურუ“; ტეკიყე (ათინ.), დეკიყე (ხოფ., ვიწ., არქ.) „წუთი, წამი“ (თურქ.-არაბ. dakika); მემელი > მემეტი (<მემეღ) „კაცის სახელია“. ეს სახელი ლაზურში მხოლოდ გამკვეთრებული ვარიანტით ითქმის. ორღუფ//ორტუ (ხოფ.) „იყო“. ზავოტი < ზავოლი „ქარხანა“. ხოფურში სიტყვა რუსულიდან არის შემოსული და მხოლოდ „ზავოტი“ ფორმით იხმარება. ხოფურ, არქაბულ და ვიწურ დიალექტებში დს გამკვეთრება იშვიათია, ეს უფრო ათინურ კილოკაცს ახასიათებს. სამაგიეროდ ძალიან ხშირია თ > ტ შემთხვევები: თათი > ტატი (ხოფ.) „თათი“; ხემ თათი//ტატი „ხელის მტევანი“; მენდახთეს//მენდახტეს (ხოფ.), მენდახტეს (ვიწ., არქ.) „წაფიდნენ“; თქუ (ხოფ.), ტქუ (ათინ.) „თქვა“; საათი > საატი (ხოფ.) „საათი“; ქომოხთუ > ქომოხტუ (ხოფ., ვიწ., არქ.) „მოვიდა“; ვიტვარ, ვიტოჟურ, ვიტოსუმ//ვითვარ, ვითოჟურ, ვითოსუმ „თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი“. ლაზური ვით „ათი“ კომპოზიტურ რიცხვით სახელებში ძირითადად „ვიტ“ ფორმით არის წარმოდგენილი⁹.

ძ ც წ: ძ > წ (resp. ძ//წ); ც > წ (resp. ც//წ)—ოხორჯა (ხოფ., ვიწ., არქ.), ოხორძა//ზორძა || ოხორჯა//ზორჯა (ათინ.) „ქალი“; ოძინუ//ონძინუ (ვიწ., არქ.), ოწინუ (ათინ.) „ვადნობა“; ბონძინამ. ზონწინამ „ვადნობა“¹¹; ხორცი (ხოფ., არქ.), ხოწი (ათინ.) „ხორცი“, ქარციმალი > ქარწიმალი (არქ.), ქარციმალი//ქარწიმალი (ხოფ., ათინ.) „ნისლი“¹²; კიცი (ხოფ., ათინ., ვიწ.), კეწი//კეცი (არქ.) „კეცი“; ხამანწა (ხოფ.), ხამანცა//ხამწა//ხამცა (არქ., ათინ.) „კენამი“.

მინდა შევჩერდე მაგალითზე, რომელიც საყურადღებოდ მიმაჩნია, მაგრამ, ამავე დროს, გარკვეულ სიძნელეებსაც გვიქმნის. „წუნა“ ხოფურში „დედალის“ მნიშვნელობით იხმარება: წუნა მჩხური „დედალი ცხვარი“¹³. ვევე მნიშვნელობის სიტყვა ათინურსა და ვიწურში „ზურა“ ფორმის სახით არის წარმოდგენილი: ზურა ჯოლორი (ვიწ.), ზურა ლაქი (ათინ.) „დედალი ძალი“¹⁴. არქაბულში „ცუნა“ გვაქვს დადასტურებული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წუნა (ხოფ.), ცუნა (არქ.), ზურა (ვიწ., ათინ.) ქართულ ძუ, ძქუნა ფორმებს უკავშირდება. ქართ. ძუ „დედალი“ დ. ჩუბინაშვილს განმარტებული აქვს, როგორც „დედალი მხეცი“: ძუ ვეფხვი, ძუ ლომი, ძუ ძალი¹⁵.

ლაზურში ზ, წ//ც, ძ ფონემის კანონზომიერი რეფლექსებია. ძ განიცდის დეზაფორკატიზაციას (ძ > ზ: ხაძი > ხაზი „კარგი“¹⁶), ამავე დროს ემორჩილება გამკვეთრების ტენდენციას (ძ > წ; ოძირუ > ოწირუ „დანახვა“). ლაზურისთვის დამახასიათებელია აბრუბტივის მონაცვლეობა იმავე რიგის ყრუ ფშვინვიერთან—წ/ც: წიფრი //ციფრი (ათინ.) „წიფლა“, „შღრ. წიფური (ხოფ., არქ.). ამრიგად ძუნა > ზუნა, ძუ-

⁹ Н. М а р р, Грамматика чанского языка. СПб., 1912, гв. 140.
¹⁰ ს. ჟღენტი, ქანურ-მეგრულს ფონეტიკა, თბ., 1953, გვ. 142.
¹¹ Н. М а р р, Грамматика чанского языка, გვ. 219.
¹² ნ. შაროთის ლექსიკონში აღნიშნავს, რომ ლაზურში მას მოუსმენია ფორმა „ქარწიმალი“ (Грамм. чан. яз., გვ. 153), რაც საესებით კანონზომიერია.
¹³ Н. М а р р, Грамматика чанского языка, გვ. 222.
¹⁴ იქვე, გვ. 145.
¹⁵ დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, СПб., 1887, გვ. 162.
¹⁶ Н. М а р р, Грамматика чанского языка, გვ. 230.

ნა>წუნა//ცუნა ლაზური ფონოტაქტიკის თვალსაზრისით კანონზომიერია. კ ლაზურ ვარიანტში უნდა ამოვარდნლიყო არაკანონიკური ეს კომპლექსის სუპერაციის მიზნით. ვვარაუდობ, რომ ქართ. ძუნა უნდა უკავშირდებოდეს ლაზური „წუნა“, „ცუნა“-ს, თუმცა გამოირიცხული არ არის სხვაგვარი ინტერპრეტაციის არსებობაც.

ჩ ჩ ზ: ჩ > ჭ (resp. ჩ//ჭ); ჩ > ჭ (resp. ჩ//ჭ); ჭ > წ: ხაჭი წკაი<ხაჭი წკაი (აზღალ, ფრიგ., არქ.)¹⁷ „ნაქურთხი წყალი, წმინდა წყალი“. ხოფურში დასტურდება პარალელური ფორმები ხაჭი წკაი//ხაჩი წკაი. ჭერკეზი II ჩერქეზი II ჭერქეზი ჩერქეზი“. ჩაქუჩი II ჭაკუჭი (არქ. ვიწ., ხოფ.) „ჩაქუჩი“. ზოგჯერ მითქმელები პარალელური ფორმებს ჩაქუჩი//ჭაკუჭი ხმარობენ. კოქანი „ღერო“ (ლუქუს, მხალის); ჩინგიანე (ხოფ.), ჭინგიანე (არქ.) „მაწანწალა, მათხოვარი“. არის შემთხვევები, როდესაც შიშინა აბრუბტივი გარდაიქმნება სისინა აბრუბტივად. მაგ., ჭუტა > წუტა (ვიწ., არქ.) „პატარა“; ჭუქანი//ჭუქალი (ათინ.), წუქალი (ვიწ., არქ.) „ქვაბი“.

მ ქ ე: გ > ე (resp. გ//ე); ქ > ე (resp. ქ//ე); იგზალუ > იგზალუ „წავილა, გაემგზავრა“; იგზალი (ხოფ.) > იგზალი (ხოფ.) „იბალი“; მციქა (ხოფ, არქ., ვიწ.) > მციქა (ათინ.) „ცოტა“. იმავე ათინურში პარალელური ფორმები დასტურდება: მციქა/მციქა¹⁸. სქანი>სკანი (ათინ., ვიწ., არქ.) „შენი“. ხოფურში დადასტურებულია პარალელური ფორმები სქანი//სკანი; შქა(ხოფ.). შქა II შკა, (არქ., ვიწ.), შქა/შკა (ათინ.) „წელი“; აშქურინუ//აშკურინუ ლაზურის თითხვე კილოკავში დასტურდება.

მეღერი და ფშვინვიერი თანხმოვნების მიდრეკილება გამკვეთრებისაკენ აღნიშნა პროფ. ს. ჟღენტმა 1938 წ. გამოქვეყნებულ ლაზურ ტექსტებში¹⁹. მოკვიანებით მის მიერვე ეს ფონეტიკური ტენდენცია კვალიფიცირებულ იქნა, როგორც პროგრესულ დისიმილაციური და რეგრესულ დისიმილაციური გამკვეთრება²⁰. უნდა ვივარაუდოთ, რომ რადგანაც არ არსებობს ამ თვალსაზრისის დამამტკიცებელი უდავო არგუმენტები, გამოირიცხული არ არის სხვაგვარი ინტერპრეტაციის არსებობაც. მით უმეტეს, რომ მოცემული ვარაუდი ძვერ პოვებს დასაყრდენს ჩვეს ხელთ არსებული ფაქტობრივ მასალაში. მწელია ისეთი მავალითებში, როგორცაა: თოქუ > თტუ „თქმა“; ომცქუ > ომწქუ „თაფლის ხილვა“; ელამცქვერი (ხოფ.) ელამცქვერი > ელამწქვერი (არქ., ვიწ.) „თანებვირებული“; მსქიბუ > მსკიბუ „წისქვილი“, დისიმილაცია ვივარაუდოთ. მოცემულ მავალითებში ასპირირებული ჰარმონიული კომპლექსები შენაცვლებული იქნა აბრუბტიული ჯგუფებით — ორივე წვერი ერთდროულად გამკვეთრდა და სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ერთ-ერთი მათგანი რომ გამკვეთრებულიყო, მივიღებდით არაკანონიკურ ჯგუფს, რომელიც არ არის მარკირებული ლაზური ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით. არც ისეთი ტიპის მავალითებშია სავარაუდო დისიმილაციური გამკვეთრება, როგორცაა: ქარციმელი, კარწიმელი „ნისლი“, ისტოლუ < ისთოლუ „ისროლა“, ოსტერუ > ოსთერუ „თამაში“, ოხორძა || ოხორწა || ხორძა || ხორწა (ათინ.) < ოხორჯა „ქალი, დიასახლისი“.

ცხადია ლაზურის მეღერი და ფშვინვიერი თანხმოვნების გამკვეთრების ძლიერი ტენდენცია ახასიათებს. ამ ეტაპზე ძნელია მიზეზებზე ლაპარაკ-

¹⁷ გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, თბ., 1972, გვ. 150-28.

¹⁸ არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტექსტებითურთ, თბ., 1936, გვ. 99-21, 104-25.

¹⁹ ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები, თბ., 1938, გვ. 14.

²⁰ მისივე, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953, გვ. 138—149.



კი, ვინაიდან პროცესი დამთავრებული არ არის და, რაც მთავარია, ეს ფორმები პარალელურად არსებობენ. ერთი რამ ცხადია, რომ სამეულთა სისტემის მქედ-პირი, ფშვინვიერი და მკვეთრი ფონემები ერთი ტრიადის ფარგლებში ზოგჯერ თავისუფლად ვარიირებენ. რაიმე კანონზომიერების დადგენა ჯერჯერობით ქირს.

უნდა ვივარაუდოთ რომ გამკვეთების ტენდენცია, ისევე როგორც პალატალიზაცია, ლაზურში სცილდება პოზიციური მოქმედების სფეროს და ფონოლოგიურ ხასიათს იძენს, ვინაიდან ცვლის ენის ფონემათა ფუნქციონალურ დატვირთულობას და ხსნის ერთისა და იმავე რიგის ფონემათა ოპოზიციებს ხშირად.

ერთი რამ ცხადია — გამკვეთების ტენდენციის ინტერპრეტაცია სიტყვაში ფონემათა განაწილების, მათი შეთავსება-შეთავსებლობის თვალსაზრისით სერიოზულ არგუმენტად ვერ გამოდგება. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებობს რაღაც კავშირი გამკვეთების ტენდენციასა და სიბლანტეთა შესატყვისობის დარღვევასთან ქართულ-ზანურში. გამკვეთების ტენდენციით ხომ არ უნდა აიხსნებოდეს სიბლანტეთა შესატყვისობის დარღვევა, კერძოდ, სისინა რიგის არსებობა იქ, სადაც შიშინა იყო მოსალოდნელი. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სისინა ელემენტები მეორეულია, ან ხომ არ უნდა დავუშვათ, რომ რეგულარულ შესატყვისობათა დამკვიდრების პროცესი ჯერ არ დამთავრებულა და ქართველურ ენათა დამოუკიდებელ ენებად ფორმირების პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს. საკითხისადმი ასეთი მიდგომა, რასაკვირველია, პრობლემატურია, მაგრამ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს.

ცნობილია, რომ ხშულ სამეულთა მეექვსე ე. წ. დეფექტური სამეული²¹ დღევანდელ ქართულში წარმოდგენილია ასპირირებული და აბრუბტიული წევრებით — ჯ—ყ. ამ შემთხვევაში ჩვენთვის ამოსავალია არა მხოლოდ სალიტერატურო ქართულის ვითარება, ვინაიდან ენის ისტორიის მანძილზე მონტარტურო ცვლილებებს, უკვე დამთავრებული თუ მოქმედი ენობრივი პროცესების სრული სურათის წარმოსადგენად სალიტერატურო ენის მონაცემების სრულიად არ კმარა. ამდენად ქართველური ენების ფონემათა შესახებ მსჯელობისას ჩვენთვის ამოსავალია ენა მთლიანად — კილოებითა და კილოკავებით; არ არის გამორიცხული უფრო მცირე ენობრივ ერთეულთა მასალის მოშველიებაც, ყოველ შემთხვევაში, მათი გაუთვალისწინებლობა გააღარიბებდა ჩვენს წარმოდგენას ენაში მიმდინარე პროცესებზე.

ქართული ენის დიალექტთა უმრავლესობას და სალიტერატურო ქართულს ფარინგალური წარმოების ბგერები აღარ გააჩნია. ფარინგალურმა რიგმა შემოინახა ერთადერთი ბგერა (ყ), რომელიც ველარული წარმოებისაა დღეს. ფარინგალური არტიკულაცია შემორჩა ქართულის იმ კილოებს (ხევ-სურული, ქიზიყური...), სადაც შემონახულია ამავე რიგის ყრუ-ფშვინვიერი კლაზურსა და მეგრულში კ დაკარგულია²².

საკითხს იმის შესახებ, არსებობდა თუ არა ფარინგალური მქედრი თავის დროზე, აკად. ნ. მარმა მიაქცია ყურადღება და თეორიულად აღდგენილ ბგ-

²¹ იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 80.

²² გ. როგავა, ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და ადიღურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბ., 1946, გვ. 1—17.

რათა რიგში შეიტანა²³. ფარინგალური მჟღერის რეალურად არსებობის იდეის ჩასახვა გ. ახვლედიანის სახელთან არის დაკავშირებული. თეორიულად სავარაუდოდ მჟღერი ფარინგალი გ. ახვლედიანმა დაადასტურა ენაჩლუნგ გოგონას მეტყველებაში, რომელიც ველარულ გ-ქ-კ-ს ნაცვლად წარმოთქვამდა გ-ყ-ყ-ს²⁴.

ს. ფლენტმა ექვს გარეშე დააყენა და სავსებით ბუნებრივად მიიჩნია ფარინგალური მჟღერის არსებობა სვანურში²⁵. სვანურ ტექსტებზე მუშაობის დროს მან არაერთ მთქმელთან (ლახამულური, ლაშხური, ბალსზემოური) დაადასტურა ფარინგალური ბგერები.

ს. ფლენტმა ექსპერიმენტულად შეისწავლა ფარინგალური მჟღერთა სამეული სვანურში და სპირანტიდებად მიიჩნია ისინი მათი სპირანტული შემართვის გამო: „რამდენადაც ეს ფარინგები ნახევრად სპირანტული და ნახევრად ხშული ელემენტების შემცველია, ამიტომ ყველაზე უფრო ამ ბგერათა ბუნებას გ. ახვლედიანის მიერ მოწოდებული ტერმინი სპირანტიდი შეეფერება“²⁶.

გ. ახვლედიანმა სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ფარინგალთა რიგს ქართულში და ეჭვგარეშე მიიჩნია ისტორიულად მათი არსებობა ქართველურ ენებში: „ამ ბგერის ისტორიულად არსებობას მოითხოვს ქართ. ხშულთა სამეულბრივი სისტემა: მეექვსე სამეულში მისი ჩასმა მისცემს სამეულს სისრულის სახეს“²⁷. ისტორიულ ხანაში ეს წ (ლაბარაკია ფარინგალურ მჟღერზე), როგორც ჩანს, დაიკარგა ქართულ-ქართველურ ენებში უკვალოდ; შესაძლოა, რომ იგი შესცვალა ღ-მ ისე, როგორც ახალ სალიტერატურო ქართულში ჳ შეცვალა ხ-მ, ვინაიდან წ : ღ = წ : ხ²⁸.

გ. როგავამ ქართველურ ენათა მასალის გაანალიზების შედეგად ფარინგალურ ხშულთა სამეულის რფლექსებად მიიჩნია ღ-წ-ყ: „ქართულსა და ზანურ ენებში ფარინგალური ფშვინვიერი ჳ იძლევა ხ და ქ რფლექსებს, ხოლო აბრუბტივი ყ-ც და კ რფლექსებს“²⁹.

იზიარებს რა გ. ახვლედიანის ვარაუდს ფარინგალური სრული რიგის არსებობის შესახებ ქართველურ ენებში, გ. როგავა წერს: „გ. ახვლედიანის ზემოაღნიშნულ ვარაუდს ჩვენ დაუღმბატებთ შემდეგს: ამავე მჟღერ ფარინგალურ ხშულს (წ-ს) შეიძლებოდა შენაცვლებოდა, ღ მჟღერი სპირანტის პარალელურად, მჟღერი ხშუ-

²³ Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, გვ. 30.

²⁴ გ. ახვლედიანი, ლოგოპედის მნიშვნელობის საკითხისათვის ისტორიულ ენათმეცნიერებაში, თბილისის ფუნქციურ-ნერველ დაავადებათა ინსტიტუტის შრომები, II, 1945, გვ. 237 (მითითებულია ს. ფლენტის მიხედვით, სვანური ფონეტიკა, გვ. 142).

²⁵ ს. ფლენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949, გვ. 141—148.

²⁶ იქვე, გვ. 148.

²⁷ თანამედროვე ენათმეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ სისტემაში არსებული ასეთი ხარვეზები ყოველთვის არ იძლევიან საფუძველს მათი აღდგენისთვის. მართლაც, ზოგ ენათა ტექსტების სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ უკანა წარმოების მჟღერი ხშირად არ ფუნქციონირებს, მაგრამ ეს თვალსაზრისი ეყრდნობა სინქრონულ ასპექტში ტექსტის სტატისტიკური ანალიზის მონაცემებს და სრულიად არ ითვალისწინებს ენის განვითარების ისტორიულ ასპექტს.

²⁸ გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, ტ. I, თბ., 1938, გვ. 133.

²⁹ გ. როგავა, ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის..., იკე, გვ. 4.

ლი გ, რამდენადაც ამავე ფ ფარინგალური რიგის აბრუბტივ ყ-ს, როგორც ზემოთ ვნახეთ, შენაცვლება, ყ-ს პარალელურად. აბრუბტივი კ (გ-ს რიგისა), ანდა ფშვი-ნეიერ ფარინგალურ ჭ-ს, ხ-ს პარალელურად, შენაცვლება ქ (იმავე გ-ს) რიგისა; ფ : გ = ყ : კ ან ჭ : ქ.

საბოლოოდ, ფარინგალურ ხშულთა სამეულის რეფლექსებად ქართულურ ენებში უნდა მივიჩნიოთ:

ყ > ფ // ქ
 ჭ > ხ // ქ
 ფ < ლ // გ³⁰

გ. ახვლედიანმა შრომაში „Две системы гармонических смычных в грузинском языке“³¹, სისტემის პარმონიულ კომპლექსთა მეორე კომპონენტების არაერთგვაროვნობის საფუძველზე დასვა საკითხი В სისტემის პირვანდელი სახის არსებობის შესახებ. В სისტემის პარმონიულ ჯგუფთა თავდაპირველ აგებულებაში მეორე კომპონენტებად გ. ახვლედიანმა მიიჩნია ფარინგალური ფ-ყ-ყ. შესაბამისად სისტემას ასეთი სახე უნდა ჰქონოდა:

*ზგ	ფჭ	პყ
*ღმ	იჭ	ტყ
*ძლ	ცჭ	წყ
*ჯგ	ჩჭ	ჭყ

გ. ახვლედიანის ეს ვარაუდი ჩვენ მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტულ-მა გამოკვლევებმა დაადასტურეს. ექსპერიმენტმა გამოავლინა, რომ А და В სისტემის პარმონიულ ჯგუფთა კომპონენტები ორი ბგერის მექანიკურ შეერთებას არ წარმოადგენენ. ეს არის დეცესიურ კომპლექსთა ისეთი შერწყმა, როდესაც რეალიზდება გ. ახვლედიანის ბგერათშეერთების მესამე წესი — ერთჟამიერობის კანონი.

კომპონენტთა მიდრეკილება ერთჟამიერობისაკენ განსაკუთრებით იჩენს თავს В სისტემის ჯგუფებში, სადაც მეორე წევრებად გამოდიან ღ—ხ—ყ. როგორც ექსპერიმენტმა დაადასტურა, პარმონიული კომპლექსის მეორე კომპონენტი ხასიათდება გაძლიერებული შემართვით, რაც ინტენსიურ ბგერადონას აძლევს მის პირველ ნაწილს, მეორე — რედუცირებულია. გარდა ამისა, პარმონიულ კომპლექსთა კომპონენტებს ძლიერი საურთიერთო პალატალიზაცია ახასიათებთ; სწორედ ამას უნდა გამოეწვია ისტორიულად ფარინგალური რიგის კომპონენტთა არტიკულაციური გადაადგილება წინ, ვეღარულ რიგში³². თუ გავითვალისწინებთ კ, ყ-ს სპირანტიდულ ბუნებას (სპირანტიდულ შემართვას), რომელიც ს. ჟღერტმა და ოტოლარინგოლოგმა ალ. ჩარგეიშვილმა დაადასტურეს თავიანთ გამოკვლევებში³³, საცხებით ადვილი წარმოსადგე-

³⁰ გ. რ. ო. გ. ა. ვ. ა, ფარინგალურ ხშულთა რიგისთვის..., ივე, გვ. 5.

³¹ დაბეჭდილია კრებულში: Память академика Л. В. Шербы, Ленинград, 1951, გვ. 113—116.

³² Н. С. Кутелия, Две системы гармонических согласных в грузинском языке (автореперат), Тб., 1956.

³³ ს. ჟღერტი, მეღერი ხშული ფარინგალის საკითხისათვის სეანურში, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 8, 1946; ალ. ჩარგეიშვილი, ქართული თანხმოვნების „ყ“ და „კ“-ს ბიომექანიკის საკითხისათვის, საქართველოს მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 8, 1946, გვ. 537—542.

ნია ფარინგალური სპირანტიზაციის ფ—ჯ-ს გარდაქმნა ღ—ხ—ღ³⁴. ყ—ს, როგორც აბრუპტივის, სრული სპირანტიზაცია შეუძლებელია³⁵. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი გარდაქმნა პირველად ჰარმონიულ კომპლექსებში მოხდა: ჰარმონიული კომპლექსის კომპონენტთა ძლიერ საურთიერთო პალატალიზაციის მოპყვა მეორე კომპონენტის გადაწევა წინ, ხოლო მეორე კომპონენტის სპირანტული შემართვის გაძლიერებას, ბუნებრივია, უნდა მოჰყოლოდა მისი სრული სპირანტიზაცია.

ღღეს B სისტემის ჰარმონიულ ჯგუფთა მეორე კომპონენტები არაერთგვაროვანია: ღ—ხ ნაპარლოვანთა ჯგუფს განეკუთვნება და წყვილთა სისტემაში შედის, ყ—ს აბრუპტურია და სამეულებრივ სისტემაშია წარმოდგენილი, როგორც მეექვსე დეფექტური სამეულის ერთადერთი წევრი. ასე რომ, ამ ბგერათა გაერთიანება ხდება არა მათი თავდაპირველი ბუნების მეოხებით, არამედ იმ ფუნქციონალური ერთიანობით, რომელიც მათ ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე აქვთ დაკისრებული. რადგან ენა სისტემაა და ერთი ელემენტის ადგილსა და ქცევას სხვათა სტატუსი და მოქმედება განსაზღვრავს, ამდენად ჰარმონიულ ხშულთა ორი სისტემა გულისხმობს სამეულემენტოვანი ტრიადების კომბინაციებს ერთი ქვესისტემის ფარგლებში და B სისტემის კომპლექსებში ღ—ს მონაწილეობა გაუგებარი იქნებოდა, თუ მათ არ ჩავთვლიდით მიღებულად *ფ, ჯ-საგან, შესაბამისად: *ფ > ღ; ჯ > ხ.

ფუნქციის მიხედვით აქვს პ. ფოგტსაც ღ—ხ—ყ ფონემები ერთიანებული ერთ ტრიადაში. უკანანისმიერ ხშულებზე მსჯელობისას პ. ფოგტი წერს: „პოსტერიულ ხშულებში ჩვენ ვგულისხმობთ სამ პოსტ-პალატალურ ხშულს (იგულისხმება გ—ქ—ც—ნ. ქ.) და ველარულ ხშულ ყ—ს. მაგრამ ვინაიდან ორ ფრიკატივს ღ—ხ-ს პრაქტიკულად იგივე ფუნქციები აქვს, რაც ხშულებს, ჩვენ შეგვიძლია ისინი განვიხილოთ, თითქოს ისინი იყვნენ ხშულები, რომლებიც ყ—სთან ერთად შეადგენენ სრულ ველარულ სერიას სამი წევრით და რომლებიც ფუნქციონალურად პოსტპალატალური სერიის თანაბარია“³⁶.

დეფარინგალიზაცია და მისი შედეგები ლაზურში. დეფარინგალიზაცია საერთო-ქართველური ტენდენციაა და მას მეტ-ნაკლებად ყველა ქართველური ენა დაემორჩილა.

დეფარინგალიზაციის ტენდენციამ ქართველურ ენებში, როგორც ჩანს, დიდი ხნის წინათ იჩინა თავი და ისტორიულად უკვე გამოიღო შედეგი — ქართულში ფარინგალური რივი მოიშალა. ჩვენ მიერ აღრე ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა დაგვარწმუნა, რომ სალიტერატურო ქართულსა და მის მთელ რიგ დიალექტებში ფარინგალური არტიკულაცია მოშლილია. ყ ჩვენ მივაკუთვნეთ ველარულ რიგს და გამოვყავით ჰომორგანულ ბგერათა ჰეტეროგენური ტრიადა ღ—ხ—ყ³⁷. ყ—ს დეფარინგალიზაცია და-

³⁴ შდრ. გ. მაკაევიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965, გვ. 71; აგრეთვე Г. А. Климов, Опыт реконструкции фонемного состава общекартвельского языка основы, ИАН СССР, отдел литературы и языка, т. XIX, вып. I, 1960, გვ. 30.

³⁵ იხ. ს. ქლენტი, სვანური ენის ფონეტიკა, გვ. 148.

³⁶ პ. ფოგტი, ქართული ენის ფონმატური სტრუქტურა, თბ., 1962. ფრანგულად გამოცემა 1956 წელს ოსლოში.

³⁷ Н. С. Кутелия, Две системы гармонических согласных в грузинском языке, 33. 9.

ადსტურეს აგრეთვე ლ. გამსახურდიამ³⁸ და გ. დოლიძემ³⁹ თავიანთ გამოკვლევებში. პოსტველარულ რიგს მიაკუთვნა ის ზელემერმა⁴⁰.

საგულისხმოა, რომ ფარინგალური არტიკულაცია ყ—ს შემორჩა ქართული ენის მხოლოდ იმ დიალექტში, სადაც შენარჩუნებულია ფარინგალური ყრუ ფშვინვიერი ე. ასეთებია ხევსურული, ფშური, თუშური, ქიზიყური და სხვ.

დეფარინგალიზაციის პროცესს უფრო საგრძნობი შედეგები მოჰყვა ლაზურ-მეგრულში, განსაკუთრებით კი ლაზურში, თუმცა ეს პროცესი აქაც მეტნაკლები სხვაობით აისახა კილოკავებში. ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ დეფარინგალიზაციის ტენდენციის რეალიზაცია ლაზურ ენობრივ მასალაზე.

ლაზურში ყ—ს რეალიზაცია ხდება საკუთრივ ყ—სა (ეს უკანასკნელი ველარული ბგერაა) და მისი მრავალრიცხოვანი რეფლექსების სახით. რაც შეეხება ფარინგალურ ე—ს, ის ლაზურ-მეგრულის არც ერთ კილოკავში შემონახული არ არის. მეგრულში ყ დაცულია B სისტემის პარამონიულ კომპლექსებში, სადაც მისი შენაცვლება ც-ით არასოდეს არ ხდება. დანარჩენ შემთხვევებში ყ>ც, ან ყ//ც გვაქვს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არ შეიძლება ზანური (ყ)—ს გაივიწყება ხმოვნის ფარინგალიზაციასთან, რომელსაც (') ნიშნით გამოიზატავთ. ეს დამოუკიდებელი ბგერაა, რომელსაც ახასიათებს გარკვეული ფიზიკურ-აკუსტიკური ნიშნები, (') კი ფარინგალიზებული ხმოვნის ნიშნად უნდა მივიჩნიოთ. მაგ.: ამა'ონუ (არქ.) <ამა-ყონუ „შეყვანა, შემოყვანა“; პა'ზუმ (არქ.) პაყზუმ „ვთლი“ ზმნისაგან, ოა'ზუ <ოყაზუ (არქ.) „გათლა“.

ყ—ს რეფლექსად ვიწურში ზოგჯერ ც არის წარმოდგენილი, არქაბულში—, მათი გამიჯვნა აუცილებელია.

ლაზურის კილოკავები — ხოფური, ვიწური, არქაბული და ათინური ყ ფონემის რეალიზაციის ხასიათით ძირითადად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან⁴¹; თუმცა მკვეთრი საზღვრის დადგენა აქაც ჭირს, ვინაიდან სპორადულად ყ—ს ნებისმიერმა რეფლექსმა შეიძლება იჩინოს თავი თითოეულ მათგანში.

ყ ფონემის ევოლუცია სხვადასხვა გზით წარიმართა ლაზურში:

1. მოხდა ყ—ს სრული დეფარინგალიზაცია არტიკულაციური თვალსაზრისით. ისტორიულად ფარინგალური ყ გარდაიქმნა ველარულ ყ—დ. ეს ტენდენცია ლაზურის ყველა კილოკავში აღინიშნა.
2. ველარულ რიგში ყ—ს რეფლექსებად გამოდიან ღ—ხ—კ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ღ—ხ—კ ყ—ს უფრო ადრინდელი რეფლექსებია და ამდენად დღეს ნაკლები სიხშირით რეალიზდებიან.
3. ვიწურსა და განსაკუთრებით არქაბულში ყ—ს დაკარგვის მოჰყვა ხმოვნის ფარინგალიზაცია, როგორც ერთგვარი კომპენსაცია.
4. ყ დაექვემდებარა პალატალიზაციის მოქმედებას: ყ>ღ.

³⁸ Л. Гамсахурдия, Сравнительный анализ фонем грузинского и английского языков, 1953 (საკანდიდატო დისერტაცია, მანჯანაზე გადაბეჭდილი).

³⁹ გ. დოლიძე, ქართული ენის თანხმოვნები, 1954 (საკანდიდატო დისერტაცია, მანჯანაზე გადაბეჭდილი).

⁴⁰ E. III. Selmer (und Hans Vogt), Georgische Experimentalstudien, 1935, გვ. 49 (მითითებულია გ. ახვლედიანის მიხედვით: ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 309).

⁴¹ ეს მოსაზრება პირველად ნ. შარმა გამოთქვა (Грамматика чанского языка, გვ. XVIII. ახ. აგრეთვე, არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 10).

5. ათინურ კილოკავში ყ უკვალოდ გაქრა ჰარმონიულ კომპლექსებში, თუმცა არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ სრულ გაუჩინარებამდე ჰარმონიულ კომპლექსებში ყ რეალიზდებოდა კ რეფლექსის სახით.

6. ყ გაუჩინარდა α -ს გავლით ($\psi > \alpha > 0$) ათინურში და ნაწილობრივ ვიწურში.

7. ხოფურში ფონემა ყ სიტყვის ყველა პოზიციაში რეალიზდება⁴² გარკვეული დისტრიბუციული შეზღუდვებით: ყ-ს მომდევნო პოზიცია ანლაუტში მხოლოდ ხმოვნური შეიძლება იყოს ან მას უშუალოდ უნდა მოსდევდეს ვ, რომელიც გარდაიქმნება უ-დ.

ყ ფონემის ევოლუცია, მისი რეფლექსები ლაზურში უფრო თვალსაჩინო რომ იყოს, შევეცდები ვრცლად წარმოვადგინო ხოფური, ვიწური, არქაბული და ათინური მასალა.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

ყა (ხოფ.), ყა(ვიწ.), 'ა(არქ., ათინ.) „ხის ტოტი“, შდრ. მეგრ. ყა „ტოტი“. ვიწურსა და არქაბულში ეგვევ მნიშვნელობით იხმარება „ტოტი“: ნჯას არ ტოტი მეტახუდორენ... „ხეს ერთი ტოტი მოატეხა“⁴³. ეს სიტყვა ხოფურშიც გვაქვს: ხეში ტოტი „ხის ტოტი“, ხეში ყა—არ შეიძლება; „ყა“ მსაზღვრელთან არ იხმარება.

ყუ (ხოფ.) „ყუა“: ბერგში ყუთენ კორდი დოტახუფან „თოხის ყუთი ბელტებს დატეხავენ“⁴⁴.

ყური<ყური (ხოფ.), ური (ვიწ., არქ.) „ყორანი“: ყუი დილა უჩა იყვენ (ხოფ.) „ყორანი ძალიან შავია“⁴⁵.

ყტარი<ყუაჲ//ყვაოჯი (ხოფ.), კტარი<კუაჲ//კვაოჯი (ვიწ., არქ.), კუარი (ათინ.) „ყუაჯი“, შდრ. მეგრ. ყვარია, კვარია⁴⁶. ნ. მარს თავის ლექსიკონში⁴⁷ „ყუარი“-ს ექვივალენტად მოჰყავს აჭარაინის მიერ დადასტურებული „ყური“ და როზენის—„ური“. ორივე ეს ფორმა ნ. მარს საეჭვოდ მიაჩნია. „ყური>ყუი“ ფორმები მრავალგზის დასტურდება ხოფურის სარფულ თქმაში, ოღონდ ა. თანდილიას განმარტებით ყორანს ნიშნავს.

ყოყო<ყოყორე (ხოფ.), 'ოორე//'ორე (არქ.), ოფორე//ფორე//'ორე (ვიწ.), 'ოაორე//'ორე (ათინ.) „გოგრა, კვახი“, შდრ. მეგრ. ყოყორე „გოგრის ჯიში“. ამოსავალია „ყოყორე“, ყველა დანარჩენი ფორმები აქედან არის ტრანსფორმირებული. საგულისხმოა, რომ ათინელი მთქმელი ოაორე//ორე ფორმების პარალელურად ხმარობს: ორე-ში ო არაფარინგალიზებულია. ცხადია თუ $\psi > \alpha > 0$, მაშინ ყ-ს მომდევნო ხმოვნის ფარინგალიზაცია თავისთავად გამორიცხულია.

ყურძენი (ხოფ.), ცურძენი//ურძენი (ვიწ.), ურძენი (არქ.), ურძენი//ურძენი (ათინ.) „ყურძენი“, შდრ. მეგრ. ყურძენი//ცურძენი, ყურზენი//ცურზენი. ათინურში დასტურდება ფარინგალიზებული და არაფარინგალიზებული ფორმები პარალელურად, ეს ვითარება არც ვიწურისთვის არის უცხო. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ათინურში და ვიწური ბევრ შემთხვევაში ამქლავებენ საერთო ფონეტიკურ ტენდენციებს.

⁴² იგულისხმება ძირითადად ანლაუტისა და ინლაუტის პოზიციებში.

⁴³ G. Dumézil, Documents Anatolieus, IV, Paris, 1967, გვ. 26, 261.

⁴⁴ არნ. ჩიქობავა, ჰანური ტექსტები, ტფილისი, 1929, გვ. 136₂₇.

⁴⁵ ა. თანდილია, ლაზურ-ქართული ლექსიკონი (ხელნაწერი).

⁴⁶ ქართულ-ზანური შესატყვისები — იხ. არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938, გვ. 108—109; Г. Климов, этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964, გვ. 209—210.

მოქმედების ღურატულად დანაწევრებულ (ფაზურ და დისტაქსიურ) ნომინაციას უპირისპირდება მოქმედების ღურატულად დაუნაწევრებელი სახელდება, რომელიც ხორციელდება მარტივი წინადადების ფარგლებში. ღურატულად დაუნაწევრებელი ნომინაცია მოქმედების სიტუაციის შეკუმშული ნომინაციაა, რომელიც არ ახდენს მოქმედების ღურაციის ექსპლიკირებას,

¹⁹ A. Huxley, Crome Yellow, M., 1976, გვ. 160—161.

²⁰ დისტაქსია — შ. ბალის ტერმინია; როგორც რ. ბარტი აღნიშნავს დანაწევრებული ერთეულების დისტაქსია და ინტეგრაცია თხრობის სემანტიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, [24, 23—24].

²¹ A. Huxley, Crome Yellow, M., 1976, გვ. 192.



არამედ მხოლოდ გულისხმობს მის ხანგრძლივობას (იმპლიკაციის დონეზე); მავალითად: He went to London—'იგი ლონდონში წავიდა'.

ქვემოთ მოქმედების ნომინაციის აღნიშნულ ხერხებს განვიხილავთ ისეთი პარამეტრების თვალსაზრისით, როგორცაა: ა) ნომინაციის ბმულობა / განცალკევებულობა, ბ) შინაგანი ფორმა, გ) პრაგმატულ-სტილისტური ორიენტაცია. ნომინაციის შინაგან ფორმაში გამოვყოფთ ორ ძირითად ასპექტს: დუ-რაციას და სემანტიკური ინტერპრეტაციის სიღრმეს.

ა) აღნიშვნის ბმულობა / განცალკევებულობა. აღნიშვნის ბმულობა / განცალკევებულობის თვალსაზრისით დურატულად დანაწევრებული ნომინაცია განცალკევებული ნომინაციაა, რადგანაც აღსანიშნი სიტუაციის ფაზებს იგი ცალკეულ წინადადებებში გამოჰყოფს, ასეთი წინადადების წყება (რომელიც ზეფრაზულ ერთიანობას წარმოქმნის) წარმოადგენს მოქმედების სიტუაციის სახლდებს (შდრ. მოქმედების დურატულად დაუნაწევრებული ნომინაცია, რომელიც აღსანიშნი სიტუაციის ფაზებს და, აგრეთვე, ზოგჯერ მიზეზსა და მიზანს დაუნაწევრებლად აღნიშნავს ერთი ზმნის საშუალებით, რომელიც მარტივი წინადადების ბირთვს წარმოადგენს. მაგ. The teacher punished the child —'მასწავლებელმა ბავშვი დასაჯა'²². ამავე დროს დურატულად დანაწევრებული სახელდება ახდენს ნომინაციის ორი ტიპის — დამოკიდებულის და დამოუკიდებლის კომბინირებას, რამდენადაც, გარდა ფაზებად დანაწევრებულობისა, მას ახასიათებს გარკვეული გრამატიკული და სხვა პარამეტრები (ზმნის დროის ფორმები, ტექსტში წინადადებათა რიგი). ეს უკანასკნელი წარმოადგენს ნომინაციის დამოკიდებულ საშუალებებს, რომლებიც ახდენენ წინადადებათა დროში თანმიმდევრობის ფიქსირებას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა მოქმედების დურატულად დანაწევრებული ნომინაცია ზეფრაზული ერთიანობის ფარგლებშია შესაძლებელი, იგი (ისევე როგორც მოქმედების დაუნაწევრებული ნომინაცია მარტივი წინადადების ფარგლებში) უნდა განხილულ იქნეს, როგორც ნომინაციის გარკვეული ხერხი. მეტყველებაში როგორც დურატულად დანაწევრებული, ისე დაუნაწევრებული ნომინაცია ხორციელდება სამეტყველო ერთეულთა დონეზე.

ბ) ნომინაციის შინაგანი ფორმა (დურატულობა). როგორც აღნიშნული იყო, მოქმედების დანაწევრებული ნომინაცია ახდენს მოქმედების ხანგრძლივობის ექსპლიციტრებას. ნომინაციის ფაზური დანაწევრება გულისხმობს აღსანიშნი დინამიკური სიტუაციის დროში განვითარების ჩვენებას მისი ისეთ ფაზებად წარმოდგენის გზით, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიტუაციის რაიმე დროში ცვალებადი პარამეტრის (ასპექტის) მიხედვით. ამიტომ ფაზურად დანაწევრებული ნომინაციის შინაგანი ფორმა განისაზღვრება აღსანიშნი სიტუაციის გარკვეული დროში ცვალებადი პარამეტრის შერჩევითა და ენობრივი ფიქსირების თავისებურებებით. დროში ცვალებად პარამეტრებზე დაყრდნობით მთელი აღსანიშნი სიტუაცია ნაწევრდება ფაზებად. ასეთია მოქმედების დურატულად დანაწევრებული სახელდების შინაგანი ფორმის მახასიათებლები ზოგადად, ხოლო მეტყველებაში, კონკრეტული გამონათქვამის ფორმირების დროს კონკრეტულად წყდება: ა) თუ სიტუაციის სა-

²² შდრ. სტივენის დასჯის გაშლილი, დანაწევრებული ნომინაცია ჯ. ჯოისის რომანში. იხ. კრებულში J. Joyce, *Dubliners, A Portrait of the Artist as a Young man*, M., 1982, გვ. 261—262.
12. მაყენე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1985, № 4



ხელღობრ რომელი დროში ცვალებადი ასპექტი ედება საფუძვლად გამოყოფას და ბ) სახელღობრ რომელი ენობრივი ერთეულებით ხორციელდება ეს, რაც განსაზღვრავს გამონათქვამის შინაგან ფორმას.

განვიხილოთ მოქმედების ფაზურად დანაწევრებული ნომინაციის ზემოთ მოყვანილი მაგალითი, პირველი ფაზა ინჰოატიურია:—აღნიშნავს მოქმედების დაწყებას (George began to ascend the stairs—'ჯორჯმა კიბეზე ასვლა დაიწყო'), მეორე ფაზა (he passed the first window—'მან პირველ ფანჯარას ჩაუარა') გამოიყოფა და აღინიშნება იმ სივრცით ორიენტირზე დაყრდნობით, რომლის მიმართაც აგენტი მოძრაობს (ზნნის—to pass smth—'რაღაცის გვერდზე ჩავლა'— მნიშვნელობა გულისხმობს გარკვეულ ობიექტთან მიახლოებას და შემდეგ თანდათან დაშორებას). ამ ფაზის გამოყოფის დროს განუსაზღვრელი იმპლიკაციის დონეზე რჩება სიტუაციის სხვა ასპექტები, მათ შორის: მოქმედების ვითარებაც. იგულისხმება რომ აგენტი მოძრაობს გარკვეული სახით, მაგრამ ის, თუ კონკრეტულად როგორ მოძრაობს იგი, არ არის ექსპლიცირებული²³. მესამე და მეოთხე ფაზების სახელდება კი ეყრდნობა მოქმედების ვითარებას: მესამე ფაზაში ზნა to corkscrew მიუთითებს აგენსის სპირალსებურ მოძრაობაზე²⁴, მეოთხე ფაზაშიც ზნა to tiptoe—'ფეხის წვერებზე სიარული'—ასევე აფიქსირებს აგენსის გადაადგილების სახეს (მოქმედების ვითარებას). ზნების to corkscrew და to tiptoe დიფერენციალურ სემას წარმოადგენს „გადაადგილების ვითარება“, მაგრამ, აღნიშნულ ზნებს გააჩნიათ კატეგორიული სემაც—'სივრცეში გადაადგილება', ამიტომ მესამე და მეოთხე ფაზები, რომელთა ბირთვებს ეს ზნები წარმოადგენენ, გულისხმობენ აგრეთვე აგენსის მიერ გარკვეული მანძილის დაფარვას. მაგრამ სიტუაციის ეს პარამეტრი (აგენსის მიერ გარკვეული მანძილის დაფარვა) იმპლიციტურია (ექსპლიციტურია მხოლოდ გადაადგილების ვითარება), რამდენადაც კომუნიკაციის დროს რელევანტურია მხოლოდ დიფერენციალური სემა, კატეგორიული სემები კი (მოცემულ შემთხვევაში სივრცეში გადაადგილება) არ შედის მტკიცებაში, ე. ი. წარმოადგენს პრესუპოზიციას [შდრ. 26, 123]. ამგვარად, წინადადებაში— 'ის არ მიდიოდა თითის წვერებზე' (He didn't tiptoe) უარყოფას ექვემდებარება მხოლოდ დიფერენციალური სემა (გადაადგილების ვითარება, მანერა) და არა კატეგორიული სემა (სივრცეში გადაადგილება); He didn't tiptoe 'ის არ მიდიოდა თითის წვერებზე'—არ ნიშნავს, რომ ის იღვავა, არ მოძრაობდა; ამგვარად მესამე და მეოთხე ფაზის სახელდება ეყრდნობა ისეთ ნიშანს, როგორცაა გადაადგილების ვითარება, ხოლო სიტუაციის ისეთი ასპექტი, როგორცაა გადაადგილების ვითარება, იგულისხმება დაუკონკრეტებლად (კონკრეტულად არ არის ნაჩვენები არც გავლილი გზის მონაკვეთი და არც რაიმე სივრცითი ორიენტირი). მეტლეთე და მეექვსე ფაზების (one turn more, then half a turn—სიტყვასიტყვით: „კიდევ ერთ-

²³ როგორც ზემოთ აღნიშნეთ იმას, თუ როგორ არის წარმოდგენილი გამონათქვამში აღსანიშნი სიტუაცია (ანუ როგორია გამონათქვამში წარმოდგენილი სემანტიკური, სივრცითი-ფიკატური სიტუაცია), ენობრივ ერთეულთა და სიტუაციის იმ ელემენტთა შერჩევასთან ერთად, რომელიც ექსპლიციტურად აღინიშნება, განაპირობებს გამონათქვამის იმპლიკაციაც.

²⁴ ზნა to corkscrew ნაწარმოებია სახელიდან—a corkscrew 'შტობორი, კოპსისძრობი' ზნა to corkscrew—აღნიშნავს სპირალურ (შტობორისმავარ) მოძრაობას.



თი შემობრუნება, "შემდეგ—ნახევარი"²⁵ სახელდება განხორციელებულია პირიანი ზმნის გარეშე და ამდენად პრედიატია იმპლიციტურ ხასიათს ატარებს. არსებითი სახელი—*a turn*—"მოხვევა, შემობრუნება" წარმოადგენს ნომინაციის ბირთვს; ნომინაციის შინაგანი ფორმის განსაზღვრული ნიშანია მოძრაობის ვითარება (მოძრაობის წრიულ ტრაექტორიაზე); იმპლიციტის დონეზე რჩება დაფარული მანძილი. აღსაწრიულ ნიშნავია, რომ ფაზათა დროში თანამიმდევრობის ფიქსირების ფუნქციას მოკცულ შემთხვევაში ასრულებს წინადადებათა რიგი და ზმნიზედა *then*—"შემდეგ"²⁶.

მეშვიდე ფაზა—*and a door confronted him* ("და მის წინაშე აღმოჩნდა კარები") გამოყოფილია არა მოძრაობის ზმნის საშუალებით (მღრ., მავ., *he reached the door*—"მან მიღწია კარს"), არამედ ზმნით *to confront* — „პირისპირდგომა“.—მოკცულ კონტექსტში კარებთან დგომა გაიანზრება როგორც მოქმედების (გარკვეული მანძილის დაფარვის) შედეგი და ამდენად კარები აღიქმება როგორც სივრცითი ორიენტირი. ამგვარად, სივრცეში გადაადგილების (როგორც მოქმედების) სახელების ფაზურ დანაწევრებასთან ერთად ნაწევრდება დაფარული მანძილი (გამოიყოფა სივრცითი კოორდინატები: ფანჯარა, კარები და სხვ.), როგორც მოქმედების შედეგი; ნაწევრდება (კონკრეტდება) აგრეთვე მოქმედების ვითარება (მანერა).

მეტყველების სიტუაციის დინამიურ ასპექტებს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ინფორმაცია რომელსაც გადასცემს მოლაპარაკე მსმენელს და ბ) მოლაპარაკის მეტყველების მანერა. ქვემოთ მოგვყავს ორი ნაწყვეტი, რომელთაგან პირველში მეტყველების სიტუაციის ფაზურად დანაწევრებული ნომინაცია ხორციელდება ძირითადად გადასაცემი ინფორმაციის დანაწევრებით (მაშინ როდესაც მეტყველების თავისებურებები არ არის ექსპლიცირებული); ხოლო მეორეში აღსანიშნი სიტუაციის დანაწევრება ფაზებად ხდება როგორც გადასაცემი ინფორმაციის დანაწევრების, ასევე მეტყველების თავისებურებათა (მანერის) კონკრეტისაციის პირობებში:

(1) At dinner Margot talked about matters of daily interest, about some jewels she was having reset, and how they had come back all wrong; and how all the wiring of her London house was being overhauled because of the fear of fire; and how the man she had left in charge of her villa at Cannes had made a fortune at the Casino and given her notice...²⁷

(2)... her voice came in an intimate caressing singsong. Of course she remembered him, her voice said, too sweet of him to call her up, of course they must see each other all the time, how thrilling, she'd just love to, but she was going out of town for the weekend, yes, a long weekend. But

²⁵ ისეთი სემანტიკის სიტყვების, როგორიცაა *to corkscrew*—„სპირალისებურად მოძრაობა, to turn—„მობრუნება, მოტრიალება“. სიხშირე გვეაჩუქებინებს, რომ კიბე, რომელზეც პერსონაჟი აღის დახვეული, ხრახნისებური კიბეა (*winding staircase*), რასაც აღსატურებს ფართო კონტექსტი.

²⁶ რამდენადაც წინადადებაში არ არის პრედიატი და წინადადების სხვა წევრები კი ვერ იკავშირებენ გრამატიკული დროის ფორმებს. წინადადებათა რიგს, აღსანიშნ ზღომილებათა დროში თანამიმდევრობის ფიქსირების თვალსაზრისით, შევინაც დიდი როლი ენიჭება, როდესაც წინადადებათა წყებაში პრედიატები „განუსაზღვრელი წარსულის“ (*Past Indefinite*) გრამატიკული დროის ფორმითაა წარმოდგენილი.

²⁷ E. Waugh, *Decline and Fall*, Penguin Book Ltd, Harmondsworth, Middlesex, 1978, გვ. 135.

wouldn't he call her up next week, no, towards the end of the week? She'd just adore to see him²⁸.

ზემოთ განვიხილეთ მოქმედების ფაზურად დანაწევრებული ნომინაციის მაგალითები. მოქმედების დისტაქსიური ნომინაცია ცდურატულად დანაწევრებული ნომინაციაა, თუმცა მისი შინაგანი ფორმა არსებითად განსხვავებულია. დისტაქსიურად დანაწევრებული ნომინაციის²⁹ შინაგანი ფორმა აფიქსირებს მოქმედების დასაწყისსა და ბოლოს (ან რომელიმე ორ სხვა მომენტს), რომელთა შორის ჩასმულია სხვა (დროში პარალელური) ხდომილებათა რიგი. ამდენად, დისტაქსიურად დანაწევრებული ნომინაციის შინაგან ფორმაში დანაწევრებული მოქმედების დურაცია წარმოდგენილია გაშუალებულად, იმ ხდომილებათა დურაციის ფონზე, რომლებიც ჩასმულია დანაწევრებული ნომინაციის დასაწყისსა და ბოლოს შორის — ამდენად ასეთ შემთხვევაში დურაცია ფაქტობრივად იმპლიკაციის ხასიათს ატარებს.

გ) ნომინაციის შინაგანი ფორმა (სემანტიკური ინტერპრეტაციის ხილრმე). როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დურატულად დანაწევრებული ნომინაცია ეყრდნობა სიტუაციის დინამიკურ პარამეტრებს (როგორცაა: მოქმედების ვითარება და დაფარული მანძილი სივრცეში გადაადგილების, როგორც მოქმედების შემთხვევაში; მსმენლისათვის გადაცემული „ინფორმაცია“ და მეტყველების თავისებურებები („მანერა“) მეტყველების, როგორც მოქმედების, სიტუაციაში და სხვ.), რაც განსაზღვრავს შესაბამის ფორმალურად შინაგან ფორმას. მაგარმ მოქმედების მიზნისა და მიზეზის ფიქსირების თვალსაზრისით დურატულად დანაწევრებული ნომინაციის შინაგანი ფორმა მეტად მოძრავია. ნომინაციის აღნიშნული ხერხი შინაგანი ფორმის თვალსაზრისით აუცილებლობით არ ეყრდნობა მოქმედების არც მიზეზს და არც მიზანს; ამიტომ შეიძლება ისინი არც დააფიქსიროს. ასეთ შემთხვევაში აღსანიშნი სიტუაცია აღმოჩნდება ზერელედ, „ზედაპირულად“ ინტერპრეტირებული. აღსანიშნი სიტუაციის სემანტიკური ინტერპრეტაციის ხილრმეს ჩვენ პირობითად განვსაზღვრავთ იმით, წარმოდგენილია თუ არა ექსპლიციტურად ნომინაციის დროს მოქმედების მიზანი და მიზეზი³⁰, მოქმედების მიზნის ექსპლიციტრება უდრის მთელი სიტუაციის გააზრებას, რადგან დურატულად დანაწევრებული სახელდების დროს ზედარზულ ერთიანობაში წარმოდგენილია აგენსის მოქმედებათა წყება, რომელიც შეიძლება გააზრებულ იქნეს, ერთი მხრივ, როგორც საერთო მიზანს დაქვემდებარებული მოქმედებების სერია, ანუ როგორც არსებითად ერთი რთული მოქმედება, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მოქმედებათა რიგი. ამ შესაძლებლობათა გარჩევისათვის გადაწყვეტია მოქმედების მიზნის შინაარსი; მაშინაც, თუკი მოქმედებათა წყება გააზრებულია როგორც ერთ საერთო მიზანს დაქვემდებარებული

²⁸ J. Dos Passos, *The Big Money*, Signet Classics, New American Library, New York, 1979, გვ. 80.

²⁹ იხ. გვ. 176, მოყვანილი მაგალითი.

³⁰ მოქმედების რეალური სემანტიკური ინტერპრეტაცია ტექსტის დონეზე უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ფაქტორებს, ერთი მხრივ, პრესუპოზიციას (ე. წ. „ფონურ ცოდნას“, თეზაურუსს, რომელიც მოიცავს რიგ ასპექტებს; მაგ. მოქმედების სოციალური ნორმების შესახებ წარმოდგენას, მოქმედების კატეგორიის გააზრებას გარკვეულ რელიგიურ და ფილოსოფიურ სისტემებში, მეცნიერების სხვადასხვა სფეროში), ხოლო, მეორე მხრივ, კი კონკრეტული ტექსტის სემანტიკურ სტრუქტურას.

ლი მოქმედებების რიგი. ამ საერთო მიზნის კონკრეტული შინაარსის გახსნის (ექსპლიცირების) გარეშე დურატულად დანაწევრებული ნომინაციის დროს ფაქტობრივად წარმოდგენილია აგენსის გარკვეული „აქტივობა“ „ზერელე“ ინტერპრეტაციით³¹. მაგრამ მიზეზისა და მიზნის არსებობა მაინც ივულისხმება ობლ. კატორული იმპლიკაციის სახით. რადგან, როგორც ზემოთ იყო ნახე-
ნები, მოქმედების კატეგორია აუცილებლად გულისხმობს მიზნისა და მიზეზის არსებობას. ასეთ შემთხვევაში მიზეზისა და მიზნის იმპლიკაცია განუსაზღვრელ ხასიათს ატარებს, ანუ ივულისხმება მიზნისა და მიზეზის არსებობის ფაქტი, მაგრამ კონკრეტულად არ არის გახსნილი მათი შინაარსი, რის შედეგადაც მთელი აღნიშნული სიტუაცია ზერელედ ინტერპრეტირებული აღმოჩნდება³²; მეორე მხრივ, მოქმედების დურატულად დანაწევრებული ნომინაციის დროს შესაძლებელია მოქმედების მიზნისა და მიზეზის შინაარსის დეტალური ექსპლიცირება (მაგ., პერსონაჟის „გარეგანი“ მოქმედების მსვლელობაში მისი „შინაგანი“ აქტივობის დისტაქსიური ჩანართების სახით). ამგვარად, მოქმედების დურატულად დანაწევრებული სახელდებისას ნომინაციის შინაგანი ფორმა მოძრავია, რადგან პრინციპში ასეთი ნომინაცია არ ეყრდნობა მოქმედების მიზანსა და მიზეზს.

აღსანიშნავია, რომ არსებითად განსხვავებულია მოქმედების დურატულად დაუნაწევრებული ნომინაციის შინაგანი ფორმა: აღსანიშნი სიტუაციის სემანტიკური ინტერპრეტაციის სიღრმე დაუნაწევრებული სახელდების შემთხვევაში არსებითად განისაზღვრება იმ ზმნის შინაგანი ფორმით, რომელიც შერჩეულია ნომინაციისთვის. უმეტეს შემთხვევაში ზმნა დაუნაწევრებული ნომინაციის ბირთვს წარმოადგენს, რამდენადაც ასეთი სახელდება ზორციელდება მარტივი წინადადების ფარგლებში. აღსანიშნი სიტუაციის დაუნაწევრებული, შეკუმშული წარმოდგენა (დურაციის იმპლიციტურობა) კონკრეტულ ზმნებში უკავშირდება აღსანიშნი სიტუაციის სემანტიკური ინტერპრეტაციის ფიქსირებულ „სიღრმეს“³³. ისეთი ზმნების, როგორცაა: to punish („დასჯა“), to revenge („შურისძიება“), to spare smb („ვიღაცის შებრალება, დაზოგვა“), to pardon („შეწყალება, არ დასჯა“), შინაგან ფორმაში ფიქსირებულია მოქმედების მიზეზი, მიზანი და შედეგი და ამდენად აღსანიშნი სიტუაციის სემანტიკური ინტერპრეტაცია „ღრმაა“. ისეთი ზმნები, როგორცაა: to inform („რაიმეს შეტყობინება“), to murder („მკვლელობის ჩადენა“); to find out („რაიმეს გამორკვევა“) და სხვ., ახდენენ მიზნისა და შედეგის ფიქსირებას (მოქმედება აუცილებელი იმპლიკაციის სასითაა წარმოდგენილი); ამდენად მათი შინაგანი ფორმა იძლევა აღნიშნული სიტუაციის არაზერელე ინტერპრეტაციას. რაც შეეხება

³¹ მოქმედების ნომინაციის ეს ასპექტი, რომელიც კონკრეტულ მხატვრულ ღირებულებას კონკრეტულ ტექსტში იძენს, უკავშირდება თხრობის თვალსაზრისის და პერსპექტივის კატეგორიას, შდრ. ფ. დოსტოევსკის სტილის მ. ბახტინისეული ინტერპრეტაცია [3, 387].

³² შდრ. განხილული მაგალითი (პერსონაჟის კიბეზე ასვლის ეპიზოდი). კიბეზე ასვლის ფაზებში, თუმცა გაიაზრება როგორც ერთი მოქმედება, მაგრამ ცნობილი არ არის ძირითადი მიზანი (მოცემულ შემთხვევაში ვახდენთ ფართო კონტექსტიდან აბსტრაქტირებას), კერძოდ, ის, თუ რომელი უნდა იყოს მოძრაობის საბოლოო პუნქტი და საერთოდ რისთვის ადის პერსონაჟი კიბეზე. მეორე მაგალითი წარმოვიდგინოთ საუბრის სიტუაციის, რომელიც ერთი შეხედვით მოქმედების მიზანი სახეზეა: თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რეალური მიზანი ერთნიშნადად ექსპლიცირებული არ არის.

³³ შდრ. მოქმედების დურატულად დაუნაწევრებული ნომინაცია ანალიტიკური კაუზატური კონსტრუქციის საშუალებით: ინგლ. He made her speak; შდრ. ქართ. მან ის აიძულა ელაპარაკა vs. მან ის ალაპარაკა.

ისეთ შედეგობით ზმნებს, როგორცაა: to break („გატეხვა“), to kill („მოკვლა“), to frighten („შემინება“) და სხვ., აღსანიშნი სიტუაციის ნომინაცია ასეთი ზმნების საშუალებით განსხვავებულია მხოლოდ შედეგზე დაყრდნობით, შედეგის კატეგორია კი მიემართება როგორც მოქმედებას, ისე ქმედებასაც. ამიტომ ასეთი ზმნები ახდენენ აღსანიშნი სიტუაციის მინიმალურ სემანტიკურ ინტერპრეტაციას—ვერ უზრუნველყოფენ ერთნიშნადად (კონტექსტის გარეშე) ქმედებისა და მოქმედების დიფერენცირებას.

დ) ნომინაციის პრაგმატულ-სტილისტური ორიენტაცია. მოკლედ შევჩერდებით ნომინაციის აღნიშნული ასპექტის ზოგიერთ მომენტზე. მოქმედების დურატულად დანაწევრებული ნომინაციის პრაგმატულ-სტილისტური ორიენტაცია დაუნაწევრებელ ნომინაციასთან მიმართებაში ვლინდება. თუკი დაუნაწევრებელი ნომინაცია წარმოადგენს აღსანიშნი სიტუაციის შეკუმშულ, სქემატურ სახელდებას (რომელშიც მოქმედების დურაცია იმპლიციტურია), დურატულად დანაწევრებული ნომინაცია ახდენს მოქმედების დურაციის ექსპლიციტურებას და, აგრეთვე, მთელი აღსანიშნი სიტუაციის კონკრეტულ-ხატობრივ წარმოდგენას³⁴. დაუნაწევრებელი ნომინაციის დროს აღსანიშნი სიტუაციის სემანტიკური ინტერპრეტაციის სიღრმის³⁵ თვალსაზრისით ნომინაციის შინაგანი ფორმა მოძრავია, ხოლო დაუნაწევრებელი ნომინაციის დროს კი კონკრეტულ ზმნებში—ფიქსირებული, ნომინაციის აღნიშნული ხერხების პრაგმატულ-სტილისტური მახასიათებლები კონკრეტულ მხატვრულ ფუნქციას იძენენ კონკრეტული ტექსტების სტრუქტურაში.

ლიტერატურა

1. Адмони В. Г. Основы теории грамматики, М.—Л., 1964.
2. Арутюнова Н. Д., Номинация и текст, в кн.: Языковая номинация, М., 1977.
3. Бахтин М., Проблемы поэтики Достоевского, М., 1972.
4. Булыгина Т. В., Грамматические и семантические категории и их связи в кн.: Аспекты семантических исследований, М., 1980.
5. Гак В. Г., Высказывание и ситуация, в сб.: Проблемы структурной лингвистики, 1972, М., 1973.
6. Гак В. Г., К типологии лингвистических номинаций, в кн.: Языковая номинация, Общие вопросы, М., 1977.
7. Гумбольдт В., Избранные труды по языкознанию, М., 1984.
8. Есперсен О., Философия грамматики, М., 1958.
9. Колшанский Г. В. Лингво-гносеологические основы языковой номинации, в кн.: Языковая номинация, М., 1977.
10. Курилович Е., Очерки по лингвистике, М., 1962.
11. ლომთათიძე ქ., თემა ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში, იკე, IV, 1953.

³⁴ აღსანიშნი სიტუაციის წარმოდგენის თვალსაზრისით ფაზური და დისტაქსიური ნომინაცია არსებითად განსხვავდება. აღსანიშნი სიტუაციის კონკრეტულ-ხატობრივი რეაქტივენტაცია დამახასიათებელია ფაზურად დანაწევრებული ნომინაციისათვის, შდრ. თხრობა და ჩვენება, telling vs. rendering [29, 15—19]. *διήγησις* და *μῆτις* [27].

³⁵ შდრ. ისეთი არქიტექტონიკური ფორმა, როგორცაა მთხრობლის თვალსაზრისი და პერსპექტივა (მაგ. „შინაგანი და გარეგანი“ თვალსაზრისი, „ყოელისმცოდნე“ ავტორი (მთხრობელი) vs. „ავტორი-დამკვირვებელი“ [36; 39].

12. შაკვატაძე ი. შ. მოქმედების, პროცესის და მდგომარეობის ცნებების განსაზღვრისათვის, კრებულში: თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, VI, თბ., 1981.
13. Распопов И. П., Несколько замечаний о так называемой семантической структуре предложения, ВЯ, 1981, № 4.
14. Серебренников Б. А., Номинация и проблема выбора, в кн.: Языковая номинация, М., 1977.
15. Сильницкий Г. Г., Семантические типы ситуаций и семантические классы глаголов, в сб.: Проблемы структурной лингвистики, 1972, М., 1973.
16. Уфимцева А. А., Семантика слова, в сб.: Аспекты семантических исследований, М., 1980.
17. Филлмор Ч., Дело о падеже открывается вновь, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. X, М., 1981.
18. Филлмор Ч., Дело о падеже, იქვე.
19. Чикобава Ари., Описание системы языка и принцип гомогенности, ВЯ, 1981, № 4.
20. ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950, გვ. 18—80.
21. ჯორბენაძე ბ., ენის ფორმოზოგი და ფუნქციური კატეგორიები, „მაგნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1978, № 2.
22. Большой англо-русский словарь под общим руководством И. Р. Гальперина, М., 1977.
23. ქართული განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, I—VIII, თბილისი, 1950—1964.
24. Barthes R. Introduction à l'analyse structurale des récits, „Communications“, 1966, № 8.
25. Chafe W. L., Meaning and the Structure of Language, Chicago-London, University of Chicago Press, 1971.
26. Fillmore Ch. Types of Lexical Meaning, in: „Studies in Syntax and Semantic“, Dordrecht, 1969.
27. Genette G., Frontières du récit, „Communications“, 1933, № 8.
28. Greimas A. J., Du sens, Paris, 1970.
29. Hendrix W. O., Relations between Linguistics and Literary Studies, „Poetics“, 1974, № 11.
30. Karcevskij S., Du dualisme asymétrique du signe linguistique, „Travaux du cercle linguistique de Prague“, Prague, 1929.
31. Kenny A., Action, Emotion and Will, London; Routledge, 1963.
32. Lyons J., Semantics, v. 2, Cambridge University Press, Cambridge, 1977.
33. María del Carmen Bobes Naves, La valeur sémiotique du temps dans le récit, kodikas / Code, Ars Semeiotika, volume 7, no 1/2, 1984.
34. Pottier B., Linguistique générale, Paris, 1974.
35. Tesnière L., Eléments de syntaxe structurale, Paris; Klincksieck, 1959.
36. Todorov Tz., Les catégories du récit littéraire, „Communications“, 1966, № 8.
37. Vendler Z., Linguistics in Philosophy, Ithaca, N. Y., Cornell University Press, 1967.
38. The Universal English Dictionary, ed. by H. C. Wyld, Routledge and Kegan Paul LTD, London.

ნ. შ. ჩიჩუა

АСПЕКТЫ НОМИНАЦИИ ДЕЙСТВИЯ В ПОВЕСТВОВАТЕЛЬНОМ ТЕКСТЕ

(Дуративно расчлененная номинация действия)

Резюме

В статье на материале современного английского языка изучается специфика номинации действия на уровне текста. Выделяется ряд смежных концептуальных категорий, в котором раскрывается содержание категории действия. Между членами ряда категорий выявляется отношение импликации: по направлению от причины к результату действия импликация факультативна, в обратном направлении она носит обязательный характер.

По таким параметрам как: а) внутренняя форма, б) связанность/обособленность обозначения и в) прагматико-стилистическая ориентация выделяется способ текстовой номинации действия — дуративно расчлененная номинация.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრა
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინს-
 ტიტუტმა

არ უნდა გამოვრდეს „პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგის“ მორიგ ტომებში, რომელთა გამოცემას დიდი გულმოდგინებით შეუდგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკა და პირველი ტომის სამი ნაკვეთი მკითხველებს უკვე შესთავაზა. ნამდვილად დასანანია, რომ ასეთი ფუნდამენტური ბიბლიოგრაფიული ნაშრომი ტირაჟის სიმცირის გამო (600, 700, 800 ცალი) გამოცემისთანავე იშვიათობად იქცა.

თამარ მაჭავარიანმა, რომელმაც დიდი მონაწილეობა მიიღო აღნიშნული კატალოგის შედგენაში, 1973 წ. ქურონალ „მნათობში“ (№ 4) სპეციალური წერილი გამოაქვეყნა სათაურით „იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა“. კერძოდ, ავტორი შეჩერდა ლიტერატურულ კრებულ „ნიაზე“ „აქ მოხსენებული კრებული „ნიაზე“ — წერს იგი, — იშვიათობას წარმოადგენს... მისი შინაარსი ასეთია“ და დასახელებულია ყველა ავტორი, გარდა დავით კლდიაშვილისა, მათი ნაწარმოებების ჩამოთვლით. მკვლევარი შემდეგ განაგრძობს «...თავფურცელს (ავტორის მხედველობაში აქვს ი. გრიშაშვილის მიერ „ნიავისადმი“ ხელით გაკეთებული თავფურცელი. — ა. ა.) შიგნიდან ქინძისთავით მიმაგრებული აქვს ოთხი პატარა ქაღალდის ნაჭერი, ბიბლიოგრაფიული შენიშვნებით. ერთი ცნობით — აღმანახ „ძალა“-ში 1909 წლის № 6 დაბეჭდილი ყოფილა (არის და არა „ყოფილა“, იხ. გვ. 6. — ა. ა.) შემდეგი იუმორული შენიშვნა: „სიტყვაკაზმული მწერლობის კრებულ „ნიაზე“-ს გამოცემელნი ბ. ბ. ივ. გომართელი, კ. თუმანიშვილი და სხვ. იუწყებიან, რომ ქართველმა საზოგადოებამ იმედი არ დაკარგოს: გამოზაფხულდება თუ არა, ჩვენი „ნიაზეც“ გამოვა“». სხვათა შორის, ეს სახესწავლი იუმორისტული განცხადება ერთ-ერთ მულხად დაბეჭდილია აღმანახ „ძალაში“ (1909 წ., № 6, გვ. 6) საერთო რუბრიკით „პეტარდები“ და მისი ავტორი გახლავთ გ. ა. ციხელი (გიორგი სალაურიძე). ასე რომ, ეს ცნობა ნამდვილად არის დაბეჭდილი აღმანახ „ძალაში“ და არა „ქაღალდის ნაჭერი“ იტყობინება ამას. მართალია, „ნიავის“ თავფურცელს შიგნიდან ქინძისთავით მიმაგრებული აქვს ოთხი პატარა ქაღალდის ნაჭერი ბიბლიოგრაფიული შენიშვნებით, მაგრამ არც ერთი მათგანი ამაზე არ მეტყველებს.

აღმანახ „ძალას“ იმავე ნომრის მე-16 გვერდზე დაბეჭდილია კიდევ ერთი განცხადება: „მკითხველთა საყურადღებოდ. შემდეგ მეშვიდე ნომერს აღმანახისას ერქმევა **თეატრი, გამოვა 22 თებერვალს**. ჩვეულებრივი მასალების გარდა მოთავსებული იქნება სხვადასხვა საინტერესო წერილები და სურათები. ყოველგვარი მიწერ-მოწერა და მასალების მოწოდება აღმანახისათვის შეიძლება **ვალერიან გუნიას** სახელობაზე მარტო სამის სიტყვით: თბილისი, ვალერიან გუნიას“. უკანასკნელი სამი სიტყვა რუსულად არის დაბეჭდილი.

დღეწილობის ბიბლიოგრაფი თ. მაჭავარიანი იქვე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ყველაზე საყურადღებო ბიბლიოგრაფიულმა ცნობამ, ი. გრიშაშვილის მიერ მითითებულმა, მიგვაგნებინა ამ კრებულის შესახებ, ვაზეთ „ამირანში“ 1908 წ. 3 ოქტომბერს დაბეჭდილ ახალ ამბავს, რომ „დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა კრებული „ნიაზე“-ო. აქვე შინაარსის სარჩევია. შევადარეთ და გამოირკვა, რომ ი. გრიშაშვილის მიერ შემონახულ ცალს აკლია დ. კლდიაშვილის ორი მოთხრობა: „კინაზი პეტრე“ და „მშობლის ნუგეში“, გვ. 43—52. აღსანიშნავია, რომ 1952 წ. გამოცემულ დავით კლდიაშვილის მო-



თხრობათა პირველ ტომს დართული აქვს შენიშვნები, სადაც აღნიშნულია ამ მოთხრობის დაწერის თარიღად 1910—1911 წწ.“

დასასრულს ქალბატონი თ. მაჭავარიანი ასკენიდა, რომ „მამასადამე, ი. გრიშაშვილის მიერ შემონახული კრებული „ნიაივი“ შესაძლებლობას გვაძლევს დავით კლდიაშვილის ორის მოთხრობის დაწერის თარიღად მივიჩნიოთ 1908 წელი და არა 1910—1911 წწ., როგორც ამაზე ფიქრობდნენ“. ნარკვევის ავტორი იქვე სამართლიანად მიუთითებს: „კრებული „ნიაივი“ მოითხოვს სპეციალურ გამოკვლევას“.

ლიტერატურული კრებული „ნიაივი“ დაიბეჭდა და გამოსასვლელად გამოზადებული იყო 1908 წ. ოქტომბერში, რის შესახებ დაწვრილებით ცნობას იძლევა ვახუთი „ამირანის“ 1908 წ. 3—5 ოქტომბრის ნომრები (№№ 172—174) და გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული „ნიაივის“ ორი ეგზემპლარი. გამოსასვლელად გამოზადებული კრებული „ნიაივი“ ცენზურამ აკრძალა. მას მკითხველებამდე მისვლა არ ედირსა. ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში დაცულ ორ ცალს აკლია თავფურცლები და 288 გვერდის შემდეგ მომდევნო ტექსტი, ე. ი. სვ. ყიფიანის ოთხმოქმედებიანი პიესა „სოფელში“ დასრულებული არ არის აქ, იგი მეოთხე მოქმედების პირველი გამოსვლით მთავრდება. „ნიაივის“ ერთ-ერთ ეგზემპლარს აკლია ასევე 43—52 გვერდები, სადაც მოთავსებულია დავით კლდიაშვილის ზემოთ მოხსენებული მოთხრობები.

იმდენად, რამდენადაც ვახუთ „ამირანში“ (1908 წ. №№ 172—174) დაბეჭდილი განცხადებები, თ. მაჭავარიანის აღნიშნული წერილი და ვ. წოწელიას მიერ შედგენილი ივ. გომართელის ნაშრომების ბიბლიოგრაფია ლიტერატურული კრებულის „ნიაივის“ ფურცლებზე მოთავსებული მასალების სრულსურათს არ იძლევიან, შევეცდები სრულად აღვწუხნო ისინი. აი, თვით „ნიაივის“ მთლიანი შინაარსი: 1. ეკლამძე, ია — ახალი ბატონები (მოთხრობა „ერთობის“ დროიდან. გვ. 1—38), 2. არაგვისპირელი, შ. — მიჯაჭვილი ამირანი (მხოლოდ ერთი კარი პაპა ფოცხვერას ნაამბობიდან. გვ. 39—42), 3. კლდიაშვილი, დავ. — კნიაზ პეტრე (მოთხრობა, გვ. 43—47), 4. კლდიაშვილი დავ. მშობლის ნუგეში (მოთხრობა. გვ. 48—52), 5. გომართელი, ივ. — განკითხვის დღე (პიესა ოთხ მოქმედებად. გვ. 53—140), 6. ვაჟა-ფშაველა — ლილა და კვირისა (წყემისი ნაამბობი. ლექსი. გვ. 141—147), 7. რაზიკაშვილი, თ. — ავადმყოფი (ლექსი. გვ. 148—150), 8. რაზიკაშვილი, თ. — ახალ თაობას (ლექსი, გვ. 151—152), 9. ცახელი — საბრალო ბაბუა (ლექსი. გვ. 153—164). 10. რაზიკაშვილი, თ. — ქორის ბახალა (ამბავი, გვ. 165—172), 11. მეგრელი, დუტუ — მალხაზ-ბარელი (დრამატული პოემა ოთხ სურათად. გვ. 173—202), 12. მაყაშვილი, კ. — სულის სალარო (ლექსი. გვ. 203—204), 13. თომაშვილი, დ. — ცის-კიდურ... (ლექსი. გვ. 205—207), 14. თომაშვილი, დ. — სული ობოლი (პოემა. გვ. 208—224) და 15. ყიფიანი, სვ. — სოფელში. (სცენები სოფლის ცხოვრებიდან ოთხ მოქმედებად. გვ. 225—288).

ვახუთ „ამირანში“ დაბეჭდილ განცხადებებში, გარდა ცახელისა (პარ. თვალტრეიციძე), მოხსენებულია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ავტორი. განცხადებებიდან ისიც ირკვევა, რომ კრებული „ნიაივი“ 80 კაპ. ღირებულა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი ბევრად უფრო დიდი მოცულობისა უნდა ყოფილიყო, ვიდრე ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული დეფიქტური ეგზემპლარებია. იმდროინდელი მსგავსი ლიტერატურული გამოცემების პაგინაცია-ფასების ურთიერთშესატყვისობაზე დაკვირვება მაფიქრებინებს,

რომ ლიტერატურული კრებული „ნიავი“ უნდა გამოსულიყო არა უმცირეს 320 გვერდისა.

ლიტერატურული კრებული „ნიავი“ ვითომდა სვ. ყიფიანის პიესის გამო აიკრძალა, მაგრამ ეს ასე არ იყო. ცენზურამ „ნიავი“ აკრძალა ივ. გომართელის პიესის („განკითხვის დღე“) გამო. მართლა რომ ასე იყო, ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, ი. გრიშაშვილის ჩემდამი მოწერილი წერილები და, მეორე მხრივ, ვითონ ცენზორის დ. პოლუმორდვინოვის მიერ 1913 წ. გამოცემული „ქართულად ნებადართულ პიესების“ ნუსხა, სადაც ივ. გომართელის პიესა „განკითხვის დღე“ არ იხსენიება, ხოლო სვ. ყიფიანის პიესა „სოფელში“ („სოფელი“) კი სამჯერ არის ფიქსირებული. ივ. პოლუმორდვინოვის მიერ რუსულ-ქართულად შედგენილი და თბილისში ესპერანტოს სტამბაში დაბეჭდილი აღნიშნული 144-გვერდიანი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი მრავალმხრივ საინტერესოა, როგორც შივ დასახელებული პიესებისა და მათი ავტორების სიუხვით, ასევე ბიბლიოგრაფიული იშვიათობითაც.

გთავაზობთ ი. გრიშაშვილის ორ წერილს, რომლებიც პოეტმა ლენინგრადში გამომიგზავნა.

„1958 წ. 2/VII

შენი ბარათი, ძმაო ანდრო, ბორჯომში გამომიგზავნეს. აქ დავრჩები ამ თვის ბოლომდე, მერე ისევ ჩემს თბილისში ჩავიბუნებ. დავიწყებ „ნიავი“-დან. აღმანანი „ნიავი“ უნდა გამოსულიყო 1907 წელს, მაგრამ ივ. გომართელის პიესის გამო დაიჭირეს. ერთადერთი ეგზემპლარი მე მაქვს, — ბოლო ფორმები აღარ გავრძელდა, სადაც სვ. ყიფიანის პიესა „სოფელში“ იბეჭდებოდა. მე კორექტორი ვიყავ მასინ და შემომენახა. რომ ჩამოხვალ, გაჩვენებ. ჟურნალი „ნიავი“ კი გავრძელებათ ვ. გუნიას „ნიშადურისა“. მე ვ. გუნიას აღმანახების მდივანი ვიყავი და „ნიავი“ ორ ნომერს მე ვუწოდებ (მომწონდა „ნიავი“). გომელაური კი ვ. გუნიას მეუღლეა! ჩემი ბალობის დროინდელი ლექსები გერმანულად? არ ვიცი, საიდან? რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, მეგონა შენ გამოიწერდი ჩემს ხარჯზე. მე ვინ მომაქცევს ჟურნალს?

ი. გრ“.

„1958 წ. 21/VIII

ჩემო კარგო ანდრო!

დღეს ჩამოვედი ბორჯომიდან. თბილისში ისევ სიცხე დამხვდა. ისევ და ისევ „ვეფხისტყაოსანზე“ მინდა ვისაუბრო. მე ამ ქვეყნებს წერილი მიეწერე მწ. კავშ. სახელით და არავინ არ მიპასუხა. მე მინდა შენ მისწერო. ლენინგრადი სულ სხვაა. მისწერე, რომ დასადადებით გამოგიგზავნო. რაც ღირს, ერთი ათად გადავიხდი, რადგან გამოფენა მიფუჭდება. ნუთუნ ორორი ცალი არა გაქვთ მანდ? დირექტორს შეეხვეწე. თუ გინდა, თბილისიდან აკადემიის თხოვნას გამოვუგზავნი... კაცო, „ნიავის“ შესახებ რა გაუგებრობა შეჰქმენი.

მე რომ გწერ, „ნიშადურის“ გავრძელებათ მეტყი, ეს ასეა: ვ. გუნიამ 1907 წელს შეჰქმნა ჟურნალი „ნიშადური“, როცა „ნიშადური“ დახურა ცენზურამ (მგონი 61-ზე შეჩერდა — ეს არ არის საინტერესო), საინტერესო ის [არის], რომ ვ. გუნიამ „ნიშადურის“ ნაცვლად გამოსცა ჟურნ. „საქართველო“; როცა „საქართველოც“ დახურეს, მასინ დაიწყო აღმანახების გამოცემა სხვადასხვა სათაურებით, რადგან აღმანახები ნებადართული იყო მხოლოდ ორი ნომრის გამოშვება ერთნაირი სახელით. იმიტომ არის, რომ ამ აღმანახებს ხელს აწერდა ხან (თამარი) გომელაური (ვ. გუნიას მეუღლე), ხან ტასო

გუნია (5 წლის ვალიკოს გოგონა), ხან რედაქციის მდივანი ი. გრიშაშვილი და ასე შემდეგ.

ის „ნიავე“ კი სულ სხვაა ... ის სქელტანიანი წიგნია, რომელშიაც მონაწილეობდნენ მაშინდელი მწერლები: ცახელი, თედო რაზიკაშვილი, ივანე გომართელი, სე. ყიფიანი და სხვ. ეს ალმანახი, რომელსაც პირობით „ნიავე“ ვუწოდეთ, ცენზურამ დაიჭირა და დაწვა, მე, როგორც კორექტორმა, დაბეჭდილი ფორმებიდან შევკარი წიგნად. ეს ალმანახი ჩემს მეტს არავეს არა აქვს... აი, ესე იყო საქმე.

ველი წერილს, მიპასუხე.

შენი ი. გრ.“

როგორც წერილებიდან ირკვევა, კრებულ „ნიავის“ გამოცემის თარიღად ი. გრიშაშვილი 1907—1908 წწ. მიიჩნევს. მას ზუსტად არ ახსოვს „ნიავე“ მართლა 1907 წ. თუ 1908 წ. გამოვიდა. ი. გრიშაშვილს პირველად მე მივუთითე ვახუთი „ამირანის“ 1908 წ. ნომრებზე (№№ 172—174), ვაჩვენე ვახუთის ნომრები ჩემს კაბინეტში. ამის შემდეგ პოეტმა თავის ბიბლიოთეკაში დაცული „ნიავის“ ორი ეგზემპლარი სწორად დაათარია, შეუსწორებელი დარჩა მხოლოდ ამონაბეჭდები. ასე, მაგალითად, „ნიავიდან“ ამონაბეჭდ ივ. გომართელის პიესის ერთ ცალს ი. გრიშაშვილის ხელით ასეთი მინაწერი აქვს გაკეთებული: „ი. გომართელი. **განკითხვის დღე** (პიესა). ეს პიესა დაიბეჭდა ჟურნალ „ნიავეში“ (1907—1908 წწ.). ცენზორმა ივ. პოლუმორდვინიძემა მთელი კრებული აკრძალა ივ. გომართელის ამ პიესის გამო. აკრძალული კრებული „ნიავე“ ჩემს ბიბლიოთეკაშია დაცული (ერთადერთი ეგზემპლარი). ი. გრ.“ (ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი, ტ. I, თბ., 1977, გვ. 66, № 909).

ვიმეორებ, მართალია, კრებული „ნიავე“ 1908 წ. ოქტომბრისათვის უკვე აწყობილი და სტამბაში დაბეჭდილი იყო, მაგრამ სარედაქციო კოლეჯიამ მისი მომზადება ბევრად უფრო ადრე დაიწყო და ამიტომაც არის, რომ ი. გრიშაშვილი მის გამოცემის თარიღად ხშირად 1907—1908 წლებს ასახელებს. არაა გამორიცხული ასეც ვიფიქროთ, რომ კრებულის ამ ორ პერიოდს (წინასწარი მზადებასა და გამოცემას) პოეტი შეჯამებით განგებ ერთად ასახელებს.

სამასოცამდე გვერდიანი ლიტერატურული კრებული „ნიავე“ (1908 წ.) და მისი მოსახლე 16-გვერდიანი სალიტერატურო მხატვრული ალმანახი „ნიავე“ (1909 წ.) ორი სხვადასხვა გამოცემა იყო და ორივეს რედაქტორ-გამომცემელი ვალერიან გუნია გახლდათ.

რაც შეეხება ალმანახ „ძალაში“ (1909 წ., № 6) დაბეჭდილ იუმორისტულ განცხადებას, ის უფრო ალმანახ „ნიავეზე“ მიგვანიშნებს, რომელიც, გამომოხატულდა თუ არა, მართლა გამოვიდა კიდევ, ვიდრე კრებულ „ნიავეზე“. ამ უკანასკნელზე კი განგებ იმისათვის მიუთითებდნენ, რომ მისი დაწყველილი ბედი უფრო სასენსაციო გაეხადათ ხალხის თვალში და ყუუმბარის აფეთქების მსგავსად მოულოდნელად გაეხმანებინათ. ამიტომაც იყო, რომ განცხადების მთავარ სათაურს ფრანგული სიტყვა „**პეტარდები**“ შეაჩვენეს.

ალმანახი „ნიავე“ (1909 წ., № 8, 1 მარტი) ვაგრძელებს იყო ალმანახებისა — „ერთობა“ (1909 წ., № 1, 2, იანვარი), „ბურჯი“ (1909 წ. №№ 3, 4, იანვარ-თებერვა.), „ძალა“ (1909 წ. №№ 5, 6 თებერვა.) და „თეატრი“ (1909 წ., № 7, თებერვა.). ეს ალმანახები (ხუთი სახელწოდების) კი თავის მხრივ ვაგრ-

ძელება იყო ყოველკვირეულ ჟურნალ „საქართველოსი“ (1908 წ. № 1, 21 სექტ. — № 11, 30 დეკ.). თვით „საქართველოც“ თავის მხრივ ცენზორის მიერ აღკვეთილი ვალერიან გუნიას ყოველკვირეული ჟურნალის „ნიშადურის“ (1907 წ., № 1, აგვ. — 1908 წ., № 6, 14 სექტ.) ვაგრძელება იყო.

ზემოთ დასახელებული აღმანახების რვა ნომერში თავისი გვართა თუ ფსევდონიმით შემოქმედებითს ნიმუშებს აქვეყნებდნენ: ვაჟა-ფშაველა, ნ. ლორთქიფანიძე, მ. ჯანაშვილი, კ. გამსახურდია, გ. გვაზავა, ი. მჭედლიშვილი, ვ. გუნიას, ი. გრიშაშვილი, გ. სალარიძე, დ. მეგრელი, ვ. ძიძიგური, დ. ქავთარაძე, ლ. გეგეჭკორი, დ. ელიოზაშვილი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნათიძე, ნ. შოუკაშვილი, ნინო ორბელიანი, დ. მებუჯე, შ. ქართველიშვილი, ი. იმედაშვილი და ზოგიერთი სხვ. გამოქვეყნებული მასალებიდან განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ საიუბილეო ლექსებსა და წერილებს. საგანგებოდ მინდა მოვიხსენიო ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ვაჟა-ფშაველას 66-პწკარიანი ლექსი „შენდამი“ და 36-სტრიქონიანი ლექსი „აკაკის საიუბილეოდ“, ვარლამ ძიძიგურის ლექსი „აკაკის“. „ვარლამის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული ვარლამ ძიძიგურის ექვს სტროფიანი ლექსი უფრო იმით არის საინტერესო, რომ დაბეჭდილი ტექსტის მხოლოდ და შეექვევს კუპლეტი მეფის ცენზორის მიერ შავი ტუშით არის დაფარული, მათ შორის ხელისმოწერაც „ვარლამი“.

1973 წ. გაზეთ „წიგნის სამყაროში“ (1, გვ. 8) რაფიელ შამელაშვილის წერილი დიბეჭდა, სათაურით „იოსებ გრიშაშვილის წერილები“. აღნიშნულ კორესპონდენციაში ლაპარაკია იოსებ გრიშაშვილსა და ქუთაისის მკვიდრ გიორგი მსხილაძის (გარდაიცვალა 1957 წ.) მეგობრულ ურთიერთობაზე. კერძოდ, შამელაშვილი პირველად აქვეყნებს ი. გრიშაშვილის სამ წერილს, რომლებიც პოეტს 1954—1956 წლებში გიორგი მსხილაძისადმი მიუწერია. ამჟამად ი. გრიშაშვილის 1955 წლის 4 იანვრის თარიღით მიწერილ წერილებზე შევჩერდები. აი, ეს წერილიც:

„ძმავო გიორგი!

შენს თხოვნას შევასრულებ: ფსევდონიმების და ბიოგრაფიების კონსულტაციის შესახებ. დ. მესხის წერილებიც თუ აქ სადმეა, იმასაც ვაგიგებ. ყველა ამას დრო უნდა და ახალი წლის დასაწყისში ახალი ენერგიით შევეუდგები ამ საქმეებს.

„ცეროდენა წიგნები“ მივიღე. უდიდესი მადლობა! ვისაც ჩემი ვახარება უნდა, მაგისთანა „კაბიკიანი“ წიგნები უნდა მაჩუქოს!

მართლა, ჩემი „ქართული იუმორის ისტორიისათვის“ მჭირია ქუთაისში გამოსული „აღმანახები“, ჟურნალები და გაზეთები (პრ. გუჯაბიძის, ასკანელი პროკოფიას და სხვების რედაქციით გამოცემული 1911—1916 წლებისა და ადრეც). მა ა ხ ს ო ვ ს, ქუთაისიდან მოგვივიდა 1911 წელს აღმანახი „ოქროს ფეხი“ (ჩემი გახმაურებული ლექსის პაროდია). მჭონდა. ამჟამად მხოლოდ პირველი ფურცელი შემრჩა... ალბათ, დამიკარგეს. მოდი და ათხოვე წიგნი ვინმესი თუ ასეთი აღმანახიც აღმოაჩინო, ეცადე შემინახო...“ (ხაზი ჩემია. — ა. ა.).

„აღმანახები“ ბევრი მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, სრული არ უნდა მჭონდეს. არ მიყვარს ნაკლები არაფერი. მაშ ასე!

შენი ი. გრიშაშვილი, 1955. 4. 1.“

აღნიშნული წერილიდან ჩემი ყურადღება აღმანახ „ოქროს ფეხის“ და-



სახელებამ მიიპყრო. ალმანახ „ოქროს ფეხისა“ და ლიტერატურულ კრებულ „ნიავის“ არსებობა პირველად ი. გრიშაშვილისაგან შევიტყვე. 1958 წ. 30 ნომბერს მან კვლავ შემახსენა, რომ რუსეთსა და საქართველოში ეს ორი პერიოდული გამოცემა ბევრი ვეძებე, მაგრამ უშედეგო აღმოჩნდა ჩემი ცდაო. ასე რომ, ჩემს დაბეჭდილ „ქართული პერიოდიკაში“ (1819—1917 წწ., თბ., 1968, რუსულად) მათ ადგილი ვერ პოვეს.

ბოლო წლებში ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში სხვადასხვა ცნობარებით აღიჭურვა, ახლა იქ წიგნის მიგნება ბევრად გაადვილდა. ვიპოვე პოეტის მიერ დასახელებული „ოქროს ფეხის“ პირველი ფურცელი (ორი გვერდი დაბეჭდილი). პირველი გვერდი ერთდროულად თავფურცლის მოვლეობას ასრულებს. სამწუხაროდ, ეს ერთი ფურცელიც ი. გრიშაშვილის

№ 1.
საოხუნჯო
ალმანახი

„ოქროს ფეხი“

ტფილისი,
1912 წ.

• დრესი: პოდგორნაია,
სერგო გერსამია.
XXXXXXXXXX
XXXX

• ალმანახი გამოცემა და
გამოშვებით, სხვა დასა
სახელით.
XXXXXXXXXX
XXXX

მიერ გარდიგარდმოდ შუაზე არის გადაჭრილი. თავფურცლის ზემოთა მეორე ნახევარი ნაწილი და ტექსტის ის ადგილი, სადაც საუბარია ი. გრიშაშვილზე, დატოვებულია უცვლელად, ხოლო ტექსტის დანარჩენ ნაწილებს კი ჯვარედინად ხაზები აქვს გადასმული ფანქრით. თავფურცელი აღვადგიენე. მისი აღწერილობა ასეთია: „ოქროს ფეხი, საოხუნჯო ალმანახი, № 1, ქუთაისი, 1912 წ.“. იქვე წვრილი შრიფტით დაბეჭდილია: „ადრესი: პოდგორნაია, სერგო გერსამია“ და „ალმანახი გამოცემა დროგამოშვებით, სხვადასხვა სახელით“. ალმანახის ერთი ნომრის ფასი 5 კაპ. იყო. გამომცემელზეც თვით თავფურცელზე დაბეჭდილი მისამართი — „პოდგორნაია, სერგო გერსამია“ — მიგვითითებს. მასში მოთავსებული ცნობები აპრილში მომხდარ ამბებს ეხება. ამრიგად, „ოქროს ფეხი“ გერსამიას მიერ ქუთაისში გამოცემული იუმორისტული ალმანახების — „მაშხალასა“ (1912 წ., № 1, 25 მარტი, 12 გვ.) და „ჯოჯონეთის მაშხალას“ (1912 წ., № 1, 8 აპრილი, 8 გვ.) გაგრძელება იყო. იგი უნდა გამოსულიყო აპრილის ბოლო რიცხვებში 8 ან 12 გვერდის რაოდენობით.

იოსებ გრიშაშვილმა თავისი ახალგაზრდობის იმ ხანებში ფართოდ გახმაურებული ლექსი „ოქროს ფეხი“ დაწერა არა 1911 წელს ან იმაზე უფრო ადრე, არამედ — 1912 წელს. იმავე წლის 9 აპრილს ეს ლექსი გაზეთ „თემის“ უფასო სურათებიანი დამატების № 2-ში დაიბეჭდა პირველად. 1910 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში ს. გერსამიამ თავისი მორიგი საოხუნჯო ალმანახი აღნიშნულ ლექსის სახელწოდებით გამოსცა და იქვე (მეორე გვერდზე) თვით „ოქროს ფეხის“ ტექსტი მთლიანად გადაბეჭდა. ლექსს წამძღვრებული აქვს პატარა შესავალი, სადაც ნათქვამია, რომ: „რადგან მკითხველ-



თათვის მეტი არ იქნება, მოგვყავს ალმანახში ი. გრიშაშვილის და ვ. რუხაძის ლექსები“. ეს ცნობა ერთხელ კიდევ მიგვივითებს იმ ფაქტზე, რომ ჭერჯე-რობით ჩვენამდე სრული სახით არმოდული ალმანახი „ოქროს ფეხი“ (ი. გრიშაშვილისა და ვ. რუხაძის ლექსებით) 8 გვ-ზე ნაკლები მოცულობისა არ უნდა ყოფილიყო.

ალმანახის ტექსტი ორსვეტად არის დაბეჭდილი. პირველი გვერდის მეორე სვეტი მთლიანად მიძღვნილია თვით სარედაქციო კრდოსა და ი. გრიშაშვილისადმი. სარკაზმით დაწერილი ეს იუმორი ასე იწყება: „ცოტა რამ „ოქროს ფეხზე“. მეოცე საუკუნე „ოქროს ფეხის“ საუკუნეა და, როგორც ასეთი, არ შეგვიძლია გვერდი ავუხვიოთ და ანგარიში არ გაუწიოთ ასეთ „სასიამოვნო“ მოვლენას და ამიტომ ჩვენც გადავწყვიტეთ ამ სათაურით მიგვეწოდებია მკითხველებისათვის ჩვენი ალმანახი“.

თავის დროზე ი. გრიშაშვილის ლექსი „ოქროს ფეხი“ დიდად გახმაურდა საქართველოში, ბევრმა ქართველმა პოეტმა და პროზაიკოსმა დაწერა მისი მიზაძევიტ ლექსი და პამფლეტი. მათ შორის სანდრო შანშიაშვილმაც გამოაქვეყნა ერთი მშვენიერი ლექსი „ფეხის“ ფსევდონიმით ჟურნალ „მათრახში“ (1912 წ., № 2).

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში მრავალი იშვიათი ბეჭდური წყაროა დაცული. ბევრს მათგანს ვერც ერთს სხვა ბიბლიოთეკაში ვერ ნახავთ. სიუბევიტ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იაფფასიანი მცირეფორმატიანი წიგნაკები — „ცეროდენა წიგნები“, „კაპიციანი“, „სემიჩკები“ (ესენი მისი საყვარელი ტერმინები იყო) და სხვ.

რევოლუციამდელ საქართველოში ყველაზე მეტი სახელწოდების ქართული წიგნი და ჟურნალ-გაზეთი 1905—1917 წწ. გამოიცა. უთუოდ ამ მომენტ-მაც ბევრად განაპირობა ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის სიმდიდრე...

დიდად მადლობელი ვიქნები, თუ ვინმე კრებულ „ნიავისა“ და ალმანახ „ოქროს ფეხის“ სრულ ეგზემპლარებზე მიგვივითებს. პირველი შეიძლება ცენზორ ივ. პოლუმორდინოვის ყოფილი ბიბლიოთეკის ფონდში აღმოჩნდეს, ხოლო მეორე კი ქუთაისში უნდა ვეძიოთ. ასე ალმანახინეთ 50 წლის შემდეგ გიორგი ლომთათიძის (1884—1916) მიერ ცხრაასათიან წლებში შესრულებული მ. გორკის „დედის“ ქართული თარგმანი („ფერმეუცვლელი ფოლიანტები“, გაზ. „თბილისი“, 1960 წ., №№ 245, 284).

А. АБРАМИШВИЛИ

НЕСКОЛЬКО СЛОВ О СБОРНИКЕ «НИАВИ» И АЛЬМАНАХЕ «ОКРОС ПЕХИ»

Резюме

В статье, на почве соответствующих материалов (из личного архива и др.), устанавливается полное содержание литературного сборника «Ниави» («Ветерок») и юмористического альманаха «Окрос пехи» («Золотая нога»), которые хранятся в библиотеке-музее поэта-академика И. Гришашвили. Кроме того, уточняется дата выпуска указанных изданий: 1908 г. — сборника «Ниави» и 1912 г. — альманаха «Окрос пехи».

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საბიბლიოთეკო საბჭო

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

დღისი 1 მან. 20 კაბ.

6103/10

ინდექსი

76198



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა